ნინო ზედელაშვილი

ნანილიანი

თბილისი
2012

ნინო ზედელაშვილი – „ნაწილიანი"

რედაქტორი: კატო ჯავახიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნიკა ხვედელიძე

© ნინო ზედელაშვილი – „ნაწილიანი"

© გამომცემლობა „საუნჯე"
© გამომცემელი ეაჟა ნონკოლაური

ISBN 978-9941-442-11-7

saungeo@gmail.com
www.saungeo.ge
თბილისი, ქუთათელაძის 8

მე დავიბადე...

განთიადისას გაშალა მიწამ ნისლიანი თეთრი მკლავები და ამით, ალბათ ჩემი მოსვლა ზეცას ახარა...

მე ვარ გოდერძი ჩოხელი, ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი. დავიბადე საქართველოს მთაში, გუდამაყრის ხეობაში. ჩემ სოფელს ჩოხი ჰქვია, ჩემ სალოცავს ჩოხის წმინდა გიორგი. გუდამაყრის ხეობაში შავი არაგვი მოდის, ჩემ სულშიც მოდის ხშირად შავი არაგვი, ოღონდ არა ბოროტად, კეთილად მოედინება. ვარ კინორეჟისორი, მწერალი, მიყვარს ჩემი სამშობლო. ამჟამად ვცხოვრობ თბილისში. მყავს მეუღლე, ნინო და ორი ვაჟი – ლუკა და ნიკა.

მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო, ოღონდ აზრიანად, საქმიანად და არა ისე, როგორც ამჟამად, როცა ყველა გზა ჩაკეტილია. აი, ასეთია ჩემი ბიოგრაფია.

რაღაცას ველი კიდევ.
რაღაცის იმედი მაქვს.

რისი, ეს კარგად არ ვიცი.
კაცის? – არა.
ალბათ ღმერთის.
იმედი თუ გაქვს, ესეც
ბიოგრაფიაა.
რაღაცა გაგრძელდება.
აუცილებლად გაგრძელდება.
თუნდაც სიცოცხლე!
გაიტანეთ და,
შიშველ კარჩხაზე ჩამოჰკიდეთ
ჩემი სხეული
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!

დღევანდელი საქართველო მაგონებს ნიკო ლორთქიფანიძის იმ ნოველასაც, რომელსაც სათაურად აქვს – „იყიდება საქართველო", ოღონდ ეს ნოველა გრძელდება და დღეს უფრო სწორი იქნება მას „გაიყიდა საქართველო" რომ შევარქვათ. ორიათას წელს საქართველო ეგებება უაღრესად დაბეჩავებული, მხრებჩამოჭრილი, აწეწილი, აოხრებული, გაღატაკებული, დამცირებული, სახლში მტერმომრავლებული და უიმედო. როგორც მავანნი ამბობენ, კორუმპირებული, სადაც კორუმპირებულები ბრძოლას უცხადებენ კორუფციას. ერთი წყება ქართველებისა, დანარჩენი ქართველების ძვლებზე მდიდრდება და სასახლეებს იშენებს, მაშინ, როცა უმწეო მოხუცები შიმშილით იხოცებიან, როცა ნახევარი საქართველო ლუკმა-პურის საშოვნელად სხვაგან გარბის. შვილებს დედა ენატრებათ და დედას შვილები, ინგრევა ოჯახები, ქუჩები სავსეა მათხოვრებით.

ჩაკლულია ეროვნული სული, ხოლო ვიღაც, უჩინარი, ცდილობს რაც ჯერ კიდევ შემორჩათ ქართველებს სასიკეთო წინაპართაგან, ისიც ჩაკლას, ისიც ჩააქროს, რათა მომავალი თაობები აღარ გაიზარდონ ნამდვილ ქართველებად.

გათითოკაცებულია საზოგადოება. მთავრობა ცალკეა, ხალხი – ცალკე. ინტელიგენციას ფუნქცია აქვს დაკარგული, უფრო სწორად კი, ღონე აქვს დაკარგული ამ ფუნქციის შესასრულებლად. მწერლის სიტყვა ხალხს აღარ ესმის. დემოკრატიის სახელით იძარცვება ქართული სული და ქართული მიწა. ერი ჰგავს მწყემსისაგან მიტოვებულ ცხვრის ფარას, რომელიც უფსკრულის პირას დამფრთხალ-დამშეული შეყუჟულა და ნადირის ყოველ წამოტევებაზე ფრთხება, ნადირი კი უხვად არის და რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, შინაური ნადირებით იჯიჯგნება საქართველო და რატომღაც ტკივილით მაგონდება:

„ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა“.

საქართველო იყო თამარ დედოფლის დარბაზი, სადაც იგი ფეხშიშველა მიდიოდა ეკლიან გზაზე სალოცავად, რათა უფლისთვის ეთხოვა ქართველების გამარჯვება.

ეეეხ, სადღა არის ფართედ გაშლილი და მოხატული საქართველო, ხოლო რაც დარჩა, ისიც მდინარიდან რიყეზე ამოვარდნილ კალმახივით სულს ღაფავს.

ღმერთო, დაგვიფარე!
ღმერთო, დაგვაბრუნე წუთისოფლის მდინარეში.
ღმერთო, მოგვაშორე ჟამი უჟამური!..
სამაგიეროდ, ქართველებს
გვაქვს არაგვი და მტკვარი,
მცხეთაში სვეტიცხოველი,
ზედ გადმოჰყურებს ჯვარი...
ბოლომდე არ გაგიტყდებით,
რაგინდ ჩამოგვჭრათ მხარი.

გულს მილაღებს ჩვენი დიდი წინაპრების გახსენება, გულს მილაღებს, როცა ახალგაზრდები შეხვედრას მიწყობენ სკოლებში, გულს მილაღებს, როცა ქუჩაში ფეხმძიმე ქალს ვხედავ.

გულს მილაღებს, როცა ეკლესიებში იმდენი მორწმუნეა, შიგნით შესვლასაც კი ვერ ვახერხებ.

გულს მილაღებს, როცა ქართველის წარმატება და სიკეთე მესმის.

გულს მილაღებს ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა და ყოველივე ქართული, სადაც ჩვენი წინაპრების სულია გაცხადებული.

გულს მილაღებს ჩემი მამულის სილამაზე, იმისი მზე და იმისი მთვარე, იმისი მთა და იმისი ბარი.

გულს მილაღებენ ის ყვავილები, საქართველოს მთაველებს რომ ქარგავენ კვლავინდებურად.

და ყველაზე მეტად გულს მილაღებს, რომ ქართველი ვარ.

ია, რომ სუნთქავს ისა ვარ,
ზღვა რომ ბობოქრობს ისა ვარ.

მე რისი უნარიც მომცა ღმერთმა, იმისთვის მადლობელი ვარ. რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ. ვერ წარმომიდგენია სხვანაირი გოდერძი ჩოხელი. უპირველესად, სახარების ყოველი წაკითხვის მერე, მგონია, რომ უკეთესი ვხდები, ხოლო ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება სახარებასავითაა. რა თქმა უნდა, თბილისი მიყვარს, მაგრამ დღემდე ვერ შევეგუე. აქ რაღაცნაირად შებორკილი ვარ, თავს ლაღად ვერ ვგრძნობ. სწორედ ჩემზეა ნაქვამი:

„ირემო, მთასა მყვირალო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა“?

ბედისწერამ, ბედისწერამ ჩამომაგდო, ალბათ.

საიდან, როგორ და რატომ ჩამოვყალიბდი ასეთ კაცად, როგორიც ვარ?..

ღმერთს უნდოდა ასე.

სიყვარულს კი, ისეთი ბუნება აქვს, დამტკიცებას არ საჭიროებს. იგი თვითონ მტკიცდება იქ, სადაც ფეხს დაადგამს.

სიყვარულის რომ არ მჯეროდეს, არც გოდერძი ჩოხელი ვიქნებოდი დღეს. მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ ქალისა და კაცის სიყვარულს, თუმცა, ქალს რომ კაცი უყვარს მთელი არსებით, ამაზე დიდი ნეტარება (ტკბილ-მწარე), არ გაუჩენია ღმერთს.

ახლა როცა ცივ ზამთარში
მენატრება დედა,
ვგრძნობ, რა ტკბილად
გაჰყმუოდა,
გაჰყმუოდა
მგელიც!..

დედა ჩემთვის ის ანთებული სანთელია, რომელიც საიქიოდანაც კი მინათებს სააქაოს. რომ არა დედაჩემი და მისი მადლი, მე დღეს არავინ არ ვიქნებოდი. და თუკი რამ კარგია ჩემს არსებობაში, სნორედ ეს არის დედაჩემის ფენომენი. დედაჩემს ესმოდა ბალახებისა და ფრინველების ენა, ადამიანებივით ელაპარაკებოდა მათ.

ანანურთან არაგვის წყალს დავლევ,
გამარჯვებას ვეტყვი ცისფერ კალმახს...
ციხისძირთან შემეყრება გველი,
ის მაჩუქებს უკვდავების ალმასს.

ჩემთვის გამარჯვება, უპირველესად, ჩემი სამშობლოს გამარჯვებას ნიშნავს. მე არ ვარსებობ უსაქართველოდ.

იყო თოვლის ქორწილი,
მხრებზე თოვლი მეხურა.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ მახარებს. საუბედუროდ, ძალიან ბევრი რამ მადარდებს, იმდენად ბევრი, რომ ერთი გუდა დარდებითა მაქვს სავსე. იმ ქვეყნად რომ წავალ, ღმერთს უნდა მოვახსენო ჩემი დარდები. თუ გამიქარვა, გაილაღებს ჩემი საქართველო. ისე კი, ღმერთმა ქნას, მანამდეც გავილაღოთ.

„დარდი მაშინაც გვეყოფა
საფლავს რო ამოვხედავთა"...
მეც მინდა ვნახო გაბრწყინებული საქართველო.
რო დაჰკრავს სიკვდილის ჟამი
გული რო აფრიალდება,
სული რო ღმერთთან წავალის
ხორცი რო გატიალდება,
ტიალი წუთისოფელი
სხვისთვის ხო გამზიანდება.

ასეთი რომანი მაქვს დაწერილი „ადამიანთა სევდა" ჰქვია, რომელიც ასე მთავრდება:

– რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.

ხოლო რატომ მოდის კაცი ამ ქვეყნად, ეგ ღმერთის გარდა არავინ იცის. მჯერა „იმ დიდი სოფლის", მაგრამ ხანდახან ეჭვი შემეპარება ხოლმე და მაშინა ვარ ყველაზე უფრო სევდიანი და მიუსაფარი. ბავშვობიდან ეკლესიის მოედანზე ვიზრდებოდი და ღვთის რწმენა მთლიანად მოიცავს ჩემს არსებობას, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ხანდახან ვერ

ვასრულებ ღმერთის მცნებებს ისე, როგორც უნდა დაიცვას და შეასრულოს ქრისტიანმა ადამიანმა.

ალბათ, ისევ უნდა ვთხოვოთ დავითს,
წამოდექი, დაგვიდექი დავით!

თუ აქამდე საერისთავოებად დაყოფა ასუსტებდა საქართველოს და საფრთხეს უქმნიდა მის მთლიანობას, ახლა პარტიებად დაყოფა შეიძლება გახდეს საქართველოს დამღუპველი, საქართველოს დამშლელი, დამქუცმაცებელი. პარტიებად დაყოფა დაღუპავს საქართველოს. ჩემთვის ყველაზე დიდი პოლიტიკოსი დავით აღმაშენებელია – კაცი, რომელიც მთლიანად შეეწირა საქართველოს განმტკიცებას და აღზევებას და არა საქართველო შეინირა თავის აღსაზევებლად.

დღეს!

ღმერთმა ქნას პოლიტიკოსებმა სულ ოდნავ მაინც მიჰბაძონ დავითს.

და იცოდეთ, შევისრულებ ნატვრას,
მე გავხდები გაზაფხულის დილა.

ბევრი, ძალიან ბევრი მწერალი მიყვარს, ბევრი რეჟისორი მიყვარს, ბევრი მოთხრობა, ლექსი და ფილმი მიყვარს, და იმათ შორის მიყვარს ყველაზე დიდი, ყველაზე იდუმალი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე მარადიული ამ დედამიწაზე (რამდენადაც შეიძლება დედამიწა მარადიული იყოს).

– ბუნება

და – ბუნებაში გაზაფხული.

დაწერილი მაქვს სცენარები მომავალი ფილმებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, კინოს მძიმე დღე უდგას საქართველოში და არც კი ვიცი, მეღირსება კი როდისმე კიდევ ფილმის გადაღება, ძალიან კი მინდა.

ვწერ მოთხრობებს.

ყველაზე დიდი სასჯელი ჩემთვის უსაქმოდ ყოფნაა და რაც დრო გადის, მით უფრო მკაცრი ხდება ეს სასჯელი.

გამორჩეული ფილმი და მოთხრობა?

როგორც შვილებს ვერ გამოვარჩევ, ასევე ფილმებს და მოთხრობებს ვერ გამოვარჩევ ერთმანეთისგან.

იმედი მრჩება ღმერთისა
თან ჩემი პაპებისია.
რა გადაგვარჩენს?
ჩვენი წარსულის არდავიწყება,
ჩვენი წინაპრების ჯიშ-ჯილაგი,
ჩვენი ადათ-წესების არმოშლა,
ჩვენი რწმენის შენარჩუნება,
ურთიერთსიყვარული,
მიტევება,
საბრძოლო მზადყოფნა,
გამოფხიზლება და არა საღათას ძილში
ჩაძირვა,
მტრისა და მოყვრის გარჩევა,
სწორი გზის არჩევა.

რაც მთავარია ღვთის რწმენა და ღვთის შეწევნა.

მე მიყვარხართ, მიყვარხართ, რადგან მიყვარს ღმერთი და ღმერთმა თქვენთან ერთად მარგუნა სიცოცხლე დედა-მიწაზე.

თინათინ გველიაშვილი,
„გაუხმაურებელი ფაქტები“
28 დეკემბერი – 10 იანვარი,
1999-2000 წელი

გოდერძი, ნინო, ლუკა და ნიკა ჩოხელები. 1987 წ.



გოდერძი ჩოხელი

წინასიტყვაობა

გოდერძი ჩოხელი მისი შემოქმედებით გავიცანი.

1998 წელი იქნებოდა. ჩემთან მეგობარი ნატალია ქადაგიძე მოვიდა, რომელიც გოდერძისა და მის მეუღლეს – ნინოს კარგად იცნობდა. ნატო ტელეფონით ესაუბრა გოდერძის, მერე ყურმილი მომაწოდა, აღარც მახსოვს, რა ვუთხარი. გახარებული და გაოცებული (ნამდვილი გოდერძი ჩოხელის ხმა მესმოდა) სკამიდან წამოვდექი და ისე ვესაუბრებოდი.

მოგვიანებით, 2002 წლის გაზაფხულზე, ჩემმა მეგობარმა ნინო სალუქვაძემ, რომელიც გოდერძისთან მეგობრობდა, მისი გაცნობა შემომთავაზა. აღმოჩნდა, რომ მას ძალიან ახლოს უცხოვრია, ჩვეულებრივ, მრავალსართულიან კორპუსში. მე კი მეგონა, გოდერძის მთებში, ბანიან სახლში უნდა ეცხოვრა და მისი სახლის კედელს გრუზინის მიერ დატანებული სწორი, თეთრი ხაზი ჰქონოდა.

გოდერძი ჩემთვის ბუმბერაზი, დიდებული ადამიანი იყო და არის, სტუმრობისას ძალიან ვღელავდი, მაგრამ მისმა თბილმა, მშვიდმა საუბარმა იმდენად გამათამამა, ჩემი ლექსებიც კი წავუკითხე.

გოდერძის მეუღლე და ნინო სალუქვაძე რაღაცაზე საუბრობდნენ. გოდერძი ფანჯარაში იყურებოდა, უცებ მოტრიალდა და მითხრა:

„იცი რა ცუდად ვარ?! ღამით რომ დავწვები, ათას რამეზე ვფიქრობ, ფილმების გადაღება მინდა, უამრავი გეგმა მაქვს, მაგრამ რომ გავიღვიძებ და დავინახავ არაფრის საშუალება არ არის, საშინელ ხასიათზე ვდგები. ექიმები ამას დეპრესიას ეძახიან, მე კი კინოს გადაღება მინდა“.

რა დიდი ტკივილი უნდა ჰქონოდა კაცს, რომ პირველად ნანახი ადამიანისთვის შეეჩივლა ამის შესახებ. ამ პირველმა სტუმრობამ სამუდამოდ დამაკავშირა გოდერძი ჩოხელთან და მის ოჯახთან, რისთვისაც მთელი ცხოვრება ნინო სალუქვაძის მადლიერი ვიქნები.

გოდერძის გარდაცვალების შემდეგ მისი ხსოვნის საღამოზე პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა თქვა: „არავინ ისე არა ჰგავს საკუთარ შემოქმედებას, როგორც გოდერძი ჩოხელი" სრულად ვიზიარებ ბატონი ტარიელის ნათქვამს და მინდა მკითხველს ვუამბო, როგორი მამა იყო გოდერძი, როგორი – მეგობარი, როგორი ადამიანი.

შევეცდები პირადი საუბრების, ინტერვიუების თუ მის გარშემო მყოფ ადამიანთა მონათხრობის მოშველიებით, მისი შემოქმედების მოყვარულთ გოდერძი ჩოხელზე მცირედი წარმოდგენა შევუქმნა. თავს უფლებას ვერ მივცემ, მის უზარმაზარ ლიტერატურულ თუ კინემატოგრაფიულ ნამუშევრებს შევეხო, თუმცა მკითხველი ბევრ საინტერესო და მისთვის უცნობ დეტალს შეიტყობს გოდერძი ჩოხელის პიროვნებასა და შემოქმედებაზე.

ნინო ზედელაშვილი



გოდერძი ჩოხელი

ნინო. 1979 წ.

ნინო

2008 წელს, გოდერძის გარდაცვალების შემდეგ, მწერალთა კავშირის ინიციატივით და უწმინდესის კურთხევით, სამების საკათედრო ტაძარში გოდერძის ხსოვნის საღამო გაიმართა. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, ბევრი ლექსი წაიკითხეს, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაინც მსახიობ ზურაბ ქაფიანიძის გამოსვლა იყო. მან მადლობა გადაუხადა გოდერძის მეუღლეს ნინო მელაშვილს იმ უანგარო სიყვარულისთვის, რომლითაც ნინომ ბევრი რთული და მძიმე წელი გადაატანინა გოდერძის. „დამერწმუნეთ, – თქვა ბატონმა ზურაბმა, – რომ არ ყოფილიყო ნინო, ჩვენ არ გვეყოლებოდა გოდერძი ჩოხელი"

მათი შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა. საერთოდ, გოდერძის ცხოვრება საოცრებებით იყო სავსე. თავად გოდერძი მიიჩნევდა, რომ თუმცა ნინოსთან შეხვედრამდე სხვა

გოგონებიც მოსწონდა, მაინც სულ ნინო უყვარდა, რადგან თავის სულში გამოძერწა, მკვიდრად ჩაასახლა, ბინა მიუჩინა და მთელი ცხოვრება თან ატარა.

8 წლისას უცნაური სიზმარი უნახავს: მისი სახლი ჩოხში წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში დგას. თითქოს იმ ეკლესიის გუმბათზე მჯდარა გოდერძი, მეზობლები და ახლობლები კი, ამ ახირების გამო გაკვირვებას და უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ. ხალხში უცნობი გოგონა შეუნიშნავს, – ძირს ჩამოდიო, ემუდარებოდა. გოგონა ძალიან ლამაზი ყოფილა, მოსწონებია გოდერძის და თავისთან დაუპატიჟებია. მერე მანდ როგორ ამოვიდე, ფრენა რომ არ ვიციო? – გაჰკვირვებია ლამაზ გოგოს. თუ მოინდომებ, ამოფრინდებიო! – უთქვამს გოდერძის და გაღვიძებია. გოგონას სახე კი, სამუდამოდ დაუმახსოვრებია და ზუსტად იცოდა, ოდესმე აუცილებლად შეხვდებოდა. აკი შეხვდა კიდეც, თითქოს ბავშვობის ოცნება და სიზმარი ერთად აუხდა. სიზმარი კი, მართლაც, საოცარი იყო: იმ სიზმარში გოდერძი და ნინო იმოდენები იყვნენ, რა ასაკშიც შეხვდნენ ერთმანეთს.

ერთმანეთი კი... 1982 წელს ტელევიზიაში გაიცნეს, სადაც ნინო ჟურნალისტად მუშაობდა. გოდერძი იმ დროს უკვე პოპულარული ახალგაზრდა მწერალი იყო და შეხვედრა გაუმართეს. ამ ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი კი ნინო იყო. მალევე, ბიჭვინთაში, ახალგაზრდა ჟურნალისტთა შეკრებაზე, გოდერძის ფილმის „ბაკურხეველი ხევსურის" წარდგინება-განხილვას ნინოც ესწრებოდა მეგობრებთან ერთად. გოდერძი ღიმილით იხსენებდა: „მათი გამომგზავრების დღე რომ დადგა, გული ამომიტრიალდა. მე კიდევ რამდენიმე დღით უნდა დავრჩენილიყავი. უეცრად, ეზოში ერთადერთი, ულამაზესი თეთრი ყვავილი შევნიშნე, დაუფიქრებლად მოვწყვიტე და უკვე ავტობუსში მჯდომ ნინოს მოკრძალებით მივაწოდე ფანჯრიდან. მან მომნუსხველი ღიმილით გადამიხადა მადლობა და ავტობუსიც დაიძრა. მერე-ღა გამახსენდა, რომ აქ დირექტორი კარგი, მაგრამ ძალიან მკაცრი ქალბატონი ბრძანდებოდა და არავის რთავდა ეზო-

ში თუნდაც ერთი ფოთლის მოწყვეტის ნებას. რისხვის მოლოდინში მყოფმა, აივანზე მდგომი დირექტორის თანაგრძნობით სავსე ღიმილი დავიჭირე და შვებით ამოვისუნთქე...“

მერე?! მერე, ერთხელაც ჩოხში სიცხიანი იწვა თურმე გოდერძი და ნინო ესიზმრებოდა, რომელიც ცხენზე ამხედრებული თავისკენ უხმობდა. წამომხტარა გოდერძი, სქელი ნაქსოვი „ჯემპრი“ გადაუცვამს და თბილისში გაქანებულა. აგვისტო იდგა თურმე და ყველაფერი იწვოდა. უთქვამთ, ნინო ზღვაზეა წასული, გაგრაში ისვენებსო. დაუფიქრებლად წასულა. დარბოდა თავქუდმოგლეჯილი გაგრის პლაჟზე და დაეძებდა ნინოს. შიშველი ხალხი გაოცებით უცქერდა თურმე სქელ „ჯემპრში“ გახვეულ ახალგაზრდა ბიჭს, ის კი ეძებდა. ეძებდა. გზადაგზა რაღაც ბარიერები ხვდებოდა, თურმე სამთავრობო აგარაკები იყო, დაცული. აბა, გოდერძიმ რა იცოდა, აძვრებოდა მესერზე, გადაძვრებოდა მეორე მხარეს, ატყდებოდა ერთი ალიაქოთი, რა უნდა, ვინ არის, რატომ გადმოვიდაო. თან ჩაცმულობა აკვირვებდათ. ეს კიდე, ჩუმად დადიოდა პლაჟზე და დაეძებდა, სად ეცალა ასახსნელად. და აი, მიაგნო, მიაგნო და შვებით ამოისუნთქა. აღარც ავად იყო, აღარც დაღლილი და განამებული, აღარც შალის „ჯემპრი“ წვავდა და, საერთოდაც, მაშინ გოდერძიზე ბედნიერი კაცი მთელ ქვეყანაზე არავინ იყო.

„სხვათა შორის, სექტემბერში გავიპარეთ და გამომიტყდა, რომ გაგრაში ჩემმა ჩასვლამ საბოლოოდ მიაღებინა გადაწყვეტილება. მერე ბიჭვინთაში წავიყვანე, იქ გავატარეთ თაფლობის თვე. ასე რომ, გაგრისა და ბიჭვინთის დაკარგვა ორმაგად მძიმეა ჩემთვის. იქ დიდი ბედნიერება და სიყვარული ვიპოვე და მინდა, მტკივა, მენატრება იქაურობა“, – სევდიანი ღიმილით დაასრულა თხრობა გოდერძიმ.

გოდერძიმ და ნინომ მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში დაიწერეს ჯვარი. ჯვარი მამა ანტონმა დასწერა, რომელიც ამჟამად წილკნელი ეპისკოპოსი მეუფე ზოსიმეა, პირველი შვილი ლუკაც იქ მოუნათლავთ. სამთავროში ხშირად დადიოდნენ ნინო და გოდერძი. დასაწყისშივე აღვნიშნე,

გოდერძის და ნინოს ქორწილი. 1982 წლის ოქტომბერი

რომ მის სიცოცხლეში ყველაფერი უფლის ნებით იყო დაშვებული და გარდაცვალების შემდეგ, სამთავროს დედათა მონასტერში რომ დაიკრძალა, როგორც მისმა უწმინდესობამ ბრძანა, ესეც უფლის ნება იყო.

გოდერძის სხვანაირად, ძალიან ძლიერად უყვარდა ნინო. ერთხელ მოსკოვში წავიდა, მეორე დღიდან ყოველ ნახევარ საათში ზუსტად ერთი და იმავე შინაარსის დეპეშას უგზავნიდა: „ნინო, ძალიან მიყვარხარ. გოდერძი ჩოხელი“

2007 წლის ზაფხულში „კოკა-კოლას“ პრეზიდენტის თემურ ჭყონიას მიწვევით, ნინო და გოდერძი ქობულეთში წასასვლელად ემზადებოდნენ: ნინომ რაღაც ზღვის ხალათი მოიზომა, – ძალიან უხდებოდა. მეც აღფრთოვანება ველარ დავმალე. გოდერძიმ ისეთი სიყვარულით შეხედა ნინოს, თითქოს წლების მანძილზე განცდილი გრძნობები, ემოციები და სურვილები ერთად შემოახვია გაღიმებულ მეუღლეს. მე და ნინომ ეს მზერა დავიჭირეთ და გაგვეცინა, გოდერძის კი რატომღაც შერცხვა და გაიბუტა.

ერთხელ ასეთი რამ მითხრა: „იცი, რა ლამაზი იყო ნინო, როცა იცინოდა, თვალებიდან სულ გაზაფხულები სცვიოდა. მე ჩავუქრე ის თვალები და ამის გამო გული ძალიან მტკივა“

კინოს სახლში ფილმის „სამოთხის გვრიტები“ პრემიერაზე. 1998 წ.

ფილმში „ადამიანთა სევდა“ ნინო აყვავებულ ვაშლის ხესთან მიდის, მოაბიჯებს ულამაზეს ყვავილებში და თავისი საოცარი ღიმილით, მართლაც, გაზაფხულს ჰგავს.

ისიც მახსოვს, მძიმე მდგომარეობაში მყოფ გოდერძის ნინო საკუთარი ხელით როგორ აჭმევდა (მისთვის განსაკუთრებულად ამზადებდა ყველაფერს), როგორი სიმშვიდით იტანდა განსაცდელებს და როგორი ქრისტიანული, დიდი მოთმინებით შეხვდა თავისი გასაოცარი, განსაკუთრებული მეუღლის, დიდი ადამიანის სულეთის ქვეყანაში გამგზავრებას.

გოდერძის გარდაცვალების შემდეგ, მე და ნინომ ვცადეთ მისი არქივის მოწესრიგება. ამ არქივში უამრავი მასალაა თავმოყრილი – ხელნაწერები, რვეულები, სადაც „ადამიანთა სევდის“ გამო წარმოქმნილ პრობლემებზე გამოკითხვები ჩაატარა გოდერძიმ. აქვე თავმოყრილია სცენარები, ინტერვიუები და სხვ.

ნინოსთვისაც და ჩემთვისაც შოკისმომგვრელი იყო ერთი ხელნაწერის ნახვა, რომელიც არ შემიძლია აქ არ მოვიტანო, რადგან ჩემი აზრით, ეს არის უზარმაზარი, ყოვლისმომცველი, გულწრფელი და უძლიერესი სიყვარულის გამოხატვა:

ერთგან გოდერძი ასე ამბობს: „კაცმა ყველა წინააღმდეგობა უნდა გადალახო და ღვთის სათნო საქმე აკეთო. წყალმაც იცის ფიქრი, ხემაც, მით უფრო, კაცმა ბევრი უნდა იფიქროს. ბედნიერებაა, თუ კაცი მოსაგონარს დატოვებს და თუ ჩემი შემოქმედებით მოვახერხე რამე ღირებული შემექმნა, მადლობა ღმერთს ამისთვის და კიდევ – ნინოს, ჩემს ნამდვილ მეწყვილეს, რომელსაც ასე კარგად ესმის ჩემი. გადაღებების დროსაც ჩემს გვერდითაა და ყოველი ტკივილისა თუ სიხარულის თანაბრად გამზიარებელიც არის“.

[illegible]

ნინო და გოდერძი ჩოხის წმ. გიორგის სალოცავში. 1998 წ.

ბატონ ზურაბ ქაფიანიძეს პირველს დაულოცავს ნინო და გოდერძი, როცა გაპარულან. თავისი სიყვარული და პატივისცემა ამ საოცრად ლამაზი წყვილის მიმართ პატარა, მშვენიერი, მრავლისმთქმელი მოთხრობით გადმოსცა. ავტორის ნებართვით, მინდა მკითხველს ეს მოთხრობაც მივაწოდო:

ნინო ზედელაშვილი

წუთის სოფელი

ლამაზად მოწყობილ ოჯახს, ლამაზ დედ-მამას ლამაზი გოგონა ჰყავდა – წესიერი და ჭკვიანი.

მიადგა ამ ლამაზი გოგონას ლამაზ ოჯახს ჩვეულებრივი მთიელი, არაგვისხეობელი ყმაწვილი. არაგველები სახით და აღნაგობით მაინცდამაინც მოჩუქურთმებული არ არიან, ან კეჭნაობითა აქვთ სახე დაჩეხილი, ან ბუნებრივად არიან მიჯორჯვილ-მოჯორჯვილები. ჰოდა, აი, ასეთი არც ისე მოჩუქურთმებული სახის პატრონი ბიჭი მიადგა ლამაზ ოჯახს, ლამაზ დედ-მამას ლამაზი შვილის სათხოვნელად. სასიძოს არა, კლდის ნატეხს უფრო ჰგავდა. ფერიც ისეთი გადაჰკრავდა. ღერეჯო თმით, ჩხია თვალებით, გრძელი ცხვირით მეფე ერეკლეს მეომარს ეტყოდი... ერთი სიტყვით, ეს მიჯორჯვილ-მოჯორჯვილი კლდის ნატეხი მიადგა ამ ლამაზ ოჯახს და მიუკიბ-მოუკიბავად გამოაცხადა:

– თქვენი გოგო მიყვარს, ცოლად უნდა წავიყვანო!

– ვინა ხარ?

– გოდერძი ჩოხელი.

– რას აკეთებ?

– ლექსებს ვწერ, მოთხრობებს, სარეჟისოროზე ვსწავლობ.

– ლექსებს და მოთხრობებს ყველა წერს საქართველოში და ყველა სწავლობს.

– მე სხვანაირად ვწერ.

– ვაჟა-ფშაველა ხარ?

– გუდამაყრელი.

– აქ სახლი თუ გაქვს?

– არა.

– აბა, ეს სად მიგყავს?

– შინ.

– სოფელში?

– არა, აქ.

– ბინა არა მაქვსო?

– მექნება.

– როდის?

– ცოლს რომ შევირთავ, მერე.

– მანამდე სოფელში ეს გოგო არ გამოგადგება, ძროხას ვერ მონველის.

– არც მოვანველინებ, ჩვენ აქ, ქალაქში უნდა ვიყოთ.

– სად, თუ სახლი არა გაქვს?

– ღმერთი მომცემს.

– ჰო, ჰო, დაელოდე!

– დაველოდები!

ახლა გოგოს ლამაზი მშობლები თავიანთ ლამაზ შვილს მოუტრიალდნენ:

– შენ რას იტყვი?

– მიყვარს.

– ვინ გიყვარს, ეეს?

– აი, ეს. თქვენ არ იცით, რა კარგი ბიჭია.

– აგერ არ არის?

– არ არის აგერ. ეს, სადაც არის, მეც იქ ვიქნები.

– რა დაემართა ამ გოგოს, რაშია საქმე, შვილო?

– მე მთელი სიცოცხლე ამასთან უნდა გავატარო.

– განყვიტე ხმა!

– ვერ გავწყვეტ. მე ამ ადამიანს უნდა შევეწირო, ასე ინება განგებამ.

– შვილო!

– არა, მამა, არა, დედა!

– გაეთრიეთ აქედან!

მაშინ რომ ნინო არ გაჰყოლოდა, მაშინ რომ ნინოს არ გაეგო გოდერძისთვის, რაც ასე ძნელია იმ ასაკის გოგონასთვის, საქართველო გოდერძისგან ამხელა შემოქმედებით სიმდიდრეს ვერ მიიღებდა თავისი ხასიათის გამო. ხასიათი კი ისეთი ჰქონდა, ველარაფერი მოარჯულებდა, გულს ველარაფერს დაუდებდა და საქართველოსთვის დაიკარგებოდა!

...და წამოვიდნენ უსახლოები, უკაროები, უნათესაოები ამ დიდ ქალაქში და მივიდნენ ახლობელ-ნაცნობებთან საერთო საცხოვრებელში. იქ ორი მსახიობი გოგო ცხოვრობდა.

ერთი ხევსური – ნამდვილი ალაზა, მეორე კი – ამორძალი. მათთან ნაცნობი ბიჭიც დახვდათ... სასწრაფოდ სუფრა გაშალეს და გოდერძის დაქორწინების სადღეგრძელო დალიეს.

ბიჭი: – ბედნიერი იყავით, გაიხარეთ, გამრავლდით, ჯანმრთელად და სიკეთით გევლოთ ცხოვრებაში.

ხევსური: – მზე და მთვარესავით შეაბერდით ერთმანეთს!

ამორძალი: – მაღალი ღმერთი გწყალობდეთ და შეგეწიოთ.

ხუთკაციანმა ქორწილმა ლამაზად, გულიანად, სიყვარულით, ლოცვით ჩაიარა.

გამოხდა ხანი.

გოდერძი ჩოხელმა ჯერ ერთი ლექსით შეძრა ქვეყანა, მერე მეორით და აი, ლექსების კრებულიც. ალაპარაკდა ხალხი.

გოდერძი ჩოხელმა ახლა ერთი მოთხრობა დაწერა და შეძრა ქვეყანა, მერე მეორე... გამოვიდა მოთხრობების კრებული და შეიძრა ისევ ქვეყანა.

მერე გოდერძიმ სცენარები დაწერა და შეძრა კინოს სამყარო. შემდეგ ჯერ ერთი კინო გადაიღო, მეორე, მესამე და მსოფლიომ მოიხედა გოდერძისკენ. იკითხეს:

– ვინ არის ეს გენიოსი? რა ხდება?

და ვაჟას, ილიას, აკაკის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, გალაკტიონის, კინოხელოვნებაში – ჭიაურელის, შოთა მანაგაძის, სიკო დოლიძის, რონდელის საქართველოს კავკასიონზე გამოიკვეთა ერთი ლამაზი მწვერვალი – გოდერძი ჩოხელი. ეს მწვერვალი მაღლა ცაში უფრო აიწეოდა, უცბად სამშობლო რომ არ გამოსცლოდა ხელიდან. ველარც ლექსს წერდა, ველარც მოთხრობას, ველარც სცენარს და ველარც კინოს იღებდა, რადგანაც ჩოხელისთვის გაქრა სამშობლო და სამასმეერთე არაგველი უძახოდა თავის სამას არაგველს:

„სიზმარში ვნახე,
როგორც ცხადში,
საიქიოში შავი ცხენი მიმაჭენებდა:
გალაღებული სახე მქონდა

გულით ვხარობდი,
მივიჩქაროდი ძველ ქართველებთან.
აქამდის სად ხარ?
მკითხეს ერთხმად და უცებ შევკრთი.
გამომეღვიძა...
მდუმარებით შემომხედეს ქართლის ქედებმა:
იცრიცებოდა გარიჟრაჟი,
ასე მეგონა:
ჩამოლეული საქართველო
სადაცაა, ხერხემალში გადატყდებოდა.
თვალი დავხუჭე და გუმანით
საიქიოს კარებს შევძახე:
– ჰეი, გამოდით, ქართველებო!
საქართველოს უჭირს ძალიან,
გამოგვეშველეთ დიდ ომებში ნასახელებნო,
გამოგვეშველეთ, არაგველებოო!"

მაგრამ პასუხი, როგორც დიდ ილიას არ ჰქონდა გაჭირვებული საქართველოდან, ისე არ ჰქონდა გოდერძი ჩოხელს.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი...
მშობელი შობილს არრას ეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი,
ქართვლის ძილშიაც კვნესა ისმოდა"

და ჩოხელისთვის გაქრა სამშობლო. სამშობლოგამქრალი გენიოსი კი რაღა იქნება და აღარც იყო... ეტკინა სამშობლო, ასე უპატრონოდ რომ მოექცნენ ვითომ პატრონები. სამშობლოს დარდი შიგ გულში გაეყარა. აღარ გათავდა დარდი და ვარამი, ქვეყნის ტკივილმა კი გოდერძის სამშობლოსეული გული აავადა, აავადა და მერე მოკლა, ოღონდ ლექსი, მოთხრობა, სცენარი და კინო დატოვა ცოცხლები თავის ორ ბიჭთან – ლუკასა და ნიკასთან ერთად და ეს სიცოცხლეები ათასწლეულებს გააგონებენ გოდერძის სახელს. დიდება შენ, უფალო, კიდევ ერთი უკვდავი სიცოცხლე რომ აჩუქე



ზურაბ ქაფიანიძე და გოდერძი ჩოხელი

ჩემს ხალხს და ჩემს საქართველოს, კიდევ ერთი კაცით რომ გაამდიდრე უკვდავი სული საქართველოსი.

ეს სიმდიდრე იმ ერთი ლამაზი ოჯახის, ლამაზი დედ -მამის, ლამაზი გოგონას შეწირული სიცოცხლე იყო, ხან-ჯალივით კაცს, გოდერძი ჩოხელს რომ გაულამაზა წუთის სოფელი და ამ გალამაზებით უდიდესი საჩუქარი მიილო სამშობლომ, ასე რომ უყვარდათ გოდერძის და ნინოს...

ზურაბ ქაფიანიძე,
გაზ. „კვირის პალიტა"
6-12 ოქტომბერი, 2008

ჩემი გოდერძი ჩოხელი

გოდერძი საოცარი მამა იყო. ნინო მიყვებოდა, გადაღებიდან როგორი დაღლილიც არ უნდა ჩამოსულიყო, ლუკას მაინც ეთამაშებოდა, გაასეირნებდა, მერე ჩასვამდა აბაზანაში და აბანავებდაო. ბიჭები და ნინო გადაღებებზე ხშირად თან დაჰყავდა. ძალიან უყვარდა თავისი პატარა ოჯახი და სულ ზედ დაჰფოფინებდა. ბიჭები უკვე დიდები იყვნენ, ავადმყოფი გოდერძი კი ზოგჯერ ნინოსაც არ აცდიდა მათთვის საუზმის ან ვახშმის გაწყობას.

„მამა, კარტოფილი დაგიჭერი და ჭამე", „მამა, ეზოში თუ მიდიხართ, თბილად ჩაიცვით", – ასე მიმართავდა გოდერძი 18-22 წლის შვილებს.

ხანდახან ეჩხუბებოდა კიდეც, უფრო ნიკას. გოდერძი სწავლას, ცოდნის მიღებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სურდა მის შვილებს საფუძვლიანი განათლება მიეღოთ. ამის გამო ხანდახან ბუზღუნებდა ხოლმე, თორემ პიროვნულად ლუკაც და ნიკაც ღირსეული ქართველი ბიჭები არიან. მათ გოდერძი ჩოხელის მტკიცე, სუფთა და შეურყვნელი ზნეობა აქვთ ცხოვრების წიგნად. მშობლები იმაზე მეტს მოვითხოვთ შვილებისგან, რის შესაძლებლობებსაც ისინი ამჟღავნებენ, ამიტომ ხშირად ვეკამათებით, მეც ვეჩხუბებოდი ჩემს შვილებს, გოგონას – უფრო მეტად. ამაზე გოდერძი ბრაზდებოდა, მას თაკო ძალიან უყვარდა.

ერთხელ მივედი, გაბუტული იჯდა.

– რა მოგივიდა, გოდერძი? – ვკითხე.

– წელან ნიკას ვეჩხუბე, სწავლა ეზარება და ამიტომ. მინდა, რომ ინგლისურზე იაროს. ნიკოლოზს ეწყინა და ეზოში ჩავიდა. იქ კიდევ ძაღლი გამოსდგომია, საწყალი ნიკა, ჯერ მე ვეჩხუბე, მერე კიდევ ძაღლმა არბენინა. ჰოდა, ახლა ჩემ თავზე ვბრაზობ, რატომ ვეჩხუბე – ეცოდებოდა ნიკა გოდერძის.

ნიკა და გოდერძი

2007 წლის ზაფხულში ლუკა სადიპლომო თემაზე მუშაობდა. ორწლიანი სამაგისტრო, საკმაოდ რთული კურსი დახურა და სადიპლომო თემის დიდი ნაწილიც დაამუშავა. ნინო ეხმარებოდა. მასალის ნაწილი რუსული ენაზე იყო და რადგან მე რუსულიდან სწრაფად ვთარგმნიდი ცოტა მივეხმარე ლუკას. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, გოდერძი გვერდიდან არ გვშორდებოდა, ინტერესით გვისმენდა და შიგადაშიგ კომენტარებს და საკუთარ დასკვნებს ურთავდა. საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში ისე კარგად ერკვე-

ოდა, უცხოს პოლიტოლოგი ეგონებოდა. გოდერძი ამაყობდა, რომ ლუკა პრესტიჟული ინსტიტუტის მაგისტრატურას ამთავრებდა. შვილები მისთვის უზენაესი იყო.



გოდერძი და ლუკა. 2003 წ.

ერთხელ, მოსწავლისგან რომ წამოვედი, გულმა რაღაც დარდიანად მომწიწკნა და პირდაპირ გოდერძისთან ჩავედი. კარი ნიკამ გამიღო, თვითონ იწვა.

– ნინო, კინაღამ მოვკვდი.

– რატომ, გენაცვალე?!

– რა ვიცი აბა, ხელ-ფეხი გამიცხელდა, მერე ისე გამეყინა, მეგონა ვკვდებოდი, დავწექი, მაგრამ ვერ გავთბი, კიდევ კარგი, ნიკუშა მოვიდა, მასაჟი გამიკეთა, თავისი ხელებით გამითბო გაყინული ტერფები, ეტყობა, სისხლი ამოძრავდა და გავთბი. ნიკა რომ არ ყოფილიყო, მოვკვდებოდი.

გოდერძი ილიმებოდა, ნიკუშას ხელების სითბომ ძალა დამიბრუნაო. ნინომ თქვა, ბიჭები აძლევენ ენერგიას, თორემ ისე ავად არის, ექიმებს უკვირთ, ნეტავ ფეხზე როგორ დგასო.

ეს გარდაცვალებამდე 6-7 თვით ადრე იყო.

გოდერძი ჩოხელი 2002 წ.

მე კარგად მყოფი გოდერძი არც მინახავს. მძიმე დეპრესიამ, რომელიც საყვარელი საქმისგან მისი ჩამოშორებით, უმოქმედობით, ქვეყნის მდგომარეობით იყო გამოწვეული, მის ჯანმრთელობას დიდი დაღი დაასვა.

თავის უკანასკნელ დაბადების დღეზე მისთვის ჩვეული სიზუსტით და ლაკონურად თქვა: „ყველა ტკივილი ჩემი ხალხისა გულზე გავატარე და ახლა გული მტკივა..."

ხშირად, როცა მნახველები მოდიოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მალე ყველაფერი გაუვლიდა, რომ მას ეჩვენებოდა ეს ტკივილები და ეგონათ, რომ ასეთი დამოკიდებულება გოდერძის დარდს გაუქარწყლებდა, – პირიქით ხდებოდა, სწყინდა, რომ არ უჯერებდნენ. „ნინო, ბეჭიც მტკივა, მუხლებიც, რაღაც საშინელი ტკივილი მივლის მთელ სხეულში და არ მტოვებს, ხან მიცხელდება ხელ-ფეხი, ხან მეყინება, საშველი არ არის", – სევდიანად ამბობდა გოდერძი.

იყო დღეები, როცა ტკივილებისგან შენუხებული ადგილს ვერ პოულობდა და შიში იპყრობდა, რომ ვეღარ გაუძლებდა ამ ტანჯვას.

ნინო ძალიან წუხდა, გოდერძი დღითი-დღე ილეოდა და სიცოცხლის ნიშან-წყალი უქრებოდა თვალებში.

ბოლო წლებში, ზოგჯერ რამდენიმე თვეს საავადმყოფოში ატარებდა. კლინიკას, სადაც მას მკურნალობდნენ, ოფიციალურად ალბათ, სხვანაირად ჰქვია, მე ჩაფიძის კლინიკას ვეძახი. ქალბატონმა გულიკო ჩაფიძემ გოდერძისთვის, მკურნალის გარდა, დედის ფუნქციაც შეიძინა. გოდერძის მისი იმედი და სიყვარული ჰქონდა და ბავშვივით შესჩიოდა თავის ავადმყოფობას. ქალბატონ გულიკოს დიდი ამაგი მიუძღვის გოდერძიზე. მთელი მედპერსონალი თავს ევლებოდა, არაფერს აკლებდნენ, მის სიმყუდროვეს იცავდნენ, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათ მოვალეობაში შედიოდა. ყველას ძალიან შეუყვარდა ეს ჩუმი, უპრეტენზიო და თბილი ადამიანი, რომელიც ერთნაირი პატივისცემით ექცეოდა დიდსა თუ პატარას.

გულიკო ჩაფიძის კლინიკაში. 2006 წ. კ. კერესელიძის ფოტო

ერთხელ, ჩაფიძის კლინიკაში ყოფნისას, მე და ჩემი მეუღლე – დათო ავადმყოფის სანახავად მივედით, უკვე გვიანი იყო, დერეფანში სინწყნარე სუფევდა. უხმაუროდ შევედით პალატაში. გოდერძი კართან, სკამზე ჩუმად იჯდა. დათოს დანახვა ძალიან გაუხარდა.

– ან რადიო არ გინდა, ან პატარა ტელევიზორი, ასე როგორ ძლებ? – ვერ მოითმინა დათომ.

– არ მინდა, არაფერი არ მინდა, კარგად მინდა ვიყო! – სევდიანად ჩაილაპარაკა გოდერძიმ.

საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში, მასთან თითქმის ყოველდღე მიდიოდა მეგობარი – ჯანო ხელაშვილი. დილით, როგორც სამსახურში, ისე გამოცხადდებოდა ხოლმე გოდერძისთან, ხან საუბრობდნენ, ხან ჩუმად ისხდნენ, – მაგრამ მარტო არ ტოვებდა. საღამოს მე და ნინო ვცვლიდით. ნინო ძალიან განიცდიდა გოდერძის ავადმყოფობას, მაგრამ ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა და გვერდში ედგა, არიდებდა უამრავ ყოფით პრობლემას.

2007 წლის გაზაფხულზე გოდერძი ისევ ჩაფიძის კლინიკაში მკურნალობდა, მესამე სართულზე იწვა (ისე, ყველა სართული მოვლილი ჰქონდა). მე და ნინო მივედით, ახალი ჟაკეტი და პერანგები მივუტანეთ. ძალიან სუსტად იყო, „ყველაფერი მტკივაო" – ამბობდა. ნინომ რამდენჯერმე სთხოვა ტანსაცმლის მოზომვა. გოდერძიმ ყური არ ათხოვა მის ხვეწნას და მეოთხე შეხსენებაზე ისე გაბრაზდა, ორივეს გვიყვირა: – მე აქ ვკვდები და თქვენ რაღაც სისულელეებზე მელაპარაკებით. ჩვენ ხმა აღარ ამოგვიღია. უცებ მეზობელი პალატიდან ვიღაც კაცმა შემოიხედა: – ბატონო გოდერძი, დედაჩემი მოვიყვანე, დიაბეტი აქვს და ახლა ჭამის დრო მოუვიდა, ცოტა ყველი და პური ხომ არ გექნებათ?

უცებ წამოხტა გოდერძი, დაფაცურდა, კარადიდან ყველი, პური, ქათმის ხორცი გამოიღო და იმ კაცს მიაწოდა. დიდი მადლობებით გავიდა კაცი. გოდერძის კიდევ რაღაც გაახსენდა, ახლა ის ამოიღო უჯრიდან და თვითონ გაურბე-

ნინა ავადმყოფ ქალბატონს. მე და ნინო ერთმანეთს გაოგნებული მივჩერებოდით. საკუთარ თავზე უფრო გაჭირვებული ნახა გოდერძიმ და თავისი ავადობა დაავიწყდა თითქოს.

საერთოდ, ძალიან მოსიყვარულე ადამიანი იყო. გოდერძის გარდაცვალების შემდეგ ლუკამ თქვა: – ახლა, როცა მამაჩემი აღარ არის, ვფიქრობ და მიკვირს, რამოდენა სიყვარული შეეძლო, როგორ იტევდა მისი გული ამდენს, ჩვენ მასთან ვერ მოვალთო.

გოდერძი ჩოხელი და ნინო ზედელაშვილი გულიკო ჩაფიძის კლინიკაში. 2006 წ. კ. კერესელიძის ფოტო

კეთილი და უშურველი ბუნების პატრონს სხვების დახმარება სიამოვნებას ანიჭებდა. ბევრჯერ წავიღე მისი წიგნები მაღაზიებში გასაყიდად, აღებული თანხიდან აუცილებლად მჩუქნიდა ფულს. უარს თუ ვეტყოდი, ძალიან სწყინდა. ერთხელ 50 ლარი მივუტანე, გაეხარდა და ჯიბეში შეინახა. ჩემი

წამოსვლის შემდეგ ერთი გაჭირვებული, მრავალშვილიანი ფასანაურელი კაცი მისულა და ცოტა ფული უთხოვნია. ამოუღია გოდერძის ის 50 ლარი და მიუცია. ბევრი ადამიანისგან გავიგე, როგორ ჩუმად, ყოველგვარი აფიშირების გარეშე ეხმარებოდა მათ გოდერძი მძიმე პერიოდში.

ყველა ახლობლის ტკივილი გულთან მიჰქონდა გოდერძის, სულ უცხო ადამიანებზეც ისე იდარდებდა, თითქოს მისი ოჯახის წევრები იყვნენ.

ბექა შარმაიძე, ლუკა ჩოხელი, შორენა ჩიტაური, ნიკა ჩოხელი, გიორგი მჭედლიძე სამთავროში, გოდერძის საფლავთან. 2007 წ.

ძალიან უყვარდა თავისი დისშვილები. გოდერძის დას ელისო ჰქვია, პედაგოგია და სოფელ ჭართალშია გათხოვილი ბაიდო ჩიტაურზე. მათ სამი შვილი: შორენა, ნინო და კახა ჰყავთ. შორენა და ნინო სტუდენტობის დროს გოდერძისთან ცხოვრობდნენ. ნინო (გოდერძის მეუღლე) მიყვებოდა, რომ გოგონები ძალიან ეხმარებოდნენ ლუკას და ნიკას გაზრდაში. ნიკა თითქმის ნინომ გაზარდა, ძალიან თბილი და მოსიყვარულეაო. შორენა, ნინო (გოდერძის დისშვილი) და კახა ხომ ჩიტაურები არიან, მე მაინც ჩოხელებს ვეძახი, იმიტომ რომ ძალიან ჰგვანან გოდერძის.

შორენა თბილისში ცხოვრობს და ბოლო პერიოდში მას უფრო დავუახლოვდი. მწირი ხელფასის მიუხედავად, შორენა სულ ცდილობდა, სათაყვანებელი ბიძისთვის ესიამოვნებინა, ხან წინდებს მოუტანდა, ხან მაისურებს. ერთხელ, დაბადების დღეზე პატარა, ყვავილებიანი ხე მოუტანა, ზუსტად ისეთი, როგორიც „ადამიანთა სევდაშია" (ნინო წყალს რომ ასხამს ხის ქვეშ მძინარე ტრისტან სალარიძეს და იცინის). შორენას ვაჟს – ბექას გოდერძის საწოლში უყვარდა ძილი, გემრიელად მოიკალათებდა, გოდერძიც მიუჯდებოდა, „გაფრინდი, შავო მერცხალოს" უმღეროდა და ბიჭი ტკბილად იძინებდა.

კახა წლების მანძილზე უცხოეთში იყო სამუშაოდ წასული. ძალიან განიცადა გოდერძის გარდაცვალება, მთელი მისი ბავშვობა ჭართალში ბიძასთან და მის ოჯახთან იყო დაკავშირებული. ნინო და ბიჭები ხშირად მიჰყავდა გოდერძის დის ოჯახში. კახა ერთგული, კეთილი და ძალიან თბილი ადამიანია. ცდილობს ლუკას და ნიკას უფროსი ძმობა გაუწიოს.

გოდერძის პასუხისმგებლობის საოცარი გრძნობა ჰქონდა, როგორც თავისი ქვეყნის, გარშემომყოფების, ასევე სრულიად უცხო ადამიანების მიმართ. ზუსტად არ მახსოვს, მგონი 2003 თუ 2004 წელი იყო, როდესაც გოდერძი ჩოხელის „მგელი" და მოთხრობების ახალი კრებული „რატომ ტირის ადამიანი?" დაიბეჭდა. მისი შემოქმედების მიმართ ინტერესი

სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ჩემმა მეგობარმა რეჟისორმა გოგა გეგელიამ წიგნები მთხოვა იმ სკოლის პედაგოგებისთვის, სადაც მუშაობდა, თან მორიდებით დაატანა: „ვიცი, რომ ბატონი გოდერძი ავად არის, თუ შეძლებს და ავტოგრაფს გაუკეთებს წიგნებს, ბედნიერი ვიქნებიო“.

გოგამ გოდერძის მოთხრობების მიხედვით სხვადასხვა სკოლაში სპექტაკლები დადგა: „ხილული სამზეო“, „ცასწავალა“. უხაროდა, იმხელა ინტერესს იჩენდნენ ბავშვები გოდერძის შემოქმედების მიმართ.

გოდერძის გოგასთვის წიგნები და ავტოგრაფების გაკეთება ვთხოვე. ის ძალიან ავად იყო და იუარა, არ შემიძლიაო.

– შენ ბევრი შეუძლებელი შეძელი ცხოვრებაში, ხვალ წავიღებ წიგნებს. – გავუთამამდი. მართლა არ შეეძლო, მაგრამ ვფიქრობდი, ავტოგრაფების წერაში ცოტა გაერთობოდა და თავის ავადმყოფობაზე აღარ იფიქრებდა.

მეორე დღეს, საღამოს მივედი. ლოჯიაში, საწოლზე იწვა და გარშემო უამრავი წიგნი ეწყო. გამეცინა: – რა კარგია, როგორ გაუხარდებათ გოგას მეგობრებს მეთქი.

წიგნები გადავათვალიერე და გაოცებისაგან სუნთქვა შემეკრა. ყველა წიგნზე ავტოგრაფთან ერთად მისი ლამაზი ხელით შესრულებული ლექსები იყო ჩაწიკწიკებული. შემრცხვა, ავადმყოფი კაცი ასე რომ გავაწვალე, მაგრამ იმ მომენტში დეპრესიისთვის არ ეცალა. ხათრი ვერ გამიტეხა და თურმე მთელი დღე წერდა. მერე ერთი ლექსიანი წიგნი „მგელი“ მეც მაჩუქა.

უღალატო კაცი იყო გოდერძი. 2006 წლის 9 აპრილს ჩემი მეუღლის დათოს დაბადების დღის აღსანიშნავად ვემზადებოდი. დილით გოდერძიმ დაურეკა და მიულოცა. დათომ სთხოვა ნინოსთან ერთად მოსულიყო.

საღამოს, ყველამ რომ თავი მოიყარა, დავურეკე. გოდერძიმ მიპასუხა: „შენ კიდევ შინ ხარ-მეთქი?“ – ვესაყვედურე.

– ჩაცმა მეზარება, – სიცილით მითხრა.

– ჩაცმულიც და ჩაუცმელიც ყველას უყვარხარ, გელოდები.



ამ მაგიდასთან იწერებოდა მისი ულამაზესი მოთხრობები... 2004 წ.

ათ წუთში ნინო და გოდერძი ჩვენს ეზოში მემოვიდნენ. კიბის თავზე შევეგებეთ, ჩვენი მეგობრები სიხარულით, აღფრთოვანებით შესცქეროდნენ გოდერძის და აღარ იცოდნენ, როგორ მოფერებოდნენ. ნინოსაც უხაროდა, დათო ხომ უზომოდ კმაყოფილი იყო გოდერძის მოსვლით.

გოგა გეგელია თამადად დადგა და მთელი საღამო იძახდა: – „ეს რას მოვესწარი, იმ სუფრის თამადა ვარ, გოდერძი ჩოხელი რომ ესწრებაო!" ნონა და გია იაქაშვილები ახლობლის დაბადების დღეზე იყვნენ რესტორანში წასასვლელები. ნონამ ულამაზესი სადღეგრძელო უთხრა გოდერძის და მალევე დაგვემშვიდობნენ. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ უკან მოვიდნენ. გოდერძის ესიამოვნა მათი ერთგულება (2009 წელს საქართველოს ტელევიზიის I არხის პროექტ „დიდ ათეულში" სწორედ ნონამ ბრწყინვალედ წარადგინა გოდერძი ჩოხელი). ძალიან კარგი საღამო იყო, ვიმღერეთ, მაგრამ გოდერძი დიდხანს აღარ დარჩენილა, დაიღალა, სულ კანკა-

ლებდა. იმ დროს გოდერძი საავადმყოფოს გარდა აღარსად მიდიოდა და მისი სტუმრობა ჩვენს ოჯახში უდიდესი პატივი იყო. გოდერძის წასვლის შემდეგ გოგა გეგელია სასწრაფოდ მის ადგილას გადაჯდა, იქნება ნიჭიერება გადამედოსო.

გოდერძის მთელი ცხოვრება ჰქონდა ხილვები, ის წინასწარ გრძნობდა და ხედავდა ყოფით მოვლენებს, ფაქტებს, რომლებიც მისი სამშობლოს ისტორიაში საკვირველი სიზუსტით ახდებოდა ხოლმე. გარდაცვალების წინაც ჰქონდა მას ხილვა, რის შესახებაც აუცილებლად დავწერ, ოღონდ ცოტა მოგვიანებით.

„კესანე ბორბალოს მთაზე" გოდერძის ერთ-ერთი ულამაზესი მოთხრობაა, სალომე ხელაშვილი კი ჩემი მოსწავლე. სალომე 10 წლის, ძალიან ლამაზი გოგონაა. თეთრი, ცისფერთვალა, ქერა, სწორი თმით, გრძელი მკლავებით და მაღალი, ირემივით სწორი და კოხტა ფეხებით. გოდერძის ხშირად ვუყვებოდი მასზე: თუ როგორ მაბრაზებდა მეცადინეობის დროს, მისი წარმატებების შესახებაც ვუყვებოდი და იმდენი ველაპარაკე, უნახავად შეუყვარდა ჩემი სალო. ერთხელ, გატაცებით ვუამბობდი, როგორ ცეკვავდა სალომე, თითქოს ცაში უნდა აფრინდეს, ყვავილივით ნაზია და ლამაზი-მეთქი.

– როგორც კესანე ბორბალოს მთაზე, არა?! – იკითხა გოდერძიმ და გაიღიმა. მივხვდი, რომ ის ხედავდა სალომეს და თავისთვის კესანეს ეძახდა.

ბაჩომ (ჩემმა შვილმა) ინტერნეტით ერთი გოგონა გაიცნო. დიდხანს საუბრობდნენ კომპიუტერის საშუალებით. ურთიერთობა ნელ-ნელა ფაქიზი, საინტერესო გახდა. ბაჩოს ძალიან მოსწონდა ჭკვიანი, განათლებული და უაღრესად დახვეწილი გოგო – მარიეტა ბალანჩივაძე. ჩემი შვილისგან მალულად ვუყვებოდი გოდერძის მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. გულმოდგინედ მისმენდა და ხშირად თვითონაც მეკითხებოდა მათ ამბებს. ჩემმა მონაყოლმა დიდი სიმპათიით განაწყო უცნობი გოგონას მიმართ, ავტოგრა-

ფით წიგნიც კი გაუგზავნა. როცა გაიგო, რომ ბავშვების ურთიერთობა მხოლოდ კარგი მეგობრობით შემოიფარგლა, ცოტა გულიც კი დასწყდა. ალბათ ამ ურთიერთობის სხვანაირი განვითარება მოეწონებოდა.

ამ ამბიდან, თითქმის ორი წელი გავიდა. გოდერძის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მარიეტამ დამირეკა და მკითხა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა გოდერძის ნახვა და რამდენიმე შეკითხვის დასმა. გოდერძი უკვე ძალიან ავად იყო. ვიცოდი, რომ უარს მეტყოდა, ამიტომ, მხოლოდ ნინო გავაფრთხილე მარიეტას მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ. გოგონას სასკოლო კონფერენციისათვის თემა ჩაეფიქრებინა გოდერძის შესახებ.

გოდერძი თავის საყვარელ ჯინსის ქურთუკში. 2007 წ. ივნისი

საღამოს ჩავედით მე და მარიეტა. კარი გოდერძიმ გაგვიღო. მე გადავკოცნე და როგორც კი დავაპირე გოგონას წარდგენა, ჩამქრალი თვალებით გაულიმა: „როგორ ხარ, მარიეტა?" ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ნინოს უკვე ნათქვამი ჰქონდა ჩვენი მისვლის თაობაზე. საუბარი ვერ შედგა. გო-

დერძი ძლივს სუნთქავდა. მისაყვედურა კიდეც: ხომ იცი, რომ აზროვნების უნარიც აღარ მაქვსო... მალე დავემშვიდობეთ და წამოვედით. ნინომ გამოგვაცილა და მოგვიბოდიშა, რომ გოდერძი ასე შეუძლოდ იყო: „მე არ მითქვამს, მარიეტა რომ უნდა მოგეყვანა. ხომ იცი, არ სიამოვნებს, ასეთ მდგომარეობაში უცხოები რომ ხედავენ" გაოცებულებმა შევხედეთ ერთმანეთს. გოდერძიმ თავად იცნო გოგონა. მას ჭვრეტის საოცარი უნარი ჰქონდა. ერთი კვირის შემდეგ გოდერძი გარდაიცვალა. მარიეტა მეგობრებთან ერთად მოვიდა, დიდხანს, ჩუმად და გულამოსკვნით ტიროდა.

გოდერძი დახვეწილი და მაღალი გემოვნების ადამიანი იყო. ზედმეტი არაფერი უყვარდა. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, თვალთახედვიდან არაფერი გამოეპარებოდა. ერთხელ იისფერი კაბით მივედი ჩოხელებთან, კარი გოდერძიმ გამიღო, შემომხედა თუ არა, მაშინვე აღნიშნა: – რა ლამაზი ფერის კაბა გაცვია, ნინო!

თუ რამე არ მოეწონებოდა ნინოს ან ჩემს ვარცხნილობაში, წყნარად გვეტყოდა: ისე უფრო გიხდებოდაო. გულს არ გატკენდა.

ტკბილეული არ უყვარდა, შოკოლადს თუ შეჭამდა, ცოტას. უყვარდა მოხარშული კარტოფილი, ხორცი, თევზი, მწნილი, ხინკალი ხომ უყვარდა და უყვარდა. ნინო მისთვის განსაკუთრებულად აკეთებდა სადილებს, კატლეტი ორთქლზე უნდა მოემზადებინა, ხორცი კარგად მოხარშული უნდა ყოფილიყო, თევზიც აუცილებლად მოხარშული, შემწვარი არ შეიძლებოდა.

ჭამაც სხვანაირი იცოდა, მე არ მინახავს გოდერძის ბევრი ან ხარბად ეჭამა, როგორც ზოგიერთმა კაცმა იცის. თეფშზე დადებულ ხორცს ან კარტოფილს კოხტად დაჭრიდა და ჩანგლით ნელ-ნელა შეექცეოდა. რაიმე გემრიელს თუ მოვამზადებდი, პატარა ქვაბით მისთვის მიმქონდა. მაშინვე თეფშზე გადაიღებდა და მაგიდასთან ისე „ერთგულად" დაჯდებოდა, ღიმილს ვერ ვიკავებდი. ძალიან მენატრება, მენა-

ტრება თუნდაც ეს პროცესი, როგორ იყურებოდა ქვაბში პატარა ბავშვივით, რომელსაც სასუსნავი მიუტანეს. ერთხელ, მუავე საჭმელი ისურვა და მაწვნის წვნიანი მოვუმზადე. ისე ესიამოვნა, მერე მთელი თვე ითხოვდა ამ წვნიანს.

გოდერძი ჩოხელი და ნინო ზედელაშვილი. 2004 წ.

2005 წლის ზაფხული იდგა, ნინომ დამირეკა და მთხოვა, ცოტა ხნით გოდერძისთან დავრჩენილიყავი. ნინოს დედისთვის დაბადების დღის მილოცვა უნდოდა, თან გოდერძის მარტოს ვერ ტოვებდა. იმ პერიოდში გოდერძის დეპრესია გაუძლიერდა და ხშირად იწვა, ასე უფრო დაცულად გრძნობდა თავს. უარს როგორ ვეტყოდი. სასწრაფოდ ხინკლები მოვახვიე და 5 საათისთვის ქვაბით ცხელ-ცხელი მივიტანე.

ხინკლების დანახვაზე საწოლზე წამოჯდა და გახარებულმა მითხრა:

– უჰ, პირდაპირ ჩემს გულში იჯექი, თუ რა იყო. გუშინ მთელი დღე თავის მოკვლაზე ვფიქრობდი, თან შუალედებში ხინკალი მენატრებოდა. მეც გამიხარდა, ჩემდაუნებურად სურვილი რომ შევუსრულე.

უცებ მკითხა:

– მაგ ხინკლებში ღორის ხორცი ხომ არ ურევია?

– კი, ცოტა.

– ვერ შევჭამ, ნაღველა ამტკივდება.

გავშრი. გული დამწყდა.

ნინო წავიდა დედასთან. ველაპარაკე გოდერძის ჩემს კახელ მეზობლებზე, რაჭველებზე, ჩემს ახალგაზრდობაზე, რა ვიცი, რაც გამახსენდა, ყველაფერი ვუამბე. ინტერესით მისმენდა. მერე მთხოვა, მე თვალებს დავხუჭავ და შენი ლექსები წამიკითხე, ოღონდ არ გეგონოს, რომ არ გისმენო. ზეპირად რაც მახსოვდა, ყველაფერი ნავუკითხე. დრო და დრო თვალებს ახელდა და მიყურებდა. შემაქო, თან დაამატა, რომ არ მომწონდეს, არაფერსაც არ გეტყოდიო.

ცოტა ხანს ჩუმად იწვა, მერე საწოლზე წამოჯდა და ვაჟას ლექსების კითხვა დაიწყო. გაოგნებული ვუსმენდი. ვაჟას უამრავი ლექსი სცოდნია ზეპირად. კითხულობდა მშვიდი, წყნარი ხმით, ზუსტი ინტონაციებით. თავი სიზმარში მეგონა, თითქმის ერთი საათის განმავლობაში, გოდერძი ჩოხელი კითხულობდა ვაჟა ფშაველას ულამაზეს პოეზიას და დღესაც გული მწყდება, რომ მე მისი ერთადერთი მსმენელი ვიყავი. ეს იყო წუთები, რომელიც უნდა ენახათ ახალგაზრდებს. წლები გავიდა, მაგრამ მკაფიოდ მახსოვს ის დღე, მახსოვს მისი მშვიდი, მტკიცე და ლამაზი ხმა. არაჩვეულებრივად კითხულობდა.

ჩვენი პოეზიის საღამო ტელეფონის ზარმა შეგვაწყვეტინა. ზაზა კოლელიშვილი იყო და გოდერძისთან დალაპარაკებას ითხოვდა. გოდერძი წამოდგა და კარგა ხანს ესაუბრა.



გოდერძი ჩოხელი
2003 წ.

რაღაც სცენარზე ლაპარაკობდნენ, გოდერძი ეუბნებოდა: მთავარ როლში გივი გადაიღე, გივი თბილიაო (გივი ბერიკაშვილი), ცდოში გადაიღე, კარგი ადგილებიაო... გაოცებული მივჩერებოდი, ეს ავადმყოფი, დასუსტებული კაცი, ცოტა ხნის წინ სიკვდილზე რომ მელაპარაკებოდა, უცებ სიცოცხლითა და ენერგიით ავსებულიყო, საქმიან კაცად ქცეულიყო და გაცხოველებით საუბრობდა, რჩევებს აძლევდა, იცინოდა... და მივხვდი... გოდერძი იმ წუთში გადასაღებ მოედანზე იდგა. კინო მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო.

ნინო რომ მოვიდა, სახლში წამოვედი. დათოს ვუამბე თავის მოკვლაზე ფიქრისა და ხინკლების ამბავი.

– შე კაცო, თავის მოკვლა თუ უნდა, დანით სიკვდილს ხინკლით სიკვდილი არ სჯობია?.., – გაუკვირდა დათოს.

მოგვიანებით გოდერძიმ ამ კომენტარზე ბევრი იცინა, თან იძახდა: „დათოსაც კარგად უთქვამსო"

ეს დღე განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

გოდერძის ხშირად „სევდის კაცს" ეძახიან. მართლაც, დიდი სევდის მატარებელი იყო, მაგრამ ამავე დროს ძალიან ხალისიანი, ენერგიული, სიცოცხლის მოყვარული და საოცარი იუმორის პატრონი გახლდათ. ბოლო, მძიმე წლებში ხანდახან თუ გამოერეოდა ხოლმე სიხარულიანი, კარგი დღეები.

გოდერძის გარშემო მყოფი ადამიანები უცებ უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს, რაშიც დიდ როლს ასრულებდა მისი გულწრფელი და ბავშვურად ალალი ბუნება. საოცრად კეთილი, მოსიყვარულე და გასაკვირად თავმდაბალი იყო, მის ადგილას სხვა შეიძლება ამპარტავნულად მოქცეულიყო და ადამიანები საკუთარ პიროვნებასთან ახლოს არ მიეშვა. მას კი, შეეძლო უშურველად გამოეხატა აღფრთოვანება სხვისი ნიჭიერების, პიროვნული ღირსებების, კაი კაცობის, ქვეყნისთვის გაწეული ღვაწლის მიმართ. საკუთარ თავს სხვაზე წინ არასოდეს დააყენებდა.

თუმცა, ვგრძნობდი, რომ მან შესანიშნავად იცოდა ქვეყნის, ხალხისა და უფლის წინაშე დაკისრებული მოვალეობების შესახებ.

გოდერძისთან მორიგი სტუმრობის დროს ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი ქალი – ლია დარახველიძე მოვიდა, ხილი და ერთი ბოთლი არაყი მოუტანა. გოდერძი საერთოდ აღარ სვამდა, მაგრამ ძღვენი გაუხარდა. მერე აღმოაჩინა, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით და ძალიან გაუკვირდა.

– ეს როგორ მოხდა, რომ ჩემი ორი მეგობარი, ასეთი კარგი გოგოები ერთმანეთს არ იცნობთ, ამას აღნიშვნა უნდა, – გამოაცხადა მასპინძელმა. ნინო წამლების მოსატანად იყო წასული და სუფრა თავად გაგვიწყო. მოხარშული კარტოფილი, სოსისი და ყველი გამოიღო, მერე უწმინდესის გამოგზავნილი წითელი ღვინო დადგა ბოთლით და თამადად დამნიშნა.

სასაუბრო თემის გამონახვა არ გაგვჭირვებია. გოდერძი შუაში გვეჯდა, გვისმენდა, შიგადაშიგ მისთვის ჩვეული იუმორით კომენტარებს აკეთებდა და თან პატარა, ლამაზ ჭიქებს წითელი ღვინით გვივსებდა. სამი სადღეგრძელოს შემდეგ, სამზარეულოში ისეთი სიცილ-ხარხარი იყო გამართული, გეგონებოდათ, 20 კაცი ქეიფობსო. გოდერძის ვთხოვე: – ქალებს რომ გვასმევ, ჭიქა მოიტანე შენთვის და ერთი სადღეგრძელო მაინც გვითხარი-მეთქი.

უარი არ უთქვამს, ღვინო დაისხა და სტუდენტობისდროინდელი თავისი სიყვარულის ისტორია გვიამბო:

– ჩემი ოთახის გვერდით აფხაზი გოგონები ცხოვრობდნენ. ერთს როზა ერქვა და ძალიან მომწონდა. ყოველ დილით ვაკის პარკში გადავდიოდი, ყვავილებს ვკრეფდი და როზას ოთახის კარის სახელურში ვარჭობდი. როზა ხვდებოდა, ვინც უგზავნიდა პატარა თაიგულებს, მაგრამ არაფერს ამბობდა. ქართული ესმოდა, ოღონდ ვერ ლაპარაკობდა. მე კიდევ რუსული არ ვიცოდი, რომ რამე მეთქვა. ასე ვიტანჯებოდი. ერთი ბიჭი იყო – ალექსი, იმასაც მოსწონდა როზა. ერთხელ გაჩერებაზე დავინახე, რომ ალექსი როზას რაღაცას ელაპარაკებოდა. ორი დღის შემდეგ გავბედე და გოგონას ქართულად ვკითხე: ალექსის შენგან რა უნდა-მეთქი. როზამ გაიცინა და მითხრა: – ალექსი ნეგადიაიაო. აი, აქ

დავიღუპე, ჩემი რუსულის პატრონმა, ვიფიქრე, რომ როზას ალექსი უყვარდა და აქებდა. დავდარდიანდი და ყვავილების კრეფა შევწყვიტე.

როზამ ინსტიტუტი დაამთავრა და აფხაზეთში წავიდა. ეჰ, ვინ იცის, მე რომ რუსული მცოდნოდა, როზას ცოლად მოვიყვანდი და აფხაზეთსაც აღარ დავკარგავდით, – გულისწყვეტით დაასრულა გოდერძიმ.

– ალექსი რაღა იქნა? – იკითხა ლიამ.

– რა ვიცი, მე კი წლების შემდეგ გავიგე, რომ ნეგადიაი – საძაგელს ნიშნავს, – დარცხვენით ჩაილაპარაკა გოდერძიმ და ჩვენმა სიცილმა სტუდენტობის მოგონებებიდან უცებ, თავის სამზარეულოში, პატარა მაგიდასთან დააბრუნა.

სასიამოვნო დღე იყო, მართალია, მე და ლიამ ლიფტში კინაღამ სიმღერა გავაჩაღეთ წითელი ღვინის წყალობით, მაგრამ გვიხაროდა, რომ ჩვენი მასპინძელი ხალისიანად იყო და კარგ გუნებაზე დავტოვეთ.

2006 წლის ზაფხულში გაზეთ კვირის პალიტრიდან ქალბატონი ელენე სალარიძე მისულა გოდერძისთან და ლექსების კრებულის გამოცემაზე ნებართვა უთხოვნია. წიგნის ხარჯებს რედაქცია აანაზღაურებს და მასში ის ლექსებიც შევა, რომლებიც აქამდე არ გამოქვეყნებულა და ჩვენთან ინახებაო, – უთქვამს ქალბატონ ელენეს და ამობეჭდილი ეს „მზე უნახავი" ლექსებიც მოუტანია. მწერლისთვის ყოველი ახალი წიგნის გამოცემა სასიხარულოა და გოდერძიც ნასიამოვნები იყო. კვირის პალიტრაში ხშირად ქვეყნდებოდა მისი ახალი ლექსები და მოთხრობები. ამ გაზეთის უამრავი ნომერი მაქვს შენახული, სადაც გოდერძის ნაწარმოებებია დაბეჭდილი.

გოდერძიმ ეს შემოთავაზება რომ მიიღო, მე იმ პერიოდში მოსწავლეებთან დავდიოდი. მეცადინეობის დროს დამირეკა და მისვლა მთხოვა. ხმაზე შევატყვე, გახარებული და აფორიაქებული იყო. გამიკვირდა და გავთავისუფლდი თუ არა, მასთან გავიქეცი. მაშინვე საჭმელი შემომთავაზა, დაღლილი იქნებიო. თვითონაც სამზარეულოში მაგიდასთან ჩამოჯდა

და ქალბატონი ელენეს სტუმრობის შესახებ მიამბო. ძალიან გამიხარდა, თუმცა გოდერძის დარდი შევატყვე.

– რა იყო, გოდერძი, წიგნის გამოცემა არ გინდა?

– წიგნი როგორ არ მინდა, მაგრამ რაღაც ლექსები მომიტანეს, მეუბნებიან შენიაო.

– ცუდი ლექსებია? – გამიკვირდა.

– ცუდი კი არა, ძალიან კარგი ლექსებია, მე ასეთ ლექსებს ვერ დავწერდი. ვიღაცისაა. რამდენიმე წლის წინათ დაუტოვებია პატრონს. ამათ სიდიდის გამო არ დაუბეჭდავთ.

– მერე რას ჯავრობ? – ვკითხე...

– რასა და სამ რამეს ვჯავრობ. ჯერ ერთი – ვიღაცაა, ძალიან მაგარი პოეტია და გული მწყდება, ასეთი კარგი ლექსები რომ არ დაუბეჭდეს. მეორე – ნამდვილად გუდამაყრელია, შავ არაგვს უმღერის და მე როგორ არ ვიცნობ. მესამე – კიდევ იმასა ვჯავრობ, რომ ავტორს თავის დროზე არ დაუბეჭდეს და ახლა კიდევ მე მაბრალებენ, შენი დაწერილია და ლექსების ახალ კრებულში უნდა შევიტანოთო. ის კაცი რომ წაიკითხავს, ხომ იტყვის, ეს გოდერძი ჩოხელი ვინ ყოფილა, სხვისი ლექსები მიისაკუთრაო.

სამი დღე ინერვიულა. ლექსები მაშინვე წავიკითხე: „მე და მე“, „გადამფრენი ფრინველები“ და „ითოვლე ცაო“ მივხვდი, მისი ლექსები იყო, მაგრამ გოდერძის არ სჯეროდა. მერე ვუთხარი: რას ნერვიულობ, ხელნაწერები თუ შენახული აქვთ, მოატანინე და ნახე, შენ ხომ განსაკუთრებული ხელწერა გაქვს. თუ შენია, ხომ კარგი, თუ არადა, იქნებ პატრონი მოიძებნოს-მეთქი“.

გოდერძის გამორჩეულად ლამაზი კალიგრაფია ჰქონდა. მერე ნინომ დაურეკა ქალბატონ ელენეს და ხელნაწერების ჩვენება სთხოვა. ვიცოდი, როდის უნდა მოეტანათ და დავრეკე.

– რა ჰქენი, ნახე ხელნაწერი?

– ვნახე...

– მერე?

– ჩემი ყოფილა! – ჩაილაპარაკა მორიდებით და თვალწინ მისი კმაყოფილი და თან შეცბუნებული სახე დამიდგა.

წიგნის გამოსვლის შემდეგ, მცირე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ქალბატონ ელენე სალარიძის სურვილით და გოდერძის თანხმობით წიგნს „მე და მე" უწოდეს. გოდერძი კმაყოფილი იყო, იმიტომ, რომ ლექსში „მე და მე" მისი მსოფლმხედველობა და ცხოვრებისეული კრედოა გადმოცემული და ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი), მხატვრული თვალსაზრისითაც უძლიერესია მის პოეზიაში. თუმცაღა, ჩემთვის გოდერძის თითოეული სტრიქონი ულამაზესი და უმნიშვნელოვანესია.

გოდერძი ჩოხელი 2005 წელი
თ. შაიშმელაშვილის ფოტო

ჟურნალისტმა ლელა ჯიყაშვილმა რედაქციაში თქვა, რომ არსებობდა ჯანსუღ ჩარკვიანის წიგნი იგივე სახელწოდებით, მაგრამ კრებული მაინც დაიბეჭდა. გოდერძი არაფრით დათანხმდებოდა ამ სათაურზე, ჩარკვიანის წიგნზე რომ სცოდნოდა რამე.

გოდერძი საოცრად თავმდაბალი, მაგრამ შინაგანად ამაყი, მაღალი ზნეობისა და გამორჩეული ღირსების კაცი იყო. ყველა დაიბნა, როდესაც ბატონი ჯანსუღის წერილი დაიბეჭდა ერთ-ერთ გაზეთში, სადაც იგი საყვედურს გამოთქვამდა და მართალიც იყო, მაგრამ მე და ნინომ გადავწყვიტეთ ამ წერილის შესახებ გოდერძისთვის არაფერი გვეთქვა. ის ძალიან ავად იყო და მოვუფრთხილდით.

გოდერძის არ უყვარდა საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნა, ამ დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მე კი მგონია, რომ საქართველოსთვის მისი დაბადება, მისი არსებობა და მოღვაწეობა ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. გოდერძისნაირი კაცები, ქვეყანას სანთლად რომ ენთებიან, საუკუნეში ერთხელ იბადებიან, ისინი თავიანთი სიტყვით, საქმით, ცხოვრებით ერს ალამაზებენ, აკეთილშობილებენ და ღმერთისკენ სავალი გზებით მიჰყავთ ადამიანები. ასეთი კაცები ერის გულთაბოძები არიან. გოდერძის გარდაცვალების შემდეგ, მის მშობლიურ სოფელ ჩოხში დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით ყოველი წლის 2 ოქტომბერს აღინიშნება გოდერძი ჩოხელის დაბადების დღე. უამრავი სტუმარი თუ ადგილობრივი მცხოვრები ჩოხის სკოლის ეზოში ერთად იხსენებს ჩვენი თანამედროვეობის დიდ შემოქმედს, კითხულობენ მის ნაწარმოებებს, ასრულებენ მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, გოდერძის სახელზე მთის ტრადიციით დოღი იმართება.

როდესაც დღეობაზე თავმოყრილ უამრავ ახალგაზრდას ვხედავ, აღტაცებით რომ კითხულობენ: „ნატირალს", „შემინახე, დედაო მიწავ!" „საქართველოსთვის", „გაზაფხულზე", „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია", „გარსია ხევსურული სახელია",

დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მახსენდება: „ხელოვნებაა თავად უკვდავება, ჩემო. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“.

2007 წლის 2 ოქტომბერს შიშით ველოდი, გოდერძი 53 წლის გახდა. ამ თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე გოდერძი მე და ნინოს ვაჟა ფშაველაზე გველაპარაკებოდა, ბევრი საინტერესო ფაქტი გვიამბო, წუხდა, რომ თავის დროზე ქართველმა ხალხმა ვერ გააცნობიერა, რამხელა შემოქმედი და მოაზროვნე აჩუქა ერს ღმერთმა ვაჟას სახით.

„საწყალი ვაჟა-ფშაველა 54 წლის იყო, რომ მოკვდა და 80 წლის მოხუცს ჰგავდა“, – ჩაილაპარაკა გოდერძიმ და უცებ გაჩუმდა.

მე და ნინომ ერთმანეთს გადავხედეთ, გოდერძიც 53 წლის ხდებოდა და 80 წლის მოხუცს ჰგავდა.

2 ოქტომბერს საღამოს მივედი მისალოცად, საჩუქარი არ მქონდა, წმინდა ნინოს პატარა ხატი და ცხვირსახოცი ვუსახსოვრე. გოდერძიმ ხატი უკან დამიბრუნა: – შენი წმინდანია და ჩემ სახელზე სულ თან ატარეო. ცხვირსახოცი კი არ უხმარია, სიცოცხლის ბოლომდე საწოლის გვერდით ედო.

მალე შორენა (გოდერძის დისშვილი) და გოდერძის მეგობრები მადლენა ოჩიგავა, ზაქრო წიკლაური და ჯანო ხელაშვილი მოვიდნენ. ზაქრომ ხინკალი მოიტანა, ნინომ სუფრა გაშალა და შემოვუსხედით.

გოდერძი საშინლად გამხდარი (ბოლოს 53 კილოს იწონიდა) და დასუსტებული, მაგრამ გახარებული იყო. სიამოვნებდა უახლოესი მეგობრების ყურება. თვითონ ცოტას ლაპარაკობდა, არ დაულევია, საჭმელი მოციცქნა, თვალში მომხვდა, რომ ხან ერთს უყურებდა დაჟინებით, ხან მეორეს და ხან მესამეს. მომეჩვენა, რომ გვიმახსოვრებდა და ასე უცნაურად იმიტომ გვაკვირდებოდა.

ეს მისი უკანასკნელი დაბადების დღე იყო. თვენახევრის შემდეგ გოდერძი „ჩაჯდა ოქროსფერ ხომალდში და წავიდა“.

ნინო ზედელაშვილი



ზემო ჩოხში, დღეობაზე გოდერძი ჩოხელი (ზის მარცხნიდან მეექვსე) თანასოფლელებთან ერთად

„ყველა დედა ამქვეყნიური ანგელოზია“

გოდერძი ჩოხელი



გოდერძის დედა – ლელა წიკლაური

„მინდა ყველას გითხრათ, რომ ყველა დედა ამქვეყნიური ანგელოზია და ვისაც ცოცხალი გყავთ, ღმერთმა ყველას დიდხანს გიცოცხლოთ, ვისაც არა, ღვთის საუფლოში გაგინათლოთ. ამის სათხოვნელად ნამდვილად მივალ იმ ადგილზე, სადაც ღმერთი სურვილებს მისრულებდა ჩემს ბავშვობაში.

ალბათ, დედაჩემის სულიც შემეწევა და არ ჩამითვლის სიტყვის გატეხად“

ეს სტრიქონები გოდერძის საოცარი მოთხრობიდან „ანგელოზთღამეობიდან“ არის. პირველად გაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა „ანგელოზთღამეობა“ და ღმერთმა იცის, რამდენჯერ წავიკითხე. ასე მეგონა, ამ მოთხრო-

ბით გოდერძიმ ჩემი და დედაჩემის სიყვარულზე, უსაშველო მონატრებასა და იმ უხილავ, უწყვეტ ძაფებზე ისაუბრა, დედასა და შვილს შორის რომ არსებობს მუდამ.

„დედაჩემი რომ მიყვებოდა, როგორ დავიბადე, ეს რაღაც ძალას მმატებდა, საკუთარი თავის გამორჩეულობაზე მაფიქრებდა. მე გზაზე დავიბადე და მთელი ჩემი ცხოვრება გზაა – ძიებაა. ალბათ, ჩემს დაბადებაში და ბედ-იღბალში მაინც ღვთის ხელი ურევია. აბა, სად – გუდამაყარი და ჩოხი და სად – მწერლობა და კინორეჟისორობა.

ჩვენს სოფელში მშობიარობა აკრძალული იყო, მშობიარე ქალი უწმინდურად ითვლებოდა. როცა დედაჩემმა იგრძნო, რომ მშობიარობის დრო მოუვიდა, გაემგზავრა თავის მშობლებთან, რომლებიც უფრო ზემოთ, მთაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ვეღარ ააღწია, მშობიარობა დაეწყო. გზაზე მწყემსის სახლს ნააწყდა. მისმა პატრონებმა დედაჩემი ბოსელში შეუშვეს, სადაც ოქტომბრის ცივ დღეს გავჩნდი მე – გოდერძი ჩოხელი. მერე დედამ ბაგაში (ძროხები სადაც ჭამენ) დამაწვინა და რაღაც უხეშ ტილოში გამახვია. და ასე ორმოცი დღე გავატარეთ ძროხების სადგომში (ასეთი წესი იყო)". – წერს გოდერძი.

მოთხრობაში „ანგელოზთღამეობა" დედაშვილობის საოცარი ძალაა გადმოცემული, აშკარად ჩანს გოდერძის განუზომელი სიყვარული დედის მიმართ, რომელმაც მთის მკაცრ პირობებში, უზომო ჯაფით და სიყვარულით მარტომ გამოზარდა ორი შვილი. გოდერძის დედა – ლელა, წიკლაური იყო გვარად, ბუბუნაურების მოდგმისა. გოდერძი წიკლაურებს დედიძმიშვილებს ეძახდა.

„დედაჩემი ბუნების შვილი იყო და მართლა არ შეეძლო მთების გარეშე სიცოცხლე, ყველაფერს ელაპარაკებოდა: ხეს, ქვას, ყვავილებს, ფრინველებს. ისინიც თავისებურად რაღაცას ატყობინებდნენ, მოსალოდნელი ამბის ნიშანს აძლევდნენ". გოდერძი იცინოდა: – ყვავი ჩემს ჩასვლას ამცნობდა, ოფოფმა კიდევ ლუკას და ნიკას დაბადება ახარაო.

მთაში ძნელია ცხოვრება, თანაც მარტო – ქალისთვის. ლელა მაგარი ქალი ყოფილა. ტყეში ყოფნისას დათვი შეხვედრია, დათვს უფიქრია ბელებს წამართმევსო და დასდევნებია. ლელა დიდხანს იგერიებდა თურმე გამძვინვარებულ ნადირს და მერე გამოჰქცევია. ცოტა ხნის შემდეგ მონადირეებს ის დათვი დაუჭრიათ, დათვს თავის ბელებისთვის თათები მოუხვევია და მათთან ერთად უფსკრულში ჩაჩეხილა. ლელაზე საშინლად უმოქმედია ამ ამბავს, ბევრი უტირია.

ერთ-ერთ ინტერვიუში გოდერძი ამბობს: „დედაჩემი ბუნებით პოეტი იყო, ლექსებს კი არ წერდა, მაგრამ რაღაცნაირი იყო... ალბათ იტანჯებოდა, იმიტომ, რომ სულ ბალახსა და ყვავილს ელაპარაკებოდა, და რომ ელაპარაკებოდა, ფეხის დადგმაც ხომ უჭირდა მერე?“

გოდერძის დისშვილმა შორენამ ფეხი რომ აიდგა, ქვემო ჩოხიდან ბებოსთან ბურსაჭირში წაუყვანიათ ელისოს და გოდერძის. არაგვის ნაპირებზე გოდერძის ყვავილები დაუკრეფია, გვირგვინიც თავისი ხელით დაუწნავს და ლამაზი ყვავილებით მორთული მიუყვანია შორენა ლელასთან. დედის ფაქიზი ბუნება იცოდა გოდერძიმ და გაახარა. ლუკას და ნიკას დაბადების შემდეგ ზაფხულობით ჩოხში აჰყავდა გოდერძის ცოლ-შვილი.

გრძელ ზამთარგამოვლილი ლელა მეცხრე ცაზე იყო თურმე ბავშვების იქ ყოფნით და ორმაგად უხაროდა, რომ თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ნინო ყურადღებას არ აქცევდა მთის მკაცრ პირობებს და გოდერძის გარეშეც, ლელასთან ერთად, მშვენივრად უვლიდა ბავშვებსა და ოჯახს.

„ქალის და კაცის საქმეს ყველაფერს დედა აკეთებდა, მე როცა ჩავდიოდი, სათიბზე და შეშის მოტანაზე ვეხმარებოდი, მაგრამ მთავარი ჯაფა მაინც მის კისერზე იყო, არც შეეძლო უსაქმოდ გაჩერება“. – იხსენებდა გოდერძი.

ლელა პირველად რომ გახდა ცუდად, გოდერძის თბილისში წამოუყვანია. ლიფტში არ ჯდებოდა თურმე, მთის ფერდობებზე სიარულს ნაჩვევი VIII სართულზე ფეხით

ადიოდა და ჩადიოდა. გოდერძი ეხვეწებოდა, ებუზღუნებოდა, ძროხები გაეყიდა, რომ ნაკლები ჯაფა ჰქონოდა. ლელას სწყინდა: „შვილიშვილებს სოფლის სახსარს ხომ არ გავუწყვეტ, ხალხი დამცინებს, ორ ძროხას რომ ავყვე-ჩავყვე, სირცხვილია, ცოცხალმა ადამიანმა უმაქნისობით როგორღა უნდა დავამძიმო დედამიწა?!"

გოდერძის და ნინოს თხოვნის მიუხედავად, მომჯობინების შემდეგ ისევ ჩოხში წასულა ლელა. მალევე, უფრო ცუდად გამხდარა და მეტყველების უნარიც დაუკარგავს. საავადმყოფოში საათობით ეჯდა გოდერძი დამუნჯებულ დედას საწოლთან და თვალებში შესცქეროდა. ლელა რომ მიხვდა, არაფერი ეშველებოდა, ჭამა აკრძალა.

„პალატაში ჩემი დაც იყო, ჩემი ძალუები და ბიძაშვილებიც, ჩემი დისშვილებიც, დედაჩემი კი რატომღაც სულ მე მიყურებდა, თითქოს ჩემს მოძრაობას იმახსოვრებდა, რომ იმ ქვეყანაზე არაფერი დავიწყნოდა ჩემი, არც ერთი მიმოხვრა, არც ერთი დამახასიათებელი ნიშანი ჩემი არსებობისა. არც თავისი დანაპირები დაივიწყა: თუ სიცოცხლის თავი აღარ მექნება, ჩემი შენახვით არავის შეგაწუხებთ, არც შვილიშვილებს და არც დედამიწას დავამძიმებ უქმად ყოფნითო. აკრძალა ჭამა და დაილია, დაილია, როგორც ცვილის სანთელი ბნელ ღამეში".

ამ სტრიქონების წაკითხვისას გული მომეწურა, დედაჩემიც ასე წავიდა ამ ქვეყნიდან, ველარ ლაპარაკობდა, მხოლოდ მიყურებდა და თვალებით მეფერებოდა.

დედაზე საუბრისას გოდერძის უცნაური შუქი უდგებოდა თვალებში. ის ფიქრობდა, რომ მწერლობის ნიჭი, ბუნების სილამაზის აღქმის განსაკუთრებული უნარი, სწორედ, ბუბუნაურებისგან მოსდგამდა. ლელას ძმებიდან ერთი გასაოცარ ლექსებს წერდა, მეორე კი ბრწყინვალედ ხატავდა, თურმე.

„სიზმრისეული ნიჭიც დედისგან გადმომეცა. მე და დედა საოცარ, მაგრამ თითქმის ერთნაირ სიზმრებს ვნახულობ-

დით. სიზმრები იყო ჩვენი სულიერი მდგომარეობის ერთგვარი შიკრიკი".

ჩვენს დედებზე ხშირად ვლაპარაკობდით მე და გოდერძი, ორივენი იმ დიდ მონატრებას ვიოხებდით, რასაც უდედობით განვიცდიდით. ერთხელ ვუთხარი, დედა იშვიათად მესიზმრება, მაგრამ როცა ვხედავ, კი არ მოდის, მოცურდება თეთრი პერანგით, თმაგაშლილი და ისევ გაცურდება. ცხადში სულ ველაპარაკები გონებით და მის არსებობას გამუდმებით ვგრძნობ-მეთქი. მართლა ასეა, განსაკუთრებით ქიზიყში, ჩემს სახლში რომ ჩავდივარ, ხანდახან თითქოს ვხედავ დედაჩემს.

ამის თქმაზე გოდერძის თვალები გაუბრწყინდა, ლოგინზე წამოჯდა და წამოიძახა:

– მეც მასე ვარ და ხმამაღლა თქმის მეშინოდა, გიჟად არავის ჩავეთვალე.

დედასა და შვილს შორის შვილის ჩასახვიდან გაბმული უხილავი ძაფები ძალიან ძლიერია და მათი ფიზიკური დაშორების შემთხვევაშიც არ წყდება. ერთხელ გოდერძი თავს ცუდად გრძნობდა, მთხოვა, ჩემი ლექსები წამეკითხა. მეტი რა გზა მქონდა, დავიწყე... ერთი ტკივილიანი ლექსი მაქვს აფხაზეთში დაკარგულ ბიჭზე, სადაც ასეთი ფრაზაა:

„ხიდი თ.უ ჩაგიტყდა, დედამკვდარო,
მარჯვენამ გიმტყუნა".

გოდერძი თვალდახუჭული მისმენდა, უცებ თვალები გაახილა და მკითხა:

– ეგ სიტყვა – დედამკვდარო რადა სთქვი?

მე ავუხსენი, დედას შვილი რომ მოუკვდება, ჩვენში ამბობენ: „დედა მკვდარი გყავდა, სიკვდილს წინ რატომ არ აეფარაო". გაგიჟდა გოდერძი, მართალიაო. მერე ორივემ გავიხსენეთ, „ანგელოზთღამეობაში" რომ ამბობს:

„ვისაც დედა ცოცხალი აღარა ჰყავს, ალბათ დამემოწმება, რომ რაც უფრო დრო გადის, მით უფრო გენატრება დედა და სიყვარულიც უფრო გიცხოველდება მის მიმართ,

სანამ დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ლაღობ, ვერა გრძნობ სიკვდილის მზერას, რადგან დედაა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის, თავისი სუსტი ბეჭებით სიკვდილს წინ ეღობება და მისი მწველი მზერისაგან გიფარავს, თვითონ იწვის სიკვდილის ალმოდებულ მზერაში. წავა დედა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით წამოგვარდება, მოსვენებას დაგიკარგავს, სილაღეს ჩაგიკლავს და თან გეშინია, თან იმას ცდილობ, ახლა შენ აეფარო ბეჭებით შენს შვილებს, რომ დაიფარო ამ ამაზრზენი მზერისაგან"

ერთხელ სათიბში მიჰყვებოდა დედას გოდერძი. წინ ლელა მიდიოდა, უკან – გოდერძი. იმ დროს „ადამიანთა სევდას" წერდა, ორი თვის განმავლობაში სიმშვიდე ვერ ჰპოვა, პასუხს ეძებდა კითხვებზე: რა არის სიცოცხლე? რა არის სიკვდილი? ფერდობზე მიმავალს დედისთვის შეუხედავს, გამხდარი, ჯაფით ჩამოლეული, ძალიან უმწეო და უსუსური მოსჩვენებია თურმე... და უცებ ქვემოთ, სოფლისკენ გაქცეულა. „სად მირბიხარო" – ჩამოუძახია ლელას ზემოდან.

ვიპოვე, ვიპოვე! – ყვიროდა გოდერძი.

– რა იპოვე?

– „ადამიანთა სევდის" დასასრული ვიპოვე! – შეუძახია გოდერძის დედისთვის, რომელმაც ალბათ ვერაფერიც ვერ გაიგო მისი ნათქვამიდან, ეს კი, გადარეული შევარდნილა სახლში და „ადამიანთა სევდა" დაუსრულებია.

– რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა?

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.

დაუწერია, დამშვიდებულა და ისევ ალმართს შეჰყოლია სათიბისკენ. მერე უნდოდა დედის საფლავის ქვაზე დაეწერა ეს სიტყვები.

ვერ დაწერა. დარდი გაჰყვა.

ანგელოზთლამეობის ღამეს ლელა აღვიძებდა ხოლმე გოდერძის:

– გაიღვიძე, შვილო, გაიღვიძე, ადექი, ანგელოზების სანახავად წადი!

ჰოდა, ისიც წავიდა, ანგელოზების სანახავად წავიდა...

ნინო ზედელაშვილი

მარჯვნიდან: – ბერი ჩოხელი, ვანო ჩოხელი, დარიკო აფციაური, გოდერძი ჩოხელი, ლელა წიკლაური (გოდერძის დედა). სოფ. ჩოხი, 1986 წ.

„ეტყობა, სევდის სიყვარულში გადავაჭარბე“...

„ბუზღუნა ნამდვილად ვარ, ისეთ წვრილმანებზე ვბუზღუნებ, რომ შეიძლება გაგეცინოთ კიდეც. თან ამ წვრილმანებს ხანდახან ისეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რომ... მერე, როცა ბუზღუნი გადამივლის, ჩემი თავისა თვითონვე მრცხვენია.

ბევრს ჰგონია, რომ ვილაცაზე გულნატკენი ვარ, ნაწყენი, თითქოს, განსაკუთრებულ ყურადღებას მოვითხოვდი და ვერ მივიღე... თითქოს ჩემს წინაშე ვალში არიან... არა, ასე არ ვფიქრობ. ერთი წუთით არ მაქვს იმის განცდა, რომ ვილაცამ რაღაც დამაკლო, პირიქით, იმდენი ყურადღება ვიგრძენი... შეიძლება არც კი ვიყო ღირსი. ქუჩაში რომ გავდივარ, ისეთი სიყვარულით მხვდებიან, თანაც პატარა ბავშვები, ახალგაზრდები... ეგ მანია ნამდვილად არ მჭირს, ცუდად ვარ და ეს მაწუხებს. ხანდახან მინდა ვიყვირო, ხალხო, მიშველეთ, ცუდად ვარ და დამეხმარეთ, გამომიყვანეთ ამ მდგომარეობიდან... მაგრამ ჩემს თავს რაღაც ხდება ჩემს სულსა და გულში... რამხელა უნარი და ძალა მქონია, რომ დღემდე გავუძელი. ძალიან ძლიერი ვყოფილვარ...

ადრე ბევრი რამ არ ვიცოდით, იმ საზოგადოების ნაწილი ვიყავით, რომელიც მთლიანად არაქრისტიანულად ცხოვრობდა. ახლა აღმოვაჩინე – ბევრი რამ ისე არ უნდა მეკეთებინა – ჩემი უბედურებაც ეს არის. წარსულში ვასწორებ და წარსულში ვერ გამოასწორებ აქედან – აი, ეგა მჭირს.

საკუთარ თავს შემოუძახეო – არ მესმის. როცა ყველაფერი მსუბუქ ფორმაშია, მაშინ, ჰო, მაგრამ როცა აგონიაში ხარ ჩავარდნილი... გგონია, რომ ვერ შემოუძახებ, ან თავი აღარ გაქვს, რა მნიშვნელობა აქვს?! ორივე შემთხვევაში ვერ შემოუძახებ.

იმის მერე შევიცვალე (გულისხმობს, თავი რომ დაიჭრა)... ის რომ არ ყოფილიყო, ის რომ არ მომხდარიყო... ამოუცნობი რაღაც იყო... ისეთი შეგრძნება დამეუფლა,

თვალი რომ გავახილე და გარეთ გავიხედე – აქეთ აღარ მომინდა.

შარშან ამ დროს უკეთესად ვიყავი, შარშან ამ დროს გაწამაწია მქონდა, ვიდეოფილმს ვიღებდი (გულისხმობს „სიყვარულის ცეცხლს“).

ძალიან ცუდი რამეები მეფიქრება. სულ ვეჭიდები სიკვდილ-სიცოცხლეს, ყოფნა-არყოფნას, სულ გაძლებაზე ვარ. ადრე ვგრძნობდი, რომ ბევრი რამის გაკეთება მინდოდა და შემეძლო, ერთ მშვენიერ დღეს – ყველაფერი გაქრა. გავიღვიძე, ცუდად გავხდი, მერე კიდევ უფრო ცუდად. დავინყე ჭიდილი და ყველაფერი გაქრა. ვერ ავხსნი, როგორ ვარ. ადამიანი თუ ჩემს განცდებში არ არის, ის ვერ მიხვდება, როგორ ვარ. მეც ასე ვიქნებოდი... სასოწარკვეთა კი არა, უარესი ჰქვია ყველაფერ ამას. თქვენ მეტყვით, რომ მორწმუნე ადამიანი სასოწარკვეთაში არ უნდა ჩავარდეს. ვიცი. თვითონ ვებრძვი ამას და ვერ ვებრძვი. ზღვარზე ვარ... არ მინდა ჯოჯოხეთში მოხვედრა... არც ამ ქვეყნის დატოვება მინდა... ამ ჭიდილში ვარ. უფლის ძალიან მეშინია. როგორც ჯოჯოხეთიდან დაღწევა უნდა სულს, ისე მე სხვაგან მინდა გადასვლა. სხვაგან – სიკვდილია. სიკვდილითაც ყველაფერი არ მთავრდება. ეს ყველაფერი ვიცი, ვგრძნობ, ვებრძვი... ზოგიერთი დღესაც ვერ გაუძლებდა იმას, რასაც მე ვუძლებ... ერთ წამში, შეიძლება ათასამდე აზრმა გამიაროს...

სევდიანი ყოველთვის ვიყავი, მაგრამ ის ტკბილი სევდა იყო, ნეტარებასავით იყო. კარგად ვგრძნობდი იმ სევდაში თავს. სევდა მარილია ადამიანის სულის. სევდა თუ არ იქნება, ადამიანის სული ფუყე გახდება. ეს სევდა არ არის. ეს ჭიდილია სიკვდილ-სიცოცხლის და მე ვარ შუაში გაჩხერილი... ვერ ვხვდები, რა მემართება... ეტყობა, სევდის სიყვარულში გადავაჭარბე...

ტელევიზორს უინტერესოდ ვუყურებ, კარგი იქნებოდა, რომ არ იყოს ტელევიზორი. ბუნებიდან მოწყვეტა ხდება ადამიანის. საერთოდ, მე ვარ ციხეში... გაზრდილი ვარ,



დარიალის ხეობა, ყაზბეგი. „მიჯაჭვული რაინდების“ გადაღებაზე. 1998 წ.

სადაც არ იყო ტელევიზორი, რადიოც კი იშვიათად... ბუნებაში გაზრდილი ვარ და დღემდე ვერ შევეგუე თბილისს. აი, მთიდან რომ ვბრუნდებოდი თბილისში, ვგრძნობდი, რაც ვუახლოვდებოდი, მით უფრო სევდა მაწვებოდა. კინო მშველოდა... კინოს ყოველთვის მთაში ვიღებდი. ერთხელ მითხრეს

ჩემი ჯგუფის წევრებმა, რა სულ მთაში გვატარებო. ერთხელ დაწერე ისე, ზღვაზე რომ წავიდეთო. დავიწყე წერა: ბერდია და მზია ზღვის ნაპირს მიუყვებიან... დავამთავრე ერთი ეპიზოდი. ვწერ მეორე ეპიზოდს – გათენდა დილა, ბერდიამ სახლის კარი გამოაღო და შეუყვა თოვლიანი მთის ფერდობს... კინო მშველოდა, მთასთან მქონდა კავშირი. ახლა ჩავიკეტე ამ სახლში და ცუდად ვარ.

ეთერ გუგუშვილს ძალიან ვუყვარდი და დიდი ამაგიც აქვს ჩემზე. კინომცოდნეობიდან მერე მე ხომ კინოსარეჟისოროზე გადავედი. ამ ფაკულტეტზე ვერ მოხვდებოდი, თუ ერთი უმაღლესი უკვე დამთავრებული არ გქონდა. ქალბატონმა ეთერმა იმდენი იბრძოლა – ჩამრიცხეს კინოსარეჟისოროზე. კინომცოდნეობაზე რომ ვაბარებდი, „კინოს სახლში" ფილმი გვაჩვენეს. რეცენზია უნდა დაგვეწერა. მე ლექსად დავწერე – მთიდან არწივი ან შვლის ნუკრი რომ ჩამოვიდეს და დაჭრან და გაუშვან... ან რატომ უნდა ჩამოვიდნენ, ე.ი. რაღაცამ ჩამოიყვანა, რაღაცის სურვილმა და დაჭრილი რატომ უნდა გაუშვან... მერე ფილმზეც დავწერე – რაც გავიგე და რაც ვიგრძენი.

იმედი ანთია, ცოტა ბჟუტავს, მაგრამ ფიქრები რომ მეწყება, ყველა გზა მეჭრება.

ახლა ვლაპარაკობ და ნორმალურად ვარ, ხანდახან ხმას ვერ ვიღებ... ისეთი ძლიერი ვიყავი, გავიქცეოდი და მთას გადავივლიდი... ახლა?! ამასაც ვერ ვეგუები...

მქონდა ჩემი ჯავშანი, არაფერს ვუშვებდი არც სულში, არც გულში... ეს ჯავშანი აღარ მაქვს. ვიღაცეებმა რომ იჩხუბონ, ისე დამეტაკება გულზე, თითქოს მე მიყვირიან... ბუნებრივი ჯავშანი მქონდა... ყველაფერს ვისხლეტდი. ვისხლეტდი წყენას, სიუხეშეს – ბუნებრივად ვიყავი ქრისტიანი, მინდობილი ვიყავი უფალს... ახლა? „მჩხრეკელი" ქრისტიანი გავხდი – ეს რა ცოდვა იყო – რამ გამოიწვია (თავის დაჭრაზე ამბობს) ბერებთან რომ ვიყავი, ყოველ დღე აღსარებას ვამბობდი, იქამდე მივედი, რომ ყველა-

ფერი ცოდვაა – დავინყე წარსულში ქექვა, გამოსწორება... წარსულს აბა როგორ შეცვლი?! ვერ შეცვლი...

იცი, რას ვნატრობ?! დავრჩენილიყავი იმ ჩოხში და ვყოფილიყავი ერთი ჩვეულებრივი გლეხი... არ გამეგო იმდენი რაღაც, რაც უნდა გამეგო და არ დამმართოდა ეს... მეცხოვრა იმ გათენებით, დაღამებით..."

ეს ინტერვიუ, ალბათ, უფრო მონოლოგი გოდერძი ჩოხელისა, 2004 წლის ნოემბერშია ჩაწერილი ნანა ფრიდონაშვილის მიერ. გოდერძიზე ამბობდნენ ხოლმე, ეს კაცი სულ წუწუნებს, ყველას აქვს პრობლემები, მაგრამ თავისთვის არიანო.

გოდერძის ზემოთ ხსენებული საუბარი ამ წიგნში იმიტომ შევიტანე, რომ მკითხველმა თავად გამოიტანოს დასკვნა, წუწუნებდა გოდერძი თუ გულწრფელად, მისთვის ჩვეული სიალალით გვიყვებოდა სულიერ ტკივილებზე. მას თუ არ შეეკითხებოდი, თვითონ არასოდეს მოგახვევდა თავს თავის დარდებს. თუ ჰკითხავდი, გიპასუხებდა. გოდერძი ჩოხელმა სიცოცხლეშივე განუზომელი სიყვარული, აღიარება და პატივისცემა მოიპოვა ქართველთა და არა მარტო ქართველთა შორის. კინოფესტივალებზე მისი ფილმებით გაოცებული უცხოელები კითხულობდნენ: „იქ, საქართველოში იციან, ჩოხელის სახით გენიოსი რომ ჰყავთო?!"

ჩვენ კი, „აქ, საქართველოში" ჯერ აღიარება გვიჭირს ჩვენი გენიოსების, მერე ზოგჯერ ტყვიით, ზოგჯერ გულგრილობით, გაუფრთხილებლობით, სასიკვდილოდ ვიმეტებთ მათ და მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ წავიშენთ ხოლმე თავში ხელებს: „ვაიმე, ეს რა მოგვივიდა, ეს რა დავკარგეთო"

რომელი ერთი ჩამოვთვალო: ილია, ფიროსმანი, ვაჟა, ლადო ასათიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონი, ექვთიმე თაყაიშვილი...

და ბოლოს, ქვეყნის გულგრილობის კიდევ ერთი მსხვერპლი – გოდერძი ჩოხელი.

მახსოვს პანაშვიდებზე მოსული უამრავი ადამიანი, რომელთაც შეცბუნება, სინანული ეხატათ სახეზე. ყველა მათ-

განის სათქმელი კი ერთმა უცნობმა, ხნიერმა, ხელჯოხით მობრძანებულმა ქალბატონმა გამოთქვა: „ყველა დამნაშავე ვართ შენს წინაშე, შვილო გოდერძი, მთელმა საქართველომ თავი უნდა დახაროს შენი ნაადრევი სიკვდილის გამო". გულზე იების პატარა კონა დაადო და ცრემლიანი სახით გაშორდა მიცვალებულს.

ნინო ზედელაშვილი

ქაშუეთის ტაძარი
20 ნოემბერი 2007 წ.

რითი ცხოვრობდა გოდერძი?!

გოდერძი მშრომელი ადამიანი იყო, როცა ფილმებს იღებდა და წიგნებს გამოსცემდა, ზოგჯერ სოლიდურ ჰონორარსაც აძლევდნენ, მაგრამ ქართული კინოს უძრაობისა და განადგურების პერიოდში მას, მართლაც, არანაირი შემოსავალი აღარ ჰქონდა. გოდერძის მეუღლე ნინო ტელევიზიაში მუშაობდა და მისი ხელფასი 28 ლარით განისაზღვრებოდა. მეგობრები ეხმარებოდნენ, თუმცა გოდერძის ამაყ ბუნებას ეს არცთუ სასიამოვნოდ რჩებოდა, განა ამპარტავნების გამო, არა, მას თავად უნდოდა სხვებს დახმარებოდა. თუკი ვინმეს დახმარების საშუალება მიეცემოდა, უშურველად და სიხარულით აკეთებდა ამას. ერთხელ ჰონორარი აუღია გოდერძის, საღამოს შინისკენ მომავალს ფეხით გამოუვლია დიღომში რობაქიძის გამზირი. იმ პერიოდში ჯიხურების „ბუმი" იყო და გამზირის ორივე მხარეს უამრავი ჯიხური იყო ჩამწკრივებული. „ქალი ოჯახიდან რომ გამოვა და ღამით ჯიხურში იმუშავებს, როგორ უნდა უჭირდესო", – უფიქრია გოდერძის და მთელი ჰონორარი ჯიხურებში მომუშავე ქალებისთვის დაურიგებია. ეხმარებოდა მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს. როცა არ ჰქონდა, არ უწუწუნია, ფული არავისთვის უთხოვია საარსებოდ, მას მუშაობა უნდოდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც 2003 წელს ჟურნალში „თბილისელები" დაიბეჭდა, ჟურნალისტის შეკითხვაზე: „რითი ცხოვრობთ, როგორია თქვენი ფინანსური მდგომარეობა?" – გოდერძი პასუხობს: „ვიწუწუნო? ძალიან ცუდია. ამას სულის შენარჩუნება ჰქვია, ბავშვების წვალება. ხან რას გავყიდი, ხან რას. თუმცა რა უნდა გავყიდო, რაც არაფერი დამიგროვებია და არც ისეთი ჰონორარი ამიღია, რომ რაიმე ღირებული შემეძინა...

ძალიან დიდი სურვილი მაქვს, სადმე მუშად ვიმუშაო, თუმცა მუშის ადგილსაც ვერ ვშოულობ. მე არანაირ სამუშა-

ოს არ დავიწუნებ, რომელიც კაცურია. თუნდაც მიწის ბარვას, მაგრამ ამაში ხელფასს არავინ გადაგიხდის“.

„ცხოვრება სასტიკია და დაუნდობელი. მწერალს არ უნდა სჭირდებოდეს იმაზე ფიქრი, როგორ დააკმაყოფილოს ოჯახის ყოველდღიური მოთხოვნილებანი. ჩვენ ძირითადად მეგობრებითა და სხვისი დახმარებით, ჰონორარებით ვცხოვრობთ. ეს კი არც ისე სასიამოვნოა. ოჯახის უფროსის, მეუღლისა და მამის როლში ზოგჯერ უხერხულად ვგრძნობ თავს და მგონია, რომ რაღაცაში დამნაშავე ვარ. დამიჯერეთ, სამუშაო ოთახი კი არა, საკუთარი მაგიდაც არა მაქვს. არადა, არა მგონია, სწორი იყოს მიდგომა, შემოქმედს თუ არ უჭირს, ვერაფერს შექმნის ღირებულსო. არა, არ ვწუწუნებ, ქვეყანას უჭირს და მე რატომ უნდა მილხინდეს, მაგრამ ვითომ ნიკალას კიბის ქვეშ რომ არ ეცხოვრა, ან ვაჟას ცეცხლის, ლამპრის ან ჭრაქის შუქზე არ ეწერა, ნაკლებ შედევრებს შექმნიდნენ? მგონი, პირიქით იქნებოდა. მსმენელი ყური და ხილული თვალი ვის არ სჭირდება, მაგრამ შემოქმედს კიდევ უფრო მეტად ესაჭიროება იგი. მას შეუძლია უსმინოს ბალახების, ყვავილების, ხეების ხმას. ამისთვის კი უნდა ეცალოს, ამის პირობა უნდა ჰქონდეს, და რომ არა ჩემი უახლოესი მეგობრები: ბესო წოწკოლაური, ჯემალ ჯიქურაული, კოტე შაბურიშვილი, არ ვიცი, რა იქნებოდა. ისინი ლუკმას იკლებენ, სიბნელეში გზას მინათებენ, ძალას მაძლევენ, რომ სურვილი მქონდეს, ვიმუშაო, რამე ვაკეთო“.

გ. ჩოხელი

გაზ. „კვირის პალიტრა“.

3-9 დეკემბერი, 2001 წელი.

„ხელოვანი ადამიანისთვის ძნელია ცხოვრება იმ გაგებით, რომ ორად უნდა გაიყოს – ხელოვნება მოითხოვს დროს, ენერგიას, არადა, ჩემი დრო და ენერგია ყოფიერებაზე დაიხარჯა, იმაზე, რომ მეცხოვრა, ჯამი და ჭურჭელი, პური მქონოდა, თავშესაფარი მეშოვა“.

გ. ჩოხელი
ჟურნალი „სარკე“,
1-7 დეკემბერი, 2004 წ.

„ვაჟას არ ვედრები, ცხადია, მაგრამ ერთმა თქვა სუფრაზე (თამადა იყო): მე რაში მჭირდება ისეთი გოდერძი ჩოხელი, რომელიც გაჭირვებაში არ ცხოვრობსო. მერე სხვას მოვუყევი და იმანაც – სწორი უთქვამსო, ბევრი ფული რომ გქონოდა, გაგაფუჭებდაო. მერე მილიონები დამისახელა და, რომ გქონდეს, რას გააკეთებდიო. ფილმებს გადავიღებდიმეთქი. გიჟი ვეგონე, როგორ შეიძლება, ადამიანს მეტი არაფერი აინტერესებდესო. ზოგი რაში პოულობს სიამოვნებას, ზოგი – რაში, კინოს გადაღება ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა“.

გ. ჩოხელი
გაზ. „ვერსია“ №42, 2002 წ.

გოდერძის თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ პრესაში ერთი ამბავი ატყდა, იწერებოდა, რომ მწერალი და კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი მატერიალურმა სიდუხჭირემ მიიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე, ჟურნალისტები გოდერძის მეუღლეს უსვამდნენ კითხვებს: რითი არსებობდა ოჯახი, ეხმარებოდა თუ არა ვინმე? ყოველთვის მშვიდი და სათნო ნინო ზოგჯერ საკმაოდ მწვავე პასუხებს იძლეოდა ამგვარ შეკითხვებზე და ვფიქრობ, სრულიად სამართლიანად:

„რატომ ისმება ეს კითხვა დღეს, რატომ მეკითხებით ამას ახლა?! რითი ვცხოვრობდით და სხვადასხვა საზოგადოების შემოწირულობებით და იმ შემთხვევითი ჰონორარებით, როცა წიგნი გაიყიდებოდა. მე ოცი წელია მოამბეში ვმუშაობ. ხელფასი მაქვს თვეში 32 ლარი, ხელზე ვიღებ 28 ლარს. ჩემი მეუღლე ექვსი წელია უმუშევარია... როგორია ნიჭიერი, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე რეჟისორი რომ შემოწირულობებით ცხოვრობ. გოდერძი ქართველია და თანაც მთის კაცი – ძალიან ამაყი და ხშირად უთქმელი. ახლა მთავარია გამოკეთდეს. მაგრამ რომ მორჩება, გგონიათ რამეს იტყვის, ან უკმაყოფილებას გამოთქვამს? არა, თავის დარდს ისევ გულში ჩაიკლავს. მთავარია, ექიმებმა გამომიყვანონ მისი თავი და მეტს არაფერს ვჩივი. საქართველოს თუ არ სჭირდება, შვილებს სჭირდებათ მამა..."

ინტერვიუ ნინო მელაშვილთან,
გაზ. „ქრონიკა", №19, 2003 წ.

მე ძმა არა მყავს და ძმაზე მეტად, მაშინ დამიდგა გვერდში, როცა ყველაზე მეტად გამიჭირდა სულიერად, მატერიალურად, ფიზიკურად. დღეს თუ კიდევ ცოცხალი ვარ, უპირველესად, ღვთის შეწევნით და მერე ბატონი ბიძინას თანადგომით".

გოდერძი ჩოხელი
2006 წ.

„გოდერძი სულ იმას ნატრობდა, ნეტავ, 100 ლარი მაინც მქონდეს ხელფასიო. საშინლად განიცდიდა, როცა მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარში 300 დოლარი შესთავაზეს. ყველა გვერდით გვედგა – მეგობრები, ახლობლები, თავად

საპატრიარქო და ილია II, მაგრამ სხვის მიერ გაწეულ დახმარებას შეურაცხყოფად აღიქვამდა. არა იმიტომ, რომ ამპარტავანია, უბრალოდ, იგი ხელოვანია და გული სწყდებოდა: „მე იქით უნდა ვეხმარებოდე ხალხსო!“

ინტერვიუ ნინო მელაშვილთან,
გაზ. „ასავალ-დასავალი“ №20, 2003 წ.

ეჰ, ამაზე მეტს აღარ დავწერ, თორემ გოდერძის ეწყინება...

ნინო ზედელაშვილი



სოფელი ჭართალი

გოდერძის დარდების გუდა

„ჩემი მარადსევდიანი ძმისა“ უწოდა გოდერძის მისი სიტყვის და კაცობის ფასის მცოდნე ერთმა ქართველმა – ლაშა გვასალიამ. გოდერძის გარდაცვალების შემდეგ დაწერილ მის გამოსათხოვარ წერილში იმხელა ტკივილი ჩანდა, ცრემლიანი თვალით ძლივს ჩავიკითხე ბოლომდე.

„სულ დარდების ბუღი დაგტრიალებდა, გჯანლავდა, გთრიმლავდა და აგროვებდი სევდას კაცთა. აბა, ვინ შეგედრებოდა მაგისთანა გონსაზრისად ძნელმისაწვდომ საქმეთა კეთებაში.

შენი ლექსები, მოთხრობები, რომანები, ფილმები ერთი დიდი ტკივილია, თვალშეუდგამ კლდედ ასვეტებული, ასე რომ დაუღრუბლავს მთელი საკაცეთი...“

ლაშა გვასალია,
„მწერლობა-XXI“ №1 (4), 2008 წ



ფილმის „მიჯაჭვული რაინდები“ გადაღებაზე. 1998 წ.
ვ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

გოდერძის სიცოცხლეშიც და ახლაც ბევრს ჰგონია, რომ უსახსრობის, მატერიალური მდგომარეობის გამო იყო „სევდის კაცი". არადა, ეს ყველაზე ნაკლებ ადარდებდა, თუმცა კი, ხელს ძალიან უშლიდა თავისი საქმის კეთებაში, მაგრამ დარდი იმდენი ჰქონდა...

„ჩემს თავში ჩემი გმირების აზრები ეჩხუბებიან ერთმანეთს. ჩემი ცხოვრება ჩემი აღარ არის. ხანდახან ჩემი საქციელი გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ განწყობაზე არიან ჩემი მოთხრობის გმირები... იმ წუთში მოწყვეტილი ვარ რეალობას, ეს ჩემთვის დარდიც არის და სიხარულიც. სიხარული იმიტომ, რომ ჩემს თავში სამოსახლო აქვთ ჩემი მომავალი მოთხრობის გმირებს, თითქოს მთხოვენ გავაცოცხლო და სახე შევძინო, სამოსელი ჩავაცვა, სიცოცხლე ჩავბერო და სხვასაც დავანახო იმათი თავი, ხშირად ვახერხებ და ვხატავ ასეთ გმირებს.

დარდი მაქვს, რომ ბევრი გმირი ისევე იკარგება, როგორც მოდის თავში. ცხოვრება ბევრს მოითხოვს – ოჯახი, საარსებო საშუალებები. ხან მოთხრობებს ვღალატობ და ხან ჩემს შვილებს, თუმცა მოთხრობებიც ჩემი შვილები არიან; ბევრი შვილის მამა ვარ. ჯერ ლუკას და ნიკას მამა ვარ და მერე 500-მდე მოთხრობის და ოთხი რომანის. დიდი ხანია კალმისთვის ხელი არ მომიკიდია, ახლა შემიძლია ერთი ახალი წიგნი გამოვცე, მაგრამ ფინანსები არ მაქვს.

დარდი მაქვს – ჩემი ნაბოლარა „შვილი", ფილმი „მიჯაჭვული რაინდები" რუსეთის შეკვეთით გადავიღე. ახლა რუსების საკუთრებაა. როგორც შემეძლო, შევამკე და გულდაწყვეტილი წამოვედი. წელიწადნახევარი ვიშრომე და ჩემი ფილმი ჩემს ქვეყანას არ ეკუთვნის.

ყველაფერი ქართულია – სცენარი, მსახიობები, საქართველოში გადავიღეთ და რუსულად გავახმოვანეთ. ჩემს ქვეყანას დღეს არ შეუძლია დააფინანსოს ხელოვანი. ხელოვანმა კი უნდა შექმნას და გზების ძიებაში ისინი ტოვებენ სამშობლოს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ რომელიმე ქართ-

ველს საქართველო არ უყვარდეს და იმიტომ მიდიოდეს ქვეყნიდან.

დარდი მაქვს – ყაზბეგში, სოფელ ცდოში ფილმისთვის კურთხევით ავაგეთ ხის თეთრი ეკლესია. სოფელს ეკლესია არ ჰქონდა და გვთხოვეს დაგვეტოვებინა, მერე იელოველები ასულან, დაუშლიათ და ხევში გადაუყრიათ.



ყაზბეგი, სოფ. ცდო. თეთრი ეკლესია, რომელიც ფილმისთვის „ლუკას სახარება“ აიგო



თაინეთის რაიონი, ფუძნარი. უგუმბათო ეკლესია.
ფილმის „სამოთხის გვრიტები“ გადაღებაზე. 1996 წ.

ჩემი პატარაობის ერთადერთი სურათი მქონდა, მე-5-6 კლასში ვიქნებოდი, დედამ 10 კვერცხად გადააღებინა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა წაიღო და აღარ დამიბრუნა, გული მწყდება.

შეიძლება გაცვეთილიც არის, მაგრამ დარდიც არის და თხოვნაც: ნუ გაპოლიტიკოსდა ყველა ქართველი და ნუ იბრძვის სკამისთვის. ვინც იპოვა სკამი, ეცადონ ერთიანი საქართველო შექმნან. მინდა ისტორიიდან მეტი მაგალითი გამოიტანონ და ერთმანეთს მტრებად ნუ გაუხდებიან. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს არჩევნებში მონაწილეობისთვის დოლი გამართეს, უპირველესად მომავლისათვის იზრუნონ და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის. ამით იმის თქმა არ მინდა, ნუ იქნებით კეთილდღეობაში-თქო, უბრალოდ, დაფიქრდნენ, როცა ჭამენ, ხომ არ არის ეს რომელიმე ქვრივის ან ობლის ლუკმა.

დღეს საქართველო მაგონებს ჩამორღვეულ ეკლესიას, მეორე კედელი გაბზარულია, გუმბათი მოცლილი აქვს, გუმბათზე მაცხოვარი არ არის, ხავსი აქვს მოკიდებული, ფრესკები ჩამოფხეკილია, აქა-იქ ნამწვავი სანთლებიც ყრია. რომელი კედელიც ჩამონგრეულია, მისი ქვები მიმობნეულია, დახავსებულია. მინდა, ეს მიმობნეული ქვები თავის ადგილას დაეწყოს, გუმბათი გაკეთდეს, სახურავზე ტყე არ იყოს, მოიხატოს, მაცხოვრის სახე დაინახონ და შევიდნენ ამ ეკლესიაში მომავალი თაობები და იგალობონ „შენ ხარ ვენახი" (ღმერთმა ქართველებს ლოცვად ქართული საგალობლები მოგვცა). ერთად მდგომ ქართველებს რომ დაგვინახავს ღმერთი, გაუხარდება და ეს ჩვენთვის ყველაზე კარგი იქნება.

მინდა, როგორმე ვეცადოთ, რომ დავამარცხოთ სატანა ჩვენი ლოცვით. ნუ ვაზეიმებთ სატანას საქართველოში ჩვენი საქციელით. მაგრამ იმედი მაქვს, საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა და ღვთისმშობელი ხელს შეგვინყობს, ქართველმა ერმა შევასრულოთ ღვთის წინაშე ჩვენი მისია.

რომანში ადამიანთა სევდა“ გამიხარდა „უფლის“ წინაშე რომ წარდგება თავისი დარდების წიგნით, უფალი მხოლოდ ერთი დარდის გაქარვებას შეპირდება და გამიხარდაც ამოირჩევს:

დარდი №1
ამბობენ ომი იწყება
კრეფენ სამხედრო ძალებსა,
დაჰბუგვენ დედამიწასა
ჩამოაგდებენ მთვარესა.

– როცა 1982 წელს მწერალთა კავშირში მიღებდნენ, საყვედური მითხრეს: დარდი №1 სამშობლო უნდა იყოსო. დიახ, ჩემი უპირველესი დარდი სამშობლოა. მეგონა აღარ დავხოცავდით ერთმანეთს, აღარ გავიმეორებდით ისტორიას, დავკარგეთ საქართველოს კუთხეები, ქართული ცნობიერება ინგრევა, სიტყვა ქართული პროვინციულ და სალანძღავ სიტყვად იქცა. ვინც ეროვნულს იტყვის, იმას აქილიკებენ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მითოლოგიური სატანა ბატონობს საქართველოზე, ამ სატანამ გამოხრა ჩვენი წინაპრების ძვლები. რომ არ დაბადებულა, იმათ ძვლებსაც ხრავს, ბობოქრობს, ყველგან ხელი ჩაყო, ეს ჩემი დიდი დარდია. უპირველესია და საყოველთაო – არ მინდა მოხდეს ისეთი ომი, რომელიც გაანადგურებს დედამიწას, ადამიანთა წარსულს, აწმყოს და მომავალს.

ადამიანთა დიდი სურვილია, დარჩნენ მარადიულობაში, დიდი ნეტარებაა, იქ ვნახო ვაჟა, რუსთაველი, თამარ მეფე...

და ბოლოს, მინდა შემოგთავაზოთ მინაწერი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მოთხრობისა „ღმერთის შვილები“:

„ზამთრობით ჩემს სოფელში დიდი თოვლი მოდიოდა. ყოველდღე თოვდა და თოვდა. შვიდი-რვა თვის განმავლობაში მთლად თეთრი იყო გუდამაყარი.



გ. ჩოხელი
2000 წ. ი. ტერტერიანის ფოტო

ერთ დილით წითელი თოვლი წამოვიდა ციდან. საღამომდე წითელი თოვლის ფანტელებს ბარდნიდა ზეცა, პატარა ვიყავი მაშინ, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ ტიროდა ხალხი: რომელიმე ვარსკვლავზე ეტყობა ომი გაჩაღდა და ეს სისხლიანი თოვლიც იქიდან მოდისო.

ვიღაცას ეს ამბავი გულუბრყვილობად მოეჩვენება ალბათ.

გონიერი ხო დაფიქრდება – ზოგჯერ რამხელა სევდა იმალება გულუბრყვილობაში.

ისევ ის დარდი მქონია გულში"

გოდერძის ეს დარდები 1999 წლის ივნისში ჟურნალისტ მაია ბარამიძეს ჩაუწერია და დაუბეჭდავს კიდეც გაზეთში „ახალი საქართველო" 10 წლის შემდეგ მადლობა მინდა ვუთხრა ამისთვის ქალბატონ მაიას და ბოდიშსაც ვუხდი, რადგან ეს დარდები მის უკითხავად (არ ვიცოდი, სად მომეძებნა) თითქმის უცვლელად გადმოვიტანე. იმედია, არ გამიწყრება.

კიდევ რას დარდობდა?!

იმას, რომ კინოს ვეღარ იღებდა, რომ ავადმყოფობის გამო წერა აღარ შეეძლო, დარდობდა: მთაში წაუსვლელობას, ენატრებოდა გუდამაყარი, ბურსაჭირის ყვავილიანი ფერდობები, დარდობდა – ფეხით ამ ფერდობებზე და მთის ბილიკებზე შედგომა რომ აღარ შეეძლო, დარდობდა – მთის სოფლების დაცლაზე, ქართველების ურთიერთმტრობას და ერთმანეთზე აღზევებას, დარდობდა – ხალხს რომ უჭირდა და წიგნის შესაძენი ფული არ ჰქონდა, წიგნები საჩუქრად უნდა დაარიგოს მწერალმაო, დარდობდა, როცა წიგნის გამომცემლები ატყუებდნენ, დარდობდა – შვილებს წიგნების და ფილმების მეტს ვერაფერს ვუტოვებო, დარდობდა – რა კარგი კინოსტუდია გვქონდა და ახლა ყველაფერი გაპარტახებულიაო, გული სტკიოდა – საქართველო იმედის ძაფზეა ჩამოკიდებულიო, დარდობდა – დედის საფლავზე ქვა რომ ვერ აიტანა და ვერ დააწერა, რა არის სიცოცხლე და რა არის სიკვდილი.

ჩვეულებრივი „ადამიანური დარდებითაც" იტკიებდა ისედაც ატკიებულ გულს. ჯავრობდა – ისე გავხდი, ტანსაცმელი ტომარასავით მკიდია მხრებზე, ტკივილებს ველარ ვუძლებ და მეშინია, ისევ „ის" არ გავაკეთო, ჩემს შვილებს ვუფრთხილდები და უწმინდესი რომ გაიგებს, გული ეტკინება, ამიტომ უნდა გავუძლოო, ჯავრობდა – წურბელის ნაკბენი ყური რომ არ მოურჩა და თავს ბალიშზე ვერ დებდა. მარცხენა მსარეს ვერ წვებოდა გულის გამო, მარჯვნივ კიდევ – ყურის, სხეული სულ გამომეფიტა და თმები მცვივა, რას დავემსგავსეო, დარდობდა – ანდროს (მეზობელ ბიჭუნას) კარგი სმენა და ხმა აქვს, ხალხური სიმღერა უყვარს, ფეხურთზე კი დაჰყავთო, დარდობდა – ნინო ბევრს რომ არ მუშაობდეს, სულ ჩვენთან იქნებოდაო (ჩემზე ბუზღუნებდა), დარდობდა – ნინო (ცოლი) და ბიჭები გავაწვალე ამდენი ავადმყოფობითო, დარდობდა,

აბა, მითხარით, ამდენი დარდების პატრონს რა გული შერჩებოდა.

P.S. „და საერთოდ, ადამიანი დარდებისა და სურვილების თაიგულია, თაიგულები ლამაზია და იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რამდენადაც განსხვავებულია ადამიანის დარდები და სურვილები.

სევდა დარდის ბიძაშვილია. სევდა ტკბილია, ადამიანის გამწმენდელი, დარდი ბოლმისკენ ნაგიყვანს, სევდა კი დარდებს წმენდს ბოლმისგან, სულის მარილივითაა, თან წმენდს და თან ინახავს დარდს"

გოდერძი ჩოხელი

გოდერძი, ქართველების „გამიხარდავ“, ჩვენი დარდების შემგროვებელო, ამოარჩიე დარდების გუდიდან ის, რომელიც შენი ბრძენკაცობით №1 დარდად მიგაჩნია და უფალსა სთხოვე, გაგვიქარვოს ეს დარდი, მშვიდობა ჰყოს მისი დედის წილხვდომილ ქვეყანაში და გაგვიმთლიანოს.

შენი იმედი მაქვს, „გამიხარდავ!“

ნინო ზედელაშვილი



ჩოხის წმ. გიორგის სალოცავი

თავი რომ დაიჭრა

2003 წლის მაისში გოდერძის დეპრესიამ პიკს მიაღწია, უკვე პირადად ვიცნობდი მას, ერთი შეხედვით ვერ მიხვდებოდი, რა საშინლად იტანჯებოდა. ქალბატონ ქეთევან ჩიხაძის ხელშეწყობით, გოდერძი ქოზიფას მამათა მონასტერში გაემგზავრა. თითქოს, იქ უფრო მშვიდად უნდა ყოფილიყო და გარკვეულიყო საკუთარ თავში, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საშინელი სულიერი ბრძოლების გადატანა უხდებოდა. ერთ დილას, ლოცვისა და ზიარების შემდეგ, შევიდა თავის კელიაში და დიდი ჟანგიანი დანით ხუთი მძიმე ჭრილობა მიიყენა. პირველი დარტყმის შემდეგ სიკვდილი რომ არ მოვიდა, ძალა აღარ ჰქონდა, დანას კედელზე აბჯენდა და თვითონ ეჯახებოდა თურმე. ჟანგიანი დანა აურჩევია, რომ თუ ჭრილობა სასიკვდილო არ იქნებოდა, პერიტონიტი განვითარდებოდა და ის მაინც მომკლავსო. მერე შეშინებია ჯოჯოხეთში მოხვედრის და ხის დიდ ჯვარზე დაწოლილა, ეგონა, ჯვარი დაიცავდა.

ქოზიფა. მამათა მონასტერი. 2003 წ.

ძალაგამოცლილს თავისივე სისხლით დაუწერია: „ნინო, მიყვარხარ, მაპატიეთ!" კელიაში ბერმა შეაკითხა თურმე და ამ საზარელ მდგომარეობაში ნახა. მამა სერაპიონს აღსარებაც ჩააბარა საბრალომ, ამასობაში მანქანაც მისულა და ქარელის რაიონის საავადმყოფოში წაიყვანეს ბერებმა. უფალმა არ განირა, 8 საათის განმავლობაში 5 მძიმე, სისხლმდინარი ჭრილობით, დანგრეულ გზებზე რყევა-რყევით მიჰყავდათ მანქანით. გოდერძის გონება არ დაუკარგავს. წლების მერე დეტალური სიზუსტით მიამბო ეს ყველაფერი. მიამბო მაშინ, როცა დეპრესიამ უკან დაიხია, მანამდე ამ თემას საერთოდ არ ვეხებოდით.

ქარელის საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაციები ჩაუტარდა. ეს საზარელი ამბავი მაშინვე გავრცელდა.

უწმინდესისთვის რომ უთქვამთ გოდერძის შესახებ, ულოცია და შემდეგ უბრძანებია, რომ ყველაფერი გაეკეთებინათ გოდერძის გადასარჩენად. იმ ღამეს საქართველოს ეკლესია-მონასტრებში მღვდელ-მონაზვნები ლოცულობდნენ დიდი ქართველი კაცის გოდერძი ჩოხელის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისთვის. მადლობა უფალს, რომ შეისმინა ჩვენი ვედრება და კიდევ რამდენიმე წელი გვაჩუქა მისი სიცოცხლე. თუმცა, პირადად გოდერძისთვის, ეს წლები საშინელი ტანჯვის წლები იყო. იმ ღამეს, უწმინდესს უბრძანებია: გოდერძის თავი არ მოუკლავს, ის იმ წუთში ბოროტს ებრძოდაო.

ოპერაციის შემდეგ სისხლისგან დაცლილი და დასუსტებული გოდერძი ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოში გადმოიყვანეს. მთელი საქართველო აფორიაქდა, უამრავი მნახველი მიდიოდა კლინიკაში. იქ გავიცანი გოდერძის და – ელისო. დავინახე თუ არა, მივხვდი, რომ მისი და იყო – ნამდვილი გუდამაყრელი დედაკაცი. სწორედ ისეთი, გოდერძი რომ წერს მოთხრობაში „გუდამაყრელი დედაკაცები" – „ავაჰმე". ჩუმად იჯდა ელისო მოსაცდელში და ასე მეგონა დარდისგან მობუზული ქალი გულში გაიძახოდა: „ავაჰმე, ჩემს თავს, გოდერძაო, ავაჰმე!"

ელისო ჩოხელი – გოდერძი ჩოხელის და.

მთელი საქართველოდან დაიძრა ხალხი საყვარელი მწერლისა და კინორეჟისორის გვერდში დასადგომად. რაჭველები – ონის საშუალო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ავტობუსით მივიდნენ კლინიკაში და რადგან პალატაში არავის უშვებდნენ, საოცრად თბილი სიტყვები მისწერეს გოდერძის. წლების მერე გოდერძი ღიმილით და სიყვარულით ამბობდა: ცოლოურებმა დამაფასესო (ნინო რაჭველია, გვარად მელაშვილი). ერთხელ, როგორღაც მოვახერხე და მივიპარე რეანიმაციული განყოფილების კარებთან. ოდნავ გამოვაღე და დავინახე გოდერძი თეთრ საწოლში, თვითონაც თეთრი, გაფითრებული, მომაჩერდა ჩამქრალი თვალებით, მაგრამ ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი. მე ხელი დავუქნიე და გამოვიპარე, რომ უხერხულობა არ შემექმნა. ბედნიერი ვიყავი, ჩემი თვალით ვნახე, რომ ცოცხალი იყო.

მაშინ ბევრმა ჩათვალა, რომ გოდერძი მატერიალურმა გაჭირვებამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე, ზოგს ეგონა, რომ ფსიქიკა შეერყა, ყველა თავის ვარაუდს გამოთქვამდა. სინამდვილეში კი, უამრავი ფაქტორი გადაეჯაჭვა ერთმანეთს და ამ მდგომარეობამდე, სწორედაც, წლების მანძილზე მის სულში არსებულმა რთულმა ბრძოლებმა მიიყვანა. მატერიალური გაჭირვება გოდერძის ცხოვრებაში იმ თვალსაზრისით ასრულებდა ცუდ როლს, რომ მას ფილმების გადასაღებად არანაირი საშუალება აღარ ჰქონდა, თორემ შიმშილი და უქონლობა მისთვის უცხო არ იყო. სტუდენტობის დროს საჭმლის ფულს აკონიწებდა, თურმე, რომ ფირი ეყიდა და ფილმი გადაეღო. თავის დაჭრის შემდეგ, ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით, შექსპირის „ოტელოს“ მიხედვით, ვიდეოკამერის საშუალებით გადაიღო საოცრად ლამაზი ფილმი „სიყვარულის ცეცხლი“ ეს ფაქტი ძალიან აღიზიანებდა, რადგან კინოსტუდია, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა – ყველა კინოკამერა და რეკვიზიტი გაყიდული იყო. სხვაგანაც აღვნიშნე, კინოს გოდერძისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი განსაკუთრებული ხედვის

პროფესიონალი იყო და შესაძლებლობების სრულად რეალიზებას სწორედ კინოში ახორციელებდა.

არიან ადამიანები, რომელნიც ბევრს და ხმამაღლა ლაპარაკობენ საქართველოზე, სამშობლოზე. გოდერძი ჩუმად, უხმაუროდ დიდი სიყვარულით და თავდადებით ემსახურებოდა თავის ქვეყანას, ადიდებდა მის ისტორიას, რწმენას უფლისას, ქართულ ტრადიციებს და როცა საჭიროდ მიიჩნევდა, პირუთვნელად ამხელდა ადამიანთა ქცევის ყველა ნაკლსა თუ სიმრუდეს („არჩევნები სასაფლაოზე", „სულეთის კიდობანი").

გოდერძიმ თავისი ქვეყნის, თავისი გმირების ტკივილი და დარდი საკუთარ გულზე გადაატარა, „ადამიანთა სევდა" საკუთარ სევდად მიიჩნია და, ალბათ, ამიტომაც ვეღარ გაუძლო მისმა მოსიყვარულე და სათუთმა, თბილმა გულმა. იყო კიდევ უამრავი დიდი თუ პატარა მიზეზი, რომელთა ჩამოთვლა, არ ვიცი, ახლა აუცილებელია თუ არა. ისე, ვფიქრობ, საჭიროა.

გოდერძიმ რომ თვითმკვლელობა სცადა, საზოგადოება დეპრესიაში მყოფი მწერლისადმი სინანულის გრძნობით განეწყო, თუმცა, ვინ იცის, გამჟღავნებულ თანაგრძნობას ჩუმად კიდევ რა მიაყოლეს. გოდერძი ჩოხელი ყველამ იმ პიროვნებად აღიქვა, რომელმაც ცხოვრების ბობოქარ ტალღებში თავი უმწეოდ იგრძნო. ამის შემდეგ, ხალხში გაჩნდა კითხვა: რატომ დარჩა სათაყვანებელი მწერალი მარტოსული? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თუ ვინმე ეცდება, ალბათ, სინდისი შეაწუხებს და საკუთარ თავსაც უსაყვედურებს, იქნებ გოდერძი ჩოხელი ჩვენი მისახედი იყოო...

ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ უმწეო ადამიანები იღებენ თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას. ყველაზე მეტად, ადამიანის სულის ჩხრეკა მძულს. გოდერძი ისეთი დიდი ზნეობის პიროვნებაა, რომ საკუთარ თავს ვერც კი ვაკადრებდი მის სამყაროში შეხედვას. არც შეიძლება ასე უცებ ამხელა ჭკვიანი კაცის ფსიქიკაში შეჭრა. მაგრამ თუ

შემოქმედი ხარ, ალბათ, სწორედ ასეთ დროს უნდა იმსჯელო. ძნელია ავხსნა, რა დაემართა გოდერძი ჩოხელს, რა და როგორ მოხდა.

ნიჭიერი ადამიანები ღმერთის გამორჩეული შვილები არიან, მათი ბუნების განსაზღვრა რთულია. საერთოდ, სუფთა სულის ადამიანები ცოდონი არიან, ამავე დროს, მათი ამ სამყაროში არსებობა დიდი ბედნიერებაა. თუმცა, ასეთები ამ სისპეტაკეს შინაგან ტვირთად და დარდად თან ატარებენ. როგორ გვსიამოვნებს, როცა ჩვენი დიდი მოაზროვნეების სიბრძნეს ვკითხულობთ, მაგრამ ახლა დავფიქრდეთ, მათი სტრიქონები რამხელა ჯოჯოხეთს არის გამოტარებული.

ვინც გოდერძის შემოქმედებას იცნობს, მიხვდება, რომ მის ფიქრებში დიდი განცდაა, დიდი ტკივილი, ზოგჯერ – სიხარულიც და ზოგჯერ – ჯვარცმაც. გოდერძი თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე უცებ არ მისულა, ასეთი ცუდი აზრი აფექტისგან არ წარმოიშვება. ეს წვეთ-წვეთად ილექებოდა მწერალში, მაგრამ სიკვდილზე მხოლოდ ძლიერნი ფიქრობენ, უმწეო კაცს კი მუდამ ჰგონია, რომ უკვდავია. გოდერძი ჩოხელის ერთი შეხედვით საშინელი ჩანაფიქრი ჭკვიანი კაცის ლოგიკური საქციელი იყო. ვინ იცის, გოდერძიმ იქნებ იმიტომ გადაწყვიტა სიკვდილთან შეხვედრა, რომ თავიდან დაბადებულიყო. ადამიანთა მოდგმა ბევრ რამეს იკვლევს ამ პლანეტაზე, მაგრამ დღემდე ჭკვიანი, ნიჭიერი მწერლის ფსიქიკა ვერც ერთმა ფსიქიატრმა რიგიანად მაინც ვერ გაშიფრა. გოდერძისნაირ შემოქმედებს რთული, გამოუცნობი ბუნება აქვთ. პაპაჩემისგან ხშირად მსმენია, ფეხზე დამდგარი მუხა ჯერ არავის გაუზომია, მუხას ნაქცეულს ზომავენო. ჩვენ ფეხზე მდგარი გოდერძი ჩოხელი ისე ვერ შევნიშნეთ, როგორც უნდა შეგვენიშნა თავისი დიდბუნებოვნებით."

პოეტი თემურ ჩალაბაშვილი,
გაზეთი „ახალი თაობა" №134,
13 მაისი, 2003 წ.

„გოდერძი ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, იგი ყველასგან განსხვავებულად აღიქვამს სამყაროს და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ უფრო გამძაფრებულად სტკივა თავისი ქვეყნის გასაჭირი. მისი თვითმკვლელობის მცდელობა ყველამ მატერიალურ მდგომარეობას მიაწერა, სინამდვილეში კი ეს არ იყო მთავარი მიზეზი! რა თქმა უნდა, მატერიალურ პრობლემებსაც განიცდიდა, მაგრამ მას უფრო საქართველოს ბედი სტკიოდა. ხშირად უთქვამს: არ მინდა დავინახო, რაც ამის შემდეგ მოხდება საქართველოშიო. რამდენიმე ხნის წინათ იყვირა კიდეც: „არაგველებო, არაგველებოო!.." ერის გამოფხიზლება უნდოდა, მაგრამ ვიღას ესმის კედელს მილმა დარჩენილი ხალხის ხმა"

ნინო მელაშვილი, გოდერძი ჩოხელის მეუღლე.
გაზ. „ასავალ-დასავალი", 19-25 მაისი, 2003 წ.

„ქარელშივე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ქირურგებმა გონზე მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ გოდერძის ინფარქტი განუვითარდა. სასწრაფოდ მოწვეულმა ექიმთა კონსილიუმმა დაადგინა, რომ ახალგაზრდა რეჟისორს წლების განმავლობაში გული აწუხებდა. კონსილიუმზე ედუარდ შევარდნაძემ თავისი პირადი კარდიოლოგი – გულიკო ჩაფიძეც გამოაგზავნა და დაავალა, კარგად მიმიხედე, მაგ კაცს რამე არ მოუვიდესო.

„შენი წიგნები და ფილმები მაფიქრებინებდნენ, რომ არასოდეს გაგიწყვეტია კავშირი უზენაესთან, შენ იცი ის, რაც უბრალო მოკვდავთაგან იშვიათად ვინმეს სცოდნია...

შენი თვითმკვლელობის მცდელობა არ იყო შეშინებული კაცის საქციელი, ეს არც ერთი კაცის მოკვლის მცდელობა არ ყოფილა, ეს იყო იმ დედოზარის გაცოცხლების მცდელობა, რამაც საღათას ძილიდან უნდა გამოგვაფხიზლოს და გონს მოგვიყვანოს. თუ არაფერი შეიცვალა და ძველებურად

გავაგრძელეთ არსებობა, ჩვენ უბრალოდ, აღარც ვიქნებით ქართველები და მაშინ სიცოცხლესაც მართლაც აღარ ექნება აზრი!.. მერე ყველანი ერთად მოვკვდებით, მართლა მოვკვდებით და ჩვენი ერისთვის აღარასოდეს მოვა აღდგომა...“

ინგა ჯაყელი, ჟურნალისტი
გაზ. „კვირის პალიტრა“,
16-22 ივნისი, 2003 წ.

„გუშინწინ, გვიან ღამით გოდერძი ჩოხელმა კალამი და ფურცელი მოითხოვა და დაწერა წერილი, რომელიც მეგობარს გადასცა. მოკლე ხანში ექიმებს კვლავ გაუმეორა თხოვნა და წერილი პატარა, მაგრამ ბრწყინვალე ლექსით გააგრძელა...

წერილიდან და ლექსიდან აშკარად ჩანს, რომ გოდერძი ჩოხელი, ფიზიკურ თუ სულიერ კრიზისში მყოფი, სარეცელს მიჯაჭვული და ურიცხვი პირადი პრობლემებით გულატკიებული, მაინც საქართველოზე ფიქრობს, კვლავ წუხს მის გამო, ლოცავს მას და ისეთ სიყვარულს უმჟღავნებს, როგორიც მის დიდ წინაპრებს გაუმჟღავნებით“

ლელა ოჩიაური,
გაზ. „საქართველოს ამბები“,
19 მაისი, 2003 წ.

ეს წერილი და ლექსი გოდერძიმ თავის მეგობარს, მასზე უსაზღვროდ შეყვარებულ კარგ ქართველ კაცს კობა გელაშვილს დაუწერა, მაგრამ ალბათ გულისგულში თითოეულ ჩვენგანს მოეფერა.

„... იქ, არ ჩამინერია, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ჩემი დუშელები, არაგველები (ხევსურები, მოხევეები, ფშავლები, მთიულები, გუდამაყრელები, თუშები) და კიდევ სრულიად საქართველო, თავისი ლამაზი გურიით, აჭარით, მესხეთით, ჯავახეთით, სამეგრელოთი (კოლხეთით), აფხაზეთით, სვანეთით, სამაჩაბლოთი, ქვემო ქართლით, შუა ქართლით, ზემო ქართლით, ჩემი კახეთით და უამრავი კუთხით... და ჩემი ლამაზი თბილისით და თბილისელებით

ღმერთმა გაგახაროთ!!!

ამინ!

და ჩემი იმერლებით

...და ჩემი რაჭველებით, ჩემი საყვარელი რაჭველებით, საინგილოთი – საქართველოს თვალის ჩინით, ჩვენი ზეცით და ჩვენი მიწით...

მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ღვთივკურთხეულო სამყაროვ,
ანგელოზები მეწვივნენ
სული ხორცს უნდა გამყარონ,
ერთსა გთხოვთ ყველას,
ნუ იტყვით...
შენ ჩვენებური არ ხარო.

ნინო ზედელაშვილი

გ. ჩოხელი 1997 წ. ი. ტერტერიანის ფოტო.

ერთხელ მითხრა: „მწერლობა რომ დავიწყე, სტუდქალაქში ვცხოვრობდი, იმ რია-რიაში, ხმაურში, მაგიდის კუთხეში პატარა კუნჭულს გამოვნახავდი და იქ ვწერდი. 50 წლის ისე გავხდი, საწერი მაგიდა არ მღირსებია, სულ კი ვოცნებობდი, კეთილი შურით მშურდა იმ მწერლებისა,

ვისაც თავისი სამუშაო ოთახი ჰქონდათ, იმ ოთახში წიგნებით სავსე კარადა და საწერი მაგიდაც ედგათ".

„დაწერეთ ისეთი წიგნი, როგორიც ბავშვის ტირილია, მაშინ თქვენ ჭეშმარიტად დიდი მწერალი იქნებით"

გოდერძი ჩოხელი

„ბევრი მსჯელობს, რომელი უფრო ძლიერია – გოდერძი ჩოხელი მწერალი თუ რეჟისორი. მე საკითხს ასე არ დავსვამდი, რადგან ორივე ძლიერია, ორივე შესანიშნავია, ორივე ჩვენია, ქართულია. იგი უდიდესი პროფესიონალია...

რეზო ჩხეიძე, კინორეჟისორი
16.01.2006 წ.

„როცა ვწერ, მე მიყვარს ჩემი მკითხველი, ვეძებ, ვესაუბრები მას, მინდა მასთან ერთად განვიცადო, იმანაც თანამიგრძნოს. ჩემი სიკვდილი იქნება მაშინ, როცა მკითხველი ჩემსას ვერ გაიგებს"

გოდერძი ჩოხელი,
გაზეთი „ახალი საქართველო",
24-30 ივნისი, 1999 წ.

„თეატრალურ ინსტიტუტში დაგვავალეს კინოსცენარის დაწერა. დავწერე ერთი, მივიტანე... დამიწუნეს.. რა უნდა მექნა, გამოვიდე თავი და მეორეც მალე დავწერე, კიდევ დამიწუნეს, მესამესაც იგივე ბედი ეწია, მეოთხესაც, და უცებ ეს ჩემი დაწუნებული სცენარები მოთხრობებად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" თურმე პირველივე სცენარი მოსწონებიათ და სპეციალურად მაწერინებდნენ. ასე გავხდი მწერალი..."

გოდერძი ჩოხელი

„ვინყებ მოთხრობას და აი, გუდამაყრის ხეობაში... ერთი პერიოდი კიდეც მსაყვედურობდნენ, ბიჭო, ისევ გუდამაყარზე წერო? მომინდა სხვა რაღაცაზე დამეწერა, მაგრამ ვერ დავწერე. მერე დავფიქრდი და მივხვდი, სხვა რამე რომ ვწერო, მართალი არ ვიქნები. იმაზე უნდა წერო, სადაც დაიბადე და რაც კარგად იცი – იმ ადამიანებზე, რომლებმაც შენს სულში ჩაიარეს და ვისაც რა შეეძლო, ის დაგიტოვეს – ზოგმა სევდა, ზოგმა სიყვარული. კარგად ამბობს ეკზიუპერი: ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო. მე ჩემი გუდამაყრიდან მოვდივარ და ვწერ ამ გუდამაყარზე"

გოდერძი ჩოხელი,
გაზეთი „ვერსია" №42,
29 აპრილი, 2002 წ.

მეც სხვადასხვა ადამიანისგან მომისმენია, ეს ჩოხელი მარტო მთაზე და თავის სოფელზე წერსო. იმასაც ამბობდნენ, წყაროსთან მოყოლილ ამბებს ფურცელზე რომ გადმოიტანს, ის კაცი მწერალი ვერ იქნებაო. ღმერთმა შეუნდოს იმ ადამიანებს უმეცრება. გოდერძი კარგად იცნობდა არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ უცხოური ლიტერატურის შედევრებს, ბევრი რამ იცოდა მსოფლიო რელიგიების შესახებ, აღარაფერს ვამბობ მართლმადიდებლობაზე, სანამ შეეძლო, მუდამ კითხულობდა სახარებას, სულ ძიებაში იყო. კარგად ერკვეოდა ფილოსოფიურ მიმდინარეობებში. ვინც საფუძვლიანად გაეცნობა მის შემოქმედებას, არ გაუჭირდება იმის აღიარება, რომ გოდერძი ჩოხელმა საქართველოს ერთი პატარა კუთხის – გუდამაყრის მაგალითზე, იქ მცხოვრები ადამიანების ყოფა-ცხოვრების მხატვრული აღწერით განაზოგადა და წინა პლანზე წამოსწია უამრავი ზოგადსაკაცობრიო პრობლემა.

გოდერძი თავის ერთადერთ პუბლიცისტურ წერილში „მეექვსე მკვლელი" ილია ჭავჭავაძის შესახებ წერს: „იგი

პირველი ამხელდა ხოლმე ჩვენს ნაკლს და ამის წყალობით მტერიც მრავლად ჰყავდა“

თავად გოდერძიც პირუთვნელად ამხელდა ჩვენი საზოგადოების გაპარტახებას, ღიად ებრძოდა საბჭოთა რეჟიმს, საბჭოურ აზროვნებას. „ადამიანთა სევდა“, „არჩევნები სასაფლაოზე“, „აჩლახუნე“, „უცნაური კვერცხი“ და უამრავი სხვა მოთხრობა ცხადი დადასტურებაა იმისა, როგორ შეუპოვრად ცდილობდა მწერალი, რომ ადამიანებისთვის თვალი აეხილა, ეჩვენებინა მათთვის ის სიყალბე, დაკნინება, რაშიც ისინი ცხოვრობდნენ.

მოთხრობაში „აფრენა და დაფრენა“ გამიხარდაი ცაში აფრინდება და მთელი ქვეყნის გასაგონად ყვირის, ეჩხუბება იმათ, ვინც შეჭამა და გამოხრა ერის ნაოფლარი, ხალხის მიერ წლობით სალაროებში ნაგროვები ფული.

„ერის ბოძების მჭრელებოო!

გაუმაძღრებოო!

საკუთარ ჯამში ჩამცქერლებოო!

ღვთისაგან გასაბრწყინებელი საქართველოს ჩამბნელებლებოო!

მართლმადიდებლობის მტრებოო!

რა გინდათ, რაა?!!

კუნტრუშებთ არა, დავით აღმაშენებლის საქართველოში?!“

მოთხრობების წაკითხვის შემდეგ მიკითხავს მისთვის: – ასე ღიად რომ ლაპარაკობ ყველაფერზე, როგორ არ დაგიჭირეს-მეთქი.

გაიცინა და მხრები აიჩეჩა: – ეგ, მეც მაგრა მიკვირდაო. „სულეთის კიდობანი“ ხომ პირდაპირ ააშკარავებს ერის, მისი ისტორიის, ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ ხელისუფლების ჩუმ ბრძოლას, რასაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში.

უამრავი რაღაც მინდა დავწერო, ვთქვა გოდერძის შესახებ, მაგრამ მაინც მგონია, ყველაზე უკეთ მის შესახებ მისივე სტრიქონები მეტყველებს.

მოთხრობაში „ღმერთის შვილები“ თითქოს რაღაც ზღაპრის მოყოლას იწყებს გოდერძი, მაგრამ ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვან ასპექტებს ეხება და მკაფიოდ აყალიბებს თავის შეხედულებებს – საყდარის და ბაყდარის მიმოწერაში. ერთ-ერთ წერილში ბაყდარი ოცნებობს, რომ მწერალი გახდეს, აღარ უნდა ტყვიების სროლა და ნატრობს, რომ მათ მაგივრად კეთილი სიტყვები ისროლოს.

„– მწერალი ის არის, ვინც იცის, რას წერს!..

– მწერალი ის არის, ვინც იცის, რატო წერს!..

– მწერალი ის არის, ვინც იცის, ვისთვის წერს!..

ალბათ და უფრო კი:

– მწერალი ის არის, ვინც იცის, ვისთვის, რატო და რას წერს... და რომ ამას უღმერთოდ არ აკეთებს, ვერც იზამს, ვერც გააკეთებს.

– როგორი უნდა იყოს მწერალი?

იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაულხობს, გაყინულ ფესვებში გამლხვალ თოვლის თბილ ცრემლებს რომ ჩააწვეთებს, საიდანღაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილის მხრებზე დასვამს...

ყვავილებმა კი აუცილებლად უნდა უსმინონ მწერლებს, თორემ ამქვეყნად მწერლებზე ადრე არავინ არ ჭკნება, თუ მათ არ უსმენენ.

მეც მინდა ვიყო ისეთი მწერალი, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში“

გოდერძიმ მშვენივრად იცოდა, ვისთვის, რატომ და რას წერდა... რომ ამას უღმერთოდ არ აკეთებდა... და რომ მისი სახელი ერთს კი არა, ათასობით ადამიანს არ დაუჭკნება საქართველოში.

ნინო ზედელაშვილი

ბესიკ ხარანაული და გოდერძი ჩოხელი
მეგობრებთან ერთად.

გოდერძი და კინო

„დიდი სურვილი მაქვს, 2000 წელთან დაკავშირებით გადავიღო ფილმი ქრისტეს ცხოვრებაზე, უკვე მაქვს ლიტერატურული სცენარი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მაქვს ფინანსები. დღეს თავგანწირვად მიმაჩნია, ვინც საქართველოში ფილმს იღებს და ცდილობს არ გაწყდეს ქართული კინოს ძაფი. დღეს ცუდი დღე უდგას კინოს.

უსახსრობის გამო შევაჩერე ფილმის „ვარდისფერი კაცი" გადაღება."

„კინო ჩემთვის ყველაფერი იყო, კინოში ჩემი შესაძლებლობების რეალიზებას ვახდენდი, ღამე ათასნაირ გეგმებს ვაწყობ, გავიღვიძებ და მახსენდება, რომ ქართული კინო აღარ არის, ეს ძალიან ცუდად მხდის"

ეს სიტყვები გოდერძიმ პირველი შეხვედრისას მითხრა. გამიკვირდა, ოჯახი ჰყავს, წერა შეუძლია, კინოს გამო ავადმყოფობა სად გაგონილა-მეთქი.

ალბათ, ყველამ იცის სასაცილო ისტორია, თუ როგორ ნახა გოდერძიმ პირველად კინო. საოცარი იუმორითა და გულწრფელობით ხშირად ჰყვებოდა ამის შესახებ სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუებში. ჩოხში რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა" აუტანიათ. კინო მოიტანესო და გოდერძისაც მოუნდომებია ნახვა. გახუმრებიან, კინო აყრუებსო და პატარა გოდერძიც ყურებში თითებდაცობილი მიაჩერდა თურმე თეთრ ეკრანს, რომელზეც გასაოცარი ამბები ხდებოდა. მერე უფიქრია, მოდი, მარცხენა ყურს გავიმეტებ, გავიგო რას ლაპარაკობენო და ზუსტად იმ დროს გამოუღია თითი ყურიდან, როცა გიორგი მახარაშვილი ტანკებს მისდევს და იძახის: გოდერძი, გოდერძიო. ბიჭს გული გახეთქია: ვაიმე, მიცნოო. აი, მაშინ დაავადდა გოდერძი კინოთი.

თეატრალურ ინსტიტუტში მოხვედრის მიზანიც კინოს გადაღების უზარმაზარი სურვილი იყო. მისაღებ გამოცდაზე რუსული ფილმი „Начало" აჩვენეს თურმე. რუსულთან

ცოტა მწყრალად იყო გოდერძი და ვერაფერიც ვერ გაიგო. გამწარებულს, ამდგარა და ლექსი დაუწერია: „ლექსი დავწერე ირემზე, არწივზე და მგონი შვლის ნუკრიც კი გავურიე შიგ – ყველა ამათგანში კი ჩემს თავს ვგულისხმობდი. სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა ჩემი ბედი. მოდიოდნენ ჩემს სანახავად, მთიდან ვიღაც პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და კინოფილმების გარჩევას გამოცდაზე ლექსად წერსო", – იხსენებს გოდერძი ერთ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ვიცოდი, რომ აუცილებლად იქნებოდა აღდგომა"

გოდერძი 1974 წელს ჩაირიცხა თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე. მაშინ საქართველოში კინო-სარეჟისორო ფაკულტეტი არ არსებობდა, მოსკოვში უნდა წასულიყავი და იქ გესწავლა. გოდერძიმ მოგვიანებით გაარკვია ეს ამბავი, განაწყენდა და ჩოხში აპირებდა დაბრუნებას – მე აქ კინოს გადასაღებად ჩამოვედიო. თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელი რექტორის ქალბატონ ეთერ გუგუშვილის და საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის ე. შევარდნაძის ხელშეწყობით, ინსტიტუტში გაიხსნა კინო-სარეჟისორო ფაკულტეტი და გოდერძი თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს. საბედნიეროდ, პედაგოგები ლანა ღოღობერიძე, ომარ გვასალია, ლალა თაბუკაშვილი, საშა კიკნაძე ხედავდნენ და აფასებდნენ მის გამორჩეულ ნიჭიერებას, განსაკუთრებულ ხედვას.

„მესამე კურსზე გადაღებული ფილმი „ადგილის დედა" ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის მთავარ კონკურსზე მიიწვიეს. ეს უკვე თავისთავად წარმატება იყო – სტუდენტური ფილმის მონაწილეობა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალში. მაგრამ ის, რაც მერე მოხდა... მე ჟიურის წევრი ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, როგორი თანაგრძნობით განიმსჭვალა გერმანელი მაყურებელი ამ 80 წლის გუდამაყრელი ქალის მიმართ, რომელიც ტოპ-მოდელის მიხვრა-მოხვრით დაჰქროდა ხეობის ფერდობებზე, და როგორი სიცილნარევი

ტირილით შესცქეროდნენ ამ სოფელში მარტოდმარტო დარჩენილი, ყულფში თავგაყრილი მოხუცის ძროხასთან გასაუბრებას. შედეგი კი ის იყო, რომ მესამე კურსის სტუდენტის ფილმმა ფესტივალის „გრან-პრი" დაიმსახურა. პატარა ბიჭი – გოდერძი ამ წარმატებას ჩუმი სიხარულით და ფილოსოფიური სიმშვიდით შეხვდა..."

რეჟისორი ლანა ღოღობერიძე

გოდერძიმ ეს ამბავი რომ მიამბო, თან იცინოდა: „მე ისიც არ ვიცოდი, ასეთი მნიშვნელოვანი წარმატება თუ ჰქონდა ჩემს ფილმს. ხალხი გაგიჟებული, გახარებული მილოცავდა, ვერაფერი გავიგე. ლალა თაბუკაშვილთან მივედი საღამოს და ვეკითხებოდი, გამაგებინეთ, რა გავაკეთე ასეთი, რას მილოცავენო".

რა გააკეთა და მე როგორც ერთი რიგითი ქართველი, თამამად ვიტყვი: კინოშედევრებით განებივრებულ, განუმეორებელ ქართულ კინოში გოდერძიმ შექმნა საკუთარი ხელწერა – გოდერძი ჩოხელის კინო. მის ფილმებს ყოველთვის ყველასგან გამოარჩევ, ალბათ, იმიტომაც, რომ უდიდესი სულიერებითაა გამსჭვალული და უსაზღვროდ ქართულია, ქართულია და თანაც ზოგადსაკაცობრიო.

„ადგილის დედა", „ნამეხარი მუხა", „ბაკურხეველი ხევსური", „აღდგომა", „მიწისმზომელები", „ლუკას სახარება", „ადამიანთა სევდა", „მეკვლე", „ცოდვის შვილები", „სამოთხის გვრიტები", „მიჯაჭვული რაინდები", „სიყვარულის ცეცხლი", „აღდგომის ბატკანი", „უცხო" – გოდერძის ფილმები, როგორც წესი, მუდამ საერთაშორისო კინო-კონკურსების პრიზებით აღინიშნებოდა. ობერჰაუზენის კინო-ფესტივალის გრან-პრი, იაპონიის ხიროსიმის საერთაშორისო კინო-ფესტივალის პრიზი, მონტე-კარლოს კინო-ფესტივალის „ვერცხლის ნიმფა", საერთაშორისო კათოლიკური ეკლესიის



კადრი ფილმიდან „აღდგომის ბატკანი“. 1988 წ. მთ. როლის შემსრულებელი მხატვარი ლევან ხარანაული

პრიზი, რუსეთის კინოფესტივალ „კინო-შოკის“ მთავარი პრიზი (3-ჯერ), სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორეს პრიზი, საქართველოს კინოფესტივალის „ოქროს არწივის“ ჟიურის სპეციალური პრიზი და პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სახელმწიფო პრემია – ეს არის არასრული ნუსხა გოდერძი ჩოხელის კინემატოგრაფიაში გაწეული ღვაწლის აღიარებებისა, ყველაზე დიდი ჯილდო კი, რაღა თქმა უნდა, ქართველი ხალხის სიყვარულის დამსახურებაა. ქართული კინოს არარსებობა გოდერძისთვის გამანადგურებელი იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი წერდა: „მართლა საშინელება მოხდა. ასი წლის განმავლობაში ქართულმა კინომ მსოფლიოში მოიპოვა თავისი ადგილი. თავისი განუმეორებელი ხიბლი ჰქონდა

და მსოფლიო კინოს ათეულში იყო შესული. ფესტივალებზე ყოველთვის ინტერესდებოდნენ და ყოველთვის ჯილდოები ჩამოგვქონდა, საქართველოს სახე იყო, დღეს კი აღარ არსებობს. ქართულ კულტურას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს უცხოურს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ყურადღება არ ექცევა. საერთოდ, არანაირი ყურადღება არ ექცევა ქართულ კულტურას. წინა პერიოდში იყო სივრცე, ბაზარი, სადაც ჩვენი კინო გადიოდა. ახლა დადგა საკითხი, რომ კინომ საკუთარი თავი თვითონ უნდა შეინახოს, მარტო ქართველი მაყურებელი არ ეყოფა...



ოპერატორი ჯიმი ქრისტესაშვილი და გოდერძი ჩოხელი „მიჯაჭვული რაინდების" გადაღებაზე. 1998 წ.

ბოლო პერიოდში ევროპელ თუ ამერიკელ მაყურებელს მხოლოდ სანახაობრივი მომენტი აღარ აკმაყოფილებს და პოპულარული ხდება ისეთი ფილმები, სადაც უფრო მეტია სულიერება, ინტელექტი, ორიგინალობა. ამ პირობებში ვფიქრობ, ქართული კინო მოირგებდა ამ ახალ მოთხოვნი-

რამაზ ჩხიკვაძე, გოგი შიოლაშვილი, გოდერძი ჩოხელი, ჯიმი ქრისტესაშვილი, სოსო ლაღიძე, დათო კვირცხალია და ჯემალ ღაღანიძე. სვეტიცხოვლობა. 2000 წ. 14 ოქტომბერი

ლებებს. თუმცა ჩანს, ისეთი მწირია ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი, იმდენი მჭამელი ჰყავს და ისეთი ხალხის ხელშია, რომლებსაც სულ არ აინტერესებთ, ქართული კინო რა მდგომარეობაში იქნება.

ქართული კინო მყარად რომ დადგეს ფეხზე და აპარატურით, გადასაღები ტექნიკით, ლაბორატორიებით და საერთო დონით დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რაც თანამედროვე კინობაზარს გააჩნია, ალბათ, ასი მილიონი დოლარი დასჭირდება. ჩვენთან თვითონ საქართველოა არაჩვეულებრივი მოვლენა კინოგადაღებისთვის: ზღვა გინდა, ზღვაა, მთა გინდა – მთა... თოვლი, უდაბნო... გაიქცევი, გამოიქცევი, იაფი ჯდება ფილმის გადაღება. თანაც ძალიან არტისტული ხალხი ვართ. მე კინოში არაპროფესიონალები – გლეხები გადამილია და არანაირი კომპლექსი არა აქვთ, თითქოს კამერის წინ არიან გაზრდილები".

გ. ჩოხელი

გაზ. „ახალი ვერსია" №42, 2002 წ.

ხედავთ, რას ფიქრობდა და როგორ ფიქრობდა კინოზე გოდერძი?! არ შემიძლია, ერთ საკითხზეც არ გავამახვილო ყურადღება. ეს გოდერძი ჩოხელის პოლიტიკაში მოსვლის მცდელობაა. ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელის შალვა ნათელაშვილის თხოვნით, გოდერძი 2003 წლის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობდა, ხალხმა ეს არაერთგვაროვნად მიიღო. უკვირდათ, ზოგი კიცხავდა, ასე ამბობდა: „ოქროსავით მწერალია და რეჟისორი, რა უნდა ამ სუფთა კაცს ბინძურ პოლიტიკაშიო". ასეთი რამ არაერთხელ გამიგონია. სინამდვილეში კი, გოდერძის სულ სხვა რამ ამოძრავებდა: „შალვა ყოველთვის მეუბნებოდა, მოდი ჩვენთან, გვერდში დაგვიდექიო, მაგრამ მე ჩემი პროფესია ისე მიყვარდა, კინოს გარეშე ცხოვრება არ შემეძლო. ახლა ასწლიანი ქართული კინო, რომელიც მსოფლიო კინოს ათეულშია შესული, განადგურდა. ამასწინათ, მე მიჭირს ამის თქმა, რეზო ჩხეიძე ედუარდ შევარდნაძეს სწერდა, ბატონო ედუარდ, ნუღარ გამოყოფთ ბიუჯეტში ფულს ქართული კინოსთვის, იგი მოკვდა, აღარ არისო. სწორედ ქართული კინოს გადასარჩენად უნდა გადავდგა ეს ნაბიჯი. ახლა ჩემი გაჩუმება ბედსშერიგებული კაცის ყოფაა. მე უნდა ვიმოქმედო, აქტიურად ჩავება ქვეყნის ცხოვრებაში. იმ მწყემსს ხომ არ უნდა დავემსგავსო, ბაკში მგელი რომ შეუვარდა და ხელიც არ გაანძრია ცხვრების გადასარჩენად?"

გ. ჩოხელი
გაზ. „ლეიბორისტი",
29 ივლ. – 10 აგვ. 2003 წ.

გოდერძი იმიტომაც იყო გამორჩეული რეჟისორი, რომ საკუთარი სცენარების მიხედვით იღებდა ფილმებს. იღებდა იმას, რაზეც ფიქრობდა, რაც სტკიოდა, იღებდა ისე, როგორც ხედავდა და მთელი მშვენიერება მისი სულის, გონების და ნიჭიერებისა სრული სისავსით მოჰქონდა ჩვენამდე. გოდერძის თითქმის ყველა ფილმში არაპროფესიონალი მსა-

ხიობები ჰყავს გადაღებული. ისინი იმდენად ბუნებრივად და კარგად თამაშობენ, რომ პროფესიონალებისგან მათ ვერავინ გამოარჩევს.

„პირველად ბებიაჩემი (სოფიო ჩოხელი) გადავიღე „ადგილის დედაში", „ნამეხარ მუხაშიც" გუდამაყრელები თამაშობენ. თავიდან, იცი, როგორ არ აინტერესებდათ გადაღება? მასხარაობას ეძახდნენ. ნუ გაგვამასხარავებო, მეხვეწებოდნენ. მაინც არ მიწევდნენ წინააღმდეგობას, რადგან დედაჩემი მაგრად უყვარდათ. „ბაკურხეველ ხევსურში" ჩემი ძალლები გადავიღე. გუდამაყრელი ქალი, იცი, როგორია? სულ რაღაცას დარდობს. ოცი წლის წინათ გარდაცვლილს დარდობს, კინომი თამაში მათთვის ამ დარდის უგულებელყოფას ნიშნავდა და არ უნდოდათ. მერე დამთანხმდნენ, მაგრამ იმ ეპიზოდს როცა მივუახლოვდი, რომ კაცისთვის პანღურები უნდა ამოერტყათ, გაჯიუტდნენ. მითხრეს, ხომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც გვითხარი და ასეთ რაღაცას ნუ გაგვაკეთებინებ, სად გაგონილა, ქალმა კაცს წიხლი ამოარტყასო. ბოლოს მაინც დავითანხმე" – იხსენებდა გოდერძი.

მე ძალიან მიყვარს მოკლემეტრაჟიანი ფილმი „აღდგომა" ვფიქრობ, ეს გოდერძის ერთ-ერთი დიდი ნამუშევარია. მიყვარს კიდევ, იმიტომ, რომ ჩემს დისშვილს – ბეგის ამ ფილმით გავაცანი გოდერძი, მაშინ 7 წლის იყო, კარგად ხატავდა და ისე იმოქმედა ბავშვზე ამ საოცარმა ფილმმა, რომ მაშინვე დაჯდა და დახატა კრწანისის ბრძოლა თავისი არაგველებით, ერეკლე მეფით, თათრებით და არაგველების მოზარე გოდერძი ჩოხელით.

გოდერძიმ „აღდგომის" შესახებ ერთი საინტერესო ისტორია მიამბო, ძალიან მომეწონა და რამდენჯერმე მოვაყოლე. 1982 წელს, როცა ფილმი გადაიღო, კომუნისტების პერიოდი იყო და აღდგომაზე, საიქიოზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ამიტომ ფილმის გაშვების ნება ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს უნდა დაერთო. ფილმის ჩვენებას ცეკას ყველა მდივანი ესწრე-

ფილმის „აღდგომა“ გადაღებაზე. 1982 წ.

ბოდა. იწყება და ისმის გოდერძის ხმა: „მე ვარ გოდერძი ჩოხელი, მე მინდა, ცოტა ხნით სხვა სამყაროში წაგიყვანოთ – ამ სამყაროს საიქიო ჰქვია“ ყველა გაჩუმებულა, გაიცინებდა შევარდნაძე – გაიცინებდა ყველა, მოიღუშებოდა – ყველა მოიღუშებოდა. მერე ფილმი გაურჩევიათ, სოლიკო ხაბეიშვილს უთქვამს: თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი დამაჯერა ჩოხელმა, რომ საიქიო არსებობსო. ფილმის ბოლოს ისმის ბრძოლის ხმა და ამ ყიჟინაზე ეკრანზე დიდ ქართველთა სახეები ჩნდება: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ერეკლე მეორის, ილია ჭავჭავაძის. ილიას დროს ყიჟინა წყდება, ისმის გოდერძის ხმა „სადა ხართ, ქართველებო? სადა ხართ, არაგველებო?“ ერთი მლიქვნელი გადაკიდებია გოდერძის: როგორ, ჭავჭავაძის შემდეგ ჩვენ დიდი კაცი არ გვყოლია? არავინ არის ღირსი, რომ ჩასვაო? ალბათ, უნდოდა, რომ შევარდნაძისთვის ესიამოვნებინა, აშკარად მას გულისხმობდა. გოდერძის პასუხი არ გაუცია და იმ კაცმა რომ არ მოისვენა, თავად შევარდნაძეს უთქვამს: როგორც ჩანს,

შენ ილია ჭავჭავაძე გიშლის ნერვებსო და გაუჩუმებია. მე ძალიან ვხალისობდი ამ ამბავზე. გოდერძიმ კიდევ ასეთი რამ თქვა: „სხვათა შორის, როცა შევარდნაძემ გაარჩია ჩემი ფილმი, გამიკვირდა, როგორ კარგად ერკვეოდა ხელოვნებაში, ასე კარგად არცერთ კრიტიკოსს არ გაურჩევია ის. და ბოლოს მან თქვა: ჩვენ თუკი გვატარა ჩოხელმა საიქიოში, სხვებმა რაღა დააშავესო და ფილმი დაუშვეს"

„ბაკურხეველი ხევსური" კინოკრიტიკოსებმა და მაყურებელმა ბედისწერაზე გადაღებულ ფილმად აღიქვეს. გოდერძი კი ამბობდა, რომ თოფიანი ბიჭი, რომელიც ქალებს აღმა-დაღმა დაარბენინებს, ჩემი წარმოსახვით აგრესიული რუსეთიაო. რუსეთიც ასე, იარაღის მუქარით მოკავშირე რესპუბლიკებს თავის ჭკუაზე ატრიალებს და მინდოდა, ამ ფილმით მეთქვა, რომ ერთხელაც იქნება, ეს იარაღი თვითონ რუსებს მიუბრუნდებათო. „ბაკურხეველი ხევსური" რომ იწყება, მთის სიღერა ისმის. გოდერძის ვკითხე, ვინ მღერისმეთქი და მეო – გაიცინა. მერე იხუმრა, დათოს (ჩემს მეუღლეს) მოასმენინე, ანსამბლში გამოვდგებიო.

მინდა გითხრათ, რომ მშვენივრად მღეროდა და საერთოდ, გოდერძის არაჩვეულებრივი მუსიკალური გემოვნება ჰქონდა, მისი ფილმების უმეტესობა კომპოზიტორების – იაკობ ბობოხიძის, ნოდარ გიგაურის მუსიკით და ხალხური სიმღერების შედევრებითაა დამშვენებული.

„ბაკურხეველ ხევსურზე" გოდერძის გული სტკიოდა, დამეჩაგრაო. ისევე, როგორც ადამიანებს, ფილმებსაც თავისი ბედი აქვთ. ზოგი კაცი იღბლიანია, ადვილად გამოსდის საქმე, უმართლებს. „ფილმებიც ასეა. ისე მოხდა, რომ „ბაკურხეველი ხევსური" ვერც ერთ ფესტივალზე ვერ გავაგზავნე, არადა, დარწმუნებული ვარ, რუსიც, ინგლისელიც, ფრანგიც, ერთნაირად გაიგებდა და შეიყვარებდა. ჰოდა, რადგან ასე დამეჩაგრა, იმიტომაც, სხვებთან შედარებით, ცოტათი მეტად მიყვარს"

ერთ-ერთ ინტერვიუში გოდერძი წერს: „ეს ალბათ, უკვე ოცნებაა, მაგრამ ძალიან მინდოდა, კომედია გადამეღო.

დღეს მსოფლიო კინოს კომედია აკლია. არადა, კინო-ცხოვრების გარიჟრაჟზე სწორედ კომედია იყო პირველი... შეუდარებელი ჩარლი ჩაპლინი თავისი სევდიანი, უზარმაზარი სიკეთით სავსე კომედიებით, დღესაც ისე ხიბლავს და იზიდავს მაყურებელს.

ბედნიერი იქნება ის რეჟისორი, ვინც შეძლებს და კინოს სიკეთით სავსე, სევდიან კომედიებს დაუბრუნებს, ისეთს, რომ გაგამხიარულებს, თან ამ სევდით გაგწმენდს ცოდვებისაგან, სულს შეგიმსუბუქებს და უკეთესს გაგხდის"

ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ბედნიერი რეჟისორი, თავად გოდერძია. „სამოთხის გვრიტები" სწორედ ასეთი ფილმია.

ნინო მიყვებოდა, როცა გოდერძიმ ბიჭვინთაში დაქორწინებამდე ჩააკითხა, მას უკვე მოფიქრებული ჰქონია „სამოთხის გვრიტების" სცენარი, და როცა გვიამბო, იმდენი გვაცინა, სულს ველარ ვიბრუნებდითო.

გოდერძის ყველა ფილმი, რომელთა გაგზავნაც მოხერხდა საერთაშორისო კინო-ფესტივალებზე, მაღალი ჯილდოებით აღინიშნა. „სამოთხის გვრიტებმა" რუსეთის კინოფესტივალზე „კინო-შოკი" გრან-პრი აიღო. ღირსეული კონკურენცია გაუწია რუსი რეჟისორის პავლე ჩუხრაის ფილმს „ქურდი" და უზარმაზარი სიხარული მოუტანა გადამღებ ჯგუფსა და მთელ საქართველოს. მომდევნო წელს „ლუკას სახარება" იყო წარდგენილი მთავარ პრიზზე, მაგრამ უფიქრიათ, ჩოხელის ფესტივალი ხომ არ არისო და პრიზი მხოლოდ საუკეთესო სცენარისთვის მიუნიჭებიათ. მესამე წელს „მიჯაჭვული რაინდები" წარადგინა გოდერძიმ და კიდევ ორი მთავარი პრიზი მიიღო ფილმმა: „საუკეთესო მსახიობისა" და „საუკეთესო პროდიუსერისთვის" აბა, მითხარით, რუსებისთვის ეს იოლი გადასატანი იქნებოდა?! თუმცა, ერთ რუს კრიტიკოსს უთქვამს: „გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს ეს თუ არა, გოდერძი ჩოხელმა თავისი კინო შექმნა, რომელიც არავის ჰგავს".

„მიჯაჭვული რაინდები“ რუსების დაკვეთით გადაიღო გოდერძიმ, გახმოვანებაც პირველად ქართულად სდომებია, მაგრამ რუს პროდიუსერებს ქართულად გახმოვანებისთვის ფული არ მიუციათ. ბევრი ურბენიათ გივი ბერიკაშვილს, რამაზ ჩხიკვაძეს, კახი კავსაძეს, მაგრამ საჭირო თანხა 20.000 დოლარი ვერ უშოვიათ. დარჩა ფილმი რუსული ტექსტით. გოდერძის გული სწყდებოდა, იუმორის 70 პროცენტი იკარგებაო, მას ხომ განუმეორებელი იუმორი ჰქონდა. „უცნაური შეგრძნება მქონდა, როცა ფილმი მოსკოვში მიმქონდა – თითქოს სხვა ფილმი წავიღე; მერე, იქ რომ რუსულად გავახმოვანე და უკან ვბრუნდებოდი, თვითმფრინავში ვიჯექი და ლამის ვტიროდი. თითქოს ქართველი შვილი ნაგიყვანია, გაგირუსებია და ისე დაგიტოვებია... ძალიან მტკივნეული განცდა იყო“

გოდერძი თავისი ფილმების, მოთხრობების, რომანების „დედა“ იყო, ერთხელ ვუთხარი, რატომ გიკვირს, რომ ცუდად ხარ?! შენი პერსონაჟების მთელი ცხოვრება, დარდი და სიხარული, ტანჯვა, ფიქრი, შენს გულზე გაატარე, იმდენი საქმე აკეთე, 10 კაცს გაუჭირდებოდა. ჰოდა, კიდევ კარგად გიძლებს ეგ გული-მეთქი.

ბოლოს, მაინც ვერ გაუძლო.

ყველაფერზე მინდა დავწერო, არადა, სიტყვა გამიგრძელდა. „ადამიანთა სევდაში“ ვირზე დაკრული ზარბაზანი ძალიან მომწონს, ვკითხე, ვინ მოიგონა „ფეჩის“ ზარბაზნობა-მეთქი. მეო – გაიცინა. მყვირალებზე ვკითხე. სიცილი აუტყდა: გადაღების დროს ხან ისე ყვირდნენ, შემოსევა გეგონებოდაო. „ადამიანთა სევდა“ უძლიერესი ფილმია. გოდერძიმ ზუსტად გადმოსცა ის მთავარი სათქმელი, რაც რომანშიც უდიდესი პროფესიონალიზმით ასახა. „ადამიანთა სევდა“ – რომანიც და ფილმიც გოდერძის უზარმაზარი შრომის და დიდი ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე შედეგია.

არ შეიძლება „ლუკას სახარება“ ნახო და სულიერად არ გაიზარდო, სხვანაირი ხდები, თითქოს. გოდერძის ვკითხე:

სოფ. ხახმატი. ფილმის „ადამიანთა სევდა“ გადაღებაზე. 1983 წ.

ამხელა ჯვარი რომ აჰკიდე ლუკას (მისი უფროსი ვაჟი), არ შეგეცოდა?! ჯვრის ტარება ერთია, მაგრამ ის უმძიმესი განცდა, რაც სახეზე ახატია ჯვარზე გაკრულ ლუკას, მართლა განიცადა, ალბათ. შვილი როგორ გაიმეტე ამისთვის?!

„რა მექნა, აბა, სხვის შვილს ხომ არ გავიმეტებდი“, – მტკიცედ თქვა გოდერძიმ. პატარა ნიკა (უმცროსი შვილი) ყველ-პურისთვის გაწკეპლეს დირექტორის ბრძანებით. გული გეწურება მაყურებელს პატარა, გამხდარ ფეხებზე ჯოხს რომ ურტყამს აფციაური, თურმე გოდერძი აქეზებდა აფციაურს, მაგრად მიარტყი, რომ ბუნებრივად იტიროსო. იმანაც მიარტყა, მაგრამ ბოლოს ისეთი თვალებით დგება ნიკა თავის ადგილას, ჩოხელების გაუტეხელობას დაინახავს კაცი. მე ეს მომენტი ძალიან მომწონს, გოდერძი კი იცინოდა: ჰო, შუღლიანთ ჯიშისააო.

„ცოდვის შვილები“ პირველად მე და ჩემმა შვილმა ბაჩომ ვნახეთ, ერთად. ბავშვი სუნთქვაშეკრული უყურებდა და ბოლოს ცხარედ ვიკამათეთ იმაზე, თუ რატომ არ აიღო ქისტმა



ზურა ყიფშიძე მგელიკას როლში „ცოდვის შვილები“. 1989 წ.

მგელიკას მიერ გადაგდებული გასაღები ბორკილების გასახსნელად. ბაჩო მეუბნებოდა, ქისტიც ვაუკაცია, არ იკადრა ასე მიგდებული თავისუფლებაო. მე სხვას ვუმტკიცებდი. მერე გოდერძის დავურეკე, ვკითხე, შენ როგორ ფიქრობ, რატომ არ წავიდა ქისტი-მეთქი. გოდერძიმ ყურადღებით მომისმინა და ბავშვი მართალიაო – თქვა.

გოდერძის ფილმები ყველა ფესტივალიდან ჯილდოებით ბრუნდებოდა საქართველოში. ეს ახარებდა, მაგრამ ყველაზე დიდ ჯილდოდ ხალხის დამოკიდებულებას, სიყვარულს, ჩვენი სამღვდელოების მოსაზრებებს და შეფასებას მიიჩნევდა. სასულიერო პირთა აზრით, ამ ფილმებით ძალზე ადვილია ადამიანთა რწმენაში შეყვანა და ღვთის გზაზე შედგომა. გოდერძი იმიტომაც არის დიდი რეჟისორი, რომ ძალიან მარტივად გვიხსნის და გვასწავლის ქრისტიანულ მორალს, სიყვარულს, სულის სისუფთავეს, მაღალ ზნეობრივ პრინციპებს.

ლეო ფილფანი ფილმში „ცოდვის შვილები“ 1989 წ.

მეუფე ნიკოლოზმა წმინდა ნინოს გზაზე მომლოცველთა ჯგუფი წაიყვანა და თან გოდერძის ფილმები წაიღო, მოსახლეობას უჩვენებდა, ქადაგებისას კი ისეთ ნიუანსებზე გადაჰქონდა აქცენტი, რომელიც უთუოდ ღვთის კარნახით გადაიღო რეჟისორმა. უწმინდესი გოდერძის ფილმებს ნამდვილ ცხოვრებას უწოდებდა, რადგანაც მათში განცდა ბუნებრივია, თამაში კი – ნაკლები.

„სამოთხის გვრიტებში“ რომ ანაფორაში გამოწყობილი გმირი ლოცვას იწყებს, ვის შეეპარება ეჭვი, რომ ის ნამდვილი მღვდელი არ არის? ანდა, კახი კავსაძეს რომ მთელი გადამღები ჯგუფის თვალწინ გადაეფინა ნათელი სახეზე მისდა უნებურად, ქუდის მოხდისა და ლოცვის დაწყებისას, რა არის ეს, თუ არა ღვთის მადლი?

„ლუკას სახარებაში“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ხარია, ლუკა – მახარებლის სიმბოლო მართლაც, ხარი რომ

წმინდა ნინოს გზაზე. 2000 წ.

ყოფილა, მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო რეჟისორმა პატრიარქისგან. „ლუკას სახარების“ ჩვენებისას ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა საპატრიარქოში: უწმინდესის ულამაზესი და უჭკვიანესი ძაღლი მშვიდად იწვა თურმე მისი სავარძლის ქვეშ. მაგრამ სკოლის დირექტორი რომ სახარებას ართმევს პატარა ლუკას, რომელსაც გოდერძი ჩოხელის ვაჟი – ლუკა ასრულებს, იმ ადგილას ძაღლი გაგიჟებულა, ყეფით მივარდნია ეკრანს და დირექტორის „დაგლეჯა“ მოუნდომებია. პირველად ეს ამბავი უბრალო დამთხვევად მიუჩნევიათ, მაგრამ როცა ამ კადრის განმეორებითი ჩვენებისას იგივე განმეორებულა, ყველა ერთნაირად გაოცებულა.

სწორედ მსგავსი ამბების გამო მიიჩნევენ სასულიერო პირები, რომ გოდერძი ჩოხელი ღვთისადმი მიძღვნილი, ღვთისადმი შეწირული მწერალი იყო და მისი შემოქმედება უფლისადმი მიძღვნილი მსახურების ერთგვარ ფორმას წარმოადგენს“.

თამარ კაპანაძე,
გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“,
22-29 ნოემბერი, 2007 წ.

რამდენი დავწერე გოდერძისა და კინოს შესახებ, კიდევ უამრავი რამაა სათქმელი, მაგრამ ისევ გოდერძის უნდა ვათქმევინო მთავარი. ის ყველაფერზე არაჩვეულებრივად საუბრობდა.

„კინოს განსაკუთრებული ხიბლი აქვს – სხვა სამყაროა და სხვა განზომილება. შეიძლება ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ კინო უზომოდ მიყვარს. მე მომწამლა, მომაჯადოვა ამ სამყარომ და, როცა ერთ დღეს კინოს გარეშე დავრჩი, უცებ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. თითქოს სხვა გოდერძი ჩოხელი ვიყავი და ახლა სხვა გოდერძი ჩოხელი ვარ... ბევრჯერ მითქვამს, კინოს გარეშე სიცოცხლეს ვერ შევძლებ-მეთქი და, პრაქტიკულად, ასეც მოხდა, უზარმაზარი ტრავმა მივიღე. რასაც კინოში ვერ გამოვთქვამდი, მოთხრობებად ვაქცევდი ხოლმე... უცბად უყველაფროდ დავრჩი“

აქ მინდოდა თხრობა დამესრულებინა, მაგრამ ორი საინტერესო ისტორია გამახსენდა. „ადამიანთა სევდაში“ ერთი სცენაა, შვილის მომლოდინე მოხუც ქალთან ფილოსოფოსი გამოკითხვას აწარმოებს, ეს ქალი სანთლით ხელში, ისე „პროფესიონალურად კვდება“, გოდერძის ვკითხე, რა მაგრად თამაშობს, ესეც შენი ძალოა-მეთქი? გოდერძის ძალოები – ყველანი პროფესიონალი მსახიობებივით თამაშობენ მის ფილმებში. არაო, – მითხრა – ეს მოხუცი ქალი გზაზე ვიპოვეთ, დამჭკნარ ვაშლებს ყიდდა, ვაშლი ვიყიდე და კინოში გადაღებაც შევთავაზე. მოხუცს უარი უთქვამს, ქალაქში შვილები მყვანან და კინოში რომ მნახონ, სირცხვილიაო. „სირცხვილი ის არის, ამ ხნის ქალი აქ რომ ზიხარ“ – წამოსცდენია გოდერძის. დაიყოლია. მოხუცმა არაჩვეულებრივად ითამაშა.

„ადამიანთა სევდაში“ გალილეი მიყვარს ძალიან და ვაჟი გოგი (მსახიობი გურამ ფირცხალავა), გოდერძიმ თქვა, გალილეი მსახიობი არ არის, ფოტოებს იღებდა გადაღებების დროს, მამუკა ხერხეულიძეაო. ხახმატში იღებდნენ ფილმს და ერთ სცენაში გალილეი ქათმებს ეომება და ხოცავს. 8 დუბლს იღებდა ხოლმე გოდერძი. იყიდიან ქათმებს, გალილეი წაასლეკს თავებს, იყიდიან, კიდევ წაასლეკს და ასე.

გალილეი (მსახიობი მამუკა ხერხეულიძე)
ფილმიდან „ადამიანთა სევდა". 1983 წ.

ფილმის „ადამიანთა სევდა" გადაღებაზე. 1983 წ.



გოდერძი ჩოხელი და ოპერატორი იგორ ამასიისკი ფილმის „ადამიანთა სევდა“ გადაღებისას 1983 წ.

გაწყვიტა მთელი ხევსურეთის ქათმები. ხელახლა წასულან ქათმების საყიდლად და მზის გულზე მჯდარ ერთ ბებერ ქალს გოდერძისთვის დაუძახია: – „შე მამაძაღლისავ, შენა... ამდენ ქათმებ რო გამოგვართვი და თავებ რომ წააჭერით, გაზაფხულზე კვერცხებს კრუხად მე ხომ არ დავაჯდებიო“

წერილი, რომელიც ქვემოთ არის მოტანილი, 2 წლის წინათ (2007 წელს) ნინომ ჩამომიტანა ფასანაურიდან. ბათუმიდან დაურეკავთ, მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალს ვატარებთ და ბატონმა გოდერძიმ, თუ თავად ვერ ჩამოვა, მიმართვა დაგვიწეროსო. გოდერძი სად წავიდოდა, ავად იყო უკვე, დაუწერია მიმართვა, ტელეფონით გადაუცია და ფურცელს აგდებდა თურმე. ნინოს გამოურთმევია: „ნინოს წავულებ ზედელაშვილს, ხომ იცი, შენსას ყველაფერს აგროვებს, გაუხარდებაო“ ძალიან გამიხარდა.

„კინო ჩემთვის ყველაფერია და ძალიან მიხარია, რომ ქართველები მართლმადიდებელი ქვეყნების ფესტივალს ატარებენ.

პირველად სმოლენსკში მივიღე ასეთ ფესტივალში მონაწილეობა და ისეთი შეგრძნება მქონდა, ფესტივალს კი არა, წირვას ვესწრებოდი. ისე მოეწონა მაშინ იქაურ მაყურებელს „ლუკას სახარება“, მოითხოვდნენ გრან-პრი მიეცათ ფილმისათვის. რაც იმათ მლოცეს, ალბათ ის ლოცვა მრავალ განსაცდელს გადამარჩენს. რუსეთის პატრიარქის მიერ დაწესებული პრიზითაც დამაჯილდოვეს.

სანამ ჩვენ ასეთი ფესტივალების სურვილი გვექნება, ვერაფერი გაგვტეხს. უფალი უფრო ახლოს იქნება ჩვენთან და მე მინდა მოგილოცოთ ფესტივალის ჩატარება.

ჩვენი უფალი გფარავდეთ ფესტივალის ორგანიზატორებს, კონკურსში მონაწილეებს და მაყურებლებს.

ამინ!“

სიყვარულით გოდერძი ჩოხელი,
2007 წლის აგვისტო

ნინო ზედელაშვილი

„ადგილის დედა“

ნებისმიერ ფესტივალზე სიახლეთა ძიების მიმართულებას გამარჯვებულები განსაზღვრავენ.

ობერჰაუზენის ფესტივალზე ყველაზე საპატიო პრიზი დამწყები ქართველი რეჟისორის – გოდერძი ჩოხელის ფილმმა „ადგილის დედამ“ მიიღო.

ფილმის მთავარი გმირი მოხუცი ქართველი ქალია. მთიელმა ქალმა ნარნარი სიარულითა და დამღლელი, ყოველდღიური საქმიანობით შეაბიჯა კინო-ჩვენებათა საინტერესო და რთულ სამყაროში. ის სოფლის ერთადერთი მცხოვრებია. შვილი ომში დაკარგა, მეზობლები და ნათესავები დაიხოცნენ, ან ქალაქში გადასახლდნენ.

ამის მიუხედავად, მოხუცი სოფლელი ქალი ყოველ დილას ისე ჰგვის ეზოს და ალაგებს სახლს, თითქოს, შიგ მთელი ოჯახი ცხოვრობდეს.

ამ ქმედებებში ავტომატურობა არ იგრძნობა, პირიქით, მისი საქციელი გამსჭვალულია თავისი მოვალეობის, ბუნებასთან, მშობლიურ მიწასთან კავშირის სრული აღქმით. სანამ ადამიანი ცოცხალია, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მის კერაზე ცეცხლი არ ჩაქრეს და ბალახმა მშობლიური სახლისკენ მიმავალი ბილიკი არ დაფაროს.

ალბათ, სწორედ ამიტომ აიღო კინოკამერა გოდერძი ჩოხელმა, რომელიც ფილმზე მუშაობის დროს, საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, და თავისი პირველი ფილმით გვიამბო იმაზე, რაც ყველაზე მეტად აღელვებდა – მშობლიურ მიწაზე, თავის სოფელზე.

ვფიქრობთ, ქართული სტუდენტური ნამუშევრები ცალკე განხილვას იმსახურებენ. მათში ყოველთვის იგრძნობა ის განსაკუთრებული აღმაფრენა და უშუალობა, რაც ახასიათებს პირველ ნამუშევარს.

საფესტივალო პროგრამა იმდენად მრავალფეროვანი იყო, რომ საინტერესო ფილმების ჩამოთვლაც კი ძნელია.

თუმცა, უნდა გამოიყოს ამერიკული კომედიური ნოველა „სათამაშო ავტომატები“, რომელიც ერთდროულად სასაცილოცაა და საშიშიც. ამ ფილმში თამაში გადაიზრდება რეალობაში და საშინელი შედეგით მთავრდება. განხილვის დროს მწვავე კამათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არის საშიშროება, რომ იგივე დაემართოს კინემატოგრაფსაც. მას შეუძლია გადაიქცეს დამოუკიდებელ, ბოროტ ძალად, რომელიც ნამსხვრევებად აქცევს ყველაფერს, რითაც ცოცხლობს ადამიანი, – ზნეობრივ იდეალებს, ეროვნულ კულტურას, სულიერ ფასეულობებს.

აი, რატომ არის საჭირო ნებისმიერ კინემატოგრაფში და ნებისმიერ ფესტივალზე „ადგილის დედა“-ს მსგავსი ფილმები.

ამგვარი ნამუშევრები მრავალფეროვან მხატვრულ ძიებებს უმაღლეს დანიშნულებას ანიჭებს. ჩვენ კი, გვაჯილდოებენ სიცოცხლისადმი, უბრალო ადამიანისადმი და მშობლიური მიწისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით, ურომლისოდაც ვერ იარსებებს კინემატოგრაფი.

ტ. ხლოპნიანკინა,
„ლ.ტ.“ სპეც. კორ.
„Литературная газета“ №21, 1982 წ. 26 მაისი

კადრი ფილმიდან „ადგილის დედა“

„გოდერძი არის დიდი ცრემლი ქართველი ერისა“...

გოდერძი უდიდესი შემოქმედი იყო (ამის თქმას ხმამაღლა დღეს რატომღაც ერიდებიან, მაგრამ ალბათ გავა წლები და მის მიერ წინ წამოწეული ეროვნული თუ ზოგადსაკაცობრიო თემები მსოფლიოს ყურადღებას მიიპყრობს).

იგი თავისი აზროვნებით, სულიერი მდგომარეობით, პიროვნული თვისებებით, შემოქმედებით ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, თუმცა უდიდეს სულიერ ბრძოლებს უძლებდა, ქოზიფას მონასტერში თვითმკვლელობაც სცადა, მაგრამ უფალმა ისმინა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა, უამრავი ქართველის ვედრება და გოდერძი გადარჩა. თავად უკვირდა, როცა ღმერთს რაიმეს შესთხოვდა, უსრულდებოდა სურვილები და ახლაც ცხადი იყო, როგორ უყვარდა გოდერძი უფალს. ამის შესახებ თვითონ ამბობდა: „ღმერთმა გადამარჩინა, მაშინ რომ მოვმკვდარიყავი, ჯოჯოხეთში მოვხვდებოდი“

უწმინდესმა და ქართულმა ეკლესიამ გოდერძის გასამხნევებლად ყველაფერი გააკეთეს. მისი უწმინდესობა როგორც სულიერად, ისე მატერიალურად ხშირად ეხმარებოდა გოდერძის და მის ოჯახს. მეუფე დანიელი სულ დადიოდა დედა ელენესთან ერთად, ესაუბრებოდა გოდერძის, აღსარებას იბარებდა. აზიარებდა. მეუფე ხშირად უკურთხებდა სახლს, ლოცვას კითხულობდა და პარაკლისებს იხდიდა. მისი დავალებით ბევრი მოძღვარი მოდიოდა სახლში, ზოგჯერ კვირაში რამდენჯერმე იბარებდნენ აღსარებას და აზიარებდნენ, რომ სულიერად გაძლიერებულიყო. საეკლესიო პირებს აინტერესებდათ გოდერძისთან საუბარი, მისი ალალი, სუფთა და მაღალზნეობრივი შეხედულებები სამყაროზე და პატივს სცემდნენ.

გოდერძის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა პატრიარქთან. ერთხელ მითხრა: „ისე ცუდად ვარ, სი-

ცოცხლე აღარ მინდა, მაგრამ ვიცი, რომ უწმინდესი ძალიან იდარდებს, თავს ვეღარ მოვიკლავ. ჩემთვის მფარველი ანგელოზივით არის, დედაც არის, მამაც, დაც, ძმაც, ნათესავიც და ახლობელიც" საავადმყოფოში თქვა: უწმინდესს ვუტოვებ ჩემს შვილებსო.

მინდა, პატარა ნაწყვეტი მოგაწოდოთ ჟურნალ „კარიბჭეში" გამოქვეყნებული წერილიდან, სადაც გოდერძი უწმინდესის შესახებ ამბობს:

„მან დანგრეული, გაპარტახებული ეკლესია ჩაიბარა, ჩაფერფლილ სულიერ ღადარს სული უბერა და კოცონი ააგიზგიზა."

ჩვენი ისტორიის მანძილზე, როცა გვიჭირდა, ღმერთი მაინც მოგვივლენდა ხოლმე დიდ ადამიანს. ეს დიდი ადამიანები გულთაბოძებად შეუდგებოდნენ ხოლმე ქართველ ერს და მთელ სიმძიმეს თვითონ იტვირთავდნენ. სწორედ ასეთი გულთაბოძია მისი უწმინდესობა, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. უწმინდესის სახით ჩვენ ღვთის მადლი მოგვევლინა.



უწმინდესი და უნეტარესი ილია II კინოსტუდიაში ფილმების „სამოთხის გვრიტები" და „ლუკას სახარება" პრემიერაზე. 1998 წ.

გული მწყდება, რომ ავადმყოფობის გამო უწმინდესს ველარ ვნახულობ. მენატრება მისი მშვიდი, ტკბილი, მშობლიური სიყვარულით სავსე ხმა.

ღმერთო, კიდევ დიდხანს, დიდხანს ისმოდეს ქართველების გასახარად ეს ხმა. ამინ!"

გოდერძის „სამოთხის გვრიტები" და „ლუკას სახარება" რომ გადაულია, უწმინდესი მეუფეებთან ერთად კინოსტუდიაში მისულა სანახავად, გოდერძი ნერვიულობდა, ეშინოდა, უწმინდესი არ გაბრაზებოდა ფილმს „სამოთხის გვრიტები" რომ უწოდა. ჩვენების შემდეგ უწმინდესს უთქვამს: „გოდერძი, ესენი მართლა სამოთხის გვრიტები არიან, მაგრამ შენ საიდან იცი, რომ ადრე ასე ასწავლიდნენ მთაში წერა-კითხვას?" გოდერძიმ მართლა არ იცოდა ამის შესახებ. უწმინდესმა თავისი მამის მონაყოლი გაიხსენა, თურმე მართლა ასე ასწავლიდნენ წერა-კითხვას...

უწმინდესი ყოველთვის დიდ სიყვარულს გამოხატავდა გოდერძის მიმართ, ზუსტად გრძნობდა მის სულიერ მდგომარეობას. ამიტომაც როდესაც გოდერძის თავის დაჭრის შესახებ ილია მეორეს აუწყეს, მან თითქოს იწინასწარმეტყველა – ვიცი, რომ არ მოკვდება, თავის მოკვლა არ უნდოდა, დანა იმას ჩაარტყა, რაც მასში იყო ჩაბუდებულიო...

2005-06 წლებში თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორმა მაია წიკლაურმა გამოსცა წიგნი გოდერძის შემოქმედების შესახებ: „გოდერძი ჩოხელი – ერისა და მთის შვილი" ამ წიგნში განხილულია მწერლის შემოქმედების ზოგიერთი თემა, იგი პირველი მცდელობაა გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შეფასებისა და დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რასაც გოდერძი ჩოხელის უზარმაზარი და ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა ჰქვია. წიგნი გამდიდრებულია ფოტომასალით და იმ ადამიანთა მცირე ჯგუფის წერილებითაც, ვინც კარგად იცნობდა მწერალს, მის შემოქმედებას. გოდერძისთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ უწმინდესის შეფასება წამძღვარებოდა წიგნს. ეს გადაწყვე-

ტილება იმან განაპირობა, რომ გოდერძისთვის პატრიარქის აზრი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

საპატრიარქოს მგალობლის გიორგი ცერცვაძის და ქალბატონი შორენას საშუალებით, ჩვენმა თხოვნამ უწმინდესამდე მიაღწია და წიგნი ჩვენი პატრიარქის ბრძნულმა და სიყვარულით სავსე პატარა, მაგრამ ძვირფასმა წერილმა დაამშვენა:

„გოდერძი ჩოხელის მრავალმხრივი შემოქმედება სიკეთისა და სიყვარულის სადიდებელია. ეს არის პიროვნება, რომელიც მთელი გულწრფელობით უხსნის თავის შინაგან მდიდარ სამყაროს ადამიანებს და საოცარი უბრალოებით აფიქრებს მათ ღრმა ფილოსოფიურ საკითხებზე.

გოდერძი ჩოხელი ჩვენი დროის მოვლენაა. ღმერთმა დალოცოს იგი, კვლავაც ერთგულად ამსახუროს ღმერთსა და სამშობლოს“

ილია II,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.



უწმინდესი და უნეტარესი ილია II კინოსტუდიაში. მეუფე ზენონი. 1997-98 წ. ფილმის „სამოთხის გვრიტები“ პრემიერა – ჩვენება

2007 წლის 20 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილებით, გოდერძი ჩოხელი ქართველებისთვის სათაყვანებელ ადგილას – მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში სამუდამო განსასვენებელს მიაბარა ქართველმა ხალხმა. ასეთი პატივის მიგებით უწმინდესმა დიდი აღიარება და სიყვარული გამოხატა გოდერძის მიმართ. მან ღირსეულად შეაფასა ხელოვანი, ადამიანი, რომელიც ცხოვრებითა და შემოქმედებით ზნეობის, ქრისტიანული სულის და მართალკაცობის მაგალითს წარმოადგენდა.

„დღეს საქართველომ უნდა მიაბაროს მშობლიურ მიწას ნეშტი დიდი ადამიანის – ბატონი გოდერძი ჩოხელისა, და ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს მისი სულისთვის; მისი ცხოვრებისთვის; დიდია მისი დამსახურება ერისა და ეკლესიის წინაშე.

მე ძალიან ახლოს ვიცნობდი მას, არაერთი საუბარი გვქონია ჩვენ. მე მინდა ვთქვა, რომ მართლაც რჩეული იყო ღვთისა თავის ბუნებით, თავისი სულიერი სამყაროთი და ის მზად იყო მკვიდრი გახდეს სასუფევლისა. ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული. ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას. ამასთანავე, მე მინდა ვთქვა, რომ ეს არის მწუხარება მთელი საქართველოსთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!"

ეს სიტყვები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გოდერძი ჩოხელის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე 2007 წლის 20 ნოემბერს ქვაშუეთის ეკლესიაში წარმოთქვა.

აქვე მინდა გაგაცნოთ სიტყვა, რომელიც 2007 წლის 2 აპრილს თბილისის სასულიერო სემინარიაში უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, მწერალ გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე თავად პატრიარქმა ბრძანა:

„მე კარგად ვიცნობდი ბატონ გოდერძის; მქონია მასთან შეხვედრები, საუბრები და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა,

რომ თითქოს მთელი ქვეყნის დარდს ატარებდა იგი თავისი მხრებით, თავისი გონებით, გულით.

მე მყავდა ერთი ნათესავი, პოეტი იყო – შალვერდი ღუდუშაური; სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა; მან იცოდა ამ სიტყვების გამეორება: „მე არ მაშინებს დასჯა, მაშინებს დარდი მხოლოდ“ გოდერძი, სწორედ ამ დარდმა მოკლა...

დღეს, როცა ვისმენდი მის შესახებ ნათქვამ სიტყვებს, წარმომიდგა ანტიკური ისტორია აპოლონის შესახებ; აპოლონი ვარჯიშობდა თავის მეგობართან ერთად, დისკოს ისროდა, შემთხვევით თავის მეგობარს მოახვედრა და მოკლა; მივარდა აპოლონი მასთან და ტირილი დაიწყო; იქ, სადაც იმისი ცრემლები დაეცა, ნარცისი ამოვიდა, ეს მოხდა მდინარის პირას; ნარცისმა მდინარეში დაინახა საკუთარი თავი და შეუყვარდა, ამიტომ ამბობენ ზოგიერთ ადამიანზე, საკუთარ თავზე შეყვარებული ნარცისიაო. გოდერძი არ იყო ნარცისი, მაგრამ ის იყო ცრემლი; მე ასე წარმომიდგენია, გოდერძი არის დიდი ცრემლი ქართველი ერისა, რომელიც დაეცა ქართულ მიწაზე და მისი სხეული მიიღო სამთავროს წმინდა მიწამ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

გოდერძი, მართლაც, ცრემლიცაა და იმედიც; სიხარულიცაა და მწუხარებაც; თქვენ გახსოვთ აღმოსავლური სიბრძნე: „ჰოი, მწუხარებავ, შენ სანყისი ხარ სიხარულისა“, ასეთია ჩვენი ბედი და მისი ლოცვით ღმერთმა დალოცოს, გაამთლიანოს საქართველო.

ნიშნად ჩვენი პატივისცემისა, მინდა მის ოჯახს გადავცე ეს საიუბილეო წიგნი, რომელსაც ეწოდება „პატრიარქი და სანთლები“, რომლებიც მისი სულისა და თქვენი ოჯახის კეთილდღეობისთვის დაენთება.

ჩვენთან არს ღმერთი!“

ამ შეხვედრაზე სტუდენტებმა წაიკითხეს გოდერძის ლექსები, შეასრულეს სიმღერები, იყო მოგონებები. გოდერძის მეუღლემ ნინო მელაშვილმა უღრმესი მადლობა გადაუხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და

შეკრებილ საზოგადოებას. მან თქვა: „მისმა უწმინდესობამ ჩვენს ოჯახს ნამდვილი მამობა გაუწია. იგი მთელ საქართველოზე ზრუნავს, ამას ჩვენი ოჯახიც ყოველთვის განსაკუთრებით გრძნობდა“

ამ დღეს კიდევ ერთი ოცნება ამისრულა გოდერძიმ, სულ ახლოს ვნახე უწმინდესი, რომელმაც დამლოცა და წიგნიც მაჩუქა.

ნინო ზედელაშვილი



გოდერძი ჩოხელი

„მხნედ იყავით, ქართველნო!“

ჩვენი ერისთვის, ყოველი ჩვენგანისთვის დიდი მწუხარებაა გოდერძი ჩოხელის გარდაცვალება. გოდერძი გახდა სიმბოლო დიდი ქართული სულიერი ტრადიციების არა მარტო გაგრძელებისა, არამედ – აღდგენისა და აღორძინებისა. უნიკალურობისა და თვითმყოფადობის გამო მას ბევრი ჩვენი ისტორიის გამორჩეულ პიროვნებებს – მწერლებს და სხვა ცნობილ ადამიანებს ადარებდა. მისი შემოქმედება, ღვაწლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდში, როცა საქართველო ცხოვრობდა ათეიზმის ეპოქაში, როცა იდევნებოდა ქრისტიანული, ეროვნული ტრადიციები. ასეთ დროს, ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ ქვეყანა, ერი დაპირისპირებოდა ამ ძალადობას, იყვნენ გამორჩეული, თვითმყოფადი პიროვნებები, რომლებიც თავისი შემოქმედებით ერის სატკივარს, მის მიზნებს, მისწრაფებებს, თავისი მაღალი კულტურით, სიბრძნით, სათნოებით შეახსენებდნენ ქართველებს, თუ, ვისი „გორისანი“ იყვნენ ისინი.

ასეთი ადამიანები გვახსენებდნენ, რომ ძალადობის მიუხედავად, არ გვეპატიება ჩვენი ტრადიციების დავიწყება, რომ ყველა ვითარებაში შესაძლებელია ადამიანმა შეინარჩუნოს ადამიანური სახე. არ არსებობს გამართლება იმისა, რო უკეთუ მოძალადე არის სასტიკი, ადამიანმა გაამართლოს თავისი კომპრომისი, შერიგება, შეგუება ცოდვასთან, უზნეო და მონურ ცხოვრებასთან.

აი, სწორედ, ეს არის მხოლოდ დიდი შემოქმედება, დიდი ხელოვანის მიერ შექმნილი ნაწარმოებები, იგივე ბრძოლა თავისუფლებისთვის, ეროვნული ღირსების გაძლიერება-განმტკიცებისთვის, ეროვნული ფასეულობების დაცვისა და გადარჩენისთვის.

მართლაც, რაც უფრო თვითმყოფადი და უნიკალურია მწერალი, მით უფრო დამაჯერებელია მისი შემოქმედება და ზემოქმედებს ადამიანებზე.

გოდერძის შემოქმედება მრავალ ადამიანზე ახდენდა გავლენას, შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედებისა და ცხოვრების მოტივაცია იყო ყოველგვარ ბოროტებასთან, ყოველგვარ ძალადობასთან, უზნეობასთან შეურიგებლობა. იმის გარდა, რომ იგი ხედავდა უარყოფით მოვლენებს ადამიანთა ცხოვრებაში, ის იყო ამ უზნეობის წინააღმდეგ დიდი მებრძოლი – სიყვარულით, ანუ სიყვარულით სიწმინდისადმი, სათნოებისადმი, მისი დამკვიდრების სურვილით იყო ანთებული და მძაფრად განიცდიდა ყოველგვარი სიწმინდის, ადამიანის ღირსების შებღალვას.

გოდერძი ჩოხელის ცხოვრება და შემოქმედება გახლდათ ბრძოლა ადამიანის ბედნიერებისთვის, მისი ღირსების დაცვისა და დამკვიდრებისთვის. ის უდიდესი გულშემატკივარი იყო ყოველი დაჩაგრულისა, ყოველი დამწუხრებული ადამიანისა. მას ჰქონდა საოცარი უნარი – მთელი არსებით განიცდიდა მოყვასის ტკივილს, ნებისმიერ ჩაგვრას, უსამართლობას და, ამავე დროს, შეეძლო დამტკბარიყო მშვენიერებით, სიკეთით, სიყვარულით. გოდერძი რაღაც განსაკუთრებული სიმძაფრით აკეთებდა ამას.

ის მგზნებარე სულის ადამიანი იყო. მას ჰქონდა სული, რომელშიც ენთო ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლი, რომელიც წვავდა ყოველგვარ უბედურებას, რაც კი მისი თვალსაწიერის წინაშე აღმოჩნდებოდა, რაც მის ცხოვრებაში გაივლიდა. ყოველგვარ უკეთურებას წვავდა ამ ცეცხლით – საოცარი შეურიგებლობით ცოდვასთან და უზნეობასთან.

ამავე დროს, ამ ცეცხლში გოდერძი თავად იწვოდა, იწვოდა მისი პიროვნებაც, სანთელივით დნებოდა და არასოდეს ერიდებოდა ამ მსხვერპლს.

გოდერძი თავდაუზოგავი ადამიანი იყო. ღვთის გულისთვის, მამულისთვის, მოყვასისთვის ბოლომდე საკუთარი თავის დახარჯვა ხომ თავგანწირვაა. სახარებაში სწერია: „რომელმან დაიმკვიდროს თავი თვისი, მან წარიწყმიდოს იგი, ხოლო, რომ მან წარიწყმიდოს თავი თვისი სახელისა ჩემისათვის, მან აცხოვნოს იგი“ – ბრძანებს უფალი.

გოდერძიმაც, შეიძლება ითქვას, რომ ნარიწყმიდა თავი თვისი, არ დაზოგა სულიერი და ფიზიკური ძალები. სიკეთის სამსახურში იგი იმ სანთელივით დაიწვა, რომელიც უნათებდა ჩვენს ერს ღვთისკენ მიმავალ გზას და ახსენებდა მას ამ ჭეშმარიტებას.

სახარებაში წერია: „მან აცხოვნა იგი" გოდერძი ჩოხელმა აცხოვნა უკვდავი სული – უდიდესი თავგანწირვით, საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებით.

პატრიარქმა ბრძანა, რომ მან თავისი სული მომავალი ცხოვრებისთვის, სასუფევლისთვის მოამზადა. ეს არის ძალიან დიდი შეფასება, ეს ნიშნავს, რომ გოდერძიმ ქრისტიანული ვალი პირნათლად აღასრულა. იგი არა მარტო დიდი შემოქმედი გახლდათ, არამედ, ღრმად მორწმუნე ადამიანიც იყო. საქართველოს ისტორიაში ჩვენი კულტურა და ცნობიერება განუყოფელია ქრისტიანული მრწამსისაგან. ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, მამულიშვილი ღრმად მორწმუნეა, რამეთუ სახარებაში უფალი ბრძანებს: „გარეშე ჩემსა არა ძალგიძს, არცა ერთი" ულვთოდ შეუძლებელია ადამიანის ცხოვრება. მისი სიკეთე ყოველთვის გაცილებით უფრო მაღალია, როცა იგი ღვთის მადლით არის ნასაზრდოები.

სწორედ .ამ დიდი რწმენით, ღვთის დიდი მადლით იყო გოდერძი ავსებული. მახსენდება მისი მონათხრობი ღვთის ერთ-ერთი სასწაულის შესახებ. იგი იღებდა ფილმს „ბაკურხეველი ხევსური". გადაღება ზამთარში მიმდინარეობდა, ფილმის ნაწილი უკვე დასრულებული იყო და კადრებში ყველგან დიდი თოვლი ჩანდა. სხვადასხვა მიზეზის გამო გადაღება გაჭიანურდა და თოვლი დადნა. გადაღებას ხელი ეშლებოდა. გოდერძიმ ღვთის ძალას მიმართა. სოფელ ჩოხში არის წმიდა გიორგის ტაძარი, სადაც გოდერძი მივიდა და მუხლმოდრეკილი წმიდა გიორგის შეევედრა, რომ მისი მეოხებით ღმერთს თოვლი მოენიჭებინა. თავად მიამბო: იქიდან რომ წამოვედი, 200 მეტრიც არ მქონდა გავლილი, ისეთი თოვლი წამოვიდა, ისე ბარდნიდა, მოკლე დროში ყველაფერი

თოვლმა დაფარაო. გოდერძი ამბობდა: აი, რა დიდი ძალა აქვს უფალსო.

ეს არის ღვთის სასნაული. სასნაულს, კი ღმერთი განსაკუთრებული რწმენის მქონე, რჩეულ ადამიანებს მოუვლენს. წარმოიდგინეთ, რა გულით უნდა ეთხოვა გოდერძის, რომ ღმერთს მისი ვედრება შეესმინა. ეს არ იყო უბრალოდ ფილმის გადაღებისთვის თხოვნა, ეს იყო მისი სიცოცხლის, არსებობის მდგომარეობა, როცა ადამიანი მთლიანად ჩართულია რაღაც პროცესში.

სწორედ ასეთი განუყოფელი გული სჭირდება უფალს. იგი სახარებაში ბრძანებს, რომ შეუძლებელია ორი ბატონის მსახურება, ანუ ერთი იგი უნდა მოიძულო და ერთი იგი უნდა შეიყვარო. შეუძლებელია გული ორად იყოს გაყოფილი, მასში იყოს ღმერთის და ამა სოფლის ცოდვილი მცხოვრების სიყვარულიც. ყველაზე დიდი ცოდვა გულის გაყოფაა, როცა ადამიანში არის შეორგულება, ანუ განსხვავებულ მისწრაფებათა თანაარსებობა.

სწორედ ამიტომ, ყველაზე მძიმე შეფასება, რომელსაც ბრძანებს უფალი, ალბათ, ეს არის: „ვაი, თქვენ და მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო" ორგულება, ადამიანის გულის გაყოფა არის ძალიან დიდი ტრაგედია, გამთლიანება გულისა კი საკმაოდ რთულია. პიროვნება მთლიანია, თუ მისი გული მთლიანია. რასაკვირველია, იგულისხმება მთლიანობა ღვთის სიყვარულში. ასეთი მთლიანი გული ჰქონდა გოდერძის, რომელიც მან მთლიანად ამსახურა ქვეყანას, ეკლესიას, ჯვარს აცვა თავისი თავი, მაგრამ აცხოვნა თავისი უკვდავი სული. ბედნიერად მიმაჩნია ქართველი ერი, რომ მას ასეთი შვილი აჩუქა ღმერთმა.

საქართველოს ჰქონდა მძიმე წლები, ქართველი ერი განსაცდელში იყო, სჭირდებოდა სულიერი სიმტკიცე. ღვთის წყალობით, ცვლილებები, როგორიცაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხდებოდა გოდერძისნაირი ადამიანების თავდადებით, თავგანწირვით. ასეთმა ადამია-

ნებმა შექმნეს ქვეყნის თავისუფლების პირობა. თუ საქართველოს უჭირს, აუცილებელია ერთიანობა, გულის გამთლიანება, ღვთისა და მამულის თავდადებული სიყვარული.

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში მღელვარე დღეებია და უნდა გადაწყდეს მნიშვნელოვანი საკითხები, გოდერძი ღმერთმა წაიყვანა და გვითხრა, რომ ასე უნდა ვიცხოვროთ ჩვენ, ასეთი ცხოვრების წესი მოუტანს საქართველოს ბედნიერებას. მხოლოდ შინაგანი, სულიერი სიძლიერითა და ამაღლებით საქართველო გამთლიანდება და გაბრწყინდება.

გოდერძიმ პროზაული ნაწარმოებების, ფილმების სახით ისეთი მემკვიდრეობა დატოვა, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ესეც კმაროდა მისთვის. მან სიცოცხლის ბოლო წლებში ერთი დიდი სასწაული აღასრულა.

ღმერთმა, თითქოს, ახალი ღვაწლისკენ მოუწოდა, მოუწოდა მონამეობრივი და, მე ვიტყოდი, დიდი მისტიური ღვაწლისკენ, შინაგანი, სულიერი ბრძოლის ღვაწლისკენ, ბრძოლისკენ საკუთარ თავთან. ალბათ, რჩეულ ადამიანებს უგზავნის ღმერთი ასეთ გამოცდას. ეს უდიდესი პიროვნება, უდიდესი სულის ადამიანი უფალმა, თითქოს იობისებურ განსაცდელში გამოატარა. მას წაერთვა ფიზიკური და სულიერი ძალები, უცებ იგრძნო სრული დაუძლურება, რამაც სასონარკვეთილებამდე მიიყვანა. ფიზიკურ და სულიერ დაუძლურებას თან ერთვოდა ქვეყნის მძიმე ვითარება – ძალიან დიდი იყო მცდელობა ბოროტი ძალისა, ეცდუნებინა იგი და მის გულში შესულიყო დარდი, უიმედობა. ბოროტი ძალა ცდილობდა, უიმედობასა და უსასოობას გაემარჯვა მასში. უფალმა დაუშვა მისი გამოცდა და გოდერძი, მართლაც, ზღვარზე იყო. ეს ადამიანი მთელ საქართველოს მგზნებარე სიყვარულის მაგალითს აძლევდა და უცებ, თითქოს ერთიანად დაიცალა სასიცოცხლო ძალებისგან. ამ დროს ღმერთმა გამოაჩინა მისი, როგორც სულიერი მეომრის, მებრძოლი ადამიანის ყველაზე დიდი ღირსება.

ამ ბრძოლაში გოდერძიმ გაუძლო გამოცდას, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იყო ჭეშმარიტი შვილი ღვთისა და

ნამდვილად ღირსეული მამულიშვილი. მას მრავალჯერ ჰქონია უმძიმესი, უკიდურესი განსაცდელი, მაგრამ ღირსეულად დაუძლევია. ბოლო 2-3 წელი, სულიერი და ფიზიკური უძლურების პირობებში, გოდერძი ინარჩუნებდა წონასწორობას, ღირსებას. ტანჯვის მიუხედავად, ყოველთვის პოულობდა თავის თავში ძალას, ყოველგვარ ცოდვაზე, ცოდვილ აზრზე, ბოროტი გულის ზრახვებზე მაღლა დამდგარიყო.

რამდენიმეწლიანი სულიერი ბრძოლა სასონარკვეთილებასთან, გულგატეხილობასთან, სულიერ გაციებასთან გოდერძის გამარჯვებით დამთავრდა. შეუწყვეტელი ფიზიკური და სულიერი ტკივილების მდგომარეობაში მყოფმა იპოვა თავის თავში ძალა და დადგა ყველაფერზე მაღლა. გოდერძი ითმენდა იობისებურად, სულგრძელად და ბოლოს, იგი მთლიანად სასოებდა უფალზე, მთლიანად იყო შეგუებული თავის ჯვარს და მადლობდა უფალს ყველაფრისთვის.

გოდერძიმ გამოიარა უმძიმესი გამოცდა, რომელიც მან წარმატებით ჩააბარა და კიდევ ერთხელ გვითხრა ქართველ ერს, რომ როგორი ძლიერიც უნდა იყოს საქართველოს მტერი, როგორც უნდა შეზღუდოს მან ჩვენი ფიზიკური თუ სულიერი ძალები, ქართველმა ერმა გული არ უნდა გაიტეხოს, სასონარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეს, არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი და სწორედ ამ სულიერი გამარჯვებით მოიპოვებს სხვა გამარჯვებებსაც. გოდერძიმ ანდერძივით დაგვიბარა: „მხნედ იყავით, ქართველნო! ნუ გეშინიათ, რამეთუ უფალი იყო, არის და იქნება ჩვენს ერთან“

ასეთია ცხოვრება ამ პიროვნებისა, მისი ღვაწლი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ვფიქრობ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება მისი ცხოვრება და შემოქმედება მომავალი თაობებისთვის.

დიდი კლასიკოსები და მამულიშვილები, დღესაც, საქართველოს სულიერი წინამძღოლები არიან, მისი სულიერი და ფიზიკური სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან და გვიცავენ ჩვენ. გოდერძი შეუერთდება ამ დიდ დასს, ჩვე-

ნი მამულიშვილების დიდ თანავასკვლავედს, რომელნიც, ღმერთის განგებით, საქართველოს მშვიდობისა და მისი ბედნიერების სადარაჯოზე დგანან.

ღმერთმა აცხოვნოს სული ახლად შესვენებულისა მონისა ღვთისა გოდერძისა და ღმერთმა დაუმკვიდროს მას სასუფეველი ცათა, ამინ!

მეუფე დანიელი – დათუაშვილი
ქიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი

ტექსტი ჩაწერილია 2007 წლის 20 ნოემბერს.
საპატრიარქოს რადიო გადაცემიდან



იერუსალიმი. ქრისტეს საფლავთან. 2001 წ.



გოდერძი ჩოხელი და დათო ტურაშვილი
1999 წ. ი. ტერტერიანის ფოტო.

გოდერძი ჩოხელი

გოდერძი ჩოხელის სახელი პირველად გავიგონე თენგიზ აბულაძისაგან. მაშინ ის იყო სრულიად უცნობი თბილისისათვის, აბარებდა თეატრალურ ინსტიტუტში. მთიდან ჩამოსული ყმაწვილი იყო. თენგიზ აბულაძე თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდებს იბარებდა.

გავიდა ხანი. ჟურნალ „ცისკარში" უცებ დაიბეჭდა სრულიად უცნობი ახალგაზრდა მწერლის, გოდერძი ჩოხელის პირველი მოთხრობები, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მის პირველ მოთხრობებზე პირველი რეცენზია დავწერე და გამოვაქვეყნე „ლიტერატურულ საქართველოში" ამ რეცენზიით მე მთელი ცხოვრება ვამაყობდი იმიტომ, რომ გოდერძი მართლა გახდა დიდი მწერალი და კინორეჟისორი.

წერილი თბილისში, ჩემს არქივში ალბათ იპოვება, მაგრამ მე იქ წასვლა და მისი პოვნა არ შემიძლია, ვინაიდან დამბლადაცემული ვარ და ამ წერილის დაწერაც როგორ მოვახერხე, მიკვირს.

ბოდიში ხელწერისათვის.

ნოდარ წულეისკირი – მწერალი
2010 წ. ნერაქვი

ის ჩვენში კვლავ გააგრძელებს სიცოცხლეს!

გოდერძი ჩოხელი ჩემი უსაყვარლესი მწერალია. იგი ქართულ ნიადაგზე დგას შესანიშნავი შემოქმედებით, მაგას შემოევლოს ჩემი თავი! გოდერძი ჩვენი ქვეყნის სიამაყეა. ღმერთმა ის პატივი დამდო, რომ ჟურნალ „მნათობში", სრულიად ახალგაზრდამ, მგონი 20 წლისაც არ იყო, თავისი მოთხრობები მოიტანა და დაიბეჭდა. გოდერძი ნამდვილი ქართველი, თავის მიწაზე მდგარი შემოქმედია.

გოდერძი ძალიან განიცდიდა ქვეყნის მდგომარეობას, თავის მოკვლა რომ სცადა, მაშინ ღმერთმა გადაარჩინა. მისთვის საშინელება იყო, ფილმებს რომ ვერ იღებდა. მისი პროზა და კინემატოგრაფია ჩვენთვის ღვთის წყალობაა. ჩოხიდან რამხელა ბედნიერება მოგვევლინა! ის ჩემთვის და მომავალი თაობებისთვის ყოველთვის ცოცხალი იქნება!

ძალიან მინდა, ჩვენს დღევანდელ მთავრობას ვუთხრა, ხელი შეუწყონ შემოქმედებს, რომ ადრეულ ასაკში არ მოკვდნენ.

გოდერძიმ ბოლოს თავისი წიგნი გამომიგზავნა, სადაც წერს: ბატონო გურამ, იცი, როგორ მიყვარხარო. ბოლოს ეს სიტყვები დამიტოვა, მაგას შემოევლოს ჩემი თავი!

ერთხელ ვკითხე, რას კითხულობ-მეთქი და მიპასუხა, არ ვკითხულობო, მაგრამ წლების შემდეგ მკითხველიც ისეთივე გენიალური გახდა, როგორც მწერალი. ოთარ ჭილაძეს კითხულობდა, ასეთ მაღალ და რთულ მწერალს.

როდესაც კინემატოგრაფიაში გადაწყვიტა წასვლა, ვურჩიე, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა. ვეუბნებოდი, ისეთი კარგი პროზა გაქვს, რად გინდა-მეთქი. რას ვიფიქრებდი, ასეთი ბრწყინვალე ფილმების ავტორი თუ იქნებოდა – ისეთივე უნიჭიერესი და გენიალური რეჟისურაში, როგორც მწერლობაში იყო.

ბუნებით ძალიან ერთგული ადამიანი გახლდათ. ბედნიერი ვიქნები, თუ ოდესმე ისეთი საქართველო გველირსება, როგორზეც გოდერძი ოცნებობდა.

მინდა, მადლობა ვუთხრა ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს, რომელიც უანგაროდ დაეხმარა გოდერძის და უმკურნალა ისე, როგორც თავად ქალბატონ გულიკოს და გოდერძის ეკადრებოდა.

ახლა გავიგე, რომ ერთ-ერთი გამომცემლობა გოდერძის 5-ტომეულს უშვებს. მინდა ჩემი სიხარული გამოვთქვა და მადლობა ვუთხრა ამ გამომცემლობას, რომელმაც სიცოცხლეშივე გაახარა გოდერძი და ასეთი სიმდიდრე აჩუქა მკითხველს, თან შესავალი თავისი ხელით დაუწერია, ამიტომ, ის ჩვენში კვლავ გააგრძელებს სიცოცხლეს.

გურამ დოჩანაშვილი – მწერალი

მართალი მხატვარი

გოდერძი ჩოხელი უნიჭიერესი ადამიანი, უპატიოსნესი პიროვნება და უდიდესი შემოქმედი იყო. იშვიათად მინახავს ასეთი მართალი მხატვარი, ასეთი მართალი პიროვნება, გენიალური როგორც მწერალი, ასევე – რეჟისორიც.

ძალიან თბილი შეხვედრები გვქონდა, მაგრამ, ძირითადად, შემოქმედებითი ურთიერთობა გვაკავშირებდა. ყოველთვის აღტაცებული ვიყავი მისი ფილმებით, მისი მოთხრობებით.

ნამდვილად დიდი თაყვანისმცემელი ვარ ამ უდიდესი შემოქმედის.

გიგა ლორთქიფანიძე – კინორეჟისორი

გენიალური ადამიანი იყო

მე გოდერძის ახლო მეგობარი არ ვიყავი, მაგრამ ნამდვილად კარგად ვიცნობდი მას და მის შემოქმედებას. გენიალური ადამიანი იყო. ძალიან დიდ პატივს ვცემდი, როგორც ქართველ კაცს და დიდ შემოქმედს.

გოდერძის გარდაცვალება დიდი ტკივილი და დანაკარგია ქართული მწერლობისთვის და კინემატოგრაფიისთვის, მთელი ქართული საზოგადოებისთვის.

ოთარ ჭილაძე – მწერალი

„ყოჩაღ, ბალღო!"

ჩვენ გოდერძი ჩოხელის ფასი ჯერ არ ვიცით, გავა რამდენიმე წელიწადი და როცა კინომცოდნეობა მართლა ღრმად და სერიოზულად გაეცნობა იმ სამყაროს, რაც გოდერძი ჩოხელმა დატოვა, მხოლოდ მაშინ შეაფასებს რეალურად, რომ ეს იყო უდიდესი მოვლენა. დარწმუნებული ვარ, რომ იმ ქვეყნად მას პირველად ვაჟა შეეგებება, დაკრავს ბეჭზე ხელს და ეტყვის:

„ყოჩაღ, ბალღო!"

გოგი დოლიძე – კინომცოდნე



გოდერძი ჩოხელი. 1999 წ.

გოდერძი!

მთელი შენი შინაარსიანი ცხოვრების განმავლობაში ხელშესახები სიცხადით გრძნობდი სიკვდილს – „ადამიანად არყოფნის სევდას" და, გამომდინარე აქედან, სანუგეშოდ ისღა დაგვიტოვე, რომ შუაღამისას მასთან პირისპირ შეყრა მაინცდამაინც დიდად არ შეგაკრთობდა.

ქვის „დამფშვნელი“ სიკვდილი სახიერად, ადამიანის მსგავს არსებად წარმოგედგინა და იმდენად გყავდა გათავისებული და გაშინაურებული, იმედია, შვილად მიგიღეს და სამუდამოდ მართალთა შინა დაგაბინადრეს...

თანაბრად უყვარდი ხილულ სამზეოს და საიქიოს ღმერთებს.

ბოლოს მაინც ამ უკანასკნელმა იმარჯვა და თავის სამოთხისებრ საბრძანებელში წაგიყვანა...

შენს ცხოვრებას არც დარი მოჰკლებია და არც ავდარი.

სიავე-სიმძიმილიც ბევრჯერ გიგემია და მთის მწვერვალზე შედგომით გამოწვეული სულიერი სიამოვნებაც.

ყველაფერს შეგნებით, მშვიდად და ღირსეულად ხვდებოდი.

განუმეორებელი გზა-გეზი გაიდე და ნარუხოცელი კვალი დატოვე ქართული მწერლობის ვრცელ სარბიელზე, ქართული კინოს ისტორიაში.

საქვეყნოდ გამოაჩინე და შენეული შტრიხები შემატე მთიელთა ზნე-ხასიათს, პიტალ პატიოსნებას, მედგარ, ვაჟკაცურ ბუნებას; უჩვეულოდ ღრმააზროვანი შემოქმედების შუაგულში ბაჯაღლოდ ჩასვი და აამეტყველე შავი არაგვის ვიწრო, ღორღიანი, მივარდნილი ხეობა, შენი ჩოხი, ათნოხი, დუმაცხო, გამსი, ფახვიჯი, დიხჩო, მაქართა, ბურსაჭირი...

ხოლო ახლა იქ, იმ დიდ სოფელში მიგელიან ბერი, ჯღუნა, ბათილა, მარტია, ღენჯა, ქორა, გარსია, ბერდედა, ქალთამზე, კოტორიანთ ქალი... მიგელიან ჩოხის წმინდა გიორგის და პირიმზე ფუძის ანგელოზის ხევისბერები და დეკანოზები; მიგელის უსათნოესი დედა, ჩვენი ლელა დეიდა, შენზე რომ ამოსდიოდა მზე და მთვარე, სულ მუდამ შენი შორსყოფნა რომ სტკიოდა და დღე და ღამ სოფელში შენს მისასვლელ გზა-ბილიკებს რომ გამოჰყურებდა...

მახსოვს, გაზაფხულობით, მთები რომ ჩამოშრებოდა და სიმწვანე წამოიწევდა, როგორ მიგიხაროდა ხოლმე გუდამაყარში – უამრავი მოთხრობის დამტევ „დიდ წიგნად“ რომ იხსენიებ „ადამიანთა სევდაში“

გაღვიძებული მიწის დუდუნი გესმოდა და ქალაქში რა გაგაჩერებდა!

„ამირან, მე წავედი. შეიძლება მთის ხატებმა ჩემი უკან დაბრუნება მოიწადინონ. გკოცნი ბევრს. გოდერძი“ – მიაწერე ერთხელ ჩემი საერთო რვეულის ყდას და წახვედი მთაში.

სამი ათეული წლის წინანდელი ის რვეული დღემდე შემომრჩა.

ისეთი განცდა მაქვს, რომ ახლაც ამ სიტყვებით მემშვიდობები და ჩვენი განშორებაც დროებითია...

დღეს სრულიად საქართველოს შენს დასატირებლად არ სცალია!

არ ეცალა არც მაშინ, როცა შენი უსაყვარლესი რეზო ინანიშვილი გარდაიცვალა...

გავა დრო და ამღვრეული, აღელვებული მდინარე დაწყნარდება, დაიწმინდება. მის მოკენჭილ ფსკერზე მთელი თავისი ბრწყინვალე ფერადოვნებით გამოჩნდებიან ის უძვირფასესი ქვები და ზოდები, დიდხანს რომ ეყოფა საქართველოს გონიერ, გულიან შთამომავლობას სულის სალბუნად, სიამაყედ, გასაოცებლად...

გისმინა ვედრება და გაიხსნა საკინძე დედამ – მცხეთის უწმინდესმა მიწამ; გაიხსნა და თავის თბილ, გამძლე უბეში მიიბარა შენი დაღლილი, ნატანჯი, ნაავადარი სხეული.

მშვიდობით!

ამირან არაბული,
„ლიტერატურული საქართველო“ №40(3651)
23 ნოემბერი, 2007 წ.

მის თავმდაბლობაში სიდიადეა

ადამიანს ცხოვრებაში გარკვეული ბედნიერება ხვდება ხოლმე წილად. ასეთი ბედნიერება იყო ჩემთვის ის, რომ გოდერძის შევხვდი როგორც მეგობარს, ხელოვანს, რეჟისორს და ერთად ორი ფილმი გადავიღეთ. ამის შემდეგ გაგრძელდა ჩვენი შემოქმედებითი და ადამიანური მეგობრობა. ახალი გეგმებიც გვქონდა. ეს იყო ჩემთვის, მართლაც, უდიდესი ბედნიერება. როგორც მსახიობმა შემიძლია ვთქვა, რომ მასთან მუშაობა დიდი სიხარულისა და სიამოვნების მომტანი იყო.

„სამოთხის გვრიტებზე" მუშაობის დროს სცენარის მიხედვით სცენებს ვარჩევდით, ოთხნი ვიყავით: მე, გოდერძი, გივი ბერიკაშვილი და გოდერძის უფროსი ვაჟი – ლუკა. გამაოცა მისმა ნიჭიერებამ, ჩვენს თვალწინ წერდა გოდერძი და არაფერს ასწორებდა. ტალღასავით მოდიოდა მისი სულიდან და გონებიდან სათქმელი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს

კადრი ფილმიდან „სამოთხის გვრიტები"

ფილმის „სამოთხის გვრიტები“ ჩვენება. გივი ბერიკაშვილი, გოდერძი ჩოხელი, კახი კავსაძე. 1999 წ.

მხარზე ვილაც ეჯდა და კარნახობდა, რა უნდა დაეწერა. საკვირველად ფაქიზი, დახვეწილი იუმორის პატრონი იყო. ფილმში ჩემი სიტყვები ფრთიან გამონათქვამებად იქცა. გახსოვთ, ალბათ: „ცხორი, ცხორი, ცხორი“, „ეხლა, მე შენ გადაგაწკრიალებ აქედანა“, „დიმპიტაპრი-დამპიტაპრი“. ამ ფრაზებს ოსტატურად მაწვდიდა გოდერძი.

„სამოთხის გვრიტები“ ქართველების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფილმია. ანაპაში კინოფესტივალზე წავიღეთ, მაგრამ იქ ისეთი ძლიერი რეჟისორების ბრწყინვალე ფილმები იყო წარმოდგენილი, რომ გამარჯვებაზე არც გვიფიქრია. ყველა ელოდა, რომ რუსი რეჟისორი პაველ ჩუხრაი აიღებდა გრან-პრის. მაგრამ სასწაული მოხდა, რუსები საკუთარ თავს გადაახტნენ და გრან-პრი „სამოთხის გვრიტებს“ მიანიჭეს.

მე და გოდერძი დარბაზში ვისხედით, როდესაც ჯილდოს შესახებ გამოაცხადეს. დღესაც ვერ გადმოვცემ სრულად, რაც მაშინ განვიცადე. წარმატება როგორ არ მქონია,

მაგრამ ეს იყო უზარმაზარი სიხარული. წამოვხტი ადგილიდან და ვყვიროდი, 15 წლის ბიჭივით ვიქცეოდი.

მეორე დღეს, ცოტა რომ დავმშვიდდი, ჩემს თავს ვეუბნებოდი: – რა იყო, კახი, ასე რატომ გადაირიე, განა ქართველებს გვიკვირს გამარჯვება?! ჩვენ ხომ სულ გამარჯვებულები ვართ.

მახსოვს ჩუხრაის საქციელი, მან ვაჟკაცურად, პირველმა მიულოცა გოდერძის დიდი ჯილდო. დაჯილდოების შემდეგ ბანკეტი გაიმართა, გოდერძი ყურადღების ცენტრში მოექცა. ყველა რეჟისორი პატივად მიიჩნევდა, რომ მასთან მისულიყო და მიელოცა, მოფერებოდა. უზომოდ გვიხაროდა ფილმის გამარჯვება და კარგადაც დავლიეთ.

„სამოთხის გვრიტების" ჩვენება მალევე მოსკოვის კინოს სახლში გაიმართა. ანაპაშიც და მოსკოვშიც ფილმის თარგმნა მე მომიწია. მოსკოვში დიდი ოვაციებით და წარმატებით ჩაიარა პრემიერამ. ქართული დიასპორის ელიტარულმა ნაწილმა გოდერძის ბრწყინვალე მიღება მოუწყო.

რუსმა რეჟისორმა დოსტალმა თავისი სცენარის მიხედვით ფილმის გადაღება შესთავაზა, მაგრამ მას იგი არ მოეწონა და უარი თქვა. გადაწყდა, რომ გოდერძი თავისი სცენარის „მიჯაჭვული რაინდების" მიხედვით გადაიღებდა ფილმს, ოლონდ რუსები დააფინანსებდნენ.

წყნეთის ზევით ერთი პატარა სოფელია, სახელად ნვერი. გივი ბერიკაშვილს იქ აგარაკი აქვს. ოპერატორი ჯიმი ქრისტესაშვილი, გივი, გოდერძი და მე სცენარზე სამუშაოდ გავემგზავრეთ გივის აგარაკზე ორი კვირით. მოვიმარაგეთ პროდუქტი: კარტოფილი, ხახვი, ბრინჯი, ხორცი, ბადრიჯანი, უამრავი სხვა რამ და დავიწყეთ მუშაობა. საქმეები ასე გავანაწილეთ: გოდერძი იჯდა სავარძელში და ლაპარაკობდა, მე ვწერდი, გივი და ჯიმი შესანიშნავი მზარეულები იყვნენ, ბრწყინვალე სადილებს ამზადებდნენ, ამიტომ სადიასახლისო საქმეები მათ მივანდეთ. თითოეულ სცენარს და კადრს ვარჩევდით, ყველა მოქმედება, სათქმელი მოვზომეთ

და ჩამოვაყალიბეთ. ახლაც თვალწინ მიდგას, თავზე ხელშემოდებული გოდერძი სავარძელში იჯდა და ლაპარაკობდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მის თავში თავმოყრილი იყო უამრავი ბგერა, ასო, გოდერძი მათ ალაგებდა გონებაში და ლამაზად აკინძულ სიტყვებს გადმოყრიდა ხოლმე.

ყაზბეგი. ფილმის „მიჯაჭვული რაინდები" გადაღებაზე. ოპერატორი ჯიმი ქრისტესაშვილი, გოდერძი ჩოხელი, კახი კავსაძე. 1999 წ.

ზუსტად ისე, როგორც კომპოზიტორი ქმნის ბგერებისგან მუსიკას, გოდერძიც ქმნიდა თავის ნაწარმოებებს. სცენების გარჩევის დროს რაღაც გაურკვევლობა თუ შეიქმნებოდა, მაშინვე გოდერძის მივმართავდით: – აბა, კომპოზიტორ!

ფილმში არის ასეთი სცენა: ლუარსაბ თათქარიძე ეტრაბახება დონ კიხოტს: ეს ქვეყანა ჩემია, ეს მინდვრები, მთები, მდინარეები ყველაფერი ჩემიაო. დონ კიხოტმაც რაღაც უნდა უთხრას; მივაჩერდით გოდერძის; ის წყნარად იჯდა თავის სავარძელში და უცებ, გვესროლა გენიალური ფრაზა, რომელსაც ფილმში წარმოთქვამს დონ კიხოტი:

– რაღაც რომ ჭირი უნდა გჭირდეთ ქართველებსა, რომ ასეთ ლამაზ და მდიდარ ქვეყანაში დუხჭირად ცხოვრობდეთო.

ფილმისათვის „მიჯაჭვული რაინდები" მუსიკა ვახტანგ კახიძემ დაწერა. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი ფაქტი: გოდერძის ჰქონდა არაჩვეულებრივი მუსიკალური გემოვნება და ზუსტად უხსნიდა ვატო კახიძეს, როგორი მუსიკა, რომელი მელოდია სჭირდებოდა ამა თუ იმ კადრისთვის.



კახი კავსაძე, ჯიმი ქრისტესაშვილი, გოდერძი ჩოხელი ფილმის „მიჯაჭვული რაინდები" გადაღებაზე.

გოდერძი ჩოხელი დიდი კაცი იყო, ამ სიტყვის აბსოლუტური გაგებით, დიდი სულის, დიდი გულის, დიდი გრძნობის, დიდი სიყვარულის, დიდი თავდადების, უნიჭიერესი მწერალი, რეჟისორი, უდიდესი შემოქმედი. მწერალი რომ იმას დაწერს, როგორ მიაქვს დათვს ყვავილები ლამაზ ქალთან, ანდა, ვარდისფერი კაცის ამბავს, მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იფიქრო – ეს კაცი ამქვეყნად არის და არც არის! სიტყვა „მოიფიქრა", არ შეესაბამება იმას, რასაც გოდერძი აკეთებდა. ის სიუჟეტები და სიტყვები მასში არსებობდა და ბუნებრივად იბადებოდა.

ერთხელ ამერიკაში ყოფნის დროს ვიჯექი და ვფიქრობდი, სად დამერეკა. პირველი, ვინც გამახსენდა, გოდერძი იყო. დიდხანს „ვიჭორავეთ", ბავშვივით უხაროდა, ყველას ეუბნებოდა – კახიმ ამერიკიდან დამირეკაო.

გოდერძის ეკონომიურად ნამდვილად უჭირდა. როგორც კი მისმა მეგობრებმა, ეს ამბავი საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" შევატყობინეთ, იმ დღიდანვე დაენიშნა მას ის დახმარება, რაც ყველა მსახიობს და შემოქმედს გვაქვს.

სიცოცხლის ბოლო წლებში გოდერძის სულიერად და ჯანმრთელობის მხრივაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობა ჰქონდა.

ბოლოს მეც ცუდად ვიყავი. გოდერძი ვნახე ქალბატონ გულიკო ჩაფიძის კლინიკაში, სადაც მეც მოვხვდი. იქ შევხვდით ერთმანეთს არტისტი და რეჟისორი, ორივე გულით ავადმყოფი. მერე მე გამომწერეს და ის დარჩა. არც ვამბობდი, არ მინდოდა ჩემი თავისთვის მეთქვა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ცუდად იყო. იმის გარდა, რომ გული აწუხებდა, ისედაც ვერ იყო კარგად.

ამქვეყნად ყოფნის უკანასკნელ საათებში გოდერძიმ მე და გივი ბერიკაშვილი გვახსენა, ალბათ, რაღაცის თქმა სურდა.

ვინმემ რომ მკითხოს, რომელ თვისებას გამოვყოფდი გოდერძის პიროვნების დასახასიათებლად, უყოყმანოდ ვუპასუხებ, რომ ეს იყო მისი გასაოცარი თავმდაბლობა, რომელშიც ჩანდა მისი სიდიადე. მის ბუნებაში შეთავსებული იყო სიდიადე თავმდაბლობასთან და პირიქით. ყოველთვის ვგრძნობდი ამას მასთან საუბარში, მოსმენის დროს ადამიანებთან დამოკიდებულებაში, დგომაშიც კი.

გოდერძი მთელი სულითა და გულით ამ ქვეყნის შვილი იყო. ამ ქვეყნის ტკივილი სტკიოდა და ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მარტო თავისი ქვეყნის კი არა, მთელი სამყაროს დარდს ატარებდა.

კახი კავსაძე – მსახიობი

„ადამიანთა სევდა“ წინასწარმეტყველური ფილმია

„ადამიანთა სევდას“ ზამთარში ვიღებდით. უამრავი სიძნელე იყო, მთაში წარმოუდგენელია რაიმე კომფორტის შექმნა გადაღების დროს, თანაც ზამთარში, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ძალიან კარგად და ლამაზად მახსენდება ის პროცესი, გოდერძის სიალალით, მზრუნველობით და მისი ასაკისათვის თითქოს შეუსაბამო ბრძენკაცობის წყალობით, ყველას ყველაფერი გვიადვილდებოდა.

მე ერთ-ერთ მთავარ როლს, სარდალ-ვაჟი გოგის ვასრულებდი (ვაჟი – გოგი რეალური პიროვნება იყო, გოდერძის ბიძა). ჩემი რაზმი ძირითადად ქალებისგან შედგებოდა, დასალაშქრავ სოფლებში ეს ქალები ყვირილით უნდა შეჭრილიყვნენ და დაეზაფრათ მოსახლეობა, რომ წინააღმდეგობა ველარ გაეწიათ.

ხახმატი. ფილმის „ადამიანთა სევდა“ გადაღებაზე. 1983 წ.

ლაშქრობა ზამთარში განვახორციელეთ, მე უფრო მიჭირდა, ქალები ყოჩაღად იქცეოდნენ: ქალბატონები – ზანდა იოსელიანი, თამარ სხირტლაძე, ნინო ჩხეიძე, ელენე ყიფშიძე. ქალბატონი ოლია 80 წელს იყო მიღწეული, მაგრამ ერთხელ არ დაუწუწუნია – რამე მიჭირსო. თოვაში, მთის ბილიკებზე რომ მიმყავდა ჩემი რაზმი, გოდერძისკენ გავაპარებდი ხოლმე თვალს, მას ისეთი ალალი, თბილი ღიმილი დასთამაშებდა, გულზე მეშვებოდა და უფრო მხნედ მივაბიჯებდი. იქ გადავიხადეთ კარლო საკანდელიძის იუბილე. არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ, გოდერძი გულით ხარობდა. ერთი რაღაც მოხდა მაშინ, რამაც გამაოცა და დღესაც მიკვირს.

თოვლი არ იყო, არადა გადაღებისთვის აუცილებლად გვჭირდებოდა. გოდერძი ადგა და სალოცავში წავიდა, საღამოს დაბრუნდა. მეორე დილას რომ გავიღვიძეთ, ისე ბარდნიდა, გარშემო აღარაფერი ჩანდა. ყველანი გავვოცდით, ვერ ვიჯერებდით, უზარმაზარი ფანტელები მოდიოდა ციდან. გოდერძის ვეკითხებოდით: მართლა სთხოვე ღმერთსო? ის კი იღიმებოდა ალალი ღიმილით: ჰო, რა ვიცი, მე კი ვთხოვე და... დღემდე მიკვირს ეს ამბავი, არადა ჩემს თვალწინ მოხდა.

იშვიათად მინახავს რეჟისორი, რომელსაც ასეთი თბილი, უშუალო და სიყვარულით აღსავსე ურთიერთობა ჰქონოდეს მსახიობებთან, როგორც გოდერძის. მან ყველაფერი იცოდა, ყველა მსახიობის ესმოდა და ალბათ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით იღებდა რჩევას, წინადადებას – კადრში რაიმე ნიუანსის დასამატებლად.

მახსოვს, ერთ-ერთი სოფელი უნდა აგვეღო, იქ „კულტურული“ ხალხი ცხოვრობდა, მე შევთავაზე: გოდერძი, მოდი ჩემს რაზმს უკანა სვლით შევიყვან სოფელში, კულტურულებზე უკულტურობით მოვახდინოთ ეფექტი და დავამარცხოთ-მეთქი. გოდერძის გულწრფელი აღფრთოვანება გამოეხატა სახეზე და ეს კადრი, მართლაც, ასე გადავიღეთ. უკანა სვლით შევედით სოფელში და მერე ჩემს რაზმს სკო-

ლის ფანჯრების წინ სულ უკან-უკან დავატარებდი, რომ „ადგილობრივებისთვის ჩვენი ძალა გვეჩვენებინა“ ისე, საქართველოს ყოველთვის კულტურით მასზე დაბლა მდგომი ერები უტევდნენ ხოლმე.

საერთოდ, „ადამიანთა სევდა“ წინასწარმეტყველური ნაწარმოებია. გოდერძიმ იგი ბევრად უფრო ადრე შექმნა, ვიდრე საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდებოდა. ყველას ახსოვს, ალბათ, სოფელში დატოვებულ გალილეის რომ ვუგზავნიდით დეპეშებს: „კიტოხი აღებულია“, „დიდებაანთ კარი ჩვენია“ და ა.შ. სამოქალაქო ომის დროსაც ასეთი განცხადებები კეთდებოდა: ავიღეთ ზუგდიდი, სენაკი, ოჩამჩირე... წინასწარმეტყველური იყო ქალთა რაზმის არსებობაც, ყველას გვახსოვს კარვებში მცხოვრები „მებრძოლი სულის“ ქალები.

რადგან სარდლის როლს ვასრულებდი, გოდერძის შევთავაზე, მოდი, სტალინის ქუდს დავიხურავ, უფრო დიქტატორის იერს მივიღებ-მეთქი. ეს აზრი გოდერძის მოეწონა და სასწრაფოდ მოატანინა გენერლის ქუდი.

რეჟისორები ხშირად არ იღებენ მსახიობთა რჩევებს, ფიქრობენ, რომ ამით ჩრდილი ადგება მათ რეჟისორულ შესაძლებლობებს. გოდერძი ასეთი არ იყო, რაც მოსწონდა, ითვალისწინებდა. თუკი რამე მიუღებელი იყო მისთვის, ისე წყნარად, ზრდილობიანად აგიხსნიდა და დაგისაბუთებდა თავის აზრს, თვითონვე იტყოდი უარს საკუთარ შეთავაზებაზე.

ყველას ახსოვს ჩვენი შეიარაღების მთავარი იარაღი – ზარბაზანი. გოდერძიმ მითხრა, გურამ, ნამდვილ ზარბაზანს ხომ არ ვათრევთ, მოდი, ფეჩი დავაკრათ ვირზე და იქიდან ვისროლოთო. გავგიჟდი კაცი, მეგონა, ბავშვობაში, ღუმელთან რომ იჯდა, მაშინ მოუვიდა ეს აზრი. მთელი გადაღება კურიოზებით იყო სავსე. კაკო რომ არის, ჩემი ასისტენტი, კინოსტუდიაში მუშაობდა, წავიყვანეთ გადაღებაზე და მთელი ფილმის მანძილზე ვეკითხები კაკოს: მოსწონს თუ არა ჩემი საბრძოლო მოქმედებები. დღესაც მეცინება მის პასუხზე: ისე, რა... ესეც გოდერძიმ მოიფიქრა.

ხშირად მიფიქრია, რომელი უფრო ძლიერი იყო, გოდერძი ჩოხელი მწერალი, თუ კინორეჟისორი. მისი ნაწარმოებების კითხვისას აღტაცებული ვიყავი, ფილმებს რომ ვუყურებდი, მაშინაც იგივე განცდა მეუფლებოდა. ბავშვს რომ ეკითხებიან, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო, და უჭირს არჩევანის გაკეთება, ისე მიჭირს მეც ძლიერ რეჟისორად თუ უფრო ძლიერ მწერლად ვაღიარო გოდერძი. ორივე სფეროში დიდებულია. გოდერძი ჩოხელი ისე დუღდა და იხარშებოდა თავის შემოქმედებაში, რომ აშკარა იყო, ის თავის მდიდარ, დიად სამყაროში ცხოვრობდა. შეიძლება, ვინმე შემოგვედავოს მისი ფილმების ტექნიკურ მხარეზე, მაგრამ ამ ფილმებში იმხელა სულიერებაა, ტექნიკურ მხარეს ყურადღებას აღარც აქცევ. მისი ფილმები ნამდვილი ცხოვრებაა.

გოდერძი ძალიან სუფთა, მთის წყაროსავით ანკარა იყო. ერთხელ შინ ვესტუმრე, გაოცებული დავრჩი. მის სახლში, მთასავით დამახასიათებელი სიჩუმე, სიმშვიდე და დიდებულება გამეფებულიყო. ვკითხე: მთაში გაზრდილ კაცს ასე რა გაძლებინებს-მეთქი. სევდიანად გაიღიმა: ეჰ, გურამ, ძალიან მენატრება მთა, იქ მინდა, მაგრამ საქმეს რა ვუყოო.

გოდერძი საოცარი სულის ადამიანი, კრიალა, წმინდა კაცი იყო, სიბინძურეს ვერ იტანდა, მისი გული და ბუნება ვერ ეგუებოდა ყველაფერ იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ჩემზე ბევრად უმცროსი იყო, მაგრამ ისეთი თბილი ურთიერთობა იცოდა, ხან ძმა მეგონა ჩემი, ხან მეგობარი, ხან მამა...

ძალიან განვიცდი მის არყოფნას, ყველას მეტი ყურადღება და სითბო უნდა გამოგვეჩინა მის მიმართ. გოდერძი განსაკუთრებული შემოქმედი იყო, ალბათ, დრო რომ გავა, უფრო მეტად გაბრწყინდება მისი ნიჭიერება, ღვაწლი და დიდბუნებოვანება. ერთხელ ასეთი რამ მიამბო: ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძესთან იყო სტუმრად ყვარელში, კარგა ხანს ყოფილა ვაჟა, მერე აუჩემებია, მთაში უნდა წავიდე, ჩემს თავს კარგი ამბავი არ არისო. ილია არ უჯერებდა,

არ უნდოდა გაშვება. ვაჟას არ დაუშლია და მთაში ასულს ცოლი მძიმე ავადმყოფი დახვედრია. ეს ამბავი რომ მიამბო გოდერძიმ, დაამატა: ვაჟა წინასწარ გრძნობდა და ხედავდა ბევრ რამესო.

მე კი მგონია, გოდერძიც ასე იყო, იგი ყველაფერს წინასწარ შეიგრძნობდა და ამაში უთუოდ ღვთის ხელი ერია.

მტკივა, ძალიან მტკივა გოდერძი. ის ჩვენი დროის გამორჩეული, დიდებული შემოქმედი იყო.

გურამ ფირცხალავა – მსახიობი

ნინო, ლუკა და გოდერძი
ჯ. კასრაძის ფოტო

ღვთის კაცი იყო

გოდერძი გასაოცარი ნიჭის პატრონი იყო. სცენარის ავტორიც გახლდათ, რეჟისორიც, ათას წვრილმან-მსხვილმან საქმესაც თავად აკეთებდა. ამდენი ხალხის გარემოცვაში მიჯდებოდა სადღაც კუთხეში. წერდა, წერდა, გვერდებს შეავსებდა, მოგვცემდა და ცოტა ხანში გადაღებასაც შეუდგებოდა.

ჯიმი ქრისტესაშვილი, გივი ბერიკაშვილი, გოდერძი ჩოხელი. 1997 წ. კინოს სახლი

წუნს ვერაფერში დასდებდი, ყველაფერი ზუსტად ჰქონდა გათვლილი, სიტყვა – მორგებული, ფრაზა – ფრთიანი, გამჭოლი, მთის წყაროსავით სუფთა და კამკამა, სათქმელი – მოზომილი, გულში მოსახვედრი, საბოლოო შედეგი – დიდებული!

გოდერძი ჩემი სიბერის ყველაზე ნათელი წერტილი იყო. ჩვენი შეხვედრა გვიან მოხდა, მაგრამ დიდი წარმატებით დაიწყო, იმიტომ, რომ პირველმა ფილმმა, რომელიც ერთად

გადავიღეთ, გრან-პრი აიღო. ეს იყო „სამოთხის გვრიტები". ამ ფილმის შემდეგ სულ ერთად ვიყავით, განუყრელნი გავხდით.

„სამოთხის გვრიტების" შემდეგ გოდერძიმ დაიწყო „მიჯაჭვულ რაინდებზე" მუშაობა. ჩვენთან ერთად შესნორებებს აკეთებდა. მიჯაჭვული რაინდების საუკეთესო ვარიანტს ვარჩევდით. საბოლოოდ ეს კინოც გადავიღეთ, რუსების დაფინანსებით, მათ ფესტივალზე წავიღეთ. ყველაფერი მოსკოვის არქივში ინახება. სულით ხორცამდე ქართული ფილმი უცხო ენაზე გავახმოვანეთ და ქართული ვარიანტი ვერ გავაკეთეთ. არადა, ამისთვის 24.000 დოლარი იყო საჭირო. გოდერძი ჩიოდა, როგორ ვაჩვენო ქართველ მაყურებელს რუსულად გახმოვანებული ფილმიო. სხვათა შორის, „მიჯაჭვული რაინდები" კანის ფესტივალზეც იყო წარდგენილი.

გოდერძის შემოქმედება ყოველთვის ვიცოდი. ვკითხულობდი, მომწონდა, ფილმებს ვუყურებდი და ვგიჟდებოდი, რამოდენა ნიჭის პატრონი იყო.



გოდერძი ჩოხელი, გივი ბერიკაშვილი, ზურა ბერიკაშვილი, კამერასთან ოპერატორი თამაზ გოგინაშვილი ფილმის „მიჯაჭვული რაინდები" გადაღებაზე. 1998 წ. ფ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

პატარა მოთხრობებიდან სცენარს აკეთებდა. ყველაფერს კინოსთან აკავშირებდა. სხვაგან რომ ყოფილიყო სადმე, მარტო იდეებით იცხოვრებდა და ძალიან წარმატებული და მდიდარი კაცი იქნებოდა.

როგორც კი ქვეყანა აირია, დაიხურა კინოსტუდია და გოდერძი უმუშევარი დარჩა. ამის შემდეგ დაემართა დეპრესია. რატომ არ წერ, ვეუბნებოდი. რაღაც ვერ ვარ კარგადო – მეტყოდა. საშინელი განცდის ქვეშ იყო.

– რა ვქნა, ვწერო, კომბლე ხომ არა ვარ, რომ ვწერო და ვაწყოო. შერყეული ჰქონდა რწმენა. სხვა სამყაროდან მოსული იყო. გოდერძი ყველაფერს სხვანაირად აღიქვამდა, სულ ვამშვიდებდით, მაგრამ ამაოდ.

დეპრესიამ იქამდე მიიყვანა, რომ თვითმკვლელობაც კი სცადა, მაშინ ღმერთმა გადაარჩინა... და ბიძინა ივანიშვილი გამოუგზავნა. იგი დაუდგა მხარში. სამწუხაროდ, უკვე დაგვიანებული იყო. გოდერძის ჯიგარი გაუფუჭდა ამდენი დარდით და ნერვიულობით.

დიდი ჩხუბითა და დავიდარაბით გადავიღეთ „სიყვარულის ცეცხლი" ტელეკომპანია „იმედმა" გამოაცხადა კონკურსი „ოტელო" და ამის გარშემო შეიქმნა სხვადასხვანაირი ფილმები ოტელოზე.

გოდერძის ერთი სცენარი დარჩა ხორცშეუსხმელი, ვერ გადაიღო, მისი ჯავრი თან გაიყოლა. ეს იყო „ვარდისფერი კაცი".

„სიყვარულის ცეცხლს" ყაზბეგში ვიღებდით. გოდერძი შეუძლოდ გრძნობდა თავს. დიდხანს ვისხედით და ვლაპარაკობდით ხოლმე. ერთხელ მითხრა:

– გივი, შენ კი მეჩხუბები, რომ უფალმა აქ დაგტოვა და არ მიგიღო, მაგრამ ვერა ვარ კარგად და შეიძლება მართლა ვერ მოვახერხო „ვარდისფერი კაცის" გადაღება. თუ „ვარდისფერი კაცის" გადაღება შევძელი, ეს იქნება ჩემი ძეგლი... გივი, შენ უფრო შეგიძლია ამისი ხორცშესხმა, თუ მოგვიანებით გამოჩნდა ფული, შენ გადაიღე კინო უჩემოდ.

ვუპასუხე, სისულელეებს თავი დაანებე, შენ რასაც წერ, შენვე ხედავ, როგორ უნდა გადაიღო, სხვა ვერ გადაიღებს ისე, როგორც შენ შეგიძლია-მეთქი.

მისი ბოლო ოცნება ცოტა ძნელი შესასრულებელია. მთავარია, ვინმეს სურვილი გაუჩნდეს და დააფინანსოს. ეს, მართლაც, მისი ძეგლი იქნება. „ვარდისფერ კაცს" მე კარგად ვიცნობ, ყველას ავუხსნი, რა და როგორ უნდა გამოეხატა. მართალია, ამ ფილმის გადაღება ცოტა ძვირი დაჯდება, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ამად ეღირება – წინასწარ ვიცი, „ვარდისფერი კაცი" არაერთ ჯილდოს მიიღებს.

პირველად „სამოთხის გვრიტები" რომ წავიკითხე, ვიფიქრე, ნეტა რამ მოაფიქრა ამ კაცს ეს-მეთქი. კინოფესტივალზე რომ წავიღეთ, რუსები გადაირივნენ. კახი თარგმნიდა ქართულიდან რუსულად. კინომ გრან-პრი აიღო. გრან-პრის ასაღებად გოდერძი დიდი გაჭირვებით წავიდა. ძლივს ვიშოვეთ 1000 დოლარი გასამგზავრებლად. ვის არ ვეღრიჯეთ. ისეთმა ხალხმა გვითხრა უარი 1000 დოლარზე, მრცხვენია მათი გვარების დასახელება. არც ერთი მისი ფილმი ჯილდოს გარეშე არ არის, გოდერძი ნამდვილად გინესის წიგნშია შესატანი.

დიდი სევდა დამიტოვა ჩემმა გოდერძიმ, უცნაურმა თავისი სიყვარულით, კალმით, ყველაფრით გამორჩეულმა კაცმა.

გადაღებების დროს შენიშვნის მიცემაც კი ერიდებოდა ხოლმე. თუ რამე არ მოეწონებოდა, წავიდოდა თავისთვის, ცალკე დაჯდებოდა, გაიბუტებოდა:

– რას იბუტები, გოდერძი?

– არ მომწონს.

– ენა შენს პირში არ არის?! თქვი, რა არ მოგწონს და გავაკეთოთ ისე, როგორც შენ გინდა.

მერე მოვიდოდა, აი, ეგრე გავაკეთოთ რაო, ღიმილით იტყოდა ხოლმე.

გოდერძი ისეთი პიროვნება გახლდათ, რომელიც აუცილებლად დაგიგდებდა ყურს და რჩევას ყურადღებით მოისმენდა.

არ ვფიქრობ, რომ ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო, მაგრამ იქნებ რამის შეცვლა შეიძლებოდა? როდესაც კინოს იღებდა, არაფერი არ სტკიოდა. ახლა კინო კი არა, ერთმანეთის ქიშპობაზე გადავედით. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე ვნახე, მითხრა: მე მოვკვდები, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ, ცუდ ამბებს ვხედავო. ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას საშინლად განიცდიდა, ალბათ ჩვენზე მეტადაც, რადგან ის არ იყო „ჩვეულებრივი" ადამიანი.

გოდერძი ჩოხელი მართლა ღვთის კაცი იყო, უფლისგან დიდი ნიჭით დაჯილდოებული, ქვეყნისთვის უამრავი სიკეთისა და სიყვარულის მომტანი. უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ ვუპატრონეთ.

რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი მეგობრის – გოდერძი ჩოხელის ცხედართან. ქაშუეთის ეკლესია. 19 ნოემბერი, 2007 წ. თ. კერესელიძის ფოტო.

გოდერძი ვაჟა-ფშაველაზე ამბობდა, ვაჟას ღმერთები ათამაშებდნენ ხელში, ხელიდან გაუვარდათ და ჩვენთან ჩამოვარდა, ამიტომ ბედნიერი ხალხი ვართო. შენ საიდან გაჩნდი? – ვკითხე მე. მიპასუხა: მე ვაჟა-ფშაველას ვეჯექი პატარა ჯიბეში და მას გადმოვუვარდიო.

უცნაური ხალხი ვართ ქართველები, უფალი ვაჟას რომ გამოგიგზავნის, ფიროსმანს, გალაკტიონს, ილიას, გოდერძი ჩოხელს და ჩვენ კი... ეეჰ!

გივი ბერიკაშვილი – მსახიობი

გოდერძის ფილმმა „სამოთხის გვრიტები" ანაპის საერთაშორისო კინო-ფესტივალზე გრან-პრი მიიღო.
ანაპიდან დაბრუნების შემდეგ. მანანა სურმავა, ანდრეი ლოგვინოვი, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, გოდერძი ჩოხელი, ჯიმი ქრისტესაშვილი 1997წ.

სიამოვნებით ვიმუშავებდი ისევ გოდერძისთან

მთა გოდერძის მეშვეობით „გავიცანი". მასთან მუშაობის დაწყებამდე რამდენიმე ფილმი მქონდა გაფორმებული. გოდერძიმ ასისტენტს დაარეკინა და ჩვენ ძველ კინოსტუდიაში შევხვდით. მითხრა, თქვენი თავი მიქეს, მინდა, ერთად ვიმუშაოთ. ისიც ვიცი, მეუღლე მხატვარი გყავთ და თუ ისიც თანახმა იქნება, ჩვენთან მოვიდესო.

ძალიან საინტერესო იყო გოდერძისთან თითოეულ ფილმზე მუშაობა. მან რომ ასაკოვანი მსახიობები შეარჩია გადასაღებად, უნდა გენახათ, როგორ ბავშვებივით უხაროდათ – გოდერძიმ გაგვიხსენაო. „სამოთხის გვრიტების" ძირითადი გადაღებები ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში მიმდინარეობდა. სოფელი მთაზე იყო შეფენილი. მსახიობები ავტობუსით აჰყავდათ. თავიდან ძალიან ეშინოდათ, მერე თანდათან შეეჩვივნენ. ჩვენც ამ სოფელში ვცხოვრობდით. ორი კვირით მომზადდა სახლი, სკოლის ოთახი, გადაღების ადგილები. „სამოთხის გვრიტები" და „ლუკას სახარება" ერთი ფილმის ბიუჯეტით შეიქმნა. დაფინანსება მცირე იყო, მაგრამ თანხა განაწილდა და ეს გოდერძის დამსახურება იყო. სკოლის სცენა ჩოხში გადავიღეთ. მარიამობაზე მყინვარის ქვეშ, გერგეთის სამებაზე ვიყავით. მთელი ჯგუფი ფეხით ავედით სამებაზე, გოდერძიმ დაიჟინა – ასე სხვა მადლიაო.

ჯგუფის წევრები ერთმანეთს მეტსახელებს ვეძახდით. ადმინისტრაციაში მუშაობდა ადამიანი, რომელიც არაჩვეულებრივ კონტაქტს ამყარებდა იქაურ მოსახლეობასთან, თან სმა უყვარდა და მერე „შნუროკივით" მხარზე გადაკიდებული მოჰყავდათ ჩვენამდე. ამის გამო მას „შნუროკას" ვეძახდით. რაც უნდა დაგევალებინა მისთვის, მოიმოქმედებდა.

ერთხელ „დვიუოკის" საწვავი გაგვითავდა. გვესაჭიროებოდა დენი და შესაბამისად – ელექტრიკოსი, რომელიც განათების ბოძიდან დენს აპარატურამდე გადმოიყვანდა.

წავიდა „შნუროკა“ ელექტრიკოსის მოსაყვანად. მძღოლმა, რომელმაც „შნუროკა“ წაიყვანა, მერე გვიამბო: ელექტრიკოსი ხელებს იბანდა და სუფრას უნდა მისჯდომოდა, როცა მას „შნუროკა“ მივარდა, არ დალიო, საქმეზე უნდა წაგიყვანოო. ის არ დაემორჩილა, მეზობელთან ერთად დაიწყო სმა და თან სტუმარიც დაპატიჟა. მძღოლმა მიატოვა ისინი და ჩვენთან დაბრუნდა. დაიწყეს ქეიფი, გავიდა დრო... საუბარ-საუბარში „ელექტრიკმა“ გამოიკითხა, რისთვის იყო მასთან მისული სტუმარი. რომ გაიგო, გოდერძის სჭირდებოდა მისი დახმარება, მთვრალმა სუფრა მიატოვა. გავხედეთ და ვხედავთ ასეთ სცენას: წინ მოდის ელექტრიკოსი ელექტრობოძზე ასასვლელი, მხარზე გადაკიდებული კლანჭების ჟღარუნით, მას „შნუროკა“ და მეზობელი მოსდევენ სიმღერ-სიმღერით, ხოლო მათ უკან ბავშვები მოსდევენ ტირილ-ტირილით: „მამიკო, არ წახვიდე რა, არ წახვიდე“ ამ პროცესიის ბოლოს ცოლიც მოჩანს, რომელიც ქმარს უყვირის, სად მიდიხარ, ქიტეს, სად მიდიხარო. ის მაინც ავიდა ბოძზე, თავისი საქმე მცირე დროში გააკეთა და გადაღებებიც გაგრძელდა.

საერთოდ, გოდერძი თავის კუთხეში ძალიან უყვარდათ და პატივს სცემდნენ, მაგრამ ის ამით არასდროს სარგებლობდა. სახინკლეში შესვლამდე, ჯერ შეიხედავდა, თუ ნაცნობს ვერ დაინახავდა, მაშინ შევიდოდით, ან წინასწარ იხდიდა სუფრის საფასურს.

გოდერძის განუხორციელებელ ოცნებად დარჩა „ვარდისფერი კაცის“ გადაღება. მთავარი როლი გივი ბერიკაშვილს უნდა შეესრულებინა. სამნოველიან ფილმში გივისთან ერთად კახი კავსაძეს და რამაზ ჩხიკვაძეს უნდა მიეღოთ მონაწილეობა ჩემთვის, როგორც მხატვრისთვის, შესანიშნავი სამუშაო იქნებოდა. კადრები წინასწარ მქონდა წარმოდგენილი.

ახლა, წარსულს თვალს ვავლებ და ვფიქრობ, ისევ სიამოვნებით ვიმუშავებდი გოდერძისთან.

ერთხელ, „მიჯაჭვული რაინდების“ გადაღების დროს სამოთხის კარი დავხატე, ყვავილებით შევამკეთ და ოქროსფრად შევღებეთ. გოდერძიმ მითხრა, კუთხეში წითელ ლენტშებმული სააღდგომო ბატკანი დამიხატეო. დავხატე და არ მოეწონა, ეს ცხვარია, მე სხვანაირი ბატკანი მინდაო. ჩემი ნამუშევარი ყოველთვის მოსწონდა და პირველად გავიგე მისგან ასეთი შეფასება. კიდევ დავხატე, არ მოეწონა, ფიროსმანის ბატკნის მსგავსი მინდაო.

მაშინ ერთაწმინდაში ვიყავით და სოფლის რომელიღაც ოჯახიდან ფიროსმანის წიგნი გამომიტანეს.

დავხედე, აღვიდგინე და ბატკანი მესამედ რომ დავხატე, მოეწონა, აი, ზუსტად ასეთი მინდოდაო.

ასეთი იყო გოდერძი.

გული მწყდება, რომ „ვარდისფერი კაცის“ გადაღება ვერ შეძლო...

დავით საჯაია,
მხატვარი
გოდერძი ჩოხელის ბოლო ოთხი ფილმის:
„სამოთხის გვრიტების“, „ლუკას სახარების“,
„მიჯაჭვული რაინდებისა“ და „სიყვარულის ცეცხლის“
დამდგმელი მხატვარი.

სოფ. ცდო. ფილმის „ლუკას სახარება“ გადაღებაზე. 1997 წ.

ყაზბეგი. ფილმის „მიჯაჭვული რაინდები“ გადაღებაზე.
გადამღები ჯგუფი. 1999 წ.

დარდების შემგროვებელი

გოდერძი... კიდევ ერთი სამუდამო ტკივილი ჩემთვის... მე ის გუდამაყრის კლდის ნატეხი მეგონა, ის კი იმავე ხეობის ბალახის ღერი იყო თურმე. გოდერძი – ვაჟა ფშაველას დეკა თუ ღვია... ცხოვრების ქარიშხლებს ვერ გაუძლო, გულმა ვერ გაუძლო... რაღაცამ, რისი დასახელებაც ძალიან ძნელია, წააქცია და წალეკა.

რა იყო ის რაღაც? პოლიტიკური თუ სოციალური კატაკლიზმები ყველას დაგვატყდა თავს, მაგრამ ის მთის მიამიტი შვილი იყო და სხვებზე მეტად დაიბნა. ვერ გაიგო, ამ მისთვის საოცნებო დამოუკიდებელ საქართველოში რატომ დაიყო უცებ საზოგადოება მტრებად და მოყვრებად, რატომ გაბატონდა ირგვლივ სიძულვილი, – არც ესმოდა, როგორ უნდა სძულებოდა ვინმე – ეს ვინმე ხომ,მისი გაგებით, „მოყვასი“ იყო. – კინოს გადაღებაც მიუწვდომელი გახდა, მუჯლუგუნებით გზის გაკვლევაც არ შეეძლო. ამას, ალბათ, ადამიანთა გულგრილობაც დაემატა. ასე, ნელ-ნელა, თავი გარიყულად იგრძნო და მარტოობაში და უიმედობაში ჩაიძირა. და გულიც გასკდა. ამოიძირკვა დეკა თუ ღვია.

ის მოვიდა თეატრალურ ინსტიტუტში პირდაპირ გუდამაყრის ხეობიდან, თავისი ჩოხიდან, – რაც კარგები ვართ, სულ ჩოხელები ვართო, ამბობდა სიცილით, – პატარა გამხდარი ბიჭი, რომელიც სრულებით არ ჰგავდა სტერეოტიპულ მთიელს და მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება თავისი არახალგაზრდულად დაკვირვებული მზერით, სხვებისგან განცალკევებისა და სიჩუმისადმი მიდრეკილებით და, რაც მთავარია, წერის ღვთით მომადლებული ნიჭით. ეს მაშინ ვიგრძენი, როცა ჩემი დავალებით – პირველი კურსის სტუდენტმა – პირველი მოთხრობა დაწერა ხევსურული სოფლის – ანატორიის ტრაგიკული ბედის შესახებ. უკვე მაშინ, ამ აშკარად გამოუცდელ ხელით ნაწერში, სიტყვის ისეთი ძალა,

წარმოსახვის ისეთი უნარი იგრძნობოდა, რომ უცებ სული შემეხუთა, რადგანაც მივხვდი – ამ მორცხვი და თავისებურად ფაქიზი მთიელის სახით საქართველოს ჭეშმარიტი მწერალი მოევლინა!

გოდერძი მესამე კურსზე იყო, როცა მისი საკურსო ფილმი „ადგილის დედა" ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს. ეს უკვე თავისთავად იყო წარმატება – სტუდენტური ფილმის მონაწილეობა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალში. მაგრამ ის, რაც მერე მოხდა... ჟიურის წევრი ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, როგორი თანაგრძნობით განიმსჭვალა გერმანელი მაყურებელი ამ 80 წლის გუდამაყრელი ქალის მიმართ, რომელიც ტოპ-მოდელის მიხრა-მოხრით დაქროდა ხეობის ფერდობებზე, და როგორი სიცილნარევი ტირილით შესცქეროდნენ ამ სოფელში მარტოდმარტო დარჩენილი, ყულფში თავგაყრილი მოხუცის ძროხასთან გასაუბრებას. შედეგი კი ის იყო, რომ მესამე კურსის სტუდენტის ფილმმა ფესტივალზე „გრან-პრი" დაიმსახურა. პატარა ბიჭი – გოდერძი ამ წარმატებას ჩუმი სიხარულით და ფილოსოფიური სიმშვიდით შეხვდა...

უკანასკნელად ამ ორიოდე თვის წინათ ვნახე, დიღომში, მერვე სართულზე, თავის „ხრუშჩოვკაში" ჩაკარგული ძლივს დადიოდა, ასევე, ძლივს სუნთქავდა, მაინც მომღიმარი იყო და ადამიანთა მიმართ მადლიერების გრძნობით სავსე. და თუმცა არ ამჟღავნებდა, მაინც საშინლად მარტო მომეჩვენა. ნინოზე და შვილებზე მითხრა, ამათაც რა ქნან, თავი მოვაბეზრე, განა ჩემი ატანა შეიძლებაო. დაფიქრდა და დაუმატა, მაინც სულ ჩემთან არიანო. ასე იყო მოწყობილი, თავის უახლოეს ადამიანებსაც არ უვიწყებდა ყურადღებას.

რამდენიმე სტრიქონი ჩემი 80-იანი წლების ჩანაწერებიდან:

„გოდერძი ჩოხელი უკვე არსებობს, როგორც მოვლენა. ის ჩამოვიდა გუდამაყრის ხეობიდან და თან მოიყოლა: ბერი

ჯღუნა, დარდების შემგროვებელი, ახაიდუ ახაიდა დურხანი, გუდამაყრელი დედაკაცები და მათი სევდა, ვარდისფერი კაცი – ამბროსუკუნა და კიდევ ბევრი სხვა ვინმე. ის სიუჟეტებით და ისტორიებით არის დატვირთული. ინტუიციით უამრავი რამე იცის. მის მოთხრობებსა და ფილმებში ერთად არსებობს სასაცილო და სატირალი, გროტესკი და ტრაგედია, ბუფონადა და ჩვეულებრივი ყოფა. ამგვარი სტილი მას დიდ თანამედროვე მწერლებთან აახლოვებს. მისი დარდების შემგროვებელი დადის სოფელ-სოფელ, კარდაკარ, აგროვებს დარდებს, ყრის მათ გუდაში და ანერს ნომრებს; დარდი ნომერი ათას სამას ორმოცდაშვიდი, ორმოცდარვა და ა.შ. ასე ჩნდება წიგნის ფურცლებზე საოცარი სახე: სოფლიდან სოფელში, კარდაკარ მოხეტიალე კაცი, ზურგზე მოკიდებული დარდებით სავსე გულით...“

დღეს, როდესაც გოდერძი სამუდამოდ დაგვემშვიდობა, მიჩნდება განცდა, რომ ეს უცნაური არსება – დარდების შემგროვებელი – თვითონ გოდერძია, რომ თავის წარმოსახვაში ის თვითონ დადიოდა ასე, ხეობიდან ხეობაში, მთიდან ბარში და ბარიდან მთაში, ესაუბრებოდა სულ სხვადასხვაგვარ ადამიანებს და მათ დარდებსა და ტკივილებს ითავისებდა. და მართლაც, როგორ შეეგუებოდა ქვეყნის დარდების გამზიარებელი მისთვის საყვარელ ადამიანთა ურთიერთსიძულვილს?

და მე მგონია: ასე ივლის სულ, ჩვენს შორის, მომცრო ტანის, მორცხვი, მოკრძალებული ბიჭი ზურგზე მოგდებული დარდებით სავსე გუდით და ჩვენც ჩაგვახედებს ამ დარდებში, ჩაგვახედებს იმისათვის, რომ ჩვენ, ადამიანთა მოდგმამ, უფრო ბუნებრივად მივიტანოთ გულთან სხვათა წუხილი.

ლანა ღოღობერიძე – კინორეჟისორი,
„24 საათი“ №268, 23 ნოემბერი, 2007 წელი

გოდერძის და ნინოს ქორწილი. 1982 წ.



კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე გოდერძის ხსოვნის საღამოზე ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“. 26 აპრილი, 2010 წ.
თ. კერესელიძის ფოტო

P.S. ავტორის მინაწერი

ქალბატონმა ლანამ პირად საუბარში ასეთი რამ მითხრა: გოდერძი მთის ბროლივით იყო, სუფთა, გამჭვირვალე. მეშინოდა, არ დამსხვრეულიყო.

„თეთრი მტრედები მოფრინდნენ გელათში“

15 ნოემბერს ერთი წელი გავიდა ცნობილი მწერლისა და კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის გარდაცვალებიდან. იგი სამთავროს მონასტერში განისვენებს. მისი სული სანთელივით ჩაიფერფლა სამშობლოზე ლოცვაში. ზეციურმა სასუფეველმა მიიბარა, ჩვენ კი, ამ ცოდვა-მადლით აღვსილ წუთისოფელში ულამაზესი გზავნილი დაგვიტოვა: ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!

ამ სიყვარულის ნათელი შემატებია ნოემბრის სევდიან დღეებს. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება გოდერძის მთელი შემოქმედება, რომელიც გუმბათმორღვეული სამშობლოს სამრეკლოდან გამორჩეული ხმით ისევ ჩვენთვის რეკავს და გვეძახის.

გოდერძის მონატრებამ მოკრძალებითა და მადლიერებით ამოათქმევინა ეს გამოსათხოვარი საქართველოს სახალხო არტისტს, თეატრისა და კინოს მსახიობს, ქალბატონ ნინო (ნინიკო) ჩხეიძეს. რეჟისორის ხანდაზმული მეგობარი და მის ფილმებში მრავალი როლის შემსრულებელი გოდერძი ჩოხელს ემადლიერება სამშობლოს სიყვარულისთვის, ნიჭიერებისთვის, მეგობრობისთვის, დიდი ეროვნულობისთვის, მოკრძალებული თავმდაბლობისთვის, მართლმადიდებლობის გამორჩეული სიყვარულისთვის, მსახიობთა გულთბილი მეგობრობისთვის, თაობების გოდერძისეული, კინოხელოვნების თავისებური, ახლებური, მომხიბვლელი სამყაროს ზიარებისა და დანახვისთვის.

„ჩემო გოდერძი, მთელი არსებით ცდილობდი, ქალაქში გაზრდილ მსახიობთათვის დაგენახვებინა საუკუნეებით შექმნილი მთის წეს-ჩვეულებათა რაინდული სული, გაგეცნო მათთვის ხევის და ხევსურეთის სოფლების – ყაზბეგის, გერგეტის, ხახმატის, ცდოს, სნოს, ფუძნარის, სიონის, შატილის დიადი ბუნება, რათა მათ შეეგრძნოთ გაზაფხული, ბუნების გაღვიძება, ყვავილები, ფრინველების საქორწინო ცეკვა, შინაური და გარეული ცხოველების მოქმედება, გამრავლება.

გინდოდა, დაგენახვებინა ჩვენთვის ზამთრის თოვლი, ყინვა, ზვავები, ღრუბლები, ნისლების დაბადება ხეობებში, მდინარეების ზედაპირიდან შეკუმშული თეთრი ქულის ამოვარდნა, რომელიც, თეთრი მანდილივით გაშლილი, ხან მთების ყელზე მოეხვეოდა და ხანაც ფეხთა ქვეშ თეთრ ხალიჩასავით იშლებოდა.

გსურდა, გვეხილა გაყინული ჩანჩქერები, რომელთა სიღრმეებშიც ოდნავ ისმოდა ცოცხალი ნაკადულის ჟღურტული; დაგენახვებინა ჩვენთვის ქარიშხლის თოვლის კორიანტელის სულის შემხუთველი ძალა, ქარის ქროლვა, ნაზი სიოს ალერსი. ცდილობდი, გვეგრძნო მქუხარე მდინარეების ხმაურიანი აზვირთება, კლდეების, ქვების, კენჭების მოძახილი: გვეევლო გაუვალ ხეობებში, მოვფერებოდით ასწლოვან ხეებს, ბუჩქებს, ბალახს და თვით მიწასაც კი და გვეგრძნო ყველა ამ მოვლენის ადამიანურ ენაზე ამეტყველება.

გვაზიარებდი ჟრუანტელის მომგვრელ შენს ხევსურულსა და მთის დამახასიათებელ ჰანგებს და ცეკვებს.

გმადლობთ, რომ შენი წყალობით ისე გავმამაცდი, ზამთარში დიდ ქვებზე ხტომით ორჯერ გადავიარე არაგვი.

გმადლობთ, რომ შენი წყალობით მყინვარწვერთან მდებარე გერგეტის სამების ტაძარში ფეხშიშველი ავედი სალოცავად.

შენ, ჩემთვის, გოდერძი ჩოხელი – კინოში მოსული დიდი ვაჟა ფშაველა, პოეტი და მწერალი ხარ.

გმადლობთ, რომ შენი წყალობით, ჩვენ – მსახიობები დღემდე ვმეგობრობთ აპარეკა წიკლაურთან, ამირან ჭინჭარაულთან, მამუკა ღუდუშაურთან, ბაბუა და ბათირა არაბულებთან.

განსაკუთრებით გემადლიერები, რომ შენ უჩემოდ არ წახვედი იმერეთში. როდესაც იმერეთმა, კერძოდ, ქუთაისმა და მისმა თავკაცმა თემურ შაშიაშვილმა შენი იუბილე გადაიხადა, ამ საიუბილეო ამალაში, ლევან სანიკიძესთან, რეზო მიშველაძესთან, გივი ბერიკაშვილთან, თემურ ჩალაბაშვილ-

თან, გოდერძი მარსაგიშვილთან და გოდერძი ავსაჯანიშვილთან ერთად მეც ვიყავი. შენს მშვენიერ ცოლ-შვილთან ერთად ვიმგზავრე მიკროავტობუსით ქუთაისამდე.

...და შენი წყალობით საოცარი რამ ვიხილე ქუთაისში. როდესაც გელათის ტაძრის ეზოში დარუბანდის ჭიშკართან დაკრძალულ საქართველოს ძლიერ მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის საფლავთან დაიჩოქე და უხმოდ თრთოდი, შენი ცრემლები ია-ვარდებად იშლებოდა დავითის გულზე, საიდანლაც თეთრი მტრედები მოფრინდნენ, ფარფატით დაგასხდნენ თავზე და მხრებზე, თითქოს დავითის სული მადლობას გიხდიდა და გლოცავდა.

დიდი მადლობა, რომ ბაგრატის სასახლის ნანგრევების ჩუქურთმებს კოცნიდი, მერე ხელები გაშალე არწივის მართვესავით, სირბილით მიადექი მისი ეზოს კბოდეს და გაბრწყინებული სახით რიონის ხეობას ომახიანად გასძახე – შენ გენაცვალე, საქართველო...

გმადლობთ, რომ ქუთაისიდან იმავე მიკროავტობუსით დაბრუნებისას, უშანგი ჩხეიძის მუზეუმიც და კარ-მიდამოც მოინახულე და ნაუცბათევ სუფრაზე მცირე პურმარილი არ დაიწუნე. შამპანიურით სავსე ბოკალი ასწიე და წარმოსთქვი: შენ გაგიმარჯოს, უკვდავო უშანგი ჩხეიძე, შენს სიცოცხლეს და ხსოვნას გაუმარჯოს!

გმადლობთ, რომ დღესაც თბილისის უშანგის ბინა-მუზეუმს შენი ნაჩუქარი, შენი ფილმების ატრიბუტი ამშვენებს.

– ხევისბერის ნატარები 3-მეტრიანი ხის ჯვარი თავისი ზანზალაკებით („ადამიანთა სევდა“);

– დუქარდი ცხვრის საპარსი მაკრატელი („სამოთხის გვრიტები“);

– 100 წლის წინათ დგიმზე მოქსოვილი, ულამაზესი ფერებით მოქარგული და შეკერილი ხევსურული კაბა ამკობს და ამშვენებს აქაურობას („მიჯაჭვული რაინდები“).

გმადლობთ, რომ 15 წლის წინათ შენი, გოდერძი მარსაგიშვილის და გოდერძი ავსაჯანიშვილის მოტანილი ბრონეუ-

ლის ხეების ნერგები ჩემს ეზოში, თბილისში, დღეს 5 მეტრის სიმაღლისანი არიან და გაზაფხულზე მათი ბრდღვიალა ყვავილები და ნაყოფი ალამაზებენ ჩემს ეზოს.

...ცხოვრებისეული დროის მუხთლობის მსხვერპლო, მთავრობის უნიათობით საქართველოს კინოხელოვნების ჩაკვდომისა და განადგურების გამო უმუშევრად დარჩენილო ნიჭიერებავ, დარდმა და სევდამ, დეპრესიამ მოგიღო ბოლო.

სულ ახალგაზრდა წახვედი ჩვენგან, ბოლომდე დაიხარჯე.

მაპატიე, დამნაშავე ვართ შენს წინაშე მეც და სხვა ჩემზე დიდი მსახიობებიც, რომ ყოველდღიურად გვერდით არ გედექით და დარდს არ გიმსუბუქებდით.

რა დასანანია, რომ ახალი ფილმების შექმნის შენეული ოცნებები თან წაიღე იმ ქვეყნად.

ღმერთმა ინებოს, შენს ლომივით ბიჭებს – ლუკას და ნიკას შენი გენი გამოჰყვეს და, რაც შენ ვერ აისრულე, ვერ მიიყვანე ბოლომდე, მათ გაეგრძელებინოთ კინოხელოვნების დიდ საქმეში.

ბედნიერი ხარ და ეს ჩემი სიტყვები მიდევნებულ ლამპრად ჩათვალე. ქაშუეთის ტაძარში დასვენებულ შენს ცხედარს ჩვენი ერის სულიერმა მოძღვარმა, უნეტარესმა, დიდმა ილია მეორემ წესი აუგო და შენი ოჯახი დალოცა: შენი მშვენიერი მეუღლე ნინო მელაშვილი, შენი და ელისო, შენი დისშვილი შორენა და დის შვილიშვილი ბექა. ხოლო უნეტარესის წინ დაჩოქილ შენს შვილებს – მზეჭაბუკებს: ლუკას და ნიკას ბექასთან ერთად თავზე ხელი დაადო და დალოცა: უსურვა მათ, რომ მამის – გოდერძი ჩოხელის მსგავსი მამულიშვილები და დიდი ქართველები ყოფილიყვნენ.

მადლი ღვთისა, წმინდა წყალი, ჩვენც, შენს არტისტებსაც გვერგო – თამარ სხირტლაძეს, გივი ბერიკაშვილს, გურამ ფირცხალავას, კარლო საკანდელიძეს და სხვა მრავალს.

დიდი მადლობა მითქვამს, ჩემო გერგეტის ტაძრის ანგელოზო, ხევის, ხევსურეთის მარგალიტო, გმადლობთ, რომ

არსებობდი, ამშვენებდი, ამდიდრებდი შედევრებით ხელოვნებას და მწერლობას.

ღმერთმა ინებოს და შენს გვარში, ჯიშსა და ჯილაგში, შენს შვილებსა და შვილიშვილებში განმეორდეს შენი ნიჭიერება, შენი მაღალი ზნეობა და შენი კინოხელოვნების ტრფიალი.

შენი ნინო ჩხეიძე
ჩაიწერა თამარ შაიშმელაშვილმა,
„საქართველოს რესპუბლიკა", ნოემბერი 2008 წ.

ფილმის „სამოთხის გვრიტები" ჩვენება კინოს სახლში. 1997 წ.

„კლდეს ვაჟა-ფშაველას ფორმა ჰქონდა“...

შემზარა გოდერძის ამბავმა, ამ დღეებში სულ მასზე ვფიქრობდი. თვალწინ დამიდგა ხევსურეთში გატარებული ულამაზესი ორი კვირა, ის წუთი, როცა დამირეკა და მითხრა – „ცოდვის შვილებში“ თქვენთვის პატარა, უსიტყვო, მაგრამ საკვანძო როლი მაქვს – აღაზას მსგავსი პერსონაჟი მინდა განასახიეროთ და თუ დამეთანხმებითო. გამიხარდა, თანაც უსიტყვო როლი კინოში კარგად მაქვს დაცდილი – ჩემი პირველი პერსონაჟიც – ნუცა – უსიტყვოდ მოქმედებდა. მთელი ფილმი ორ კვირაში გადავიღეთ, ისე, რომ დაღლა არ გვიგრძვნია. ეს რეჟისორის დამსახურებაა, როცა – რეჟისორი ნიჭიერი და მონესრიგებულია, მუშაობის პროცესი უპრობლემოდ მიდის. თანაც, მახსოვს, მაშინ კუჭი აწუხებდა – ვხედავდით, როგორ იტანჯებოდა, მაგრამ ერთხელ არ დაუწუწუნია, არავის ახვევდა თავს საკუთარ ტკივილს.

დღეებმა ელვისებური სისწრაფით ჩაიქროლეს – საოცარი ადამიანი და რეჟისორი იყო, მაგრამ მისი არტისტული ბუნება იქ, ხევსურეთში, აღმოვაჩინე. უცებ ისეთ ლექსს ან შაირს იტყოდა, ისე გაითამაშებდა რაღაც ეპიზოდს, გაოგნებული ვუყურებდი ხოლმე. ხან წყალი არ იყო, ხან შუქი, მაგრამ ამის გამო ერთხელაც არ მიგრძვნია დისკომფორტი, პირიქით – იქ ყველაფერი სიამოვნებას მანიჭებდა. ერთხელ მომკიდა ხელი, რაღაც უნდა გაჩვენოო და წამიყვანა, მართლაც, საოცარ ადგილას აღმოვჩნდი. კლდესთან მიმიყვანა და მკითხა – ვაჟა-ფშაველას თუ ხედავო. უცებ შევცბი. კლდეს, მართლაც, ვაჟა-ფშაველას ფორმა ჰქონდა – კარგად გავარჩიე მისი აღნაგობა, ნაბადი, ქუდი. ბუნება დიდებულია, მაგრამ კიდევ უფრო დიდებული ის არის, ამ სილამაზის აღმოჩენის და დანახვის ნიჭით რომ ხარ დაჯილდოებული. იმ დღეებში იმ ნიჭიერებით ვსაზრდოობდი, რასაც გოდერძი მახვევდა თავს. მაშინ, მახსოვს მითხრა – ჩემი თილისმა ხარო.

და თუ ეს, მართლაც, ასეა, მინდა, მალე გამოჯანმრთელდეს, ოდნავ მაინც მიეახლოს ჩემი სურვილები და ისევ გაგვხვიოს ნიჭიერების ალში. მე ყოველთვის ვილოცებ მისთვის.

მარინა ჯანაშია,
მსახიობი,
„მთავარი გაზეთი – კვირას", 01.06.2003 წ.



გოდერძი ჩოხელი და ოპერატორი თამაზ გოგინაშვილი

„ილოცეთ მისთვის“

ახლა გოდერძისგან მოვდივარ, ასეა, – მივალ პალატასთან, შიგნით ვერ შევდივარ, მივალ, ავიტუზები კართან, ვიგებ მის ამბავს და უკან ვბრუნდები, რომ შევიდე, რა ვუთხრა, კარგად იცის, რომ მისი ტკივილი ჩემი ტკივილიცაა. მართალიც ვყოფილვარ. უწმინდესს და უნეტარესს ასეთი კურთხევა მიუცია: „გოდერძის ნახვის უფლება არავის აქვს. ილოცეთ მისთვის“ როდის გავიცანი, აღარც მახსოვს. მერე ჩემი შვილის – ლუკას ნათლია გახდა და დავნათესავდით ნათელმირონით. ერთი თვის წინათ იყო სტუდიაში, ბევრი ვისაუბრეთ – ვერ ვარ კარგადო, მითხრა, ვერაფერს ვაკეთებო. მაინც ასეთ რამეს თუ ჩაიდენდა, ვერაფრით ვიფიქრებდი. ილო ჩაჩანიძე ხომ გახსოვთ? მასეთი წყნარი კაცი ჯერ არ მინახავს, მისი საქციელი ჩემთვის შოკის მომგვრელი იყო. ადამიანი რა დროს რას ჩაიდენს, მხოლოდ ღმერთმა იცის, გოდერძის შემთხვევაში ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, ყოფითიც, შემოქმედებითიც, მატერიალურიც, სახლში არ გიჩხუბიათ? გაღიზიანებული შეიძლება ერთი ციდა რამის გამო ისე მოიქცე, მერე თვითონაც გაოგნდე.

სახლშიც ვიყავი ამას წინათ მასთან – ტელევიზია იღებდა. მერე განვმარტოვდით. ძალიან ცუდად ვარ, საშინელი დეპრესია მაქვს, არ ვიცი, რას გავაკეთებო. მთლად ასე თუ მოიქცეოდა, ვერაფრით ვიფიქრებდი. მოუთმენლად ველოდები მასთან შეხვედრას და საუბარს. თვითონაც იცის, ბევრი გვაქვს სალაპარაკო. ღმერთის წყალობით, ალბათ ეს დღეც მალე დადგება.

სოსო ჯაჭვლიანი,
მსახიობი, რეჟისორი
„მთავარი გაზეთი – კვირას“
01.06.2003ნ.

„ძალიან დამაკლდა“...

გოდერძი ვაჟასავით ბუნების ლაღი შვილი იყო. ვაჟას არ ვიცნობდი, მაგრამ წარმოსახვაში იგი სწორედ ისეთი წარმომიდგენია, როგორიც გოდერძი იყო. ძალიან მწყდება გული, რომ ბევრნი არ იცნობდნენ, არ იციან როგორი პიროვნება იყო – როგორი მოაზროვნე და შემოქმედი!

რას ვიზამთ, ასე ყოფილა და ასე იქნება მომავალშიც – თანამედროვეობას თითქმის ყოველთვის უჭირს ნიჭიერი კაცის აღიარება. კარგად თქვა ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანმა: ქართველებს მკვდარი პოეტები უფრო გვიყვარსო. ვინ იცის, ეგებ ამიტომ შეიშალა ყაზბეგი და ცეცხლს მისცა თავის ნაწარმოებთა დიდი ნაწილი, ეგებ ამადაც გაშალა ფრთები გალაკტიონმა და ცაში ფრინველად გაიჭრა, ეგებ ამიტომ მიმართა პროტესტის უკიდურეს ფორმას გოდერძი ჩოხელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ.

კიდევ კარგი, მაშინ ყველაფერი კეთილად დასრულდა. უფრო მეტიც – თავისი სიძლიერით დაჯაბნა, სძლია ყოველგვარ უკეთურებას და რაღაცის შეცვლის, დაფიქრების სურვილი გაგვიჩინა. მაშინ ჯერ კიდევ მშენებარე სამების საკათედრო ტაძარში გოდერძი ჩოხელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აღვლენილ უწმინდესის ლოცვას კი მთელი მორწმუნე ერის ლოცვაც გულმხურვალედ შეუერთდა.

ამის შემდეგ, ოთხი წლის განმავლობაში, დიღმის მასივში 16-სართულიანი სახლის VIII სართულზე გალიაში გამომწყვდეულივით, წინ და უკან დაწრიალებდა გოდერძი. თითქოს მიწაც გაუუცხოვდა, ყოფიერებასაც დაეკარგა აზრი, სულში სიცარიელისა და ამაოების განცდა გაუჩნდა, დასნეულდა, ველარ გაუძლო გულმა იდეალების მსხვრევას. უსახსრობა უშლიდა ხელს, ეკეთებინა საყვარელი საქმე – გადაეღო ფილმები, დაებეჭდა წიგნები. ამის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა... ვინ იცის, დღეს ჯანმრთელი და ცოცხალიც გვეყოლებოდა.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ როგორც რეჟისორი გოდერძი ჩოხელი გამორჩეული იყო აზროვნებით, მსახიობებთან დამოკიდებულებით, ფანტაზიის უნარით. თბილი, მოსიყვარულე, მთელ გადამღებ ჯგუფზე მზრუნველი მუშაობის დროს უზარმაზარი პასუხისმგებლობასა და შეუპოვრობას იჩენდა. არაფრით დათანხმდებოდა იმის გაკეთებას, რაც არ მოსწონდა. თუმცა, არ გამახსენდება არც ერთი შემთხვევა, რომ მას ზედმეტი სიმკაცრე ან უხეშობა გამოეჩინა ვინმეს მიმართ. თუ რაღაცით უკმაყოფილო იყო, იბუტებოდა და გვერდზე იხედებოდა, საყვედურს არ იტყოდა. თუ მოსწონდა ნამუშევარი – იღიმებოდა და ალალი, ბავშვური ღიმილით შემოგხედავდა.



დარიალის ხეობა, სოფ. ცდო, ფილმის „სიყვარულის ცეცხლი“ გადაღებაზე. 2003 წ.

„სიყვარულის ცეცხლის“ ბოლო სცენას – დასაფლავებას ვიღებდით. გოდერძიმ მითხრა, რომ დაასაფლავებ, სანთელი აანთეო. რამდენჯერმე „დავასაფლავე“ გივი, მაგრამ რაღაც

დარიალის ხეობა, სოფ. ცდო ფილმის „სიყვარულის ცეცხლი“ გადაღებაზე. 2003 წ.

უკმარისობის გრძნობა მქონდა, გოდერძიც გვერდზე იხედებოდა. გავბრაზდი, ახალი დუბლის გადაღების წინ ოპერატორს ვუთხარი, სანამ არ ავდგები, კამერა არ გამორთომეთქი.

დაიწყო გადაღება, მარტომ ჩავიყვანე გივი საფლავში, საფრთხობელა გავასწორე, ამოვიღე ჯიბიდან ცხვირსახოცი (შექსპირის „ოტელოს“ მიხედვით იღებდა გოდერძი) და ავტეხე ტირილი, თან მკვდარ გივის ვეჩხუბებოდი: ცხვირსახოცის გულისთვის როგორ გამწირე-მეთქი. ჩხუბი და მოთქმა რომ დავამთავრე, წამოვდექი და გოდერძის შეხედე. თვალები გაბრწყინებოდა:

„ეს ვინ არის, კაცო!“ – იძახდა გოდერძი, ეს იყო მისი დიდი ქება. ამოვისუნთქე, უსიტყვოდ მესმოდა მისი.

ამ ფილმის გადაღება გოდერძის თავის დაჭრის მერე შესთავაზეს. თავს კარგად არ გრძნობდა, უხასიათოდ იყო. ირაკლი ტრიპოლსკი ეხმარებოდა. მას თითქოს გადაღების

პროცესში ჩართვა არ უნდოდა. მოშორებით მდგომს რამდენჯერმე ვუთხარი: „მოდი, გოდერძი, მოდი, გვითხარი, რა გინდა“

ბოლოს გახალისდა და თქვა:

– ახლა, ფული რომ მქონდეს, ახალ ფილმს გადავიღებდი. „ვარდისფერი კაცის“ გადაღება მინდა. ყველაფერი მოვიფიქრე, კადრებს ვხედავ, ვიცი, სად და ვინ უნდა გადავიღო. მხოლოდ ფული მჭირდება.

მთელი ცხოვრება მემახსოვრება მისი ბოლო ნატვრა და ეს აუსრულებელი ოცნება.

„ადამიანთა სევდას“ იღებდა გოდერძი მთაში, ზამთარში თითქოს მუშაობა და ცხოვრება უნდა გაგვჭირვებოდა, მაგრამ გოდერძი ისე ზრუნავდა თითოეულ ჩვენგანზე, ისე ცდილობდა მთის მძიმე პირობების შემსუბუქებას, ვერ გავიგეთ, როგორ დასრულდა ფილმის გადაღება. ერთმა მსახიობმა დაიწყო ბუზღუნი და სხვებიც აიყოლია: „აქ, სად წამოგვიყვანეო“ გოდერძის ჩხუბი დაუწყეს, ის ჩუმად იდგა. ველარ მოვითმინე და ავყვირდი:

„თქვენ არ იძახოდით, ჰაერი და თოვლი კარგია, რა გაკლიათ, სითბო გაქვთ და არაჩვეულებრივი კვება, რა დაგრჩათ ქალაქში-მეთქი“

ხმა აღარავის ამოუღია. ბოლოს აღმოჩნდა, რომ „ადამიანთა სევდის“ გადაღების დღეები შემოქმედებითი ჯგუფის ყველა წევრისთვის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო ცხოვრებაში.

გოდერძის განმარტოება ახასიათებდა, მუშაობის დროს გაირინდებოდა, თითქოს ეთიშებოდა გარე სამყაროს.

იყო თავისთვის, ფიქრობდა, იმ დროს მის გონებაში ალბათ რაღაც ახალი იბადებოდა.

ერთხელ, ცდოში ქვაზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. ახალი დუბლი უნდა გადაგვეღო, მთელი ჯგუფი მოემზადა და ველოდით გოდერძის. ის ჩვენგან ზურგშექცევით იჯდა, აღარ

ვახსოვდით. გვერდით მივუჯექი, წყნარი ხმით მისი ლექსის „სად დაგიჩოქო, არაგვო", კითხვა დავიწყე. ნელნელა ხმას ავუწიე, დავამთავრე ლექსის წაკითხვა და მოვიხედე, გოდერძი გაღიმებული მომჩერებოდა:

„წავიდეთ, ქალბატონო თამარ, გადავიღოთ!"

თავისივე ლექსით გამოვიყვანე იმ გარინდებიდან და ჩვენთან დავაბრუნე.

„ლუკას სახარება" ჩემთვის და ალბათ, არა მარტო ჩემთვის, განსაკუთრებული, გამორჩეული ფილმია. გოდერძის ეს საოცარი ნამუშევარი ბრწყინვალე საჩუქარია საქართველოსა და მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის.

ამ ფილმის გადაღება გოდერძიმ „სამოთხის გვრიტების" დასრულებისთანავე დაიწყო. იმ პერიოდში მისი ვაჟი – ლუკა, რომელიც მთავარ როლს ასრულებს, არ ლაპარაკობდა და გოდერძიმ გადაღებებზე ცოტა ადრე წამიყვანა, რომ ბავშვი შემჩვეოდა, გაშინაურებულიყო ჩემთან. ბევრი ვეცადე, მაგრამ ლუკას ხმა ვერ ამოვაღებინე. დაინიშნა გადაღება: ვეუბნებოდი რეპლიკას, ლუკა ხმას არ იღებდა, მარტო თავს იქნევდა. გოდერძი და მთელი გადამღები ჯგუფი ღელავდა, მივუჯექი ლუკას და გაბრაზებულმა ჩუმად ვუთხარი:

– იცოდე, ძალიან მომწონს ეს როლი, არ დამაკარგვინო, თორემ არ ვიცი, რას გიზამ.

ლუკამ შემომხედა და რა თქმა უნდა, არაფერი არ თქვა.

დავიწყეთ გადაღება, დაძაბული ეზოს ვხვეტავდი, თან ცალი თვალით ლუკასკენ ვიყურებოდი. მოხდა სასწაული, ლუკა საქათმიდან გამოვარდა და იყვირა:

– ბებო, ბებო, ნახე, რამხელა კვერცხი დაუდვია!

ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. გოდერძი უზომოდ გახარებული იყო და გადაღებები გაგრძელდა. სკოლის სცენას რომ იღებდა, მე არ ვმონაწილეობდი, ამიტომ რამდენიმე დღით თბილისში წამოვედი. უკან დაბრუნებისას ლუკა გადასაღებ მოედანზე არ დამხვდა, მოვიკითხე, სადღაც მინდორში

გაქცეულიყო. მალე მოვიდა, დამინახა თუ არა, გამოიქცა და გულში ჩამეხუტა. გოდერძის მეუღლეს – ნინოს გაუკვირდა და ძალიან გაუხარდა.

გოდერძი უდიდესი შემოქმედი იყო. ის მხოლოდ მწერალი და კინორეჟისორი კი არა, დიდი ადამიანი და გენიალური მოაზროვნე იყო. შემიძლია ვთქვა, რომ არასოდეს, არავისთან მუშაობის პროცესში არ მქონია ისეთი ურთიერთობა და არ მიმიღია ისეთი სიამოვნება, როგორც გოდერძისთან. ძალიან დამაკლდა.

თამარ სხირტლაძე,
მსახიობი.

ხახმატი, გოდერძი ჩოხელი ფილმის „ადამიანთა სევდა“.
გადაღებისას. 1983 წ.

„გოდერძის წამით არ მიუტოვებია დედა“...

მე და გოდერძი თეატრალურ ინსტიტუტში ერთ კურსზე, პარალელურ ჯგუფებში ვსწავლობდით – მე თენგიზ აბულაძის სახელოსნო დავამთავრე, გოდერძიმ – ლანა ღოღობერიძის. ძალიან საინტერესოა მისი თავგადასავალი – გუდამაყრელმა ბიჭმა როგორ გაიკვალა გზა დამოუკიდებლად, როგორ ჩამოვიდა თბილისში, როგორ ისწავლა. ყოველთვის მორიდებული იყო, ამბიციებისაგან დაცლილი. ლექციებზე უამრავ კითხვას სვამდა – ყველაფერი აინტერესებდა. საოცარი დედა ჰყავდა – ბუნების სიყვარული, სიფაქიზე, დიდი სულიერება დედისგან გადმოეცა გოდერძის. ბრძენი ქალი იყო – მცენარეებს, ცხოველებს, ფრინველებს ესაუბრებოდა ხოლმე. დარწმუნებული ვარ, მართლაც ესმოდა მისი.

გოდერძის სოფელთან ახლოს არის დასახლება, რომელსაც ხევსურები ოშპიტელს ეძახიან. ცუდად რომ გახდა, იქ დააწვინეს საავადმყოფოში. გოდერძის წამით არ მიუტოვებია დედა – საოცრად უყვარდა. ისინი ბურსაჭირის ხეობაში – ბიძის სახლში ცხოვრობდნენ. მახსოვს, ვიღებდი ფილმს – „სიცოცხლის ხე ქართლის ცხოვრებისა“ მასში შევიდა პირიმზე ფუძის ანგელოზის ხატის გამობრძანების კადრები. ეს დღესასწაული მარიამობას ემთხვევა. რადგან გადაღებები ხევსურეთში გვქონდა, გოდერძიმ თავისი სახლი დაგვითმო. მაშინ დედა უკვე აღარ იყო ცოცხალი, თვითონაც ხშირად ვერ ჩამოდიოდა. ამიტომ ეზოს ცოტა ბალახი მოსდებოდა. ჩვენ, ჯგუფის წევრები დავტრიალდით, გავწმინდეთ იქაურობა, ბალახი მოვთიბეთ. ერთ დღესაც გოდერძიმ ჩამოგვაკითხა – საკუთარ სახლში, როგორც სტუმარი, ისე მივიღეთ – პატივისცემით. აბა, გოდერძი, რა მოგართვათ, რა გესიამოვნება, სად მოგასვენოთ, ძილი სად გირჩევნია, ვეკითხებოდით წამდაუწუმ, თვითონ კი კვდებოდა სიცილით. ბოლოს გამოვისტუმრეთ თბილისში, გზა დავულოცეთ, ხში-

რად ჩამოგვაკითხე, ნუ მოგვაწყენ-თქო, დავაბარეთ – და გამოვუშვით, ასე სიცილ-ხარხარში ჩაიარა მისმა „სტუმრობამ" საკუთარ სახლში. კეთილად და ლამაზად მახსენდება იქ გატარებული დღეები.

ზურაბ ინაშვილი,
რეჟისორი
„მთავარი გაზეთი – კვირას"
01.06.2003 წ.

ფილმის „ცოდვის შვილები" გადამღები ჯგუფი 1989 წ.

სახსოვარი

გოდერძი ჩოხელთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებდა, მეზობლად ვცხოვრობდი და მის სათნო მეუღლესთანაც თბილი დამოკიდებულება მქონდა. ვგრძნობდი გოდერძის ავადმყოფობის სიმძიმეს, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ თავზარი დამცა.

ბოლოს 2007 ნლის ოქტომბერში ვნახე, ერთ თვეში გოდერძიმ სამზეო დატოვა. მოდუნებული და სახეწაშლილი სკამზე გარინდებული იჯდა... თითქოს იგი ჩვენთან აღარ იყო. მცირე ხანს ვესაუბრე, გოდერძის ხმა არ ამოუღია. სხივჩამქრალი თვალებით სადღაც შორს იმზირებოდა... დარდიანი დავბრუნდი შინ და ვფიქრობდი: ნეტავ, ასეთი არ მენახა-მეთქი.

შავი არაგვის ხეობიდან ჩამოტანილი რამდენი დარდი და ცრემლია ჩატეული გოდერძი ჩოხელის მრავალმხრივ შემოქმედებაში.

ჩარგალში, ვაჟაობის დღესასწაულის დასრულების შემდეგ მე და ჟურნალისტმა გიორგი ლალიაშვილმა, კავკასიოლოგ ივანე ნიკლაურთან (ჯურხათ ივანე) ერთად ბარისახოში გადავწყვიტეთ წასვლა, ფეხით მივდიოდით. გზაში ივანე ნიკლაური ნაცნობს შეხვდა და ჩამოგვცილდა. მე და გიორგი კი ჩარგლის გადასახვევთან შევჩერდით და ვიკითხეთ, საით გაემგზავრენ მწერლები და რეჟისორები. ჩვენ წერილის მომზადება გვინდოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის". წავედით მაღაროსკარში. ვაჟა-ფშაველას მუზეუმის მაშინდელი დირექტორის ირაკლი გოგოლაურის ოჯახში სუფრა იყო გაშლილი. მე და გიორგი გოდერძი ჩოხელის გვერდით მოვხვდით. იგი ასე მოლხენილი არასდროს მინახავს. მასპინძლებმა მუსიკით გამოგვაცილეს, საცეკვაო ჰანგის ხმაზე გოდერძის მეგობარი, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი წრეში გადახტა და გოდერძიც ცეკვაში აიყოლია, თავდავიწყებით ცეკვავდნენ. გულმა არ მომითმინა და ცეკვით

შევიჭერი მათ შორის. საოცარი, ძალიან ლამაზი დღე იყო, რომელიც სამუდამოდ დარჩა მეხსიერებაში.

1989 წლის ზაფხულში პოეტ ნოდარ არდოტელთან ერთად შატილში წავედი. გზაში სტეფანწმინდელი მოხევე, ალპინისტი შალვა ქირიკაშვილი გავიცანით. იმ ზაფხულს გოდერძი ჩოხელი იღებდა ფილმს „ცოდვის შვილები", სადაც შალვა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. გზაში ქირიკაშვილი გოდერძიზე გვიყვებოდა, როშკის ასახვევთან შევჩერდით და სურათები გადავიღეთ.

შატილში რომ მივედით, გოდერძის ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა, გაგვეხუმრა: თქვენ, ალბათ, ჩემს ფილმში გადასაღებად ამოხვედითო. გავიცანით მისი ფილმის გმირები, მთავარ როლს მსახიობი ზურა ყიფშიძე ასრულებდა. შატილის კოშკებში ფილმის გადაღების დროს გოდერძი ჩოხელი სულ სხვაგვარად დავინახე. ეს არ იყო ის თბილი, სათნო, მოკრძალებული, დინჯი და თავმდაბალი გოდერძი. მის მოქმედებაში, მსახიობებთან მუშაობაში ჩანდა უდიდესი პასუხისმგებლობა, სიყვარული, შეუპოვრობა, ზოგჯერ სიმკაცრეც. ყველაფერში იგრძნობოდა მისი დამოკიდებულება კინოგადაღების მიმართ.

მოგვიანებით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დავბეჭდე რეცენზია გოდერძი ჩოხელის ახალი პოეტური კრებულის შესახებ. გოდერძის ნაუკითხავს ეს რეცენზია და გახარებულმა დამირეკა: „ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი და ვერ წარმოიდგენ, ისეთი სიხარულით ამავსე, თითქოს დარდი გამიქრა, აუცილებლად ხინკალზე უნდა დაგპატიჟო"

მას შემდეგ სულ მიკვირს და ვფიქრობ: როგორ გაახარა ერთმა უბრალო წერილმა, როგორი ყურადღებიანი ადამიანი იყო, მას არ დაეზარა მადლობის თქმა და ეს მადლიერება გულწრფელად გამოხატა.

ჩვენი სამშობლოს მთიანეთის უდიდესი ნაწილი ფეხით მაქვს შემოვლილი, წლების განმავლობაში ვმუშაობდი მთის პრობლემებზე, მაგრამ ისე მოხდა, რომ გუდამაყარში ნამყოფი არ ვიყავი.

2008 წლის 2 ოქტომბერს გოდერძის დაბადების დღე მის სათაყვანებელ გუდამაყარში, სოფელ ჩოხში შეკრებილმა უამრავმა ადამიანმა დიდი სიყვარულით აღნიშნა. მიხაროდა და თან სინანული მიპყრობდა: ნეტავ, მის სიცოცხლეში მოგვეწყო ქართველებს ეს დღეობა, როგორ გაიხარებდა ჩვენი გოდერძი.

იზა ჯაჭვაძე და შალვა ქირიკაშვილი. 1989 წ.

თბილისში მომავალს პოეტის ერთი ლექსი ამეკვიატა:

„სად დაგიჩოქო, არაგვო,
რომელ ტალღაზე გემთხვიო,
თუ მუხლის ჩოქით ამოგყვე,
სათავეს გადავეხვიო.
შენი ნაპირის ლოდები
მინდა ჩავიწყო გულშია,

თუ სათავემდე ვერ მოვე
დაგხვდები ანანურშია.
ჭრელ ღილად დაგეკერები
მაგ მოლივლივე სულშია“.

და ბოლოს, ჩემი პატარა არქივის უძვირფასესი ფურცელი:



იზა ჯაჭვაძე – პოეტი, ჟურნალისტი.

მასთან ორ ფილმზე ვიმუშავე – „სამოთხის გვრიტებზე“ და „მიჯაჭვულ რაინდებზე“ სრულ თავისუფლებას აძლევდა მსახიობებს, ყოველთვის მორიდებული მოწიწებით და მოკრძალებით გვიხსნიდა ხოლმე მოქმედებებს. ჩვენ ყაზბეგში ვიყავით დაბინავებული, გადაღებები კი სოფელ ცდოში გვქონდა. ისეთი გზა იყო, სულ გვეშინოდა – აი, ახლა ამოვბრუნდებით, ახლა გადავცვივდებით – გამუდმებით ამაზე ვფიქრობდით.



ნანული სარაჯიშვილი და გოდერძი ჩოხელი კინოს სახლში „სამოთხის გვრიტების“ ჩვენების შემდეგ. 1997 წ.

– გოდერძი, ბიჭო, სად იპოვე ეს ადგილი? წამდაუწუმ ამას ვეკითხებოდით, ბუნება კი, მართლაც, დიდებული იყო, მე ამას ვერ გადმოგცემთ. ფილმში ეს კარგად ჩანს. თვითონ საოცრად ერწყმოდა იქაურობას – თავს ლაღად და ჩიტივით თავისუფლად გრძნობდა, უდიდესი სიამოვნება მივიღე მასთან მუშაობით და იმედი მაქვს, თუ მისი სურვილიც იქნება, მალე ისევ შევხვდებით გადასაღებ მოედანზე.

ნანული სარაჯიშვილი, მსახიობი
„მთავარი გაზეთი – კვირას“,
01.06.2003 წ.

გ. ჩოხელი, გოჩა ნემსაძე, გივი ბერიკაშვილი,
ნინო მელაშვილი და ნიკა ჩოხელი

ცივ ქვაზე შემდგარი ჩოხელი

ლექციები დამიმთავრდა. საღამო ხანი იყო. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ვითომ შემთხვევით ამირან არაბული შემხვდა, მეც შენი სახლისკენ მაქვს საქმე, იქით მოვდივარო...

გადავედით ქუჩის მეორე მხარეს, ჩაის სახლის წინ ლაღი ფრიალით მოდის ქალ-ვაჟი, ამირანი მეუბნება:

„აი, ესაა გოდერძი ჩოხელი, იცი, რა მაგარი მწერალია და ეგეთივე რეჟისორი..."

გოდერძიო, რომ მითხრა ამირანმა, ვერ დავიჯერე, რატომღაც მაღალ, ახოვან ახალგაზრდა კაცად წარმომედგინა. სანამ ამას ჩემთვის ვაცნობიერებდი, კიდეც მოგვიახლოვდნენ.

აუუუ! – დაიყვირა გოდერძიმ, – ცოცხალ ეთეროს შევხვდიო... – შავი ტყავის „კურტკის" ჯიბეში ჩაყოფილი ხელით ტყავი სარჩულის მხარეს გადაიბრუნა. კინაღამ დავიკივლე: დახეული ჯიბის სარჩულიდან ბაყაყს თავი არ გამოუყვია? დგაფა-დგუფი გაუდის მის ყელს. თვალები ზომაზე მეტად დაუჭყეტია და კრუტუნებს...

გოდერძიმ ჯიბესთან მიუტანა ტუჩები და ბაყაყს აკოცა. ჩემთვის გავიფიქრე, მთლად დალაგებული ვერ არის და მისი მნახველი მეტად აღარ ვარ-მეთქი. ასე გადავწყვიტე, მაგრამ ღმერთი სხვაგვარად სჯიდა და იმ დღიდან დავვახლოვდით.

თურმე ის ბაყაყი ერთი კვირა ცხოვრობდა გოდერძისთან და ამირანთან სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში. აბაზანაში დასკუპსკუპებდა და ერთ დღესაც ღია აივანზე გაუღწევია... მერე გოდერძი გვიყვებოდა ხოლმე: ცალი გვერდით გადასცდენოდა აივნის კიდეს. ერთი ფეხით ეკიდა და მეძახდა: „ვაა, ვა, ვა�ა!" ვიფიქრე, ნეტა რა უნდა-მეთქი, გავედი და ვხედავ: ბეწვზე ჰკიდია ჩვენი „ძმაკაცი".

იმ დღეს მე და ამირანმა სიკვდილს გადავარჩინეთ საცოდავი ბაყაყი, და ეს დიდი შიშიანობა რომ დაგვევიწყებინა, სტუმრად ბატონ გიორგი ცოცანიძესთან წავიყვანეთ. შინ შეყვანა

მოგვერიდა. ეზოში ერთი წკირის ღობე მოვუწანით და დავარიგეთ: სანამ არ ჩამოვალთ, აქედან ფეხი არ მოიცვალოო...

დაგვიტკბა გიორგისთან სტუმრობა. როცა ეზოში ჩამოვედით, ცარიელი დაგვიხვდა შემოღობილი..."

ასე გასრულდა გოდერძისთან ერთად გაცნობილი ბაყაყის ამბავი.

ამირანი და მე სტუდქალაქში, ასპირანტების კორპუსის ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობთ, იმდენად პატარაა ოთახი, სტუმარი რომ მოვა, ვიღებთ მინდიას აკვანს და ჩვენს საწოლებზე შევდგამთ-ხოლმე.

ერთხელაც, შუაღამისას, ჯერ ცოტა შორიდან, მერე კი უფრო ახლოდან მესმის ძახილი: „მინდიაააა!"

გამოვფხიზლდი. ვიფიქრე, შეიძლება მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ – არა! მერე უფრო გარკვეულად... „მინდიაა, მინდიაა!.." გავაღვიძე ამირანი და ვეკითხები: სტუდქალაქში, ჩვენი შვილის გარდა, სხვა მინდიაც არის-მეთქი?

არავინ გამიგიაო, – მითხრა ამირანმა. ჩაჩუმებულ-ჩამყუდროებულში გარკვევით გაისმა კიდევ უფრო ძალიანი ძახილი: „მინდიაა!.."

ამირანმა: გოდერძის ხმას ჰგავსო და წამოდგა. ოთახის ფანჯარასთან მივიდა და გამოხსნა. „მინდიაა!" – შემოვარდა ღია ფანჯარაში გოდერძის ხმა...

– გოდერძი, შენა ხარ?

– მე ვარ, თქვენთან მოვდივარ და კორპუსის დარაჯი არ მიშვებს.

სიცილი ამიტყდა, რას წარმოვიდგენდი, ეს თავგადაკლული ძახილი აკვანში მწოლიარე ჩვენს შვილს საშველად თუ უხმობდა.

– ახლავე ჩამოვალ, – გადასძახა ამირანმა.

ღამის სამი საათია.

გოდერძი ჩოხელი ცივ ქვაზეა შემდგარი და მორჩამეთქი, – ვთქვი ჩემთვის. გაღმეჭილი პირისახით შემოჩნდა ორივე. გოდერძი კაი გუნებაზეა.

– აბა, ახლა, ჩემო ეთერო, აქ ტყუილად ხომ არ მოვიდოდი, – ჩემ ნათლულ მინდიას „გრან-პრი“ მოვუტანეო.

– რაო?! – გავიოცე მე.

– რა და, დღეს გავიგე, ჩემს ფილმს „ადგილის დედას“ „გრან-პრი“ მიუღია და ეს პრიზი დღეიდან მინდიას ეკუთვნისო...

სხვა დროს ღამეების თეთრად მტეხელ მინდიას ამ ხმაურში, თითქოს ჯიბრზე, ღრმად ჩასძინებია.

მივიდა გოდერძი, ჩოქზე ჩაჯდა მინდიას აკვანთან და „აუუუო!“ – დაიყვირა.

მინდიამ გაიღვიძა, მშვიდად დაამთქნარა, მიაჩერდა გოდერძის. უყურებს, გაუცინა...

გოდერძი საყვედურობს: ბიჭო, მთელი საათია გეძახის ნათლიაშენი ეზოდან და შენ კი ყურს არ იბერტყავ, ეგრე ხვრინვითა გძინავსო.

მინდია, ვითომ რამეს გებულობს, ისევ ულიმის, ჭკუას კარგავს გოდერძი: „აი, მინდო, იცოდე, დღეიდან შენი ნათლიის „გრან-პრი“ შენია, მომიტანია და ჩამიბარებიაო.

მინდია ისევ უცინის... გოდერძი იმავე პოზაში ზის და მთისას და ბარისას უამბობს... ერთი სიტყვით, სანამ არ ამოჟიჟრიბანდდა, გოდერძი აკვანს არ მოშორებია.

მინდიამ ხან იცინა, ხან იტირა, ჩაი დალია, „აღუ-აღუო“, – უამბო გოდერძის, გაჭყეტილმა უყურა თვალგაშტერებით და ბოლოს, როცა იფიქრა, ეჰ, ეს ჩემი ნათლია მაგარი ვილაცა ჩანს და საშველი არა მაქვსო, მშვიდად დაიძინა...

თუშეთში ვართ, სოფელ დანოში.

გოდერძი პირველადაა პირიქითის ხეობაში. ველარაფერს შესამკობელს რომ ველარ პოულობს – აუუ, აუუო! – იძახის.

ჩვენთან დიდი სტუმრიანობაა. გოდერძი, ამირანი და მე ბიძაჩემის მიტოვებულ აივნიან სახლში ვიძინებთ. გოდერძიმ აიჩემა, აივანზე გამიშალეთ ლოგინიო...

ოთახის კარები ყუნწამდე ღიაა. ვსაუბრობთ ხოლმე კაი გვიანობამდე. ამოდის მთვარე და ღია კარებიდან აივ-

ნის გარეთა სვეტებზე ულამაზესად მოქსოვილი „ბებერაის ქსელები“ მოჩანს. ამ ქსელებს ვერც ერთი ვერ ვიმეტებთ ჩამოსაწმენდ-ჩამოსაწყვეტად. ერთმანეთს ვაფრთხილებთ, დასაძინებლად რომ ავდივართ აივანზე, თავი არ გაჰკრა, არ გააფუჭო „ობობას ქსელიო“...

იმ ქსელებივით ლამაზად იყო ნაქსოვი დანოს ღამეები... დღეობები იყო თუშეთში. გოდერძი კვირობდა: გავიღვიძებ თუ არა, ყველა გორაკზე ბურაყიანი კაცი დგას და „გწყალობდესთ“, „გწყალობდესთო!“ – სოფელს ეძახის. რა არის, რა ხდებაო!.. მე ვეუბნებოდი, რომ თუშეთში ყველა გორაკი წმინდა და მუხლმოსაყრელია-მეთქი და ვიცინოდით.

ერთხელ მკითხა: ეთერო, პატარა ტანისა კი ვარ, მაგრამ ამ თქვენს კარებში ხათქა-ხუთქით თავს ვაჯახებ. არ შეიძლება, რომ ეს კარები სიმაღლეში ცოტა გაადიდონო?

მე ვუთხარი, რომ თუში თავის სახლში თავაღერილს არ შეგიშვებს, სწორადაც უნდა თავი დახარო და სტუმარი მასპინძელთან ეგრე უნდა შეხვიდე-მეთქი...

შეუძლოდ ვიყავი. ჩემი და ლელა, გოდერძი და ამირანი გომეწარში წავიდნენ ვერხოვნის ხატისთვის საკლავის შესაწირად. უკან წამოსულებს, ნაყაიჩოზე რომ ამოსულან, დახვედრიათ სამასამდე ულამაზესი ცხენ-კვიცი.

დაუვლია თავ-ბოლო გოდერძის რემისთვის.

– რას შვრები?! – უკითხავთ ლელას და ამირანს.

– ეთეროს უნდა მივუყვანო საჩუქრად ეს ცხენის რემა.

ჯერ უცინიათ, და ეშხში რომ შესულა გოდერძი და მოადგრიალებს ამ ჯოგს, ლელას და ამირანს უთქვამთ:

– ცხენებს ადგილს ნუ აცვლევინებ, თავი დაანებეო. გოდერძიმ ერთი ცხენი აიჩემა, ამას მაინც წავუყვან ეთეროსო. მოაჭენებს და მოჰყვება თავისი ცხენით... ისიც გააგდებინა და უკან დააბრუნებინა ლელამ, შინ მოსულმა მიამბო:

– შენთვის ჯერ სამასი ცხენი მომყავდა, ბოლოს – ერთი და, საბოლოოდ, ვერც ერთი მოგიყვანე, ყველაფერი ამ ჯადოების ბრალიაო.

– „გრან-პრის“ შემდეგ თუ კიდევ რამე პრიზს მივიღებ, ამ მამალზე გადავჯდები, – აიტეხა ერთხელ, ალვანიდან თბილისში რომ ვბრუნდებოდით.

ნორიოს შესახვევში რომ მამალია, ის დაიწუნა, პატარაა. საგარეჯოს რაიონის მამალი მომწონს, თან მაღალია, თან ფრთებფათქუნით გაჰკივისო.

ერთ თუშის პატარა გოგონას თავისი ნათესავისთვის ეკითხა: „ეს მამალა ვის დაძეგლილიავ?“ სწორედ იმ „დაძეგლილ“ მამალზე აპირებდა გოდერძი შეჯდომას და... პირობის ასრულების დროც დადგა: მონტე-კარლოს საერთაშორისო ფესტივალზე მისმა ფილმმა „ცოდვის შვილები“ ერთდროულად ორი უდიდესი პრიზი მიიღო.

მისალოცად მისულებმა გავახსენეთ პირობა, მე შენ გეტყვი და დაავიწყდებოდა. ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას ფირზე აღვბეჭდავთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდება მკითხველი, ცივი ქვიდან ცივ მამალზე როგორ აინაცვლებს ჩოხელი.

ისევ სტუდქალაქის იმ პანაწინა ოთახში ვცხოვრობთ.

გაზაფხულია...

მოშუადღევებული იყო, კარზე რომ აჩქარებული კაკუნი გაისმა. გავაღე, ნაძვის ხე დგას ჩვენს კარებზე, ტოტების დიდ ბღუჯას ვილაცის ხელები აქვს შემოხვეული... ტოტები შუაზე გაიყო და გოდერძიმ თავი გამოყო...

– ეთერო, ეს ოთახი ნაძვის წიწვებით უნდა მოგირთო, – იცინის ჩოხელი.

თავზევით ძალა არ არის, სულ ერთია, მაინც „მომირთავს“ და დავჩუმდი.

– იცი, რას გადავრჩიო, – მიამბობს თვალებდაჭყეტილი, – ამ ტოტებს რომ გიკრეფდი, უცაბედად მილიციონერი გამოჩნდა და გამომიდგა. ჩემს ბედზე ტროლეიბუსი მოვიდა, ხელი ავუწიე, გავაჩერე და ვთხოვე: – შენი ჭირიმე, სტუდქალაქის Ia კორპუსში მიმიყვანე, ჯიბეში რაც ფული აქვს,

სულ შენ მოგცემო... რა კაი მძღოლი შემხვდა, თქვენი კორპუსის კარებამდე შემომარბენინა და აი, აქა ვარ.

დაიწყო წიწვებით „ოთახის მორთვა“, ბჯუღ-ბჯუღად გლეჯს წიწვებს და ფანტავს ოთახში, კუთხე-კუნჭული არ დატოვა ცარიელი. მწვანეში აღარ ვჩანვართ მე და მინდია...

უნდა, რომ გავუჯავრდე, მაგრამ არაფერს ვეუბნები...

– ხმას რატომ არ იღებ, ეგრე წყნარად რომ შეხვდი ამ ოთახის მორთვას, ახლა ავალ და ამ ფანჯრიდან გადავხტებიო.

მესამე სართულზე ვცხოვრობთ.

მეცინება და არ ვიმჩნევ...

ავალ და გადავხტებიო, თან ჩემკენ იხედება.

მივედი ფანჯარასთან, გამოვაღე და ვუბრძანე: ახლავე ადი და გადახტი, აბა, ერთი არ გადახტე და ნახავ-მეთქი.

იმ წუთას იერი ეცვალა.

– აღარ გადავხტებიო, – გამოაცხადა და მოწყვეტილად დაჯდა. მერე ორივემ ერთად ვალაგეთ მწვანეჩაცმული ოთახი...

ეჰ, მეც დავიწყე და აღარ ვამთავრებ, მაგრამ თქვენ გგონიათ, ასე ადვილია გოდერძისთან შეხვედრებზე საუბრის დამთავრება?!

ღმერთმა ყველას გრძელი სამზეო მოგვცეს და საგონგასახსენებელი ნუ დაგვილიოს!

P.S. თავის თავზე ამბობს ხოლმე ხშირად: ვერ ვიტან სერიოზულ გოდერძი ჩოხელსო. მეც ეგეთი გიჟ-მაჟი მირჩევნია, თუმცა ოდესმე ჭკვიან გოდერძიზეც გიამბობთ...

ეთერ თათარაიძე, პოეტი.
გაზეთი „ეკრანი“,
16-22 მარტი, 1991 წელი.

გოდერძი ჩოხელი გადამღებ ჯგუფთან ერთად 1983 წ.

„იგი ჩვენი სულეგის გასალამაზეგლად აჩუქა შემოქმედმა საქართველოს“...

„– როგორ წარმომიდგენია სული?

– როცა ქართულ-ხალხურ სიმღერას ვისმენ, თითქოს წინაპრების სულს ვხედავ, ერთად შეკრულს, აგუგუნებულს, ზეცისკენ მიმავალს...

მთავრდება სიმღერა და – ისევ მიწაზე ვენარცხები".

გოდერძი ჩოხელის ამ პატარა მინიატურას, ალბათ, მთელი ცხოვრება ვატარებ ჩემს სულსა და გონებაში, ასე მგონია, მან ჩემი სათქმელი თქვა მისთვის ჩვეული უბრალო, მაგრამ გენიალური სიტყვებით. გოდერძი გამორჩეული ხელწერის მწერალი და რეჟისორი, სულით ხორცამდე ქვეყანაზე, სიცოცხლეზე შეყვარებული კაცი იყო. მასთან შეხვედრის ბედნიერება რამდენჯერმე მქონდა, მაგრამ საერთოდ რომ არ მცნობოდა, მაინც ვიცოდი, რითი სუნთქავდა ეს საოცარი ადამიანი.

ზოგჯერ უყურებ ფილმს და გიჭირს რეჟისორის გახსენება, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება იმდენად განსხვავებულია და არავის არ ჰგავს, რომ მაშინვე ხვდები, ვინ შექმნა ფილმი, მისი თითოეული სტრიქონი უსაზღვროდ მამულიშვილურია, სევდიანია, ტკივილიანია, ამავე დროს – იმედიანიც.

ლიტერატორი არ ვარ, მაგრამ ბევრს ვკითხულობ და ვფიქრობ, რომ გოდერძის მთელი შემოქმედება არის პროტესტი, ვერ შეგუება ყოველივე არაქრისტიანულის, არაქართულის მიმართ.

ერთხელ, რაღაც შეხვედრაზე, დიდხანს ვისაუბრეთ, გოდერძი აღფრთოვანებით მელაპარაკებოდა ქართულ-ხალხურ სიმღერაზე, თავის შეხედულებებზე, მოგვიანებით გავიგე, რომ მას უნდოდა დოკუმენტური ფილმის გადაღება ქართულ ხალხურ სიმღერაზე და საქართველოს მდინარეებზე. პატარა შენაკადებით იშვება დიდი მდინარე, ქართული მრავალხმიანი სიმღერაც ხმათა შერწყმით იქმნება და მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

ჩვენი საუბრის შემდეგ ჩემთვის მზესავით ნათელი გახდა, ვინ იყო ეს კაცი – გოდერძი ჩოხელი, უზარმაზარი შემოქმედი. მას თავისთვის არაფერი უნდოდა, ის ცდილობდა ადამიანებისთვის ეჩვენებინა, რა არ უნდა გაეკეთებინა კაცს. შეიძლება, ვინმემ მკრეხელობად ჩამითვალოს, მაგრამ ვიტყვი, რომ გოდერძი ჩოხელის სულიერებით სავსე, გენიალური შემოქმედება ბიბლიასავითაა, ის ჭკუას არ გარიგებს, გასწავლის, როგორ არ უნდა იცხოვრო, თუ ოდნავ მაინც გინდა უფალთან მიახლოვება.

ვერ ვმალავდი ჩემს აღფრთოვანებას მისი ნაწარმოებების მიმართ, გოდერძიმ კი მისთვის ჩვეული თავმდაბლობით გაიღიმა და მითხრა: მე არაფერ შუაში ვარ, ყველაფერი ღვთის ნებააო.

ძალიან მიყვარს ფილმი „ბაკურხეველი ხევსური". ცეცხლთან თამაში არ შეიძლება, ასევე სახიფათოა ბედისწერასთან თამაში. ამ ფილმის ნახვის შემდეგ უთუოდ დაფიქრდება კაცი, რომ ძალადობა, სუსტის დაჩაგვრა ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან.

თოფიანი კაცი იარაღის შიშით წინ და უკან დაარბენინებს ქალებს, მერე ქალი ყვავილს ათავსებს თოფის ლულაში და ამ ერთი კადრით ჩოხელი გვეუბნება, რომ სინაზე არ ნიშნავს სისუსტეს, რომ სუსტმა შესაძლებელია სულ ადვილად დაამარცხოს ძლიერი.

ედელვაისი პაწაწინა ყვავილია, მაგრამ ორმეტრიან ყინულს ხეთქავს, რომ ამოვიდეს და მზეს დაენახვოს.

გოდერძი ჩოხელი გენიოსი იყო, რომელიც ჩვენი სულების, ჩვენი ცხოვრების გასალამაზებლად აჩუქა შემოქმედმა საქართველოს. დადგება დრო, ქართველები მას საკადრის ადგილს მიუჩენენ ერის ისტორიაში.

გოდერძი როგორც ერისკაცი სინდისი და ნამუსი იყო ქართველი ხალხისა, ფეხდაუკარებელი, სპეტაკი თოვლი ქართული სულიერების მწვერვალზე.

საოცარი სიტყვები დაგვიტოვა:
„ნამუსიან კაცს, აბა, რა შეედრება.
მე მგონი ნამუსი კაცის მარილია.
რომელ ნამუსიან კაცებზე ვფიქრობ, იცი?

თავისი ნამუსით ერის მარილად რო იქცნენ. სადღაც, ქართველი ერის ისტორიის კუთხე-კუნჭულში, სანთლებად აენთნენ ეგეთი ადამიანები და დღესაც იმათი ნათელი გვინათებს, თორემ ისეთი სიბნელე იქნებოდა, მგლების ხროვასავით დავერეოდით ერთმანეთს და დავჭამდით. ბნელში გამკითხავი ვინ იქნებოდა, მიდი და ხვრიპე შენივე მოძმის ხორცი და ძვალი, ვინ რას გაიგებს, ბნელა, არსაიდან ნათელი არ ჩანს.

დაილოცა იმათი სახელი იმ ჩვენი დიდი წინაპრებისა, ვინაც საქართველოსთვის სანთლებად აენთნენ და თავიანთი ნამუსი მარილად დააყარეს ჩვენს მომავალს, ჩვენს სამარადჟამო ყოფნას, ჩვენს გულ-გონებას!“

ჯემალ ჭკუასელი,
საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო
აკადემიურ ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი.

IIISფერი ნათება

1972 წელს ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, მაშინ ბატონი ილია თავაძე იყო რექტორი. გამოცდებიდან გოდერძი არ მახსოვს, მერე დაგვიახლოვდა მე და ირინა გუდაძეს. ძალიან მორიდებული ბიჭი იყო, სულ ცალკე დადიოდა. სტუდქალაქში ერთად ვცხოვრობდით. საჭმელი ხშირად გვაკლდა და თუ ვინმეს ძღვენს გამოუგზავნიდნენ ოჯახიდან, ერთმანეთს ვუნაწილებდით. გოდერძი ძალიან კეთილი იყო, 2 მანეთი რომ ჰქონოდა, ერთს აუცილებლად შენ მოგცემდა.

მე ზოგჯერ რუსთავიდან დავდიოდი ლექციებზე. ერთხელ ფარიკაობის გაკვეთილზე შემოვიდა გოდერძი. დავინახე თუ არა, მისკენ ვისკუპე და დაშნა მივუშვირე: – ვიწაწლაოთ-მეთქი. სიცილისაგან ძირს დავარდა და ვეღარ დგებოდა:

„– დარიკო, ვიწაწლაოთ თუ ვიკეჭნაოთ-ო".

თეატრალურ ინსტიტუტს დიდი ფანჯრები ჰქონდა, საიდანაც მთაწმინდა ჩანდა. ხშირად მინახავს გოდერძი როგორ გასცქეროდა მამა დავითს. მთა მოენატრებოდა და გარბოდა ჩოხში. თითქოს სულ ჩუმად იყო, მაგრამ მის სულში ყოველ წამს აფეთქებები ხდებოდა.

პირველად „ადგილის დედა" რომ ვნახე, გაოცებისაგან თითქოს ენა ჩამივარდა. გოდერძი სულ სხვა კუთხით დავინახე. მიუხედავად ახლო ურთოერთობისა, იგი თავის წარმატებებზე არასოდეს ლაპარაკობდა. ფუტკარივით შრომობდა. მისი ოთახი ჩემი ოთახის წინ იყო, შეიკეტებოდა და წერდა. რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდოდა დაცლილი, თითქოს ტვირთი მოხსნეს მხრებიდან. მისი შემოქმედებითი წარმატებების შესახებ სემინარებზე ან კრებებზე ვიგებდით ქალბატონი ლალა თაბუკაშვილისგან.

გოდერძის სტუდენტობის პერიოდში, შეიძლება ითქვას, ქართული კინო ყვაოდა. ლალა თაბუკაშვილის, კირა ანდრონიკაშვილის, ელდარ შენგელაიას ხელშეწყობით ახალ, უცხოურ ფილმებსაც ვუყურებდით. გოდერძი ხშირად ესწრებოდა ჩვენებებს, რომლებიც თსუ-ს II კორპუსში იმართებოდა ხოლმე.

საჭმელი ხშირად არ ჰქონდა; ხახვი, პური და ძეხვი მდიდრული ვახშამი იყო. გოდერძი ოთახის კარებში წერილებს მიტოვებდა. ერთხელ, ეტყობა ფანქარი არ ჰქონდა და შოკოლადით დაუწერია წერილი: „მაგრა მინდა გავფრინდე". თავის შინაგან განწყობას ღიმილით გამოხატავდა გოდერძი, ნინო რომ მოიყვანა პირველად მაშინ ვნახე გულიანად გაცინებული.

გაზაფხული ძალიან მიყვარდა და 1 მარტს დავაწესე გაზაფხულის დღესასწაული. მზია არაბული, მზისა ქარჩავა, ლაურა რეხვიაშვილი, მეგობრები ვიკრიბებოდით ჩემთან და სიმღერით, ლექსით აღვნიშნავდით გაზაფხულის მოსვლას. გოდერძი ნინოზე იყო შეყვარებული და სულ მასზე გველაპარაკებოდა. ხმამაღლა ყვიროდა ხოლმე, „– ნინო, მიყვარხარ!".

1 მარტს მოიყვანა გოდერძიმ ჩვენთან ნინო, საოცრად ლამაზი, სათნო, ღიმილის დროს თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა. გოდერძის ვეუბნებოდი, ისეთი ლამაზია შენი ნინო, მწიფე ალუბალს მაგონებს-მეთქი. გოდერძის უხაროდა, ბედნიერი იყო და ამ სიხარულს ყველას გვიზიარებდა. ნინო ძალიან შეგვიყვარდა, მთაში ერთად წავედით. მის ოჯახს გოდერძი სასიძოდ არ მოსწონდა, მაგრამ მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ერთ საღამოს სტუდქალაქში ყოფნის დროს ნინომ გამოაცხადა, რომ გოდერძისთან რჩებოდა. მერე ახლობლები მოვიდნენ და მათი გაბედნიერება აღვნიშნეთ. ჩემი და ჩემი მეუღლის – მალხაზის ერთად ყოფნაც იმ საღამოს გადაწყდა. ასე, რომ ორი შეყვარებული წყვილი დაგვლოცეს მეგობრებმა.

ერთხანს საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ გოდერძი და ნინო, მერე ბინა მიიღეს და დილომში გადავიდნენ. ჩვენთან ხშირად მოდიოდა გოდერძი, მელაპარაკებოდა, ნინოს თუ აწყენინებდა, ძალიან განიცდიდა, გულწრფელად წუხდა და ამბობდა:

– „დარო, მაპატიე, ნინო კარგი გოგოა და როგორ ვანვალებო".

გოდერძის საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა დედის მიმართ. ლელა ავად რომ გახდა, საავადმყოფოში მივედით სანახავად. ძალიან სევდიანი იყო, თითქოს გრძნობდა, რომ კვდებოდა, თვალს არ აშორებდა გოდერძის. ისიც გვერდით ეჯდა და თვალებით, უსიტყვოდ ელაპარაკებოდა დედა-შვილი ერთმანეთს, გოდერძისთვის მთელი სამყარო დედაში იყო გაერთიანებული.

მე არ მინდა გოდერძიზე, როგორც შემოქმედზე ვილაპარაკო, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მას შეეძლო უხილავი ხილული გაეხადა. გოდერძის გარეშე მე ბევრ რამეს, ალბათ, ვერ ჩავწვდებოდი. მის სამყაროში შეღწევა ადვილი არ იყო. არ შემიძლია ავხსნა, მაგრამ მისგან უცნაური სითბო და თითქოს, სუნიც კი მოდიოდა.

დარეჯან ხაჩიძე – მსახიობი

P.S. გოდერძის ცხედარი სახლიდან ქაშუეთის ეკლესიაში უნდა გადაესვენებინათ. საღამო იყო, ბინდი იდგა, მაგრამ ლამპიონები არ ენთო. დამამახსოვრდა საოცარი ფაქტი: როდესაც ის ეზოში გამოიყვანეს, გარშემო უცნაური, იისფერი ნათება იყო.

გოდერძი ჩოხელი კურსელებთან და პედაგოგებთან ერთად, თეატრალურ ინსტიტუტში 1976 წ.

გოდერძი ჩოხელი. 1983წ.

ნუ გაახმოგთ მხარზე ამოსულ ნაძვს!

გოდერძი ჩოხელის სიცოცხლეშივე გამიჩნდა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნის დაწერის სურვილი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე: ვერანაირი წიგნი ვერ წარმოაჩენს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას. ასეთი წიგნის წაკითხვას სჯობს გოდერძის ერთი მოთხრობა წაიკითხო, ერთი ფილმი ნახო. დღემდე აზრი არ შემიცვლია. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მიჩნდება ხოლმე სურვილი რაიმე დავწერო. ჩემი აზრის ქაღალდზე გადატანისაგან მაინც თავს ვიკავებდი, მეშინოდა რაიმე ისეთი არ დამეწერა, რაც გოდერძის არ მოეწონებოდა. და თუ მაინც ვბედავ წერას, ეს იმიტომ, რომ ის, რასაც დღეს მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტან ბევრჯერ მითქვამს გოდერძისთვის, ის იყო ჩემი ნაცოდვილარის პირველი მსმენელი და შემფასებელი.

გოდერძი ჩოხელი რომ გავიცანი, იგი უკვე დიდების მწვერვალზე იდგა. ტრიუმფით სვლამ გოდერძი, როგორც ადამიანი ვერ შეცვალა, იგი დარჩა დიდ ბავშვად. ზოგჯერ დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ მისი გულუბრყვილებისა და არამიწიერების თაობაზე. მიუხედავად ამისა, გოდერძი ჩოხელთან ჩემმა პირველმა შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წარმოიდგინეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტებით გადაჭედილი კორიდორი, გზას მუჯლუგუნებით თუ გაიკვლევდი, საშინელი ხმაური. დეკანატში შემოვიდა თანამშრომელი ქალი და შეშფოთებულმა მითხრა: „საათზე მეტია ფანჯარასთან დგას გოდერძი ჩოხელი, არაფერს არ ამბობს, უხეხულია სანამდის უნდა იდგეს ასე!“ მე სასწრაფოდ გავედი, გოდერძის მივესალმე და ჩემი თავი გავაცანი. კაბინეტში შემოვედით. ცოტა ხნის შემდეგ მოსვლის მიზეზი ვკითხე. გაირკვა, რომ სწორედ ჩემთან ჰქონდა საქმე. იმდენად მოკრძალებული ადამიანი იყო, რომ კაბინეტში შემოსვლა ვერ გაებედა, ელოდებოდა, როცა მომსვლელ-წამსვლელი დაილეოდა. მორიდებით

ვუსაყვედურე. დარცხვენილმა მიპასუხა: „რავი აბა, ამდენი ხალხი ირეოდა, მე კი არსად მეჩქარება, მაინც ნინოს ველოდები". გაირკვა, რომ გოდერძი მეუღლესთან, ქალბატონ ნინოსთან, ერთად მოსულიყო უნივერსიტეტში. ამ დღიდან დაიწყო ჩემი და გოდერძის ნაცნობობა.

ყველა ჩვენი საუბარი შეხვედრისას თუ ტელეფონით მხოლოდ და მხოლოდ გოდერძის შემოქმედებას ეხებოდა. როცა ჩემი საუბრიდან გამოარკვევდა, რომ სწორად ჩავწვდი მისი შემოქმედების არსს, თვალები გაუბრწყინდებოდა. თუ ვცდებოდი, არასდროს შენიშვნას არ მომცემდა, მოკლედ მიპასუხებდა: „აბა, რავი". კონკრეტული შენიშვნა მხოლოდ ერთხელ მომცა. იმ დღეს დიდხანს ვისაუბრეთ გოდერძის ერთი მოთხრობის თაობაზე, მე ჩემი ნაფიქრალი დაწვრილებით მოვახსენე, გაიღიმა და მითხრა: „ე, რამდენი გიფიქრია ამ პატარა მოთხრობის შესახებ, მე მაგდენი არ მიფიქრია, ერთი ამბავი აღვწერე, ეს იყო და ეს". ეს „ამბავი" მე დღესაც გოდერძის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობად მიმაჩნია.

XX საუკუნის 70-80-იანი წლები ქართული მწერლობის, ქართული კინოს დიდი აღმავლობის პერიოდი იყო. იმხანად ვერ ვაცნობიერებდით, გვიან მივხვდით, რომ ჩვენს თვალწინ უამრავი საოცრება ხდებოდა. საოცრებათა შორის საოცრება იყო გოდერძი ჩოხელის პირველი მოთხრობები და ფილმები. შემოვიდა გოდერძი ჩოხელი ქართული მწერლობასა და კინოში, არავის არ გაჯიბრებია, არავის ადგილის დაკავება არ უცდია, დაიკავა ის ადგილი, რომელიც უფლის ნებით მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. აფორიაქდა „ძველი სამყარო". ჯერ იყო და თითქოს ვერ შეამჩნიეს. როცა „არ შემჩნევა" შეუძლებელი გახდა, მაშინ ფარისევლებმა ზემოდან დაუწყეს ცქერა „ვიღაც გუდამაყრელ ბიჭს" ნიჭმა მაინც იპოვა გზა. გოდერძი ჩოხელს მოშურნეებთან ერთად უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. ყოველი მოთხრობა, ყოველი ფილმი კიდევ უფრო ზრდიდა მის თაყვანისმცემელთა რიცხვს. გოდერძი ჩოხელის შესახებ საუბრობდნენ დიდი

სიყვარულით, დიდი სითბოთი. გოდერძისთან მეგობრობა საამაყოდ ითვლებოდა. გავიხსენებ ერთი სტუდენტის ნაამბობს. გოდერძი სტუდქალაქში ყოფილა მეგობრებთან მიწვეული. დაუგვიანია. წვეულებაზე მისულს მხრებით მიუტანია ძლიერი ქარისაგან ფესვებიანათ მოგლეჯილი ხე და უთქვამს: „ქარს მოეგლიჯა, შემეცოდა, მარტო ვერ დავტოვე და თან წამოვიღე!" ამ ამბავს, რომ ვიხსენებ ბუნებრივად მიჩნდება აზრი: გოდერძი ჩოხელი თავად იყო მისი ყველა მოთხრობის გმირი: ვაჟი გოგიც, ბერიც, მაქსინაიც, გამიხარდაიც, ბიბღაიც, შუღლაიც, სტეფანეც, აჩლახუნეც, სებაც, თადეოზიც, ლუკაც... გოდერძი ჩოხელი მაქსინასავით თავადაც დაუფიქრებლად გაჰყვებოდა მიწაზე დაშვებულ არწივს უკან, ზეცაში; თავადაც ბერისავით უყოყმანოდ ჩაიმარხებოდა მიწაში მხარზე ამოსული ნაძვი რომ არ გამხმარიყო და გამიხარდასავით ადამიანად ყოფნა რომ მობეზრდებოდა, თევზად გადაიქცეოდა...

გოდერძის ყოველი ახალი მოთხრობა, ყოველი ახალი ფილმი სულ უფრო მეტად აბოროტებდა მის მოშურნეებს. გოდერძი რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, იგი ადვილად ჩაიკარგებოდა ნიჭიერ შემოქმედთა შორის და „ჩვეულებრივთა" შორის დაიკავებდა ადგილს. ეს არ მოხდა იმიტომ, რომ თავის რჩეულს უფალი „დიდთა საქმეთათვის" ამზადებდა.

გოდერძი ჩოხელი ყოველ წუთს გრძნობდა ჩასაფრებულ მოშურნეთა მზერას, ცინიზმს, ბოღმას. გოდერძის ყოველ ახალ მოთხრობას, ყოველ ახალ ფილმს ღირსეული ადამიანები, აღიარებული პროფესიონალები და უბრალო, რიგითი მკითხველი აღტაცებით ხვდებოდნენ, გულში იკრავდნენ გოდერძის. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ დაეკნინებინათ გამოსვლისთანავე შედევრად აღიარებული მოთხრობები და ფილმები.

ადამიანურ მანკიერებას გოდერძი სულგრძელობასა და მიმტევებლობას უპირისპირებდა. მე არასდროს მინახავს

ვინმეზე გაბოროტებული გოდერძი ჩოხელი, თუმცა ბევრი რამ, რაც მის გარშემო ხდებოდა, არ მოსწონდა, ვერ ეგუებოდა, გულს ტკენდა...

ავტორთა კოლექტივთან ერთად, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ვწერდი. კარგად მახსოვს, როგორ მოვიდა ჩემთან რამდენიმე, საზოგადოებაში მიღებული ადამიანი და XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა და კინოს ისტორიიდან გოდერძი ჩოხელის გვარის ამოღება მთხოვა. ერთ-ერთმა მათგანმა გოდერძის ნაცვლად წიგნში შესატანად საკუთარი კანდიდატურა წარმომიდგინა. საკმაო ხანი დავყავი ამ ქვეყნად და ასეთი უზნეო ადამიანი არც მანამდე და არც შემდეგ არ შემხვედრია. მე ეს ამბავი გოდერძისთვის არ მითქვამს. თუმცა გოდერძიმ, ცხადია, გაცილებით მეტი იცოდა. იცოდა ისიც, რომ მისი „კრიტიკა" ყოველთვის ერთი ცენტრიდან იყო ხოლმე შეკვეთილი. ერთმა საზოგადოებაში ძალზე პოპულარულმა მოღვაწემ მავანის და მავანის დავალებით მწერალთა კავშირში „კრიტიკის ქარცეცხლში" გაატარა გოდერძი ჩოხელის შედევრი „ადამიანთა სევდა." გოდერძის იმდენად ეტკინა გული, რომ ლამის იყო წონასწორობა დაკარგა. მწერალი პასუხს ითხოვდა კითხვაზე: რატომ არ მოსწონდა მომხსენებელს „ადამიანთა სევდა?" პასუხს კი, ცხადია ვერავინ გასცემდა. 1987 წელს საქართველოს კინომატოგრაფისტთა ყრილობაზე ასევე საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა პიროვნებამ გოდერძი ჩოხელის ფილმების უკბილო კრიტიკა წარმოადგინა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს კრიტიკა ასევე შეკვეთილი იყო. ერთხელ გამბედაობა გამოვიჩინე და ქართულ მწერლობაზე საუბრისას განვაცხადე: „გოდერძი ჩოხელი, რომ დიდი ერის შვილი იყოს, მისი „მგელი" აუცილებლად ნობელის პრემიით აღინიშნებოდა!" ერთმა ადამიანმა, რომელსაც ყველა სამეცნიერო ხარისხის, წოდებისა და პრემიის მიღება მოესწრო, ცინიკურად გადმომხედა და მკითხა: „თქვენ იცნობთ გოდერძი ჩოხელს?" იმხანად გოდერძი ჩოხელს არ

ვიცნობდი. ის ცინიკოსი მხოლოდ გოდერძის მტერი არ იყო, იგი საქართველოს მტერი იყო!

საქართველოში განსაკუთრებულ ნიჭით დაჯილდოებულ მწერლებსა და რეჟისორებს რა დალევს! დიდხანს ვფიქრობდი, მინდოდა მეპოვნა პასუხი კითხვაზე: რით იყო ნიჭიერთაგან გამორჩეული, განსაკუთრებული გოდერძი ჩოხელი? გოდერძი ჩოხელი გამორჩეული იყო იმით, რომ ყველა ფილმით, ყველა მოთხრობით მან შექმნა თავისი სამყარო. მწერლის ყველა სიტყვა, ყველა ფრაზა ამ სამყაროს შექმნას ემსახურებოდა. გოდერძი ჩოხელის სამყაროში წაშლილია ზღვარი ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს შორის. ყველა ისინი ერთი მთელის განუყოფელი ნაწილები არიან, მათი არსებობის წესია ერთ მთლიანსა და განუყოფელში არსებობა. გოდერძი ჩოხელმა წაშალა ზღვარი ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, „ადამიანად ყოფნასა" და „ადამიანად არყოფნას" შორის. ამიტომაა, რომ არ დასცილდნენ ერთმანეთს გოდერძის არწივი და ადამიანი, ამიტომაა რომ ადამიანმა არ მოიგლიჯა მხარზე ამოსული ნაძვი, მიწაში ჩაეფლო, რომ ნაძვისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ხოლო ადამიანად ყოფნა რომ მობეზრდა, თევზად გადაქცევა არჩია.

გოდერძი ჩოხელს უთქვამს: „ვაჟა ღმერთს ჩამოუვარდა ზეციდან, მე ვაჟას გავუვარდი ჯიბიდანო! ესეც უთქვამს: ვაჟას ვაზნა ვარ, ჯერაც თოფში გაუსროლელიო!" გოდერძი ვერ იტყოდა, უფრო ზუსტად არ იტყოდა იმას, რაც ჩვენ უნდა ვთქვათ. გოდერძი ჩოხელი ქართულ მწერლობაში შემოვიდა ვაჟა-ფშაველას მოვლენიდან ერთი საუკუნის შემდეგ. რომ არ ყოფილიყო ვაჟა, მაშინ ჩვენი აღტაცება გოდერძის შემოქმედებით სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. გოდერძი ჩოხელი დიდია იმიტომ, რომ მისმა შემოქმედებამ ვაჟას შემდგომი ქართველობა გააოცა, გააოგნა და აღაფრთოვანა. გოდერძი ჩოხელი ვაჟას მემკვიდრეა ქართულ მწერლობაში! ყოველივე რაც ზემოთ მოგახსენეთ სიტყვა-სიტყვით მაქვს

ნათქვამი გოდერძისთვის. ყურადღებით მისმენდა, ბოლოს თავი ჩაღუნა და ისე, რომ თავი არ აუღია მითხრა: „მართლა ასე ფიქრობ?" მივხვდი, რომ მისთვის ძალიან ფაქიზ საკითხს შევეხე. გადავწყვიტე, ცოტა გამემხიარულებინა მძიმე ფიქრებში წასული. ამიტომ იყო, რომ ვუთხარი: „გოდერძი კაცობრიობის ისტორიის დასაბამიდან ადამიანები ძირითადად ორი რამის – თანამდებობის მიღებისა და ფულის მოხვეჭის მიზნით ცრუობენ. შენ ჩემთვის თანამდებობის ბოძება არ შეგიძლია, არც ფული გაქვს, რომ მომცე. ასე, რომ მე შენგან არაფერს არ ველი, მერწმუნე, რაც გითხარი გულწრფელად გითხარი" სიცილი აუვარდა, იცინოდა ლაღად და გულიანად. რამდენიმე წუთის განმავლობაში საუბარი ვეღარ გავაგრძელეთ. ასე გახარებული, ასე მომღიმარი გოდერძი ჩოხელი მე პირველად და უკანასკნელად ვნახე.

გოდერძი ჩოხელთან მეგობრობა მე წამიერად მისი სამყაროს ნაწილად მაქცევდა ხოლმე. მე ვიგრძენი: ჩემს მიერ წინათ აღქმული სამყარო რა უფერული, უინტერესო, ერთფეროვანი ყოფილა! გოდერძი ჩოხელის სამყაროში თუნდაც წამიერად გადასახლებამ მე შემაძლებინა ამეხსნა თუ რას გვიკიჟინებდა მწერალი: „ნუ გაახმობთ მხარზე ამოსულ ნაძვს!"

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შეერყა გოდერძი ჩოხელს ჯანმრთელობა. ეს არ იყო არაადამიანური შრომის შედეგი. გოდერძის შეეძლო კიდევ ათასი მოთხრობა დაეწერა, გადაეღო ბევრი ფილმი და დიდხანსაც ეცოცხლა. გოდერძის გულმა ვერ გაუძლო იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. გოდერძის გულს სტკენდა ყველაფერი: ირემს რომ ჰკლავდნენ, არნივს რომ გალიაში ამწყვდევდნენ, ხეს რომ სჭრიდნენ, ყვავილს რომ თელავდნენ, ხარს რომ დასაკლავად იმეტებდნენ, ჩოხი და ბევრი სხვა სოფელი რომ იცლებოდა, ჭირი რომ მრავლდებოდა და ჭირისუფალი კი მცირდებოდა. გოდერძის გულს სტკენდა ის, რასაც ჩვენ სულაც არ განვიცდიდით. რამდენჯერაც არ უნდა გაევლო ჟინვალში გოდერძი ჩოხელს მუდამ

აგონდებოდა „ძველი ჟინვალი“, თავისი „პატარა ეკლესიებით“ წყალსაცავის ქვეშ რომ მოჰყვა. ახსენდებოდა გუდამაყარი და გუდამაყრელები, ისეთი, როგორიც მან ნახა და როგორსაც ველარასოდეს ველარ ნახავდნენ მისი შვილები და შვილიშვილები. ეს დიდი ტკივილი და კიდევ რამდენი ასეთი ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე ატარა გოდერძის გულმა. მის გულში არსებულ საქვეყნო (საკაცობრიოც!) სატკივარზე იშვიათად საუბრობდა. თუ სატკივარს ვინმე მიუხვდებოდა თვალები გაუბრწყინდებოდა, ცას ეწეოდა ხოლმე სიხარულით. სატკივარის წამალი თავად არასდროს უძებნია. მისი სატკივარის წამალი ისეთი გულის ადამიანი იყო, როგორი გულიც თავად გოდერძის უძგერდა მკერდქვეშ. ასეთი ადამიანები კი ვერ იპოვა გოდერძი ჩოხელმა! ვერ იპოვა და თავად გამოიგონა. გოდერძის მიერ გამოძერწილი ადამიანები: ბერი, მაქსინაი, გამიხარდაი, ბიბღაი, შუღლაი, აჩლახუნე, თადეოზი, ლუკა, სება და მრავალი სხვა, სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ვერ იპოვა გოდერძიმ. რაც იცოცხლა, სწორედ მის მიერ შექმნილი გმირების სამყაროში იცოცხლა. გული მაინც სტკიოდა. სტკიოდა იმიტომ, რომ ცოტანი იყვნენ მისი სამყაროს გმირები. ამიტომ იყო, რომ დაუცხრომლად ძერწავდა ახალ გმირებს. ყოველი ახალი მოთხრობა კიდევ ერთ ან ორ გმირს ჰმატებდა მის სამყაროს. თუმცა ესეც საკმარისი არ იყო, მაინც ცოტანი იყვნენ. უკმარისობის გრძნობა თან სდევდა გოდერძის პირველი მოთხრობის დაწერიდან, პირველი ფილმის გადაღებიდან სიცოცხლის ბოლომდე. გულმა ველარ გაუძლო. გოდერძი გრძნობდა, რომ ათასი გამიხარდა, ათასი ბერი, ათასი სება რომ შეექმნა, იგი სამყაროს მაინც ვერ შეცვლიდა, სანამ იცოცხლებდა, უნდა ეცოცხლა მისი შექმნილი გმირების გარემოცვაში. ადამიანები კი მაინც ისეთები რჩებიან, მათ უმრავლესობას ცოდვიანი ცხოვრება არ ეთმობა. ამის აღიარება, ამის დაჯერება არ უნდოდა გოდერძის. გოდერძი ჩოხელი დარწმუნდა, რომ მის გარშემო არსებულ სინამდვი-

ლეს იგი ვერასდროს შეეგუებოდა. ყველაფერმა ამქვეყნიურმა გოდერძისთვის აზრი დაკარგა... „ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა“ დასრულდა, დაიწყო „ადამიანად არყოფნის სევდა“ აკი თქვა კიდეც: „სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოსო კაცმა ვალი“

სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში რჩეულ ქართველთათვის განკუთვნილმა მიწამ მიიბარა გოდერძის ნეშტი. სული კი ამაღლდა ზეცად და ვაჟას დაუდგა მხარმარჯვნივ...

ვახტანგ გურული

საქართველოს საპატრიარქოს
წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის.
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
26 მაისი, 2010 წელი

გუდამაყარი, ფილმის „ბაკურხეველი ხევსური“ გადაღებისას

„გააკეთე, როგორც შენ გესმის“...

გოდერძი ჩოხელმა სტუდენტობის პერიოდში გადაიღო არაჩვეულებრივი ფილმი „ადგილის დედა“, რომელსაც ობერჰაუზენის საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრი მიაკუთვნეს. გოდერძი ახალგაზრდა, მაგრამ ძალინ ნიჭიერი რეჟისორი იყო, მან თავიდანვე მიიქცია კინოხელოვანთა ყურადღება, და არა მარტო კინოხელოვანთა.

გოდერძი ხან სტუდქალაქში ცხოვრობდა, ხან იაშა ტრიპოლსკისთან, რომელიც მისი ბიძა იყო და დიდ მზრუნველობას იჩენდა გოდერძის მიმართ. იმ პერიოდში კინომუშაკთა საბინაო საკითხები მე მეხებოდა. გოდერძიმ განცხადება შემოიტანა ბინის თხოვნის შესახებ, რეზო ჩხეიძემ მაშინვე მოაწერა ხელი. მახსოვს, თავად ედუარდ შევარდნაძე იყო დაინტერესებული ჩოხელის ბინით უზრუნველყოფით.

90-იან წლებში, როდესაც საქართველოში ყველაფერი აირია, კინოსტუდიაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. შეიქმნა გაერთიანებები, რომლებიც საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდნენ. საბჭოთა პერიოდში წლის განმავლობაში წარმოებაში ჩაშვებული 20 ფილმიდან ნახევარი „გოსკინოს“ ხაზით ფინანსდებოდა. მხატვრულ ფილმებზე უფრო მეტი თანხა გამოიყოფოდა, ვიდრე მოკლემეტრაჟიან და დოკუმენტურ ფილმებზე.

კინოსტუდიის გაერთიანებებს დამოუკიდებლობა მიენიჭათ. ოთხი უნიჭიერესი რეჟისორი: თენგიზ აბულაძე, გოდერძი ჩოხელი, გია მატარაძე და ნანა ჯანელიძე ერთ ჯგუფად გაერთიანდნენ. თენგიზ აბულაძე სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, მე კი – ამ გაერთიანების დირექტორი. საკმაოდ კარგი ხელფასები გვქონდა.

გია მატარაძე და გოდერძი აპირებდნენ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით ფილმის – „ციცია“ შექმნას. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი იყო, მახსოვს ჩეჩნეთის პრეზიდენტს – ჯოხარ დუდაევს მისწერეს

წერილი ფილმის ერთობლივი გადაღების თხოვნით. მალე ყველაფერი აირია.

ნანა ჯანელიძემ იმ წლებში გადაიღო „იავნანამ რა ჰქმნა", ლევან ანჯაფარიძემ – „მორიელი", გია მატარაძემ – „მოკვეთილი". თუმცა გია ძალიან მალე გარდაიცვალა. ჩვენ ვთანამშრომლობდით საფრანგეთში ჟორჟ პომპიდუს სახელობის კინოცენტრთან. ამ ცენტრმა 1991-92 წლებში 2 ფილმი დააფინანსა. 1 ფილმის გადაღების უფლება მიეცა ნოდარ მანაგაძეს, მეორე კი რეზო ჩხეიძემ, სცენარის უნახავად, გოდერძის მისცა. იცოდა, რომ გოდერძის საინტერესო სცენარები ჰქონდა. ფრანგები ამ ფილმების თანამონაწილენი იყვნენ. გოდერძიმ თავისი ბრწყინვალე რომანის „მგელის" მიხედვით დაწერა სცენარი და ფილმის თითქმის ნახევარი გადაიღო, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ ყველანაირი კინოსაქმიანობა გაყინა და, შეიძლება ითქვას, გაანადგურა.

ჩვენ მოვახერხეთ და წარმოებაში ჩავუშვით ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „სამოთხის გვრიტები" და „ლუკას სახარება", ფინანსთა სამინისტროს უნდა დაეფინანსებინა ეს ფილმები. საქართველოში საშინელი ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს გოდერძი ესტუმრა და სცენარი მიუტანა ავტოგრაფით. მას გონებაში უკვე წინასწარ გადაემუშავებინა ყველაფერი, იცოდა, რა, როგორ უნდა გადაეღო. დავით იაკობიძემ გამოგვიყო თანხა, რომლითაც ორი მოკლემეტრაჟიანის ნაცვლად ორი სრულმეტრაჟიანი ფილმი დავასრულეთ.

„სამოთხის გვრიტები" ორ კვირაში გადაიღო. საოცარი მუშაობა იცოდა. ანაპაში საერთაშორისო კინოფესტივალზე წავიღეთ, კახი კავსაძე თარგმნიდა. ფესტივალზე მრავალი ნიჭიერი რეჟისორი იყო ჩამოსული, მათ შორის დიდი რეჟისორის ჩუხრაის ვაჟი – პაველ ჩუხრაი, რომელმაც ვენეციის ფესტივალიდან ჩამოიტანა პრიზი – „ვერცხლის ლომი" ფილმისთვის „ქურდი".

ფილმის „სამოთხის გვრიტები“ გადამღები ჯგუფი სოფ. ცდოს მოსახლეობასთან ერთად.

ჩვენი ფილმი ფესტივალის პირველ დღეს გაუშვეს, რუსები მოიხიბლნენ. ჟიურის თავმჯდომარე მწერალი დანიელ გრანინი ბრძანდებოდა (თავმჯდომარე კინოხელოვანი არ უნდა ყოფილიყო). იმის მიუხედავად, რომ ჟიურის თავმჯდომარეს მონაწილეებთან შეხვედრის უფლება არ ჰქონდა, გრანინი იმდენად აღფრთოვანდა „სამოთხის გვრიტებით“, რომ გოდერძი ტბაზე სასეირნოდ და სასაუბროდ მიიწვია.

დაჯილდოების დღეს პრიზები საუკეთესო რეჟისურისთვის, მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ჩუხრაის ფილმმა აიღო. ჩვენ არავის არ ვიცნობდით. გოდერძის ვუთხარი: წავედით სახლებში-მეთქი. გოდემ დამამშვიდა, ყველაფერი კარგად იქნება, მე გუშინ ღმერთს ველაპარაკებოდიო. მართლაც, ფილმმა გრან-პრი მიიღო, ვერ აღვწერ, ეს რამხელა სიხარული იყო. ჩუხრაიმ პირველმა მიულოცა, ვერ მალავდა აღფრთოვანებას.

ანაპის კინოფესტივალის პრეზიდენტი ვიქტორ მერეჟკო და ცნობილი მსახიობი ირინა შევჩუკი გოდერძის აღმერთებდნენ. თბილისში რომ ჩამოვედით, დაგვირეკეს და მოსკოვში მიგვიწვიეს, კინოს სახლში სურდათ „სამოთხის გვრიტების" პრემიერის გამართვა. ცოტა გულგრილად შევხვდი ამ მიპატიჟებას, რადგანაც ყველაფერი ფინანსებზე იყო დამოკიდებული და ჩვენ ეს ფული არ გვქონდა. მალე რუსეთის ელჩის ცოლმა დამირეკა, რომელიც იულია ხრუშჩოვასთან (ნიკიტა ხრუშჩოვის ქალიშვილთან) მეგობრობდა. მერე რუსეთის ელჩმაც დამირეკა. მოსკოვში წასვლამდე მოისურვეს ფილმის კინოსტუდიაში ნახვა. ელჩთან და მის მეუღლესთან ერთად ბატონ მერაბ მამარდაშვილის დაც მობრძანდა. ფილმი ძალიან მოეწონათ. მოსკოვში 3 ადამიანის გამგზავრება ბადრი პატარკაციშვილმა დააფინანსა. წავედით მე, გოდერძი და კახი კავსაძე. მოსკოვის კინოს სახლი გაივსო მაყურებლებით, ქართული დიასპორა სრულად იყო წარმოდგენილი, რუსებმაც უზარმაზარი ინტერესი გამოავლინეს და პრემიერამ დიდი ოვაციებისა და ტაშის თანხლებით ჩაიარა. საოცარი წარმატება იყო.

„სამოთხის გვრიტების" დასრულებისთანავე, გოდერძიმ მეორე დღესვე დაიწყო „ლუკას სახარების" გადაღება, რომელიც ყაზბეგში დაიწყო და ჩოხში დამთავრდა. ჩოხის სკოლა საშინელ მდგომარეობაში იყო, შევაკეთეთ, გავალამაზეთ სკოლაც, ეზოც, გოდერძი გახარებული იყო და მთელი დატვირთვით მუშაობდა.

„ლუკას სახარება" საოცარი ფილმია, მთავარი როლი გოდერძის უფროსმა ვაჟმა – ლუკამ შეასრულა. ლუკა იმ პერიოდში არ ლაპარაკობდა, მაგრამ ფილმში მშვენივრად ითამაშა. ეს არის ქრისტიანულ თემატიკაზე გადაღებული ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი. „ლუკას სახარებამ" პრიზი აიღო ანაპის ფესტივალზე, 2009 წლის ბათუმის მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე კი წმინდა ანდრიას ჯვრით დაჯილდოვდა. საწყენია, რომ

გოდერძი ჩოხელის სკოლა სოფ. ჩოხში. ფილმის „ლუკას სახარება" გადაღების პერიოდში გოდერძიმ სკოლა აღადგინა. 1997 წ.

გოდერძი ამ ჯილდოს ვერ მოესწრო. იმ პერიოდში მოსკოვის კინოსტუდიის გენერალური დირექტორი იყო ძალზე საინტერესო ბიოგრაფიის კაცი – ვლადიმერ დოსტალი. მან დამირეკა მოსკოვიდან და მითხრა, რომ ჰქონდა საინტერესო სცენარი და სურდა გოდერძის გადაეღო ფილმი მისი სცენარის მიხედვით. მე ვუთხარი, ჩოხელს ისეთი და იმდენი სცენარი აქვს, სხვისი სცენარი არ სჭირდება-მეთქი. ამის პასუხად დოსტალი თვითონ ჩამოფრინდა თბილისში და გოდერძი მიიწვია რეჟისორად თავის სცენარზე. მე და გოდერძი მოსკოვში წავედით და წავიღეთ სცენარები. მოსფილმის კინოსტუდიაში მთავარ რედაქტორად მუშაობდა მამილოვი, რომელიც სცენარების გაცნობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, „გაოგნებული" დარჩა. დოსტალმა უარი თქვა თავის სცენარზე და გადასაღებად დამტკიცდა ჩოხელის სცენარი „მიჯაჭვული რაინდები". ეს იყო გოდერძის დიდი აღიარება, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ეს ფილმი მთლიანად რუსებმა დააფინანსეს და ქართულად ვერ გავახმოვანეთ.

მოსკოვი, ფილმის „მიჯაჭვული რაინდები" გახმოვანებაზე. 1998 წ.

„მიჯაჭვული რაინდები" გოდერძიმ ანაპის კინოფესტივალზე წარადგინა. კახი კავსაძეს გადაეცა მთავარი პრიზი – მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის. პრიზი მეც მივიღე, როგორც საუკეთესო პროდიუსერმა. რუსები გაგიჟდნენ, მთავარი პრიზები სულ ჩოხელს მიაქვსო. მართლაც, სამი წლის განმავლობაში სულ პრიზებით ვბრუნდებოდით.

„მიჯაჭვული რაინდები" ერთ სერიად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ორსერიანი ფილმი გამოვიდა. საწყენია, რომ ქართულად გახმოვანება ვერ მოხერხდა, იუმორის დიდი ნაწილი იკარგება. ამ ფილმში ქართული კინოს ბრწყინვალე თანავარსკვლავედია წარმოდგენილი: გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კარლო საკანდელიძე, ნინო ჩხეიძე, გია ჯაფარიძე, ზურა ქაფიანიძე, ტრისტან სალარიძე.

მოსკოვში, კინოს სახლში ფილმის პრემიერა გაიმართა. ფილმმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მალე მოსკოვში ფულის დევალვაცია მოხდა, ამის მიუხედავად, დოსტალმა პატიოსნად გადაგვიხადა ჰონორარები. იგი დიდ პატივს სცემდა გოდერძის.

ფილმის „მიჯაჭვული რაინდები“ გადამღები ჯგუფი. 1998 წ.

გოდერძი, მართლაც, გამორჩეული რეჟისორი იყო, ის თვითონ წერდა სცენარს და რაც უნდა გადაეღო, სახიერად ხედავდა ყველაფერს. წყნარი, დინჯი იყო, ზედმეტს არაფერს იტყოდა და სხვის მოჭარბებულ ლაპარაკსაც ვერ იტანდა. მსახიობებს უყვარდათ მასთან მუშაობა, სცენარს რომ ეცნობოდნენ, მათთვის ცხადი ხდებოდა, რამდენად საინტერესო და მიმზიდველ მასალას სთავაზობდა რეჟისორი. გოდერძის გაბრაზება არ შეეძლო, მასთან რამდენიმე ფილმზე ვიმუშავე და არ მახსოვს, ვინმესთვის უხეშად მიემართოს ან ებრძანებინოს. „გააკეთე, როგორც შენ გესმის“, – მშვიდად მიმართავდა ყველას. მას ჰყავდა საყვარელი მსახიობები: თამარ სხირტლაძე, ნინიკო ჩხეიძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, მიშა ხერხეულიძე, აბესალომ ლორია, აბრეკ ფხალაძე, კოტე თოლორაია და სხვ.

ხანმოკლე პერიოდში გოდერძიმ მრავალი ბრწყინვალე ფილმი გადაიღო, ლიტერატურული მასალა, სცენარები იმდენად კარგი ჰქონდა, რომ საოცარ ფილმებს ქმნიდა. „ცოდვის შვილები“, ჩემი აზრით, ნამდვილი კლასიკაა. გოდერძი ჩოხელი ჯერ დიდი მწერალია, მერე დიდი კინორეჟისორი,

გოდერძი ჩოხელი და კარლო საკანდელიძე საგურამოში ფილმის „მიჯაჭვული რაინდები“ გადაღებაზე. 1998 წ.

თუმცა თვითონ ამბობდა, რომ კინომ დააწყებინა წერა. გამორჩეულად მიყვარს მისი მოთხრობა „ველური ყვავილების თაიგული“, რომლის ფინალიც ჩემს სახლში დაიწერა. ამ მოთხრობის მიხედვით საუცხოო ფილმის გადაღება შეიძლებოდა.

გოდერძის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მოსკოვში ვიყავი, სადაც ერთ ცნობილ პროდიუსერს მოვუყევი მისი სცენარის „ვარდისფერი კაცის“ შესახებ (ეს მოთხრობა ზეპირად ვიცი). პროდიუსერი დაინტერესდა და გახარე-

ბული, თბილისში ჩამოსვლისთანავე, ავედი გოდერძისთან. თავს ცუდად გრძნობდა. მე და გოდერძიმ „ვარდისფერ კაცზე" ვისაუბრეთ, აღმოჩნდა, რომ სცენარი მას არ ჰქონდა.

გოდერძიმ ასეთი რამ მითხრა: – „ვარდისფერი კაცი" ღმერთმა მომცა, ეს იყო ღვთის საჩუქარი, რომელიც დავკარგე და ახლა ვეღარ ვწერ.

ტკივილად დამრჩა მისი ეს სიტყვები. თუმცა, აღმოჩნდა, რომ სცენარი არ დაკარგულა, არსებობს. საწყენია, რომ გოდერძიმ ამის შესახებ არ იცოდა.

შეიძლება, ვინმემ ოდესმე გაბედოს ამ ფილმის გადაღება, ვიცი, რომ „ვარდისფერ კაცს" სხვა ვერავინ გადაიღებს. ეს იყო მისი ოცნება. გოდერძის გადაღებული „ვარდისფერი კაცი" კინოშედევრი, კლასიკა იქნებოდა. ამ ფილმზე სხვასთან, თუნდაც ფელინი იყოს, ვერ ვიმუშავებ.

ჩემს ცხოვრებაში მრავალი საინტერესო ეპიზოდი მახსენდება. გოდერძი ჩოხელთან მუშაობის, ურთიერთობის, მეგობრობის პერიოდი გამორჩეული ეტაპი იყო იმ გზაზე, რომელიც გავიარე.

ანდრეი ლოგვინოვი, პროდიუსერი

სოფ. ცდო, გოდერძი ჩოხელი და ანდრეი ლოგვინოვი. 1997 წ.

„ჯვარიმც გნერია, გოდერძი!“

გოდერძი ჩოხელს სტუდენტობიდან ვიცნობდი, კინოსტუდიაში რეჟისორი ომარ გვასალია მიღებდა კინოში. შემხვდა გოდერძი, მეც მინდა გადაგიღო კინოშიო. მომცა სცენარი და მითხრა: „წაიკითხე, შენი ხასიათი ვიცი და მე მგონი მოგერგებაო.“ მეც გამოვართვი, წავიკითხე, მომეწონა, მეორე მეხვედრაზე დავუბრუნე და ვუთხარი: საიდან მოიგონე-მეთქი. წავედით იმდროინდელ პლეხანოვზე რესტორანში და აღვნიშნეთ. როგორც ყველა ქართველი სუფრასთან ბოლომდე გავიხსენით. ეს იყო „ბაკურხეველი ხევსურის“ დაგვირგვინება.

1966 წელში, გოდერძიმდე, ცნობილმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ „ვედრებაში“ პატარა, ეპიზოდურ როლში გადამიღო, მერე გია ჭუბაბრიამ, ომარ გვასალიამ და დაიწყო ჩემი „წამება“

გოდერძის უამრავ ფილმში ვითამაშე, როგორც მთავარი, ისე ეპიზოდური როლები. თითქმის ყველა სცენარს მაკითხებდა, სულ მთაზე და ბუნებაზე ჰქონდა დაწერილი. ბეჩავს ბევრი დარჩა გადასაღები.

როცა ცუდად იყო, მაშინ მითხრა, ნადირობაზე მაქვს სცენარი და უნდა გადავიღოთო. მომიყვა და გადავირიე, ისე მოჰყვა, რორგორც პროფესიონალი მონადირე.

მე ვუთხარი: საიდან იცი ამდენი?

– შენ რო მიყვებოდი, ვიხსომებდიო.

სასწაულად ნიჭიერი იყო, ჯანმრთელი ტვინის პატრონი. ვერ დავაფასეთ, დასანანია.

ეს ფილმიც ვერ გადაიღო.

მე მიმაჩნია, რომ გოდერძის ფილმები ყველა ღრმა რწმენით არის შექმნილი, მის უზარმაზარ სულიერ სამყაროს ამჟღავნებს. რასაც ხედავს, რაც დაუნახავს, ეკრანზე გადააქვს, რომ სხვასაც დაანახოს. განსაკუთრებით მომწონს „ცოდვის შვილები“, იგივე „ქისტის მოტაცება“, სადაც საცრემლოდ

დახატა და დანერა სცენარი ორი რელიგიის დაპირისპირებაზე. ეს ფილმი, მე როგორც ვიცი, რომის პაპსაც უნახავს და პრიზი გამოუგზავნა გოდერძის. ეს კინო მე მგონია შედევრია რელიგიურ საკითხში.

გოდერძის ფილმები და ნაწარმოებები ლიტერატურაშიც, პოეზიაშიც განუმეორებელია, იმიტომ, რომ ჩემი გოდერძი დიდი ხელოვანი, დიდი კაცი და დიდი ქართველი იყო.

გადაღების დროს გოდერძის ზედმიწევნით შეეძლო მსახიობის დამუშავება, სხვის აზრს ყოველთვის იზიარებდა, თავისას იტყოდა, ენდობოდა მსახიობებს და აკეთებდა იმას, რაც თვითონ ჰქონდა ჩაფიქრებული, ცოტა ჯიუტიც იყო. იმიტომაც გამოსდიოდა კარგი ფილმები.

გოდერძი უმეტესად არამსახიობებს იღებდა, ორმაგ შრომას ეწეოდა და აღწევდა, იმას რაც თვითონ უნდოდა. შედეგს კი კინოსტუდია და ხალხი აფასებდა.

ერთხელ „ბაკურხეველი ხევსურის" გადაღების დროს ასეთი ეპიზოდი იყო: მე დავდივარ თოფით, ხალხს ვაშინებ (ვაზნა კი სველი, არმოქმედია), შემეფეთება დათვი. დათვი არ მახსოვს ცირკიდან, თუ საიდან მოიყვანეს. გადაღება ჯვრის „პერევალზეა", დათვი „კლეტკით" მოიყვანეს, შევხედე და „ნამორდნიკი" უკეთია.

– გოდერძი, კი ვარ მონადირე, მაგრამ გინდა ჯოხი მჭერებია, გინდა უტყვიო თოფი.

უარი ვუთხარ, დათვს ხომ არ ვეცემინები, მამიტანეთ ნაღდი ტყვია და მერე გადავიღოთ-მეთქი.

თოფი ოც კალიბრიანი იყო, ძლივს იშოვეს ტყვია. მამიტანეს, ჩავდე და ვუთხარ:

ეხლა დათვი კი არა, გინდა ვეფხვი გამოუშვით-მეთქი.

არა და ის დათვი გაჩვეული არ იყო, იღრინებოდა და მეტანებოდა.

გოდერძიში თავის დედის სიკეთე იყო ჩაწურული. ლელა იყო სასწაული ქალი, სასწაული დედა, სასწაული შრომისმოყვარე. მარტოკა უვლიდა ჩოხში საქონელს. ზამთარში ავე-

დით მასთან გადაღებაზე ოცდაათი კაცი და ქალი. მიუსხ-დებოდნენ ფეჩსა და თბებოდნენ. ერთი არ იტყოდა, ან შეშა დაეხეთქა, ან წყალი მოეტანა (წყარო მოშორებით იყო სოფელთან). ვერ ხვდებოდნენ, რომ წყალი და შეშა თვითონ არ მოდიოდა.

გოდერძი თბილისში თავის საქმეებს აგრძელებდა. ლელა ჩოხში მარტოკა შრომობდა და სიამოვნებდა, რომ შვილს სოფლიდან ეხმარებოდა. ჩემთან აქვს ლელას ნათქვამი: თიბაშიც არ მინდა მაგის მოცდენაო. გრძნობდა, რომ თავი-სი შვილი ერის საქმეს აკეთებდა. კიდევ კარგი, ვერ შეესწრო გოდერძის სასწაულ წვალებას.

ჩემი იმედი ყოველთვის ჰქონდა. ერთხელ შატილში ვიღებდით ქისტის მიყვანას ხევსურეთში: მე ქისტური ფორ-მა მაცვია, ჯაჭვით ვარ კალოს თავზე დაბმული. ამ დროს შატილში ბიჭი გაჩნდა, ბატკანი შეიწვა, ხორცი მოიხარშა. ჩვენც დაგვპატიჟეს, მივედით. ხევსურები ნასვამები იყვნენ და მე, როგორც ქისტი თვალში არ მოუვედი.

ერთი მუცოელი იყო, ბაბო დაიაური. იმან ხმალი გად-მომიგდო და მითხრა, მეფარიკავეო. მე უკან გადავუგდე. ის გაბრაზდა და შეიქმნა გაწევ-გამოწევა. ბოლოს ძმად გავი-ფიცენით. დავლიეთ, დავთვერით. მე მაშინ შატილში მანქა-ნა მყვანდა. ბაბომ მითხრა, რახან ძმები ვართ, ბარისახოში წავიდეთ, და მყავს იქა და უნდა გაგაცნოო. დავჯექით და წავედით, გოდერძისთვის არ მითქმია. ამ დროს, გადაღე-ბაზე 60 კაცია დასაქმებული, შალიკო დაიგვიანებს, ჩვენი მოცდენა არ იქნებაო – უთქვამთ გოდერძისთვის. გოდერძის გაღიმებია: შალიკო მე არ მიღალატებსო. ღამე კოცონთან მსხდარან. როცა ღამე დათვის ჯვრის ულელტეხილი გად-მოვიარეთ, გოდერძის შუქები დაუნახავს და უთქვამს ხალ-ხისთვის: აგე, მანქანის შუქები ჩანს, შალიკო მოდისო. დილით განახლდა გადაღება.

ეს არის მცირე ნათქვამი ბუმბერაზ ქართველზე გოდერძი ჩოხელზე.

მაპატიოს მისმა უკვდავმა სულმა.

გოდერძი იყო მთის შვილი,
კარგად ნასროლი ისარი,
ხმალი მტრისათვის ნაქნევი,
კარგად დამჯდარი აბჯარი.
    გუდამაყრელი ჩოხელი –
    გულით ლაღი და ალალი
    მცხეთაში დასახლებული
    დამწვარი, როგორც ყავარი.
ვერა თქვა თავის სათქმელი,
სიტყვები დარჩა მრავალი.
ჯვარიმც გწერია, გოდერძი,
ეგაცა კაცის სავალი.

შ. ქირიკაშვილი
8.07.2010 წელი

კადრი ფილმიდან „ცოდვის შვილები", შალვა ქირიკაშვილი ქისტის როლში. 1989 წ.

ეს სიკვდილი სიცოცხლეზე ლამაზია!
გოდერძი ჩოხელის ყველაზე დიდი დარდი

ავადმყოფი გულაღმა ინვა და თვალგახელილი ფიქრობდა თავის მშვენიერ ქვეყანაზე, ფიქრობდა გუდამაყარზე და მთის ერთ პატარა სოფელზე, სადაც ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავია, სუფთა და ანკარა ცაა, სადაც თოვლში იასავით მოცახცახე დედის ლანდი ისევ ლოცულობს და მომაკვდავ შვილს ნაკადულებისა და ჩიტების ხმას უგზავნის...

სადაც ავადმყოფი წევს, ფანჯრის მილმა წვიმის თალხი ჩამოშლილა. 15 წლის წინანდელივით ზარბაზნები აღარ ისვრიან, მაგრამ მწერლის გული ქართველების დაუნდობელ სისასტიკეზე გოდებს – ქაშუეთში შეგდებულ გაზის ხელყუმბარას და დაღვრილ სისხლს განა ზარბაზანზე ნაკლები ხმა აქვს?

დაყოფილ-დაწეწილი ქვეყნის დარდი მჭამსო... ის, რომ ერთიანობისა და ურთიერთგაგების მადლთან ერთად ერთმანეთის სიყვარულიც დავკარგეთ... მტრისგან რომ იყოს, არც დამწყდება გულიო, მტერია და უნდა გიმტროს, შენი სისხლი რომ გიღალატებს და გაგიბზარავს სულს, იმ გაბზარულის გამთელება იოლად არ იქნებისო...

გოდერძი ჩოხელის ყველაზე დიდი დარდი საქართველო იყო. მთის წიაღიდან განგებას ჩვენთვის საგანგებო მისიით თუ გამოეგზავნა – სიყვარულისა და ურთიერთდანდობისთვის... „ადამიანთა სევდას" მიგვაახლა, გუდამაყრის კოსმიური გადასახედიდან სიცოცხლისა და სიკვდილის დიდი საიდუმლო ამოგვიხსნა: სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდაო, სიკვდილი? სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდაო...

ფიქრობდა და ხედავდა, ხედავდა და სურათებს ფილმებად კინძავდა. ყველა ფილმიდან მთის მონატრება და ენერგია ასხივებდა, ფილმის გადაღება მისთვის ლოცვა და ბედისწერა იყო. კინო აცოცხლებდა... და იქმნებოდა ხელიხელსაგოგმანებელი „ადგილის დედა", „ბაკურხეველი ხევსური",

„აღდგომა“, „ადამიანთა სევდა“, „წერილი ნაძვებს“, „ცოდვის შვილები“, „სამოთხის გვრიტები“, „ლუკას სახარება“

ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს თოვლიანი კადრები სჭირდებოდა, მარტოდმარტო გაუყვა მთის ბილიკს, ჩოხის წმინდა გიორგის შესთხოვა... თოვლი... და სასნაული მოხდა, მართლაც, მოვიდა თოვლი! „მაშინ, ჩემში უცნაურ ძალას ვგრძნობდი, ისეთს, შეუძლებელს რომ შეგაძლებინებს“. მაშინ არც სიკვდილის ეშინოდა. სულნათელი რეზო ინანიშვილი ხშირად ეუბნებოდა, სასიკვდილოდ ნუ იმეტებ შენი მოთხრობების გმირებს, ცოცხალი დატოვე, ან სიკვდილი რატომ გიყვარს, რა შესაყვარებელიაო. ის კი უხსნიდა, რომ სიკვდილში ცუდი არაფერია, გმირებს კი მეგნებულად ვიმეტებ, რათა ასე უფრო მეტად დაგვნყდეს გული და სიცოცხლე შეგვიყვარდესო... სიცოცხლე და სიკვდილი ძმები, ღვთის შვილები არიანო... ამიტომაც არის, რომ ერთ-ერთ ფილმში თეთრჩოხიან ულამაზეს ჭაბუკად გვევლინება სიკვდილი... გოდერძი ჩოხელის სიკვდილი ისეთი ლამაზია, რომ მასზე ხელის აღმართვა არ მოგინდება... სიცოცხლეზე ლამაზია ეს სიკვდილი!

და ეს რწმენა, მშობლიური მთების პირველყოფილი სიწმინდე აძლებინებდა, ვერ ჩაენერა აქაურ სამყაროში. ჩამოვიდოდა და ორ დღეში ისევ მთაში გარბოდა, სადაც დედის გრძნეული გული ელოდებოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ გაწყდა კავშირი მთასთან, უბედურებაც აქედან დაიწყო... სულიერ საზრდოს ვეღარსად პოულობდა, რასაც დაერთო საქართველოს ტკივილი, ომები და სისხლისღვრა. „წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის კავშირი გაწყდა. ქართველი მარტო დღევანდელობით ცხოვრობს. საქართველო კი – წარსული, აწმყო და მომავალია, როგორც ჯაჭვი, ერთი მთლიანი ორგანიზმი და რომელიმეს გამოკლებით ამ მთლიანობის ჰარმონია ირღვევა. ჰარმონიადარღვეულ საქართველოს კი საქართველო აღარ ჰქვია“, – მითხრა გულდაწყვეტით... მაშინ ვიგრძენი, რომ მის სულშიც ჩამწყდარიყო ნათელი სიმი, რაც აწერინებდა, ძალას ჰმატებდა...

ლუკა ჩოხელი, ქისტეთში გადაღების დროს

ერთხელ, მამაჩემთან და ბატონ კარლო მჭედლიძესთან ერთად სანადიროდ წავედი. ფეხბურთელი ლევან მჭედლიძეც გვახლდა. პატარა ჩიტი მოვკალით, კარლომ კი წერო მოკლა. გოდერძი სადღაც დაიკარგა, წავედით მოსაძებნად და რას ვხედავთ, – ეს წერო დაუსაფლავებია და სანთელი აუნთია ზედ. კარლო გადაირია, სანადიროდ აღარ წავალო. ის ჩიტი შევჭამეთ. გოდერძის წეროს სიკვდილი ეწყინა და არ შემოგვიერთდა.

მე და ნიკას სულ აქეთ-იქით დაგვატარებდა. ცურვიდან რომ გამომიყვანდა, ქადას მიყიდიდა, სულის მოსათქმელად და კინოსტუდიაში წამიყვანდა – მანქანის ტარებას მასწავლიდა. ერთხელ კამოს ქუჩაზე, ქორწინების სახლის გვერდით ველოსიპედების მაღაზიაში შემიყვანა და მითხრა: თუ ახლა ამ ველოსიპედს გაატარებ, გიყიდიო. გამოვიყვანეთ გარეთ და გავატარე. გაოცდა: სად ისწავლე ტარებაო და, რა თქმა უნდა, მიყიდა. სიტყვის კაცი იყო.

მე არაპუნქტუალური ვიყავი, ყველგან მაგვიანდებოდა და ამაზე ყოველთვის ბრაზობდა – თვითონ ძალიან მონესრი-

ფილმის „ლუკას სახარება“ გადაღებაზე. 1997 წ.

გებული იყო. „ლუკას სახარებას" გამოსვლის შემდეგ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ გოდერძიმ გადამაფიქრებინა. ისეთი დრო იყო, ქართული კინო თითქმის აღარც არსებობდა. საბოლოოდ, ჯერ დიპლომატიის ფაკულტეტი დავამთავრე, მერე – საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

ჩემმა ძმამ – ნიკამ თეატრალური ინსტიტუტის ტურიზმის მენეჯმენტის ფაკულტეტი დაამთავრა. რეჟისურა ორივეს გვაინტერესებს. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ხომ არ დავწერო რაღაც, მაგრამ ვფრთხილობ – მამასავით ვერ გამომივა და... ისე კი, ერთ-ერთი მაინც უნდა გავყვეთ მამის კვალს. გოდერძის სცენარი დარჩა – „ვარდისფერი კაცი", რომლის გადაღების დეტალები ბატონებმა: გივი ბერიკაშვილმა, კახი კავსაძემ და ირაკლი ტრიპოლსკიმ კარგად იციან.

გოდერძის არ დასცალდა ამ სცენარის განხორციელება და ძალიან მინდა გადავიღოთ...

ძალიან მოგვაკლდა გოდერძი, თუმცა მის სულიერ თანადგომას ყოველთვის ვგრძნობთ. უცნაურია – თითქოს თავისი ავადმყოფობით ნელ-ნელა შეგვაგუა უიმისობას. სიცოცხლეში ცდილობდა, რომ არ გვეგრძნო მისი გასაჭირი, თუმცა ფაქტი იყო, რომ ავადმყოფობა ერეოდა, გვეუბნებოდა, თქვენც გაგაწვალეთო. ამ გასაჭირს ვუგებდით და მხარში ვედექით. თავის მოკვლის სურვილი რომ ჰქონდა, ძალიან განვიცდიდით. ვცდილობდით, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაგვეტანა. იყო მომენტები, როცა ეს ავადმყოფი კაცი თვითონ გვაძლევდა ცხოვრების სტიმულს. გვეტყოდა, მე ცუდად ვარ, მაგრამ თქვენ – არა, თქვენ ახალგაზრდები ხართო. ბოლოს გვკითხა, მე რა გაგიკეთეთ და რას გიტოვებთო. ვუთხარი, შენ ყველაზე დიდს გვიტოვებ, სახელსმეთქი. ძალიან გაუხარდა და გაიღიმა.

ხშირად მომაწვება ხოლმე მონატრების სევდა, მაგრამ უცებვე რაღაც ამოუცნობი გრძნობა ენაცვლება – სიხარულს ჰგავს. ეს მიქარწყლებს ტკივილს და დარდს. რაღაც ძალა მეხმარება და ვხვდები, რომ მამას ყველაფერი ესმის და მეხმარება... თითქოს კარგ ადგილას არის...

იმანაც შვება მოგვცა, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში რომ დაიკრძალა... ხშირად მესიზმრება, მაგრამ ვგრძნობ, ეს მთლად სიზმარი არ არის, უფრო ცხადს ჰგავს. მახსოვს, მამას საფლავის ქვას ვაკეთებდი, რამდენიმე ვარიანტს ვარჩევდი. ისეთი მინდოდა, რაც დედათა მონასტრის ეზოს შეეხამებოდა.

ხევსური ბიჭის პაატა გიგაურის რჩევით, ქართული ქვის გაკეთება გადავწყვიტე. მაშინვე გოდერძი დამესიზმრა თუ გამომეცხადა. თითქოს ქვაზე ლაპარაკს გაურბოდა, ბოლოს მითხრა, არაფერი მინდა, მონასტრის შესასვლელთან რომ ხეა, იმაზე წააწერეთ ჩემი სახელი და გვარი, ხალხმა რომ იცოდესო. მერე ავუხსენი, პაატა აკეთებს ქვას-მეთქი და გაიხარა – მოეწონა იდეა.

მერე ვკითხე: მამა, საზვერეები როგორ გაიარე-მეთქი? კარგად გავიარე, წინაპრები მეგებებოდნენ: მართალი გოდერძი მოდისო. მამა გაბრიელი დაგეხმარა? – ჩავეკითხე.

– მამა გაბრიელიც და წინაპრებიცო, – სიხარულით მითხრა. მე კი ვხვდებოდი, ეს ხილვა მალე დასრულდებოდა... და ასეც მოხდა. ერთხელ კიდევ, ასეთი „შეხვედრისას“ ვკითხე: არ შეიძლება, სულ ასე გაგრძელდეს-მეთქი?

– არაო, – ღიმილით მიპასუხა, – მაგრამ შენ ამას ვერ ჩასწვდებიო...

გოდერძის ძალიან უნდოდა, დედამისის საფლავის ქვაზე თავისი საყვარელი ფრაზა ყოფილიყო, მაგრამ არ დასცალდა... ის სიტყვები მერე მისი საფლავის ქვას წავაწერე:

„რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“

ლუკა ჩოხელი,
გოდერძი ჩოხელის უფროსი ვაჟი

არა, სულ მეგონა, დევისძალება იყავი და ჩიტისგულა გამოდექ, ცასწავალად იქეც და ფრი...

გზანათელი, გზანათელი, ძმისავ!

სიყვარულით და წუხილით.

ლაშა გვასალია
მწერლობა – XXI, №1(4), 2008 წ.

ლაშა გვასალია და გოდერძი ჩოხელი.

განაპირა სახლის ბინადარი

გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული სამყარო ნასაზრდოებია ძალიან მძლავრი ეროვნული მწერლობის ფესვით. მას ისეთი წინაპრები ჰყავდა, როგორებიცაა ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი ლეონიძე, რეზო ინანიშვილი და სხვა. რომ არაფერი ვთქვათ ქართული მთის ანდრეზებზე და მდიდარ და საინტერესო ფოლკლორზე. მაგრამ თავად გოდერძიმაც შეძლო თავისი განსაკუთრებული ინდივიდუალობისა და ნიჭის წყალობით ამ ყველაფერზე აღმოეცენებინა საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი, ღრმა ინდივიდუალიზმით დაღდასმული და საოცრად საინტერესო ლიტერატურა, რომელიც დარწმუნებული ვარ, თავადვე იქცევა სამომავლოდ ქართული სიტყვიერების ღონიერ ფესვად.

გოდერძი ჩოხელს მთელი საქართველო იცნობს. ყველას უყვარს ეს სახელი და გვარი, თავისებურ ხიბლს რომ ატარებდა გამოჩენისთანავე. მისი ლიტერატურული თუ კინოსამყაროს სულიერება სუფთა ქართულია, ერთის მხრივ ეროვნული, მეორეს მხრივ – ზოგადადამიანურიც. მიუხედავად გოდერძი ჩოხელის ბევრნაირი გამოცემებისა, მიუხედავად სასკოლო პროგრამული სწავლებისა, მაინც მგონია, რომ მოზარდებისათვის უფრო მრავალფეროვნად და უკეთ შეგვიძლია მისი ნაწარმოებების მიწოდება. მის შემოქმედებაზე ძალიან ჭკვიან ლიტმცოდნეებსაც დაუწერიათ მონოგრაფიები, სტატიები, რეცენზიები. იყვნენ მწერლები, რომლებიც აკრიტიკებდნენ კიდეც მას. მაგრამ დრო ყველაფერს არქმევს თავის სახელს და თუ რაიმეს მომავალშიც ერქმევა ქართული ლიტერატურა, ის წარმოუდგენელი იქნება გოდერძი ჩოხელის მოთხრობების და მისი გმირების გარეშე.

ჩოხელი თავის თავში ატარებდა ორი სამყაროს: რეალურისა და ირეალურის, მითიურისა და ამჟამინდელის, სააქაოსა და საიქიოს, ზღაპრულისა და სინამდვილის, წარსულისა და მომავლის ზღვარზე მყოფი ადამიანის თვისებებს. მე ასე მგონია, რომ ეს სამყარო თავისი საიქავ-სააქაოთი, თავისი

ხილულ-უხილავით ერთი დიდი სოფელია. ამ სოფელში ადამიანები სხვადასხვა ადგილას არიან დასახლებულნი, სხვადასხვა სიგრძის ხსოვნის ფესვი აქვთ გადგმული სამყაროში, სხვადასხვანაირია მათი სულიერი გამოცდილებაც და სისხლის მეხსიერებაც. რა თქმა უნდა, ზღვარზე მცხოვრების გულისყური, სმენა, ხედვა უფრო გაძლიერებულია სოფლის შუაგულის მობინადრისაგან. ჰოდა ამ ყველაფრის გათვალისწინებით მე გოდერძი ჩოხელი „განაპირა სახლის ბინადარი" მგონია, რომელიც უფრო შორს და გაღმა იხედება, რომლის თვალსაწიერს არ ფარავს ცივილიზაციის „სიკეთით" გაჟღენთილი და ურბანიზმის კომფორტით ლიბრგადაკრული მზერა. ჩოხელის ნიჭიც, უბედურებაც, ბედნიერებაც აქედან მოდიოდა. მისი შემოქმედების ფენომენს ღვთაებრივი სამართლიანობა, სიმკაცრე და სალოსურობა ერთად ქმნის! პრიმიტიულობა კი არა, უბრალოება კი არა, რაღაც სხვა – „ღვთაებრივი სამართლიანობა"! უხასიათობა და ახირებულობა კი არა, რაღაც სხვა – „ღვთაებრივი სიშლეგე"! სიკეთე და სათნოება და კაცთმოყვარეობა კი არა, რაღაც სხვა – „ღვთებრივი უბრალოება"! დრო მასში უწყვეტად გაედინებოდა. ის თავად იყო სამყარო, რომელსაც უნდოდა ადამიანში გადაერჩინა თავისი თავი. თვითონ იყო რწმენაც, იმედიანობაც, თვითონვე იყო ბუნტიც, განგაშიც, შიშიც, მაგრამ ყოველთვის ღვთის მოიმედე და ღვთისთვის სათნო. ის აგროვებდა ჩვენსავე დარდებს, რათა მერე ჩვენ თვითონ წაგვეკითხა, შეგვბრალებოდა თავიცა და ჩვენი მფარველი ანგელოზიც და თვალში მომდგარი სინანულის ცრემლით ვეცნეთ უფალს (როგორც „დევების ნასოფლარში"ადამიანს ცრემლით ცნობენ) როცა ქვეყნად „ცნობის ჟამი" დადგება. ასე მწამს, გოდერძის ჩვენი დარდების გამოხსნა უნდოდა ღმერთისაგან! სინანულით მაზიარებელი იყო! იყო წარმავალობაში მარადისობის აღმსარებელი! როდესაც გავიგე რომ გოდერძი ჩოხელი ჯილდოვდებოდა „წმინდა ანდრიას ჯვრით" ძალიან გამიხარდა. ეს ჯილდო დაწესებულია მხოლოდ გარდაცვლილ ხელოვანთა პატივმისაგებად. მათთვის,

ვინც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის დამკვიდრებისათვის ხელოვნებაში და კერძოდ კინემატოგრაფიაში, ეს ჯილდო აქვს მიღებული რეზო თაბუკაშვილს. მაგრამ როდესაც მთხოვეს, მისი წარსადგენი ტექსტის დაწერა და ასევე გამაფრთხილეს, ეს უნდა ორი სიტყვით მომეხერხებინა და ამავდროულად ყველაფერი მეთქვა ჩოხელზე, შევფიქრიანდი. მოგეხსენებათ, ყველაზე რთული სწორედ იმ „ორი სიტყვის" მოძებნაა ხოლმე. რადგან გოდერძი ჩვენი თანამედროვე იყო და მას უამრავი ადამიანი იცნობდა ჩემზე უკეთ. იგი არ ყოფილა ჩვეულებრივი კაცი, ცხოვრებაში უამრავი რამ გადაიტანა, უამრავი რამ შექმნა, ნახა, იფიქრა, იღვაწა, გაიხარა, იტანჯა, იიმედა და ძნელი იქნებოდა ისეთი სიტყვის მოძებნა, რომელიც ზუსტად გადმოსცემდა მის შინაგან სამყაროს, მის ღვაწლს, საქმიანობას, მიზნებს და ამავდროულად ამ სიტყვებში ის სიმართლე იქნებოდა, რომელიც მისაღები აღმოჩნდებოდა როგორც მისი თანამედროვეთათვის, ისე მომავლის წინაშეც. როცა ჟურნალისტმა, ბექა ელბაქიძემ გადაიღო ფილმი გოდერძი ჩოხელზე, პროექტ „ჟურნალისტის დღიურის" ფარგლებში, მეც მხვდა წილად პატივი ჩემი მოკრძალებული აზრი გამომეთქვა. უამრავი ადამიანი დამიკავშირდა ამ ფილმის ეთერში გასვლის შემდეგ. თამამად ვიტყვი, რომ მთელი საქართველოდან, სოფლებიდან, რაიონებიდან, ეს ჩემთვისაც აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. მეუბნებოდნენ მადლობას, მიზიარებდნენ თავიანთ აზრსა და სიყვარულს გოდერძის მიმართ. სწორედ ამ ფილმის „ბრალია", წმინდა ანდრიას ჯვრით დაჯილდოვების წარსადგენი ტექსტის დამეწერა რომ მთხოვეს და სტუდია „მეოხის" წარმომადგენელი დამიკავშირდა. საერთოდ, ბევრს ვფიქრობ გოდერძი ჩოხელის ფენომენზე. ხან მეჩვენება, რომ მას მიუხედავად დიდი სიყვარულისა, ჯერ კიდევ არ აქვს ჯეროვანი ლიტერატურული შეფასება მიღებული და ამას მარტო იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ის ისე გარდაიცვალა, არცერთი ლიტერატურული ჯილდო არ მიუღია, არა! მწერლობა გოდერძი

ჩოხელს უფრო კინოსამყაროს შვილად თვლიდა. მაგრამ ვინ რას თვლიდა, ეს ერთი საქმეა, და მეორეა თავად ფაქტი – მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა! ხან მაღიზიანებს მის მიმართ ცოტა უბრალო და აბუჩადაგდებული დამოკიდებულებები, ფამილარულიც „აქაოდა ის სულაც არ არის იმხელა, რაცა გგონიათო. ერთი ჩვეულებრივი კაცი იყო, ჭინჭყლი მთიელიო“. ფილმში ვისაუბრე და აქაც გავიმეორებ, რომ გოდერძი თავისი ერთი მხრივ გასაოცარი ღრმა სულიერი აზროვნებითა და ხედვით, მეორე მხრივ, არც თუ ისე მორჩილი და ხავერდოვანი საქციელით, ჩამოგავდა ერობაში მოღვაწე სალოს ბერს. შეიძლება ამ ნათქვამმა ბევრი გააღიზიანოს, მაგრამ მისი შინაგანი მორწმუნეობრივი მსოფლმხედველობა, მისი რელიგიურობა, რომელიც მთელ მის შემოქმედებას ასაზრდოებს, მისი ადამიანისადმი საოცარი სიყვარული და ღვთისადმი ცოცხალი და დაუეჭვებელი რწმენა, მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი და ორივე სოფლისადმი, მისი ცოცხალი და უწყვეტი შინაგანი ურთიერთობა წინაპრებთან, მისი მოვალეობები ქართული თუ ზოგადსაკაცობრიო სულიერებისადმი, და კიდევ ბევრი სხვა რამ, მაძლევს უფლებას მას ასე ვუწოდო და ასეც დაიწერა: „სიტყვით ცოცხალი რწმენის მქადაგებელი, წუთისოფელში მარადიულობის აღმსარებელი, ორთავე სოფლის სევდისა და სიხარულის მოზიარე, ღვთისა და მოყვასის მსახური და ერთმანეთით მანუგეშებელი, ტანჯვიდან შვებამდე სასოებით მავალი, ხილულ-უხილავ სამყაროთა უპოვარი მგზავრი, საქართველოს უკვდავებისათვის მავედრებელი, ღვთივსათნო გოდერძი ჩოხელი ჯილდოვდება წმინდა ანდრიას ჯვრით“. შემიძლია თითოეულ ამ სიტყვაზე ვაგო პასუხი, ვისაუბრო და ვიკამათო, მაგრამ ეს არის ის „ორი სიტყვა“, რომლითაც ჩოხელის ცხოვრების და შემოქმედების, ტანჯვისა და ბედნიერების არსი გამოვხატე. გამიხარდება, თუ ბევრ ადამიანს დააფიქრებს მისი ფენომენი, რომელიც ძალიან ჰგავს თავად საქართველოს „ბიოგრაფიასაც“. ყველაზე მეტად გამაღიზიანებელია ადამიანთა შეფასებებში, ყალბი

პათეტიკა და პირმოთნეობა. გოდერძი თავად წერდა ერთ ლექსში „ლანდს ძალით ნუ გამიბევრებო“ (და არც სჭირდება მას ლანდის – ადამიანობისა და მოკვდავობის სიმბოლოს გაბევრება. უკვდავებს ლანდი ანუ ჩრდილი უქრებათ) და ასეცაა, არ გვინდა იმაზე მეტი ვთქვათ და ვწეროთ მასზე, რასაც ის იმსახურებდა. მაგრამ მეჩვენება, რომ არა მარტო გოდერძის, არამედ სხვებსაც, ვინც ამას უცილობლივ იმსახურებს, სათანადოდ ვერ ვაფასებთ. ან ეს სიტყვა „დაფასება“ რაღაა? მათ დაფასება კი არა, „შერგება“ უნდათ. ჩვენ ბევრი გვყავს ნიჭიერი ადამიანი, გვყავს – ძალიან ნიჭიერიც, მაგრამ არ გვაქვს უნარი „მოვინელოთ“, „შევირგოთ“ და „ვისარგებლოთ“ ამ ნიჭით. ალბათ უხერხულია ფიზიოლოგიურ პროცესებთან ამის გაიგივება, მაგრამ რადგან ამ მონელებაზე პოლ ვალერიც საუბრობდა, მე უფრო ვთამამდები და ვამბობ, რომ ჩვენ არ გვაქვს და არც არასდროს გვქონია „ნიჭის შესარგები ფერმენტი“ არ გვაქვს იმის უნარი, რომ მივეპატრონოთ ჩვენსავე სიმდიდრეს სულიერ, თუ ფიზიკურ პლანში. ან იქნებ, როცა ყველაფერი ასე ანომალიური და ცრუა ირგვლივ, ეს ნორმადაც მივიჩნიოთ? ხომ ფაქტია, რომ არასწორი ღირებულებებით ვცხოვრობთ?! ხომ ფაქტია, რომ დიდი სიმდიდრის პატრონები ვართ და მაინც სიღარიბეს და სიცარიელეს ვეპოტინებით. სულით, სხეულით, გუმანით, ხსოვნით, ყველაფრით გრძნობდა მწერალი დღევანდელობის ჭირს და უნდოდა, რომ თავისი რწმუნება ბედნიერებაზე, მარადისობაზე, უფალზე და ადამიანისა და ღვთის ერთიანობაზე, ანუ თავისი სამოთხე და მთლიანი კოსმოსიც – გუდამაყარი, ყველასათვის ეხარებინა და გაეზიარებინა! მთელი სამყაროსათვის ეჩვენებინა თავისი საქართველო, რომელზეც გადიოდა გოდერძი ჩოხელის, ბედისწერასთან მოთამაშე ადამიანის, სიკვდილთან გაშინაურებული კაცის მარადიული ფასეულობების გზაწვრილი – „განლმრთობის გზა“!!!

მარიამ წიკლაური, პოეტი
2009 წელი

„ნამში სამყარო ჩანს“...

გოდერძი ჩოხელის უახლოესი მეგობარი გოდერძი მარსაგიშვილი და მე ქვისლები ვართ. დაახლოებით 30 წლის წინათ მარსაგიშვილმა სიხარულით მითხრა: – იცი, ვინ გავიცანი? იცი, შენ, გუდამაყრელი ჩოხელი ვინ არის?! 1979-80 წლებში ყაზბეგში, ჩემი სიმამრის ოჯახში სუფრასთან შევხვდით ერთმანეთს მე, გოდერძი ჩოხელი და გოდერძი მარსაგიშვილი. დავმეგობრდით და აღარც დავშორებულვართ. ქართული სიტყვის, პოეზიისა და მთის სიყვარულმა თითქოს უხილავი ძაფებით დაგვაკავშირა ერთმანეთთან. ჩოხელს გუდამაყრელს ვეძახდი, მარსაგიშვილს კი – მარსაგას. ორივე გოდერძი მთაზე ჭკუას კარგავდა, თოვლიან გზებზე ფეხშიშველებს ხშირად უვლიათ.

ჩოხელის ლექსები, მოთხრობები მე და მარსაგამ ზეპირად ვიცოდით, შემთხვევას არ ვუშვებდით, რომ ხმამაღლა არ წაგვეკითხა. ჩოხელს უხაროდა და ხანდახან უკვირდა კიდეც. ხშირად მითქვამს: – ვაჟას გავხარ-მეთქი. გუდამაყრელი იღიმებოდა:

– თავადო, შენ ეგრე ფიქრობ? თუ ეგრე ფიქრობ, გმადლობო.

ახლა უფრო მეტად შემიყვარდა მისი შემოქმედება, მისი ლექსებით ვსულდგმულობ მინდა ყველამ წაიკითხოს მისი ნაწარმოებები და მისი ფილმები ნახოს.

ერთხელ, გოდერძი ჩოხელის ლექსების კრებული „მე და მე" რამდენიმე ცალი შევიძინე და ქუჩაში სრულიად უცნობ ადამიანებს ჩამოვურიგე, თან ვეუბნებოდი: „გიყვარდეთ გოდერძი ჩოხელი“. ხალხი გაოცებული და გახარებული იღებდა ჩემგან ამ საჩუქარს.

ჩემს მეუღლეს – მანანას მთიელები განსაკუთრებით უყვარდა. სანამ გოდერძი ჩოხელს გაიცნობდა, ვერ ხვდებოდა, მისი შემოქმედებით მე რატომ ვიყავი აღფრთოვანე-

ბული. მოთხრობები წავაკითხე და ჩემზე მეტად გადაირია, ფილმებიც ნახა და გოდერძის სახელი უძვირფასესი გახდა მისთვის. მანანას და გუდამაყრელს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. გოდერძი ჩვენთან რომ მოვიდოდა, ჩემი მეუღლე გამორჩეულად ეფერებოდა, მისთვის თეფში და ჭიქაც კი განსაკუთრებული უნდა მიერთმია. ყველა სტუმარზე მეტად ანებივრებდა. გუდამაყრელსაც რაღაც სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა მანანას მიმართ, შეეძლო შუა ოთახში მდგარიყო და საათობით ეცქირა მისთვის. ალბათ ამიტომ, მანანას მოულოდნელმა სიკვდილმა საშინლად იმოქმედა ჩოხელზე, რომელიც მაშინ ყაზბეგში მარსაგასთან იმყოფებოდა. ნინოსთვის უთქვამს: – რაღაც ელდამ თავში დამკრა, გულში გამიარა და მინაში ჩავიდა, მაშინ დამეწყო დეპრესიაო.

მე და ჩოხელი ხშირად ღამის 3 საათამდე ტელეფონით ვლაპარაკობდით. ერთმანეთს ახალ ლექსებს ვუკითხავდით, ვსაუბრობდით ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, ჩემთვის მისი შეხედულებები ძალზე ფასეული იყო.

დავით აღმაშენებელის ძეგლის გადატანაზე სკანდალი ატყდა (2006 წელს დავით აღმაშენებელის ძეგლი რესპუბლიკის მოედნიდან დიღომის შესასვლელში გადმოიტანეს. – ავტ.). მაინტერესებდა გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება. გოდერძიმ მისმინა და სევდიანად ჩაილაპარაკა:

– იმ ქვეყანაში, სადაც დავით აღმაშენებელს წინ და უკან დაატარებენ, მე ვინღა ვარ, ან ჩემ აზრს რა მნიშვნელობა აქვსო.

ვახუშტი კოტეტიშვილმა გამოსცა ქართული სკაბრეზული პოეზიის კრებული „დაუკრეფავნი". ამ წიგნმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გოდერძიმ მითხრა, რომ მთაში უამრავი ასეთი ლექსი და კაფია არსებობდა, მათი დაკარგვა არ შეიძლებოდა, მაგრამ არც აფიშირებას მიიჩნევდა საჭიროდ.

ერთხელ გუდამაყრელმა დამირეკა, გოგლა ლეონიძის ძეგლის ნახვა სურდა, და ყველანი მარსაგას „პაჯეროთი"

გოდერძის ღმერთი აძლევდა სასიცოცხლო ძალებს

მე და ლუკა პატარები რომ ვიყავით, მამას ხშირად დავყავდით ტყესა და მინდორში ჭიამაიების სანახავად. დაღლილიც რომ ყოფილიყო, მაინც არ ეზარებოდა, უხაროდა ჩვენთან ერთად სიარული. ჭიამაიები ძალიან უყვარდა, დედამისთან ამბებს აბარებდა-ხოლმე.

საბავშვო ბაღში სიარული არ მომწონდა, გოდერძის მაინც დავყავდი. ერთხელ ბაღში რემონტი იყო, გამიხარდა და ვუთხარი: მამიკო, რემონტი რომ დამთავრდება, მე ჩონჩხი ვიქნები-მეთქი. იმდენი იცინა, სულს ველარ ითქვამდა.

ერთხელ მამა ლუკას დილომში, ხეივანში ასეირნებდა. დაინახეს: ზურა ქაფიანიძე მოაბიჯებს თეთრი ნვერით და სვანური ქუდით. ლუკას გაუხარდა: „მამიკო, მამიკო, ნახე თოვლის ბაბუა მოდისო". გოდერძის უყვარდა ჩვენი ბავშვობის ამბების მოყოლა.

ახლა, როცა მამა აღარ არის, ხშირად ვფიქრობ მის საოცარ დამოკიდებულებაზე ჩვენს მიმართ. ის ერთდროულად თითქოს მამაც იყო, ბაბუაც, თანატოლიც, უყვარდა ჩვენი მეგობრები, მათთან საუბარი. დედა ზოგჯერ რაღაცას გვიკრძალავდა, მამა პატივს გვცემდა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას გვაძლევდა.

სანამ ავად გახდებოდა, გოდერძი სიცოცხლით სავსე, აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, სულ საქმიანობდა, გაჩერებულს ვერ ნახავდი. მე და ლუკას უსაქმოდ რომ დაგვინახავდა, ძალიან ბრაზდებოდა: წიგნები წაიკითხეთო, მისი რჩევით ბევრი კარგი წიგნი წავიკითხე.

გადაღებების დროს მე და ლუკა ხშირად დავყავდით გადამღებ ჯგუფთან ერთად. მამა შატილში „მიჯაჭვულ რაინდებს" იღებდა. ამ ფილმში მეც ვთამაშობ ბესო ხიდაშელთან ერთად. 12-13 წლის ბიჭი ვიყავი, სულ დავრბოდი, გრძელი ანაფორა ფეხებში მებლანდებოდა და სალტოებს ვაკეთებდი. გოდერძი დამდევდა და მეჩხუბებოდა: რატომ დაისვარეო.

„ლუკას სახარებაში" ლუკა მთავარ როლს ასრულებს. მე კი, პატარა ბიჭს ვთამაშობ, რომელსაც ჩანთაში აღმოჩენილი ყველის და პურის გამო დირექტორის ბრძანებით გაროზგავენ. გაროზგვის ამბავი ძალიან არ მომეწონა და გაბრაზებულმა ვუთხარი მამას: „შემომხედე, მეყველპურე ბიჭს ვგავარ?! თუ გინდა ვინმე მსუქანი იპოვე-მეთქი". მაინც გადამიღეს. გოდერძის აფციაურისთვის ჩუმად უთქვამს: მაგრად დაარტყიო. იმანაც დამარტყა, მეტკინა, მაგრამ ტკენაზე მეტად მეწყინა, რომ გამლახეს და ავტირდი. კადრში ჩანს, გაბრაზებული თვალებით რომ ვუყურებ ჩემს „დამსჯელებს". მამას კი ვუთხარი: „ერთი კადრიც რომ გადაგეღოთ, ყველას გაგინებდით და გავიქცეოდი-მეთქი". გოდერძიმ ამაზე ბევრი იცინა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან ბუნებრივი და კარგი კადრი გამოვიდა.

ფილმის გადაღების დროს ყოველთვის ნერვიულობდა, მაგრამ კინოგადაღების პროცესი იმდენად საინტერესო იყო, რომ უიმისოდ მამას არსებობა არ შეეძლო. მუშაობის პროცესში ზოგჯერ განმარტოვდებოდა, რაღაცას ფიქრობდა თავისთვის, ვინმე თუ მივიდოდა და დაელაპარაკებოდა, ბრაზდებოდა, თავიდან იშორებდა. არ უყვარდა, როცა ფიქრში ხელს უშლიდნენ. მსახიობებს სიამოვნებდათ მასთან მუშაობა, ხშირად გამიგონია მათგან: „ასეთ რეჟისორთან არ გვიმუშავიაო". გოდერძი ზედმეტად არავის აწუხებდა, ყოფილა შემთხვევა, რომ რამე არ მოსწონებია, მაგრამ ცუდს არავის აკადრებდა. ალბათ, ამიტომაც მსახიობებს ძალიან უადვილდებოდათ და უხაროდათ მასთან მუშაობა.

ბოლო ფილმი, რომელიც მამამ გადაიღო, იყო „სიყვარულის ცეცხლი". იმ პერიოდში ახალი გამოსული იყო საავადმყოფოდან, თავს ცუდად გრძნობდა. შეიძლება ნანობდა კიდეც, ასეთი საშინელი დარტყმა რომ მიაყენა საკუთარ თავს.

გადაღებები ყაზბეგში მიმდინარეობდა. ერთ ოთახში ვიყავით მე, მამა, გივი ბერიკაშვილი და მისი ვაჟი –

ზურა. ყველა ეფერებოდა გოდერძის. მახსოვს, მამა მთელი პასუხისმგებლობით მუშაობდა ფილმზე, მაგრამ თან თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა. ფილმი დაახლოებით 10 დღეში გადაიღო, გადაღების ბოლოს თითქოს გამოცოცხლდა, ძალა მიეცა, გივი ბერიკაშვილს და თამარ სხირტლაძეს უთხრა: „ახლა, დაფინანსება რომ მქონდეს, ერთ დიდ ფილმს გადავიღებდიო".

ეს ნატვრა ნატვრად დარჩა. მამამ ფილმი ვეღარ გადაიღო.

„ლუკას სახარებას" გადაღების დროს მამამ მე, ჯიმი ქრისტესაშვილი (ოპერატორი) და ჯგუფის ორი წევრი: ვახო და ტარიელი ბუსარჭირში წაგვიყვანა. ბუსარჭირი ულამაზესი ადგილია, გზადაგზა გოდერძი დედისეული ბანიანი სახლის შესახებ გვიყვებოდა. ქედზე აგვიყვანა, საიდანაც გუდამაყრის ზღაპრული ბუნება თითქოს ხელისგულზე დაგვიდო. იქ პატარა სუფრა გავშალეთ. ცოტა ხანში ვახომ თქვა: „რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამ და ნახეთ, რას ვიზამ". მართლაც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და არყის ბოთლი ამოთხარა. ავღელდი, ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩემზე, მოგვიანებით მოთხრობა დავწერე: „ვახოს ბოთლი და გოდეს სამყარო".

გოდერძის ძალიან მოსწონდა ეს მოთხრობა და დააბეჭდვინა კიდეც ერთ-ერთ გაზეთში.

გუდამაყარი, მართლაც, გოდეს სამყარო იყო, მთაზე გიუდებოდა, მთაში რომ იყო, სიცოცხლე ემატებოდა თითქოს.

ჩოხი უზომოდ უყვარდა, იქ ყოფნისას, ვისაც ნახავდა, ახალგაზრდას თუ მოხუცებულს, ყველას ელაპარაკებოდა და ესიყვარულებოდა.

2006 წლის აგვისტოში, მარიამობაზე მამის მეგობარმა ზაქრო წიკლაურმა პირიმზე ფუძის ანგელოზს მამას სახელზე ბატკანი შესწირა. მამასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ვერ შეძლო. ზაქროს მოსვლა ძალიან უხაროდა გოდერძის, ორივეს საოცარი იუმორი ჰქონდა და ისე ხუმრობდნენ და ხარხარებდნენ, ყველას იყოლიებდნენ.

გოდერძი ჩოხელი და ზაქრო წიკლაური

მამა ძალიან თბილი და ყურადღებიანი იყო, თუ გაგვიბრაზდებოდა, მერე ცდილობდა, ისე გავეხარებინეთ, რომ ის გაბრაზება აღარც გვახსოვდა. უყვარდა საჩუქრების მოტანა.

შინაგანად უმდიდრესი ბუნების, საოცრად სუფთა ადამიანი იყო. ყოველდღიურობაში თითქოს არ ჩანდა მისი მაღალი სულიერება. მამას ხშირად ჰქონდა ხილვები, ხედავდა ჩოხელებს, დიდ წინაპრებს, საქართველოს, ხილვები გარდაცვალებამდეც ჰქონდა.

„სული მტკივა, ძმიო...“

გოდერძი 90-იან წლებში ყაზბეგში გავიცანი და უცებ დავმეგობრდით. მისი ლექსები ძალიან მომწონდა და ზეპირად ვსწავლობდი, მერე თავისივე ლექსებს ვუკითხავდი. გოდერძის უხაროდა და ასე ამბობდა: „შენ რომ კითხულობ, მაშინ ვფიქრობ ხოლმე, მართლა ჩემი დაწერილია თუ არა, რა კარგად დამიწერიაო“

პოპულარობის ზენიტში რომ იყო გოდერძი, მაშინ არ ვიცნობდი. მოგვიანებით, 2003 წელს მან კენჭი იყარა არჩევნებში, მე შტაბის არაოფიციალური უფროსი ვიყავი, გოდერძიმ ხმათა დიდი უმრავლესობით მოუგო არჩევნები ნაძალადევის რაიონში წარდგენილ მეორე კანდიდატს – მერაბ სამადაშვილს. გოდერძი შტაბში არც მისულა, ცოტა ხანში ატყდა რეკვები, შუქი ჩაქრა, ბიულეტენები ჩაყარესო. გოდერძის დეპუტატობის ამბიცია არ ჰქონია, ალალად სჯეროდა, რომ საქმის გაკეთების საშუალება ექნებოდა და ჩამკვდარ ქართულ კინოს რამეს უშველიდა. ხალხი ლაპარაკობდა, გოდერძი ჩოხელი ავად არისო, თვითონ ამბობდა: სული მტკივა, ქვეყანა საშინელ მდგომარეობაშია, ვიცი, რაც მოხდება, სომხები ნაგვლეკავენო. ეს იყო 1993-94 წლები.

„სული მტკივა, ძმიო, სული, ვგრძნობ ჩემი ქვეყანა ხავსს ეჭიდება და პატრიარქის გარდა კაცი არა ჩანს, ვინც ქვეყანას სწორ გზაზე გაიყვანს. ერთმა პატრიარქმა რა ქნასო“, – წუხდა გოდერძი.

ზოგი იტყვის, გოდერძი მატერიალურმა მდგომარეობამ მოკლაო. მე ასე არ ვფიქრობ; არ მახსოვს, მას ოდესმე ეწუწუნოს.

დიდმა სულიერმა ტკივილებმა და მომავლის ხედვამ მასში ყველაფერი დაჩრდილა და გადაფარა, არ მიკვირს, გოდერძი რომ წინასწარ გრძნობდა და ხედავდა ბევრ რამეს. ძალიან წუხდა ახალგაზრდობის სულიერებაზე, უწიგნურობაზე, კადაიყოლა სამშობლოს დარდმა და იმაზე ფიქრმა, რა ბედი ელოდებოდა საქართველოში. უწმინდესი და უნეტარესი ილია II (ბრო-

მელიც მაცხოვარს ელაპარაკება), კარგად ხედავდა გოდერძის სულიერებას, უყვარდა, ესაუბრებოდა და უფრთხილდებოდა.

ერთხელ ექიმთან წავედით, გოდერძი თავს შეუძლოდ გრძნობდა. აკადემიკოსმა რეზო თაბუკაშვილმა უთხრა: ჩემთან იარე, მე მოგარჩენო. გოდერძიმ თქვა: ეჰ, ვინ რა იცის, მე რა მტკივა, აღარ მინდა არაფერი, სული მტკივა, ქვეყნის დარდი მკლავსო. ექიმისგან წამოსულები სიონის ტაძარში მივედით, ბევრი ხალხი იყო, ჩვენ ტაძრის ეზოში ვსაუბრობდით. უცებ ერთი სტიქაროსანი მოგვიახლოვდა და გვითხრა, გოდერძი ჩოხელს პატრიარქი უხმობსო. ძალიან გამიკვირდა, იმიტომ, რომ ჩვენ ტაძარში არ შევსულვართ ხალხის სიმრავლის გამო, არც პატრიარქი გამობრძანებულა გარეთ და საიდან უნდა სცოდნოდა გოდერძის იქ ყოფნის შესახებ?! გოდერძი გაჰყვა სტიქაროსანს, უწმინდესმა ის საკურთხეველში შეიყვანა. ცოტა ხანში გამოვიდა გახარებული, გაბრწყინებული გოდერძი და მითხრა: წამოდი, ძმი, პატრიარქი ტრაპეზზე გვეპატიჟებაო. უწმინდესმა მეც შემიყვანა საკურთხეველში, მე ფეხი უკან მრჩებოდა, არ შევდიოდი, პატრიარქმა ხელი მომკიდა: „მოდი, მოდი, ჩემთან ერთად შეიძლებაო". ტრაპეზის დროს უწმინდესმა გოდერძი გვერდით მოისვა და მამასავით ეფერებოდა.

პატრიარქი ყოველ დღესასწაულს ულოცავდა გოდერძის, საჩუქრებს უგზავნიდა, პალტოც აჩუქა, კალათით წითელი ღვინო და კანფეტები გამოუგზავნა საშობაოდ. გოდერძიმ ტკბილეული ჩემს მეუღლეს ნათელასაც არგუნა, რადგან ასე გიყვარს უწმინდესიო. თვითონ კი ნათელა უყვარდა ძალიან, ენდობოდა, შენ კარგად ატარებ მანქანას და ჩოხში შენ წამიყვანეო.

2003 წლის გაზაფხულის პირი იყო, მე და გოდერძი სიონის ტაძრის ეზოდან გამოვედით, უცებ ერთი ქალი მოგვიახლოვდა, დაიჩოქა გოდერძის წინ და მუხლებზე კოცნა დაუწყო, თან ცრემლმორეული იძახდა: რა ბედნიერი დღე გამითენდა, შენს ნახვას ვნატრობდი, გოდერძი ჩოხელო, და ეს ნატვრა ამისრულდაო. გოდერძი ძალიან შეწუხდა, ქალბა-

ტონი ფეხზე წამოაყენა და უთხრა: ამას ნუ აკეთებთ, ქალბატონო, რომელი წმინდანი მე ვარ. ასე გახარებული ადამიანი იშვიათად მინახავს, საოცარი სიყვარული ედგა იმ ქალს თვალებში.

გოდერძი ალალად მელაპარაკებოდა სულიერ ტკივილებზე, არა მგონია, ყველასთან გახსნილიყო, ის ახლოს უშვებდა იმ ადამიანებს, ვისგანაც სითბოს და გულწრფელ სიყვარულს გრძნობდა. ქოზიფას მონასტერში ერთად უნდა წავსულიყავით, იმ პერიოდში სულ ერთად ვიყავით, ორი კვირა დავრჩეთო – მითხრა გოდერძიმ. დანა რომ დაირტყა, მეგონა, ცა ჩამომექცა, მე და თამაზ შარაშენიძე ღამეებს ვუთევდით. გოდერძი ჩემთვის დღესაც ცოცხალია, ის დრო მენატრება, მუხლებს რომ ვუკოცნიდი და ის კი მეჩხუბებოდა.

კობა გელაშვილი – გოდერძის მეგობარი

გოდერძი ჩოხელი

პატრიარქი შვილივით მოეფერა

2001 წელს, მიტევების დღეს, სიონში ვიყავით, პატრიარქი ეზოში იდგა და მრევლისგან შენდობას ითხოვდა. გოდერძი ძალიან ცუდად იყო, კობამ ლამის ხელში აყვანილი მიიყვანა პატრიარქთან, რომელმაც დალოცა გოდერძი. არც ერთი მამა შვილს ისე არ მოეფერება, როგორც პატრიარქი ეფერებოდა გოდერძის.

2000 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ყაზბეგში ვიყავით. გერგეტის სამების ეკლესიაში პატრიარქმა თვითონ ჩაატარა წირვა, სულ 25 ადამიანი ვესწრებოდით, გოდერძიც იყო. უწმინდესმა საკუთარი ხელით გვაზიარა ყველა, გოდერძი იმ პერიოდში უკვე ცუდად გრძნობდა თავს.

ერთხელ გოდერძი ჩვენთან მოვიდა, ჩემმა გოგონამ – ანამ ჰკითხა: ლექსების წერა არ იციო? გოდერძის გულიანად გაეცინა: კი, როგორ არ ვიცი. მერე ლექსების კრებული გვაჩუქა და ასეთი წარწერა გაუკეთა: „აი, ანა, თურმე ლექსების წერა მცოდნია!

ნათელა ჩხაიძე – გოდერძის მეგობარი

„ჩოხელის პირით წმინდა გიორგი მლოცავდა“...

ჩოხოსნებში რომ ვაპირებდი მისვლას, გოდეს ვუთხარი, გაუხარდა, მითხრა, ჩოხა მოგიხდება, კარგი კაცი ხარ, სიმღერა კარგი იცი, უჩემოდ არ წახვიდე, დაგარიგებო.

ჩოხა არსენამ შემიკერა და მაშინვე გოდერძისთან მივედი, წამოხტა, გადამეხვია, ძალიან გიხდებაო.

მერე როცა ჩოხოსნებში მიმიღეს, ძალიან ვღელავდი, მაინტერესებდა ვინ იყვნენ, რას ფიქრობდნენ, სუფრასთან ვიმღერე კიდეც და ვთქვი, რომ გოდერძი ჩოხელის მეზობელი ვარ-მეთქი, მეამაყებოდა და ახლაც ვამაყობ. ყველა ფეხზე წამოდგა და ადღეგრძელეს. ძალიან მიხაროდა. იქიდან წამოსული პირდაპირ გოდერძისთან შევედი, გახარებული მიყურებდა, მერე შვილებს დაუძახა, სუფრა გაშალა და დამლოცა. ბედნიერი კაცი ვარ, ჩოხელის პირით წმინდა გიორგი მლოცავდა და თანაც – როგორი ჩოხელის!

მერე ჩემს სახლში შეიკრიბნენ ჩოხოსნები და გოდერძის მოვუწყეთ საღამო. ოტიაც იყო იოსელიანი, ომარ მხეიძე, გოდერძი მარსაგიშვილი – გოდეს ძმაკაცი.

ჩოხოსნებმა სთხოვეს, ჩოხას შეგიკერავთ და გაწევრიანდიო. მურთაზ ინწკირველმა თქვა: გოდერძის დიდი ხანია ჩოხა აცვია, შიგნიდან აცვიაო. გოდემ იცინა ამაზე.

ძალიან ლამაზი საღამო იყო.

ერთხელ კახეთიდან შავი ღვინო მოართვეს, სამი დღე მაქეიფა, ის ღვინო სულ მე დავლიე.

გოჩა ნემსაძე – გოდერძის მეგობარი

ავტორის მინაწერი:

დაკრძალვის დღეს ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ გოდერძის ჩოხოსნები ქართული სამთავროების დროშებით საპატიო ყარაულში დაუდგნენ. გოჩა ნემსაძე ჩემს პირდაპირ იდგა, წელში გამართული, სახეგაქვავებული და ცრემლები ღვარად სდიოდა. ეს კაცური ცრემლი უფრო მწარე და მდუღარე იყო...

მერაბ კირკიტაძე, გოდერძი ჩოხელი და გოჩა ნემსაძე. 2006 წ.

ქაშუეთის ეკლესია, 2007 წ. 20 ნოემბერი. გოდერძის დაკრძალვის დღე

უცხოეთიდან შემოთავაზება არ მიიღო

საქართველოს ერთ პატარა ხეობაში, მაღალ მთაზეა შეფენილი გოდერძის სოფელი. ჩოხი ძალიან ახლოსაა ცასთან, ალბათ, გოდერძიც ამიტომ იყო ასე ახლოს ღმერთთან. მისთვის ლამაზად ჩანდა სიცოცხლეც და სიკვდილიც.

1982 წელი იყო. დედაჩემი იმდროინდელი ქალაქის საბჭოდან დაბრუნდა და გვითხრა – განცხადება ვნახე შევარდნაძის რეზოლუციით, რომელიც ითხოვდა ბინით დაეკმაყოფილებინათ ახალგაზრდა რეჟისორი გოდერძი ჩოხელი. ეს ბინა ჩვენს მეზობლად აღმოჩნდა. გოდერძი და ნინოც ამ ბინაში ვნახე პირველად. გოდერძი სახეგაბრწყინებული და ბედნიერი იყო, ისინი პირველ შვილს ელოდებოდნენ. მას შემდეგ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და ასე მოვდივართ დღემდე. ერთი ცხოვრებით ვცხოვრობდით, ჩვენი კარი არ იკეტებოდა, იყო თავისუფალი და ლაღი ურთიერთობა. თუ გოდერძი გადაღებებზე არ იყო, დავყავდით ქალაქგარეთ, გვათვალიერებინებდა ეკლესია-მონასტრებს.

მინდა გავიხსენო ქალბატონი ლელა, გოდერძის დედა, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა. დაჯდებოდა სამზარეულოში, ხან წინდას უქსოვდა ლუკას, ხან ნიკას – ჯემპრს. გოდერძის განსაკუთრებით უყვარდა დედა. ლელას ჩამოსვლა ნამდვილი დღესასწაული იყო, დაგვიძახებდა საღამოს: შემოდით, ლელა ჩამოვიდაო, შეგვინვავდა უგემრიელეს ხბოს მწვადს, გაგვიშლიდა სუფრას და ვსაუბრობდით ღამის 2-3 საათამდე.

ბევრი სიკეთე მახსოვს გოდერძისგან... 1992 წელი იყო, უშუქობა, სიცივე. ჩვენს სართულზე დენის კაბელები იყო გადაბმული, რომელიც ხშირად იხლართებოდა და შუქი ითიშებოდა სართულებზე. გადააბამდა რომელიმე მეზობელი, რომელსაც დენის არაფერი გაეგებოდა, მოვიდოდა შუქი მასთან და გაეთიშებოდა სხვას. ასეთ წვალებაში ვიყავით. ერთ დღესაც ერთ-ერთმა მეზობელმა თავისი ძმა ჩამოიყვანა დენის გასაკეთებლად. თვითონ გააკეთეს, ჩვენთან ჩაქრა. სადარბაზოში ქალები ვიყავით, ნინო გაბრაზდა და გოდერძის

დაუძახა: გამოდი, რამე უთხარი, თორემ ღამე შუქი არ გვექ-ნებაო. გამოვიდა გოდერძი, შეხედა ამ კაცს და გაარტყა, ამას არავინ ველოდებოდით. გაგიჟდა ეს კაცი, აბა, სულ თქვენ გინდათ, დენი რომ გქონდეთო? გოდერძიმ უთხრა: დენი კი არა, ვერ ხედავ, რამდენი ქალი გიყურებს, როგორ გაბედე და მაისურით როგორ ჩამოხვედიო.

მე ვუყურებდი გოდერძის, როცა რაღაცას წერდა, კინოს იღებდა. იმ პერიოდში ბედნიერი და სავსე იყო.

ორ ოთახში ცხოვრობდნენ, პატარა ლუკა და ნიკა ძალიან ცელქები და ხმაურიანები იყვნენ. გოდერძი ხუმრობდა, ბინა უნდა ვიქირაო და გადავიდე, ესენი წერას არ მაცლიანო.

ბევრი შემოთავაზება ჰქონდა უცხოეთიდან, მაგრამ სამშობლო უყვარდა, ჩოხი, დედის საფლავს ვერ ტოვებდა. ნეტა წასულიყო, დღეს შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო.

დედაჩემი ძალიან უყვარდა, ეუბნებოდა – მადლენ, შენ ჩემი მეორე დედა ხარო. დედაჩემიც ძალიან ეფერებოდა.

დედის დაბადების დღე იყო. გოდერძი წავიდა და ყვა-ვილების უზარმაზარი კალათა იყიდა. ეზოში მეზობელი შეხვდა. ძალიან შეწუხდა: – გოდერძი ვისთვის მიგაქვს ეგ კალათა? – მადლენასთვისო. მადლენას რა მოუვიდაო? – არაფერი, დაბადების დღე აქვსო. რა თქმა უნდა, კალათა არ გამოატანეს. დედას გული დაწყდა, რა მოხდა, მე ხომ ვიცი, რა გულითაც მიყიდაო?!

ძალიან ცუდად რომ იყო, დედას წერილი გამოუგზავნა პალატიდან.

გთავაზობთ ამ ბარათს:

„მადლობა, მადლენ!

შენ არა მხოლოდ მეზობელი იყავი ჩემთვის, შენ იყავი ჩემი და, ჩემი მეგობარი, დედა, იმედი. ბედნიერი ვიყავი შენთან მეზობლობით და დანათესავებით. დიდი მადლობა გადაეცი ყველა ჩვენს მეზობელს და უთხარი, მაპატიონ, თუ ოდესმე ვინმეს რაიმე ვაწყენინე.

ჩემო მადლენუკა!

წადი სახლში.

შენი გოდერძი ჩოხელი“.

ერთხელ ჩემი ანდრო სკოლიდან მოვიდა და კარებში ყვირილით შემოვარდა: „დე, ჩქარა გოდეს ლექსების წიგნი მომეცი!" ვიფიქრე, ალბათ, სკოლაში რომელიმე ლექსი უნდა ესწავლათ და წიგნი გამოვუტანე: რომელი გინდა-მეთქი?

– სულ ერთია, მასწავლებელმა დაგვავალა, ლექსი დაწერეთო. რა მოხდა, გოდეს ლექსს წავიღებ?

შევედით გოდერძისთან, იმდენი იცინა, თვალებიდან ცრემლები სცვიოდა, მერე წიგნი აჩუქა და წარწერაც გაუკეთა.

ბებიაჩემს რაჭაში ერთი ძროხა ჰყავდა, სახელად თუნა. ბებია ზამთარში თბილისში წამოვიყვანეთ, თუნას დატოვება ენანებოდა და ნათესავს ჩააბარა. ბებია რაჭაში რომ დაბრუნდა, იმ საღამოს ძროხა ჭიშკართან თვითონ მოგვადგა, 9 კმ გამოუვლია. გოდერძის ეს ამბავი მოეწონა და მოთხრობა დაწერა „თუნა". მერე, კრებულში, „სულეთის კიდობანი" შეიტანა.

სანამ გავთხოვდებოდი, მოსკოვში მომინია წასვლა, ჩემი მშობლები არაფერს მაკლებდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ დროს ფული არ ჰქონდათ. სახარჯო თანხა მჭირდებოდა, ნინომ გაიგო ეს ამბავი, თუმცა არაფერი უთქვამს. მეორე დღეს გოდერძი შემოვიდა და 100 მანეთი შემომიტანა: – „აჰა, ხათო, წადი მოსკოვში, შენთვის იყიდე რამეო". გამიხარდა.

ცოლ-ქმარი სიკეთის კეთებაში ხომ ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. დღემდე მახსოვს ის სიხარული.

მახსოვს მისი სიცოცხლის ბოლო მძიმე წლები, როცა ძალიან იტანჯებოდა, დღითიდღე ილეოდა, შველას ითხოვდა. ოპერაციის ფული ვერ შევუგროვეთ. ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა. ვისთანაც ხელი მიგვიწვდებოდა, ვრეკავდით და დახმარებას ვთხოვდით. ალბათ ადამიანები გაჭირვებაში იცნობიან. ზოგმა – ლეიბორისტობა ვერ აპატია, ზოგმა ფილარმონიაში ფილმის პრემიერა, უბრალო და გაჭირვებული ადამიანები უფრო გვერდით დაგვიდგნენ, მაგრამ თანხა ვერ შეგროვდა.

გოდერძის ღმერთმა შემოჰკრა მხრებზე ხელი და ისე გამოუშვა მთიდან, აქაც ჩუმი ცხოვრებით იცხოვრა, ბევრი

რომ მოეთხოვა, შეიძლება უფრო მეტი მისცემოდა, მაგრამ არ ინდომა. წავიდა ახალგაზრდა, უამრავი ტკივილით, განუხორციელებელი ფიქრებით. დატოვა ბევრი დაუწერელი ფურცელი და... ხალხის სიყვარული.

ხათუნა ენუქიძე –
გოდერძის მეზობელი



გოდერძის დედა – ლელა წიკლაური და უფროსი ვაჟი
ლუკა ჩოხელი



„ესენი წერას არ მაცლიან" – იცინოდა გოდე.
ი. ტერტერიანის ფოტო.
2000 წ.

„იქნებ რისი თქმა უნდოდა“...

გოდერძი ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში მიიწვიეს. მასთან ერთად გავემგზავრეთ მე, გივი ბერიკაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ნინიკო ჩხეიძე, ლევან სანიკიძე, რეზო მიშველაძე, ნინო – გოდერძის მეუღლე. მიგვიყვანეს ერთ-ერთ ოჯახში, სადაც საოცარი იმერული მასპინძლობა გაგვიწიეს. საღამოს კი, სკოლის მოსწავლეებმა ისეთი ემოციური წარმოდგენა გამართეს, ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა, გოდერძი, გივი და ჩალაბაც ტიროდნენ. მეორე დღეს გელათში წავედით, ლევან სანიკიძე წინ მიდიოდა და თითოეული ქვის ისტორიას გვიყვებოდა, გოდერძი ძალიან გახარებული იყო. დავით აღმაშენებელის საფლავზე ბატონი ლევანი და გოდერძი დიდხანს მუხლზე დაჩოქილი იდგნენ, ალბათ, ფიქრით დიდ წინაპარს ესაუბრებოდნენ. საიდანღაც მტრედები მოფრინდნენ და გოდეს მხრებზე დაასხდნენ. საოცარი სანახაობა იყო: დიდი დავით აღმაშენებელის საფლავთან დაჩოქილი ორი დიდი ქართველი და თეთრი მტრედები.

თბილისში გამთენიისას დავბრუნდით, ბატონ ლევანის სახლთან კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ლამაზი დღე გათენდა. ლევან სანიკიძე დიდ პატივს სცემდა გოდერძის და მის შემოქმედებას ბრწყინვალე შეფასებას აძლევდა ხოლმე. მას შემდეგაც არაერთხელ ვყოფილვართ ერთად, მომისმენია ამ ორი დიდი მამულიშვილის ბრძენკაცური, დინჯი და ტკივილიანი საუბრები ჩვენს ქვეყანაზე, საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

გოდერძი უერთგულესი მეგობარი იყო. ერთხელ, ზამთარში ავად გავხდი, სიცხე მქონდა. ორი დღის განმავლობაში დარეკვა ვერ მოვახერხე და შეწუხებულა. წამოსულა ფეხით ქარში, საყელოაწეულს ძალიან შესციებია. გზაზე ორი ცხელი პური უყიდია, ნახევარი შეუჭამია და მოვიდა, მანდარინიც მომიტანა. ერთი მეზობელი მყავს, შუბითიძეა გვარად, ეს კაცი ნლების განმავლობაში ოცნებობდა გოდერძი

ჩოხელთან შეხვედრაზე და ჩემთან მომავალი რომ დაინახა, მოვიდა. შემეხვეწა, ჩემთან უნდა წავიყვანოო, გოდერძიმ ხათრი ვერ გაუტეხა და წაჰყვა. მოგვიანებით ლილიმ – ჩემმა მეუღლემ ბალიშის ქვეშ ამოდებული ხუთლარიანი იპოვა. იმ პერიოდში არ ვმუშაობდი და გოდერძი როგორც შეეძლო, მეხმარებოდა. სხვა დროსაც უჩუქებია ფული, უშურველი და უანგარო იყო.

ერთხელ დიდ დიღომში გოდერძი მარსაგიშვილთან ვიყავით, ცოტა დავლიეთ. მანქანასთან რომ ჩამოვედით, საიდანღაც უცნობი ქალბატონი მოვარდა. საშინელი ქარი იყო, ამ ქალმა დაუჩოქა გოდერძის და ასეთი რამ უთხრა: ჩემი შვილი ავარიაში მოჰყვა და მხედველობა დაკარგა, ძალიან ცუდად იყო, არაფერი აღარ უნდოდა. ამ დილით კი შენი წიგნი მოითხოვა და ვუკითხავდი. შენ მოაბრუნე ამ ქვეყნისკენო.

ახალგაზრდებს ძალიან უხაროდათ გოდერძის დანახვა. ხინკლის საჭმელად შევედით მე, გოდერძი და გივი ბერიკაშვილი. სტუდენტები შემოვიდნენ, გოდერძის განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწინებით მიუახლოვდნენ, ზოგმა სტუდბილეთზე გააკეთებინა ავტოგრაფი.

გოდერძიზე ამბობენ, დალევა უყვარდაო, დალევა ქართველ კაცს, რა თქმა უნდა, ეყვარებოდა, მაგრამ ბევრი სმა არ შეეძლო. თუ კარგი გუნება-განწყობა ჰქონდა, თამადობაც უნდოდა, თუ არ სვამდა, იღლებოდა.

საოცარი იუმორი ჰქონდა გოდეს. ერთხელ ყაზბეგში გოდერძი მარსაგიშვილთან ვიყავით. მარსაგიშვილს ქურთი მძღოლი ჰყავდა. მარინა – მისი მეუღლე თბილისში იყო წამოსული. წინა დღეს კაცებმა დავლიეთ, გოდერძი ისევ იწვა, გადმოიხედა საწოლიდან დაინახა, ილო ფალავანდიშვილი (ჩვენი მეგობარი) იატაკს ხვეტავდა, ქურთი კი კარებზე მიყუდებულიყო და ძვირფასი ჭიქით ყავას მიირთმევდა. გოდერძის გაეცინა და ილოს უთხრა: „თავადო, რა დრო დადგა, ქურთი ყავას სვამს, შენ კი ხვეტავო“.

ბოლო ღამეს ჩაფიძის კლინიკაში რომ მივიყვანეთ, დამშვიდდა, დაწყნარდა და მითხრა: დაჯექი, რაღაც უნდა

გითხრაო. მე არ დავალაპარაკე, მინდოდა, დასძინებოდა და დაესვენა. ქალბატონი გულიკო და ექიმი მაია მესხია აღელვებულები ლაპარაკობდნენ, გულიკო ექიმს ხელები უკანკალებდა. მთელი სიცოცხლე დარდად მექნება, რომ არ დავალაპარაკე. იქნებ, რისი თქმა უნდოდა...

ჯანო ხელაშვილი – გოდერძის მეგობარი

ჯანო ხელაშვილი, გოდერძი ჩოხელი და მიშა ბადაგაძე ბაზალეთის ტბაზე

„ლილი, მიწის სუნი გცემს“?

უზომოდ დიდია გოდერძი ჩოხელის წასვლით გამოწვეული ტკივილი. მიჭირს, შევეგუო იმ აზრს, რომ ჩვენს შორის აღარ არის უახლოესი ადამიანი, მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, საუკეთესო მწერალი, ბრწყინვალე რეჟისორი, თავმდაბალი და უანგარო მეგობარი, ერთგული მეუღლე და მამა. ყოველთვის მქონდა მისი იმედი.

გოდერძი ძალიან ვაჟკაცური, ალალი ადამიანი იყო, უჭირდა ადამიანების შეწუხება. ჩემს ოჯახში ხშირად მოდიოდა, მაგრამ ისეთი უშუალო და უბრალო იყო, მას სტუმრად ვერ აღვიქვამდი. საათობით იჯდა აივანზე და უსმენდა ბუნებას. ეზოში ჩასვლა უყვარდა, მუშაობა არ შეეძლო, პატარა სკამზე იჯდა და იყურებოდა, კაკლის ხეზე შაშვი ჯდებოდა და იმას უცქერდა. ჩვენ გვეგონა, მთას უყურებდა, მთაზე საათობით შეეძლო ელაპარაკა. ასე ამბობდა: მთის ხალხი სხვანაირები ვართო. ერთხელ მკითხა: – ლილი, მიწის სუნი გცემს?

– არა, მეთქი.

– მე ვგრძნობო!

ბუნებაში ლაღად გრძნობდა თავს.

გოდერძი საოცრად ალალი კაცი იყო, შეიძლება რამე არ მოსწონებოდა, მაგრამ ძვირს არ იტყოდა, არც ანგარება გაჰკარებია მის გულს ოდესმე. უზომოდ კეთილს და ყურადღებიანს, არასოდეს ავიწყდებოდა დღესასწაულების მილოცვა, ყველაზე ზრუნავდა. ერთხელ, ბაზრობაზე ვიყავით ერთად. ვხედავ, მოდის გოდერძი და გაზის ბალონს მოაქნევს.

გამიკვირდა: – რად გინდოდა გაზის ბალონი-მეთქი?

გაეცინა – ერთხელ შენ ჯანოს სთხოვე შეძენაო.

დედა გამორჩეულად უყვარდა გოდერძის. მასზე ამბობდა, რომ ძალიან წყნარი ქალი იყო, ხმას არ იღებდა, ორი წინადადებით ამბობდაო სათქმელს. „დედაშვილურ სიყვა-

რულს დიდი ძალა აქვს," – ამბობდა გოდერძი. დედა ერთ-ხელ კვდება, როდესაც მას შვილი უკვდებაო. დედა სარკეში ჩახედული არ მახსოვს, კოპლებიანი თავსაფარი ჰქონდაო.

მე ვუთხარი, რა გაგიხდა შენი ხილაბანდიანი დედა-მეთქი. გაეცინა, დედაზე საუბრისას სხვანაირი სითბო უდგებოდა თვალებში, სულ ენატრებოდა.

გოდერძის ბევრი ლექსი ზეპირად ვიცი და როდესაც ვუ-კითხავდი, ძალიან უხაროდა. მისთვის ქალის იდეალი ნინო იყო. ერთხელ გოდერძი და ნინო ლიკანში ისვენებდნენ, იქიდან რაღაც სხვანაირი, გალამაზებული ჩამოვიდა. გოდერძი შევაქე, ის ღიმილით მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა: – იცი, ლილი, თაფლობის თვე მქონდა. ბავშვივით გულწრფელი იყო. გოდერ-ძისნაირი მოსიყვარულე მამა იშვიათად მინახავს, გიჟდებოდა ლუკაზე და ნიკაზე.

– ხომ ლამაზი შვილები მყავს? – ხშირად მეკითხებოდა.

უყვარდა თავისი სამშობლო და მისი ყველაზე დიდი დარდი სწორედ საქართველოში არსებული მძიმე მდგომა-რეობა იყო.

ტკივილებით გათანგული, თვალებში სიცოცხლის სხივ-ჩამქრალი და მაინც სიცოცხლეზე შეყვარებული, შეჰხაროდა თავის ოჯახს. წუთისოფელს მარტოდ შეჭიდებულს, ირგვ-ლივ ბევრი აღმოუჩნდა ისეთი ადამიანი, ვინც გაჭირვების ჟამს გვერდში ამოუდგა და მატერიალური და მორალური მხარდაჭერა არ დაიშურა, სულიერი და ხორციელი ტკივილი შეუმსუბუქა და სიცოცხლე გაუხანგრძლივა.

მენატრება მისი სევდიანი თვალები, მისი ღიმილი, იმდენად უბოროტო იყო, რომ ღმერთმა არ ისურვა მისი ამქვეყნად არსებობა და თავისთან წაიყვანა.

ჯანო დღემდე ვერ იჯერებს, რომ გოდე აღარ არის, ხში-რად სურათს ელაპარაკება. ჩვენმა შვილმა ფული ითხოვა, ერთი გოგონა მოსწონდა და სადღაც აპირებდა მის გასე-ირნებას. ჯანომ თქვა, მცხეთაში გაასეირნოს, გოდერძის საფლავი აჩვენოს, გოდეს გაუხარდება და დალოცავსო.



ნინო და გოდერძი, ლიკანი. 2003 წლის 6 ივნისი.

გოდერძი გულიკო ჩაფიძის კლინიკაში იწვა, სანახავად მივედი, ჯანო იქ იყო. გოდერძი ვიღაცას გაეჯავრებინა და გაბრაზებული არავის არ უშვებდა. ჩემი ხმა რომ გაიგო, დამიძახა, ხელი მომკიდა და ბოდიშს მიხდიდა, მერე შოკოლადები გამომიგზავნა ჯანოს ხელით. ჯანო მთელ დღეებს მასთან ატარებდა საავადმყოფოში, გოდეს ენანებოდა ჯანოს წვალება, მაგრამ ძალიან უხაროდა, რომ მასთან იყო.

ქოზიფას მონასტერში თავი რომ დაიჭრა, ბერები მისულან „ნივით“, გოდესთვის უკითხავთ, ვის გავაგებინოთო? „ჯანოს დაურეკეთ“ – უთქვამს გოდერძის. როდესაც დამირეკეს, შემეშინდა, თავის თავს რამე ხომ არ უქნა-მეთქი.

– კიო, – მიპასუხეს. ჯანო ნოდარ ხიზანიშვილთან იყო. 5 საათი იქნებოდა, ნუგზარ რევიშვილის ბიჭმა ჯანო ქარელში წაიყვანა, სადაც სასწრაფო ოპერაცია გაკეთდა. ოპერაციის ფული ვეფხია ნადირაშვილმა გადაიხადა. ქარელში მამა ტარიელი ჩაბრძანდა, უწმინდესმა კატასტროფის მედიცინის ცენტრის რეანიმობილი გააგზავნა. ნარკოზიდან რომ გამოსულა, ნინოს უთქვამს, ჯანოც აქ არისო და.. გაულიმია.

ქოზიფას მონასტერში მომხდარის გამო გოდერძის ვეუბნებოდი, მე შენ აღარ გიტირებ-მეთქი. მეხის გავარდნასავით იყო ეს საშინელი ამბავი.

გოდერძი ძალიან უყვარდა ხალხს. ერთ ჩემს მეზობელს დედა გარდაეცვალა და რუსთავში წავედით გასვენებაში. გოდერძიც ჩვენთან ერთად იყო. სასწაული მოხდა, მკვდარი გაასვენეს და ზედ არავინ უყურებდა. ყველა გოდერძის ეხვეოდა და ბლოკნოტებით დარბოდნენ, რომ მისგან ავტოგრაფი მიეღოთ.

ერთხელ დუშეთში ვიყავი მშობლებთან, ჯანო ამოვიდა, მანქანაში გოდერძი იჯდა. მეზობელს უთქვამს: ჩოხელი მოვიდაო, გამოეფინა ხალხი, ეფერებოდნენ, ეპატიჟებოდნენ, გოდე კი მორცხვად იღიმებოდა.

გული მტკივა, სიცოცხლე რომ ვერ მოასწრო და ფიქრებით დატვირთული, დაღლილი და გულნატკენი წავიდა. ყველამ, ვინც იცნობდა, ალალი ცრემლი გააყოლა.

ლილი ჯავახიშვილი – გოდერძის მეგობარი

გოდერძი დიდი იყო, ძალიან დიდი!

– 1966-67 სასწავლო წელი იყო. თბილისის ილია ჭავჭავაძის უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ცოტა ხანს სხვაგან ვმუშაობდი, შემდეგ ფასანაურის სკოლაში წავედი სამუშაოდ. იმ წელს მოვიდა გოდერძი IX კლასში. მთაში ბიჭები ადრე კაცდებიან, გოდერძის საოცარი, ღრმა, ჭკვიანი თვალები ჰქონდა, თავის ბიძაშვილთან ბახურაანთ ვანოსთან ერთად დადიოდა სკოლაში. ორივენი ისე სუფთად, აკურატულად ჩაცმულები დადიოდნენ ნაცრისფერი ფორმებითა და თეთრი პერანგებით, სხვა ბავშვებისგან გამოირჩეოდნენ. ჩოხის 8-წლიან სკოლაში გოდერძის გერმანულს ასწავლიდნენ, ფასანაურში კი ინგლისური უნდა შეესწავლა და ცოტა გაუჭირდა. ამიტომ გაკვეთილების შემდეგ ვტოვებდი მას და ვანოს და ვამეცადინებდი. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სწავლას, არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა, თითოეულ სიტყვას კენკავდა თითქოს.

ფასანაურში გოდერძი დედის ძმის – კაცა წიკლაურის სახლში ცხოვრობდა. ერთხელ მის მეზობლად ჩემი მონაფეების მოსაკითხად მივედი. კაცას თივა მოეტანა და ეზოში დაყრილ თივაში ბიჭები დათვის ბელებივით კოტრიალობდნენ. უცებ სკოლის დირექტორმა ნაუმ ჭავჭანიძემ გამოიარა. ძალიან მკაცრი კაცი იყო, მისი აზრით, ბავშვი მხოლოდ მეცადინეობისთვის იყო შექმნილი, გართობა არ შეიძლებოდა. სტაცა ხელი გოდერძის და ვანოს და ორივე სასტიკად სცემა. გოდერძის ხმა არ ამოულია. აი, „ლუკას სახარებაში“ დირექტორი რომ არის, ზუსტად ასეთი იყო ჩვენი დირექტორიც (გოდერძიც ამბობდა, რომ ფილმში თავისი სკოლის დირექტორის პროტოტიპი გამოიყვანა. ავტ.).

გოდერძი სკოლას რომ ამთავრებდა, გამოსაშვებ გამოცდაზე არაჩვეულებრივი თემა დაწერა, მგონი სამამულო ომზე. მაშინ გამოჩნდა მისი საოცარი ნიჭი, აზროვნება.

უკვე ცნობილი მწერალი და რეჟისორი იყო, როდესაც 147-ე სკოლაში შეხვედრა მოვუწყეთ. ბავშვებმა ბევ-

რი იშრომეს, მოემზადნენ. ძალიან ლამაზი საღამო იყო, სცენაზე გოდერძის პერსონაჟები ერთმანეთს ცვლიდნენ. წითელი გველეშაპიც გვყავდა, ბავშვებმა ბერული და ჯღუნურიც იცეკვეს. გოდერძი გახარებული და გაოცებული იყო. სპექტაკლის შემდეგ მითხრა, ისე ცოცხლად იყო ყველაფერი, თავი გუდამაყარში მეგონა და იმ ბავშვებში ჩემს თავს ვეძებდიო.

კვიმატი ენა ჰქონდა, ფაქიზი იუმორი. მახსოვს მისი სიტყვები, იამზე მასწავლებელო, თქვენ ინგლისურს მასწავლიდით, კიტოხში – გერმანულს ვსწავლობდი, ინსტიტუტში – ფრანგულს, ბოლოს ისე გამოვიდა, არც ერთი ენა არ ვიციო.

ბოლოს, ჯანმრთელობა რომ შეერყა, სულ მინდოდა ნახვა, მაგრამ შეწუხებას ვერიდებოდი.

გოდერძი დიდი იყო, ძალიან დიდი!

იამზე ბექაური –
გოდერძის ინგლისურის მასწავლებელი



გოდერძი ჩოხელი პედაგოგებთან და თანაკლასელებთან ერთად. 1970-71 წწ.

სევდიანი, გულწრფელი და მართალი

ბიჭვინთის „შემოქმედებით მუშაკთა დასასვენებელ სახლში ახალგაზრდა ჟურნალისტთა ყოველწლიური, ტრადიციული შეკრების თითქმის სისტემატიური მონაწილე ვიყავი.

1981 წლის დეკემბერში მოწყობილი ასეთი შეკრება ჩემთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ორგანიზატორებმა წინასწარ გვაუწყეს – გოდერძი ჩოხელი გვეწვევა და თავის გახმაურებულ მოკლემეტრაჟიან ფილმს „ადილის „დედას გვიჩვენებსო“

ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული მოთხრობებით გოდერძი ჩოხელს, როგორც უნიჭიერეს ახალგაზრდა შემოქმედს, უკვე კარგად ვიცნობდი. პირადად კი არასოდეს მენახა.

„შემოქმედებითი სახლის“ ჰოლის მყუდრო კუთხეში მაგიდის ჩოგბურთის თამაშით ვიქცევდით თავს საღამოობით. სულ რაღაც ორი დღის ჩასულები ვიყავით, როცა გასართობად ჩასული უჩვეულო აურზაურს შევესწარი – თურმე გოდერძის, პირველად თავის სიცოცხლეში, მაგიდის ჩოგბურთი უთამაშია ვილაც ირკუტსკელ ჟურნალისტთან, რომელიც სპორტის ამ სახეობაში საკმაოდ განსწავლულიც ყოფილა. გოდეს (როგორც შემდგომ ვუძახოდი გ. ჩოხელს) თუ რუსმა ქართველი დაჯაბნაო და ფიზიკური ძალის გამოყენებით ცდილობდა ჩვენი ერის უპირატესობის ძალის წარმოჩენას.

მისმა ასეთმა ქცევამ მომხიბლა, იმავე საღამოს ჩემთვის განკუთვნილ ოთახში დავპატიჟე, გორული ხილი და ჭაჭა დავაგემოვნეთ და ჩვენს მეგობრობასაც აქედან ჩაეყარა საფუძველი. მალე კი შეთანხმებისამებრ, ჩემი ვაჟის – დაჩის ნათლიაც გახდა.

გოდერძი ჩოხელის მიერ გადაღებულ ფილმებში ყოველთვის უზადო გულწრფელობას, რეალურ ცხოვრებას, სიკეთისა და სიყვარულისკენ ადამიანთა დაუოკებელ სწრაფვას ვხედავდი და ამიტომაც, როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, ეს იყო 1995 წელს, გორში მისი ფილმების ჩვენე-

ბის კვირეული მოვაწყე, რაშიც უანგარო დახმარება გორის მაშინდელმა კულტურის განყოფილების გამგემ, რობერტი მაღლაკელიძემ გამიწია.

ამ ღონისძიებით რაიონის საშუალო სკოლების ხელმძღვანელები ძალიან დაინტერესდნენ, დღეში ორჯერ კინოთეატრ „გამარჯვებაში" იმართებოდა სხვადასხვა ფილმის ჩვენება და დარბაზი ყოველთვის სავსე იყო უფროსკლასელებით, სტუდენტებით, რიგითი მოქალაქეებით. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება მხატვრულმა ფილმმა „ადამიანთა სევდამ" გამოიწვია, რომელიც მათივე თხოვნით რამდენჯერმე იქნა გაშვებული.

კვირეულის დახურვაზეც სწორედ „ადამიანთა სევდა" წარვადგინეთ. ათასკაციანი დარბაზი ქალაქ გორისა და გორის რაიონის ინტელიგენციით, მაშინდელი ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლობითა და ახალგაზრდობით იყო სავსე. სტუმართა შორის კი გოდერძი ჩოხელთან, მისი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად იყვნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი, ბატონი რეზო ჩხეიძე, ქართველი ხალხის უსაყვარლესი მსახიობები: კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, გურამ ფირცხალავა, კარლო საკანდელიძე, კინოსტუდიის თანამშრომლები.

ვატყობდი, რომ გორელთა მასპინძლობით ჩემი გოდე უზომოდ ბედნიერი და აღტაცებული იყო. ასეთი ძვირფასი სტუმრების გამასპინძლების სურვილი, ღონისძიების დასრულების შემდეგ ძალიან ბევრმა გორელმა გამოთქვა, შაგრამ ბოლოს მასპინძლობა არავის დაანება გოდერძი ჩოხელის ნიჭის ერთ-ერთმა დიდმა თაყვანისმცემელმა. ნადარბაზევის მეურნეობის მაშინდელმა თავკაცმა ვალერი კედელაძემ, რომლის ოჯახში გამართულ ბანკეტზეც სტუმრებთან ერთად გოდერძიმაც კარგად მოილხინა, თბილისში გამგზავრებისას კი, მისთვის ჩვეული სევდიანი თვალებით დაგვემშვიდობა სევდასავით მუდამ გულწრფელი და მართალი გოდერძი ჩოხელი.

ტარიელ გურგენიძე

გოდერძი ძმა იყო ჩემი

გოდერძის შესახებ ლაპარაკი ძალიან მიჭირს, ვერ ვეგუები მის არყოფნას. ჩვენი ძმობა 1979 წელს დაიწყო. მზია არაბულთან, დარეჯან ხაჩიძესთან და ლაურა რეხვიაშვილთან ვმეგობრობდი. ერთხელ კინოსტუდიის საერთო საცხოვრებელში, მათთან სტუმრობის დროს გოგონებმა მითხრეს, აქ თქვენებური ბიჭი ცხოვრობსო. გოდერძი მოხევე ეგონათ. მის შესახებ მსმენოდა, მივადექი კარზე და დავუკაკუნე. საწოლზე იყო წამოწოლილი და კითხულობდა. იმ დღის შემდეგ ჩვენ არ დავშორებულვართ.

საოცრად ერთგული და ალალი ადამიანი იყო, ტყუილი არ შეეძლო. მე არ მინახავს მასზე უფრო თავმდაბალი და მორიდებული კაცი. უზარმაზარი სახელი ჰქონდა, მანქანით რომ მიმყავდა სადმე, გავაჩერებდი თუ არა, ხალხი შემოეხვეოდა და ელაპარაკებოდა. ყველას უყვარდა. ბევრჯერ მინახავს ამგვარ სიტუაციაში, გოდერძი წითლდებოდა და ბავშვივით თავს ხრიდა. ერთხელ რესტორანში შევედით მე და გოდერძი, იქ ელიზბარ ჯაველიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნოდარ მოდებაძე და აბრალავა დაგვხვდნენ. გოდერძის დანახვისას ფეხზე წამოიშალნენ და სათითაოდ გადაკოცნეს, ელიზბარ ჯაველიძემ დაიჩოქა და სულ ხელები უკოცნა. გაოგნებული მივჩერებოდი; ამოდენა ხალხი როგორ ეფერებოდა, გოდერძი კი მორიდებით უკან-უკან იხევდა.

მცხეთაში წავედით მე და გოდერძი, ჩემმა მეუღლემ დამირეკა და მითხრა, რომ სტუმრები აპირებდნენ ჩვენთან მოსვლას. სახლში დავბრუნდით და სტუმრებს შორის ბატონი ანზორ ერქომაიშვილი რომ დავინახე, ვუთხარი: ბატონო ანზორ, გოდერძი ჩოხელს ძალიან უყვარხართ, თქვენზე ამბობს: უდიდეს საქმეს აკეთებს, ბრწყინვალე ლოტბარია და ქართველებს მისი სახით დიდი კაცი გვყავსო.

ანზორ ერქომაიშვილი გაკვირვებული მიყურებდა: „მაგას რატომ მეუბნებით?! გოდერძი ჩოხელი თავად არის

უზარმაზარი პიროვნება და შემოქმედი. მე მაგასთან როგორ მოვალ!"

არ მახსოვს როდისმე თავის წარმატებებზე ელაპარაკა. მისი პოპულარობის პატრონი, სხვა იტრაბახებდა, მას კი თავი არასოდეს აუწევია.

ერთხელ ლუდის დასალევად შევედით მე და გოდერძი, იქ მყოფმა ადამიანებმა იცნეს და ატყდა ერთი ამბავი. გოდერძი გაწითლდა, უხერხულად იშმუშნებოდა.

ფილმებს ყაზბეგში ხშირად იღებდა, იქ, ჩვენს სახლში თავს იყრიდნენ მსახიობები: კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე და სხვები. გადაღებების დროს გოდერძი ძალიან პრინციპული იყო, მსახიობებს მისი ესმოდათ და ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე მიდიოდა მუშაობა. მიკვირდა, ხელოვნებაში ამდენი საქმის მკეთებელი გოდერძი ჩვეულებრივი, ყოფითი პრობლემების წინაშე ზოგჯერ უსუსური ხდებოდა.

ადამიანები ცხოვრებაში, ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებს სხვადასხვანაირად აღვიქვამთ. გოდერძიზე საშინლად მოქმედებდა საქართველოში, მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმები. ის თითქოს წინასწარ ხედავდა მოსალოდნელ საფრთხეებს. მის მოთხრობაში „უცნაური კვერცხი" სწორედ ამ საფრთხეებზეა ლაპარაკი და საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მწვავე კრიტიკაა გადმოცემული. გოდერძი ალალმართალი კაცი იყო, მას არავისთვის გუნდრუკის კმევა არ შეეძლო.

მისი დეპრესიის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საქართველოს მდგომარეობა, ქვეყანაში გამეფებული ძალადობა და უზნეობა იყო.

საქართველოს პატრიარქი გოდერძის შვილობილს ეძახდა. სნოში ჩამობრძანების დროს პატრიარქი უამრავი საქმის მიუხედავად ყოველთვის ახერხებდა გოდერძის ნახვას და მასთან საუბარს. 2007 წლის ზაფხულში გოდერძი უკანასკნელად იყო ყაზბეგში, ჩვენს სახლში. პატრიარქს სურდა

საკალმახე მეურნეობა ერთად დაეთვალიერებინათ (გოდერძი სუსტად იყო და უარი შეჰკადრა უწმინდესს, მერე ამაზე გული მოუვიდა). უწმინდესი ძალიან თბილად ესაუბრა, შესთავაზა სნოს საპატრიარქო რეზიდენციაში იცხოვრე, ან რომელ ეპარქიასაც აირჩევ, იქ წადი და მოგივლიან, კარგად იქნებიო. უწმინდესი ამხნევებდა გოდერძის, შვილივით ექცეოდა.

ერთ ზაფხულს გოდერძი ძალიან ცუდად იყო. გერგეტის სამების ტაძარში წირვა ტარდებოდა. წირვას უწმინდესი ესწრებოდა, ძლივს მივიყვანე გოდერძი, ერთიანად კანკალებდა. უწმინდესმა წინ დაიყენა და დედებს სთხოვა დიდი სანთელი მოეტანათ. ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს ამხელა კელაპტარი, მაჯის სიმსხო იყო და თითქმის გოდეს სიმაღლე. სხვა დროს დგომა უჭირდა გოდერძის, მაშინ წირვის დასრულებამდე დარჩა.

ყაზბეგში ალექსანდრე ყაზბეგის საფლავთან მივედით. გოდერძიმ დაიჩოქა და მოეფერა, უცებ ცხვირიდან სისხლი წასკდა, გადავაწვინეთ, რომ წამოდგა, ისევ დაიჩოქა საფლავთან და ისევ სისხლდენა დაეწყო. ეს რამდენჯერმე განმეორდა, დღემდე ვერ ამიხსნია, რა მოხდა.

ყაზბეგში ყოფნის დროს ჩემი ცოლისძმა გივი შადური ხშირად მოდიოდა. მე სულ აქეთ-იქით მიწევდა სიარული, გივი მასთან დიდ დროს ატარებდა, საჭმელებს აკეთებდნენ, ლაპარაკობდნენ. ყაზბეგის შესასვლელში ცივი წყაროს წყალი გადმოდის, ჭაჭის წყალს ეძახიან. ეს წყალი ინატრა გოდერძიმ, გივიმ მოუტანა ბოთლებით და მარტო იმ წყალს სვამდა.

გოდერძის ლექსები ზეპირად ვიცი, უყვარდა როცა ხმამაღლა ვკითხულობდი. ქეიფის დროს ვაჟას ლექსების კითხვაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. 2002 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დავლიეთ მე და გოდერძიმ, მას შემდეგ ის სასმელს არ გაჰკარებია.

მთაში ყოფნის დროს მეცხვარეებთან წაყვანას მთხოვდა. გაერეოდა ბატკნებში, ეფერებოდა და ტკბებოდა მათი ყურებით. დარდობდა საძოვრები იკარგება, ცხვრის სულა-

დობა მცირდება, მამა-პაპური საქმიანობა – მეცხვარეობა არ გაქრესო.

ძნელია მასზე ლაპარაკი. გოდერძი ძმა იყო ჩემი. იქნებ წლების შემდეგ უფრო მეტი ვთქვა.

დილომში მის სახლში მიჭირს მისვლა.

სევდაა გოდერძი.

გოდერძი (რომან) მარსაგიშვილი
გოდერძი ჩოხელის ძმადნაფიცი

ნიკა ჩოხელი, მარინა თალაკვაძე, გოდერძი მარსაგიშვილი, ნინო მელაშვილი, გოდერძი ჩოხელი.

ეს ბარათები ეკუთვნის ბატონ ალექსანდრ ალექსიძეს, რომელიც ვეფხისტყაოსნის ერთგული მკვლევარია. ამ ბარათებზე, რომლის რაოდენობა ათასამდე, ორივე მხარეს ავტორის ხელით, ორივე მხარეს ტექსტის ანალიზია ასამდე ადგილზე. ამ ლექსიკონის ავტორ ლევანს ამ ერთგულ მკვლევარს, ეროვნული ბიბლიოთეკა. ალექსიძეს. ეს ბარათები ეროვნულ ბიბლიოთეკას ამ ერთგულ მკვლევარს, ეროვნულ ბიბლიოთეკას ეროვნული ბიბლიოთეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
2001 წლის
30 ოქტომბერი



ყაზბეგი, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია II-სთან
სტუმრობის დროს, 2007 წლის აგვისტო

გოდე!

ხშირად თავს მახსენებს ბიბლიური შეგონება: – „გახსოვდეთ სიკვდილი“ და შენზე ფიქრს უშენოდ, სიცარიელის შეგრძნებებით სავსე, შენს მართალ სიტყვას მოკლებული ვაგრძელებ.

დრომ, ვფიქრობ, ლოგიკითა თუ ულოგიკოდ, საქართველოს უშენობა ასწავლა, რთული გაკვეთილია და სახელად „მონატრება“ დაარქვა, ამასთან ერთად, შენი თითოეული ძარღვიანი სიტყვის მადლი იფრქვევა დღითიდღე ახალ თაობაში.

შენ ხომ შეუცნობლად მგრძნობიარე იყავი.

ჩვენი ურთიერთობები დიდი-დიდი ხნის წინ სიყმაწვილის წლებიდან დაიწყო.

მიხარია, უკიდეგანო რომ ყოფილხარ, შენი სიყვარულით გაჯერებული ადამიანების რიცხვი დაუთვლელი რომ არის.

როცა ჩვენი შვილები – სუფთები, ლამაზები ერთად თამაშობდნენ, მაშინ ამას ვერ ვასიგრძეგანებდი.

საქართველოში ძალიან ლამაზი ოჯახის დიასახლისი ნინო ზედელაშვილი შენი შემოქმედების, პიროვნების სიყვარულში გამომიტყდა, დაუფიქრებლად მოვინდომე თქვენთან შეხვედრა, როდესაც ნიჭიერები ერთ ენაზე საუბრობენ, ეს ღვთის კურთხევაა.

ეს ტანდემი შედგა და ჩემმა გოდემ ნინო შეიყვარა, შეითვისა, ჩაიხუტა, აღიარა, მიეფერა... მეტი არაფერია სიცოცხლის განმავლობაში საჭირო... სილამაზის, სიკეთის ყურება სულიერად გავსებს.

ჩემს თავს ვარწმუნებ, ჩემო გოდე, რომ ჩვენი და-ძმური ურთიერთობა ჩვენს შთამომავლობაში გაგრძელდება.

ისევ ნინოს დავუბრუნდები – მას ჩემზე მეტად უყვარხარ, ბევრ სასიკეთო საქმეს აგრძელებს, რასაც სახელი „გოდერძი ჩოხელი“ ჰქვია.

ვწერ პატარა დედამიწიდან იქ... სადაც დრო არ ითვლება. ძალიან მინდა, ამოგხედო ზეცაში და გკითხო, რა არის კარ-

გი, კარგი – ამწუთისოფლისეული გაგების გარეშე. ალბათ, მიპასუხებ, მე ხომ სულ ვფიქრობდი, ადამიანებს რა უნდოდათ, და შენც იფიქრე, რა უნდათ სხვებს, რადგან სხვები ერთად უფრო მეტი ნაწილია ღმერთის, სიყვარულის, ვიდრე შენ ერთი...

დარწმუნებული ვარ, ყველამ ისწავლა ერთი წმინდა ადგილის მისამართი – სადაც ხანდისხან ყოველგვარი რიტუალის სურვილისამებრ დავდივარ გაურკვეველი შუალედებით.

შენ ალბათ ფურცლების და კალმის გარეშე ხარ... მინდა, დამესიზმრო და დამმოძღვრო.

ალბათ, ლოცვა თუ მოიყვანს მთელ საქართველოს შენთან.

ნინო სალუქვაძე – გოდერძის მეგობარი

ნინო სალუქვაძე, გოდერძი ჩოხელი, ნინო ზედელაშვილი
გულიკო ჩაფიძის კლიკინაში. 2006 წ.

„შედგა ჩოხელი ცივ ქვაზე“

გოდერძი ჩოხელის შესახებ მანამდე ვიცოდი, სანამ პირადად გავიცნობდი. ჩემს ძმას ერთი მეგობარი ჰყავდა იურა კვაჭაძე – არქიტექტურულზე სწავლობდნენ ერთად. იურამ ინსტიტუტი დაამთავრა და იმდენად უნდოდა რეჟისორობა, ისე უყვარდა კინო, რომ არქიტექტორად არც უმუშავია, მაშინვე ჩააბარა თეატრალურ ინსტიტუტში. სწორედ მისგან შევიტყვე ერთი ძალიან ნიჭიერი სტუდენტის – გოდერძი ჩოხელის შესახებ. ლიტერატურულ პრესაში მისი მოთხრობები გამოჩნდა და ძალიან მომეწონა. გაცნობით კი მოგვიანებით გავიცანი, ის ჩვენი კუთხის შვილი იყო. მესამე მდივნად გუდამაყრელი ქალბატონი – ქეთო ბექაური მუშაობდა, ერთხელ, მას ვუთხარი, გოდერძი დუშეთშია, თავის კლასელთან-მეთქი. ის კაცი, გვარად ბექაური იყო, ჭიას ეძახდნენ. ცოტა ხანში ქეთოსთან შესულს, გოდერძი იქ დამხვდა. გავიხარე. მაშინვე ჩემთან წავიყვანე.

დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენს კუთხეზე, საქართველოზე (რაიკომი და პარტია ნამდვილად არ ყოფილა საუბრის თემა), გული მოვიოხეთ გუდამაყარზე ლაპარაკით. იქ სულ სხვანაირი ხალხი ცხოვრობს, ყველაფერს სერიოზულად ეკიდებიან, ძალიან გულუბრყვილოები და ალალები არიან.

პროფესიით ვეტექიმი ვარ, მეცხვარეებს ვიცნობდი – ფშაველებსაც, ხევსურებსაც, გუდამაყრელებსაც. ყიზლარში საძოვრებზე რომ მიჰყავდათ ცხვარი გუდამაყრელებს, გზაში არც დათვრებოდნენ, არც ქალებს გაეკიდებოდნენ, დიდი პასუხისმგებლობის მქონე ხალხი იყო. ყოველთვის სუფთად და თბილად იყვნენ ჩაცმული, ძაღლები ბლომად ჰყავდათ, ცხენები კოხტად შეკაზმულები, კარგი გათლილი კომბლეებიც ჰქონდათ, მოკლედ ძალიან მოწესრიგებულები იყვნენ. ურმები არ დაჰყავდათ, მთელი ბარგი ცხენებს ჰქონდათ აკიდებული. ფშაველებს დალევა უყვარდათ, უარს ქალებზეც არ ამბობდნენ. ამისთანა ამბებზე ვილაპარაკეთ პირველი შეხვედრის დროს. გოდერძი მიხვდა, რომ გუდამაყრელები

გამორჩეულად მიყვარდა და ძალიან გაუხარდა, ამდენი წვრილმანი როგორ იცით. საუბრის დროს უამრავი საერთო ნაცნობ-მეგობარიც აღმოგვაჩნდა.

მერე ვკითხე, თეატრალურზე როგორ მოხვდი-მეთქი. ბავშვობაში ნანახი ფილმის „ჯარისკაცის მამას" შესახებ მიამბო, როგორ ჩააბარა ინსტიტუტში, მერე უთქვამთ, შენ კინოს ვერ გადაიღებო და გაბრაზებული თურმე ჩოხში გარბოდა. გოდერძიმ მომხიბლა გონიერებითა და სიალალით.

ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით, ხან ფასანაურში, ტრიპოლსკებთან, ხან – დუშეთში. ერთხელ გოდერძიმ თბილისიდან დამირეკა, ჩამოსვლა მინდა, საქმე მაქვსო. მანამდე მისთვის ნათქვამი მქონდა, რომ ჯარისკაცი ვიყავი, რომელიც მის ნებისმიერ ბრძანებას შეასრულებდა.

ჩამოვიდა, 1983 წლის ზაფხული იყო, ხევსურეთში, ხახმატში აპირებდა ფილმის – „ადამიანთა სევდას" გადაღებას. გოდერძიმ მითხრა, მალე გადაღებას დავიწყებ და ალბათ დახმარება დამჭირდებაო. მე ვთხოვე, მოდი, შენობით ვილაპარაკოთ-მეთქი. მაშინ თანამდებობის პირებს, რუსულად მამის სახელით მიმართავდნენ. გოდერძის ასე არასოდეს მოუმართავს, ბატონ ჰამლეტს მეძახდა. ჩემს თხოვნაზე, შენობით გველაპარაკა, კატეგორიული უარი მომიგო, არაფრით არ შემიძლიაო. ძალიან ღირსეული ახალგაზრდა იყო.

მისდამი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით განვიმსჭვალე. მთელი სულითა და გულით დავეხმარე, გადამღები ჯგუფის შეუფერხებელი ტრანსპორტირებისა და დაბინავებისთვის.

დაიწყეს გადაღება.

ერთ დღეს გოდერძი ძალიან შეწუხებული მოვიდა. გადაღებისთვის ხარები სჭირდებოდა და ვერ ეშოვა, ზოგს მთაში ჰყავდა აყვანილი, ზოგი თივას ეზიდებოდა და ვერ ათხოვა. 5-6 უღელი ხარი უნდოდა, მხოლოდ ერთი დღით.

– როდისთვის გინდა ხარები? – ვკითხე, – შენ წადი ხახმატში და რამეს მოვახერხებ-მეთქი.

– რა ვიცი, ვადას ვერ გეტყვი, როცა იქნება, გადავიღებ, – მორიდებით ჩაილაპარაკა გოდერძიმ და წავიდა.

მეორე დღესვე დავიბარე ბარისახოს და გუდანის საბჭოს თავმჯდომარეები, მაღაროსკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ამ ხალხს ვუთხარი, ჩვენი კუთხის კაცი – გოდერძი ჩოხელი საქვეყნო საქმეს აკეთებს, ხელი შეუწყეთ, ხარები სჭირდება და ხახმატში აუყვანეთ, რომ ფილმის გადაღება არ შეფერხდეს-მეთქი. ვიცოდი, ხალხში თუ ვერ იშოვიდნენ ხარებს, თვითონაც ჰყავდათ. თან გავაფრთხილე, არანაირი მიზეზი არ გაამართლებდათ თუ ამ დავალებას არ შეასრულებდნენ.

გოდერძიმ მალევე დამირეკა ბარისახოს ფოსტიდან, ხარები მოიყვანეს, გადავიღე რაც მინდოდა და ორი დღე კიდევ დამიტოვესო.



კადრი ფილმიდან „ადამიანთა სევდა“ 1983 წ.

გოდერძის დავპირდი, ხახმატში ამოგაკითხავ-მეთქი. აღმასკომის თავმჯდომარედ ხევსური ბიჭი, არხოტელი გიორგი წიკლაური მუშაობდა. ვიცოდი, ხახმატელებს მისი ნახვაც გაუხარდებოდათ. გიორგი წავიყვანე, პროდუქტი წავიღეთ და წავედით. გზად ფშავი უნდა გაიარო, მერე – ხევსურეთი. ხახმატში რომ მივედით, მზე უკვე ჩადიოდა. გადამღებ ჯგუფს მუშაობა დაემთავრებინა, ევახშმათ კიდეც და ცოტა შექეიფიანებულები კარგ ხასიათზე დაგვხვდნენ. გოდერძის ბავშვივით გაუბრწყინდა თვალები, ძალიან გაუხარდა, პირობა რომ შევასრულე და ავედი. ფიცრებისგან სახელდახელოდ შეკრულ მაგიდაზე გავშალეთ პურმარილი და ყველამ კარგად მოვილხინეთ. გოდერძი გვაცნობდა მსახიობებს, ეს ამას თამაშობს, ეს – იმასო. ხარები რომ მიუყვანეს, ის თავმჯდომარეებიც იქ იყვნენ და ყველას მადლობა ვუთხარით.

ძალიან მომწონდა გოდერძის მოთხრობა „თევზის წერილები". მასში მოთხრობილი ამბავი რეალურ ისტორიაზეა აგებული. მართლაც, ასე იყო, თივას რომ ვათიბინებდით, ნახევარი კოლექტივში უნდა მიეტანათ, ნახევარი ხალხს რჩებოდა. ამ მოთხრობაში მართვის მაშინდელი სისტემის პირუთვნელი კრიტიკაა და ხალხის პროტესტია გადმოცემული. კაცმა რომ ნახა, ამ უსულგულო დამოკიდებულების მიმართ უძლური იყო, პირში წყალი ჩაიგუბა და თევზივით წყალში გადასახლდა. გოდერძიმ პროტესტის მწვავე ფორმა გამონახა და მაღალმხატვრული ხერხებით ბრწყინვალე მოთხრობა შექმნა.

„თევზის წერილებმა" აღმაფრთოვანა. გოდერძის ძალიან გაუკვირდა, წესით თქვენ ეს მოთხრობა არ უნდა მოგწონებოდათო.

გამეცინა – რატომ, რაკი, რაიკომის მდივანი ვარ-მეთქი?

გოდერძი ჩამაცივდა: – ბატონო ჰამლეტ, მადლობა როგორ გადაგიხადოთ?

ვიცოდი, რომ ბევრს ვითხოვდი, მაგრამ იმდენად მომწონდა „თევზის წერილები", ვთხოვე, შენი ხელით დაწერილი ეს მოთხრობა მაჩუქე-მეთქი.

დღეს გოდერძი ჩოხელის მადლიანი ხელით ნაწერი „თევზის წერილები" ჩემი ოჯახის რელიკვიაა, მერე იგი ქართველი ხალხის საკუთრება გახდება.

მაშინ გოდერძის ერთი ისტორია მოვუყევი. უკანა ფშავში, ფშავის არაგვის ნაპირას დიდი ჭალაა, სადაც ყველა სოფლის ცხვარი მოჰყავდათ, იქ იპარსებოდა და იცრებოდა ცხვარი. უკანა ფშავში ერთი კაცი, სახელად – უგემური, გვარად – მთვარელიშვილი ცხოვრობდა. ამ უგემურს კოლმეურნეობის ორი ხბო უნდა წაეყვანა და ზამთარში „გაეკვება", ცხადია, თივაზეც თვითონ უნდა ეზრუნა. ხბო თუ მოკვდებოდა, საფასური უნდა გადაეხადა. ბრიგადირი ეჩხუბებოდა, მაგრამ უგემურს ხბოები არ მიჰყავდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლევან უძილაური ჩამოვიდა, წავიდნენ უგემურთან სახლში, ეჩხუბებიან, ვერაფერი შეასმინეს.

„დარდების შემგროვებელი" - გურამ პეტრიაშვილი ფილმში „ადამიანთა სევდა" 1983 წ.

მერე უძილაური დაემუქრა, ხბოებს თუ არ გაკვებავ, ყველაფერს წაგართმევ, ტუალეტის ადგილსაც არ დაგიტოვებო. უგემურს სახლი არაგვის პირას ედგა. ამან შეხედა თავმჯდომარეს და უთხრა: – ნუ დამიტოვებ, რა, არაგვი აქ არი და გამოგიტანს მაღაროსკარშიო. ასე იუმორით შეხვდნენ ფშავში იძულებით გასაკეთებელ საქმეს. ზოგს ანეკდოტი ეგონება, არადა, მართლაც, ასე იყო. გოდერძიმ ბევრი იცინა.

ერთხელ ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა დამირეკა. ის მაშინ ცეკას მდივანი იყო, სოფლის მეურნეობის დარგში. გოდერძის მოთხრობები წაეკითხა და შემეკითხა, ვიცნობდი თუ არა მას. ვუთხარი, რომ კარგად ვიცნობდი. მერე თავისთან დამიბარა და დაწვრილებით გამომკითხა გოდერძის შესახებ, რამე პრობლემა ხომ არა აქვს, მინდა დავეხმარო, ძალიან კარგად წერსო. მე ვუთხარი, ეგ გუდამაყრელია, მწერალიც არის და კინორეჟისორიც, ბინა არა აქვს თბილისში-მეთქი. ბატონმა ჯუმბერმა მთხოვა, გოდერძი შემეხვედრებინა.

წავედი დუშეთში, ვიკითხე გოდერძი, გაიოზ ტრიპოლსკიმ მითხრა, ფასანაურშიაო. მეორე დილით გოდერძიმ სამსახურში მომაკითხა. ვუამბე ჩემი და პატიაშვილის საუბრის შესახებ და ვთხოვე, თბილისში წამყოლოდა, უარი თქვა, ვერაფრით დავითანხმე. მერე ვუთხარი, რომ თუ პატიაშვილთან არ წამომყვებოდა, სასტიკად დამსჯიდნენ. შემომხედა და დაფიქრდა. გოდერძი მაგას როგორ დაუშვებდა, რომ მის გამო ვინმე დაზარალებულიყო. თან ერიდებოდა, მაგრამ უარი აღარ უთქვამს.

იმ პერიოდში მისი ახალი წიგნი გამოვიდა „წერილი ნაძვებს". ვთხოვე ეს წიგნი წამოელო, ბატონი ჯუმბერის სახელზე წარწერით. დავრეკე პატიაშვილთან და მეორე დღის 12 საათზე დავთქვით შეხვედრა. დილით მე და გოდერძი ჩემი მანქანით წავედით, დუშეთიდან თბილისამდე მთელი გზა ვარიგებდი, შენს პრობლემებზე თუ რამე გკითხა, ბინის შესახებ უთხარი-მეთქი. შედგა ჩოხელი ცივ ქვაზე და აღარ ჩამოვიდა, ვერ ვეტყვიო. მთელი გზა იძახა, ბინაზე ვერაფერს ვეტყვიო. ძალს მე ვიყავი, ძალს – ჩოხელი. მივედით

ცენტრალურ კომიტეტში, ბატონი ჯუმბერი გამოეგება და მიიწვია თავისთან. ერთი საათი მოსაცდელში ველოდებოდი. ბოლოს გამოვიდა განითლებული და აღელვებული გოდერძი. მერე მე შემიყვანა პატიაშვილმა, გაოცებული იყო: – ვინ არის ეს კაცი, საიდან აღარ მოვუარე და სიტყვა ბინის შესახებ არ დაუძრავსო.

მე ვუთხარი, სახლი ნამდვილად არა აქვს, ხან ტრიპოლსკებთან ათევს ღამეს, ხან თავის მასწავლებელთან – ომარ გვასალიასთან, ხანაც საერთო საცხოვრებელში-მეთქი. მაშინვე, ჩემი თანდასწრებით ქალაქკომის მდივანს თენგიზ მენთეშაშვილს დაურეკა და სთხოვა, ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალსა და რეჟისორს დახმარებოდნენ, ასე დაიძრა გოდერძის ბინის საკითხი, მერე ედუარდ შევარდნაძეც ჩაერია ამ საქმეში, იგი დიდი პატივისცემით იყო გოდერძის მიმართ გამსჭვალული.

ზამთარი იყო, იანვარი, ნათლისღება, დამირეკა ნუგზარ ფოფხაძემ, გუდამაყარში უნდოდა ასვლა. დუშეთის შესასვლელში დავხვდი და წავედით. იმხელა თოვლი იყო, კიტოხს იქით ფეხით გავაგრძელეთ გზა. ავედით ჩოხში, სადაც პირიმზე ფუძის ანგელოზის ადგილია. გოდერძის დედის მონახულება შევთავაზე, ფოფხაძემ ხმა არ გამცა, აქეთ-იქით დადიოდა, ხან ათნოხს ათვალიერებდა, ხან – ბუსარჭილს. ისე წამოვედით იქიდან, ხმა არ ამოუღია, გოდერძი ჩოხელის სამყარო ნახა. მოგვიანებით, ფილარმონიაში არჩილ კერესელიძის საღამოზე შევხვდით ერთმანეთს. ნუგზარმა მაშინვე მომახაძა: – გახსოვს, გუდამაყარში რო ვიყავით?

– კი მახსოვს, მაგრამ რაზე ვიყავით, არ მახსენდებამეთქი... – მივუგე.

1999 წელს ორ კარგ ქართველ კაცს 70 წელი შეუსრულდა. ორივე ჩვენი კუთხიდან იყო; ბატონი ოთარ დუდაური – საზოგადოება „არაგველების" თავმჯდომარე და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ბატონი ოთარ ნათიშვილი. არაგველებმა გადაწყვიტეს, იუბილე რესტორან „არაგვში" აღენიშნათ, მეც დამირეკეს. გოდერძიც იქ იყო. ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა.

– ბატონო ჰამლეტ, ძაან მიყვარხარ! – მითხრა გოდერძიმ. მონატრულები გემრიელად ვსაუბრობდით. თამადამ გოდერძი ადღეგრძელა, ყველა მოეფერა. ბოლოს მე ვუთხარი:

– არ დამძრახოს აქ არავინ და შენც მაპატიე, თუ ისე ვერ გამომივა. შენი ლექსი უნდა გითხრა.

ყველა გაოცებული მომაჩერდა.

„გაზაფხულზე რომ გათბება მიწა,
რომ ამოვა ენძელა და ია,
საქართველოვ, შენს ყველაფერს ვფიცავ,
ლექსს დაგიწერ ცისფერპეპლებიანს.
ანანურთან არაგვის წყალს დავლევ,
გამარჯვებას ვეტყვი ცისფერ კალმახს,
ციხისძირთან შემეყრება გველი,
ის მაჩუქებს უკვდავების ალმასს.
მერე წავალ, ბილიკებზე ვივლი,
მსურს ვეფერო დეკასა და ღვიას,
ნელა-ნელა მყინვარწვერზეც ავალ,
რომ იქიდან გადმოგხედო მთლიანს.“

ეს ლექსი წავიკითხე, გოდერძის ცრემლი მოადგა, გადამეხვია და მითხრა: „ბატონო ჰამლეტ, თქვენგან ლექსის წაკითხვას არ ველოდიო.“

ერთხელ, ფასანაურში გამოვიარე, მლეთადან მოვდიოდი, გაიოზ ტრიპოლსკი დავინახე და მოვიკითხე, უცებ გოდერძიც გამოჩნდა, ნასვამი იყო. წავედით საქეიფოდ. მერე გოდერძიმ დუშეთამდე ჩემი გაცილება მოინდომა, ვერ გადავათქმევინე, წამომყვა დუშეთში, სახლში არ შემოვიდა და გაიოზის მანქანით უკანვე გაბრუნდა.

ჩემი სამსახურიდან გამომდინარე ყიზლარში ხშირად დავდიოდი, ჯვრის უღელტეხილზე, თოვლში, ფეხით გადავსულვარ მეცხვარეებთან. გოდერძი ხშირად მეკითხებოდა მათ შესახებ. აინტერესებდა ჩემი თვალით დანახული მეცხვარე და იმისი ყოფა. ერთად უნდა წავსულიყავით ყიზლარში, მაგრამ ვერ მოხერხდა.

„სამოთხის გვრიტები“ რომ გადაიღო, მერე ფილარმონიაში უფასო ჩვენება გაიმართა. საშინელი პერიოდი იყო, გაჭირვება, უშუქობა, დამაგვიანდა. ფილარმონიაში რომ შევედი, იმდენი ხალხი დამხვდა, ახალგაზრდობით სავსე იყო, ნემსი არ ჩავარდებოდა, დარბაზში არც დასაჯდომი ადგილი იყო, არც – დასადგომი. კულისებში შევედი, მერე სცენაზე გავედი და იქიდან ვუყურე ფილმს. ჩვენების შემდეგ ვნახე გოდერძი. რეზო ჩხეიძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ჯგუფის სხვა წევრებიც იქ იყვნენ. ფილმი დასრულდა და ტაშმა კინაღამ დაანგრია ფილარმონია. ხალხი არ მიდიოდა, ფილმის ხელახლა გაშვებას ითხოვდა. საოცრებას შევესწარი.

საერთოდ, მგონია, რომ ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ღმერთმა გოდერძი ჩოხელთან ურთიერთობის საშუალება მომცა.

ჰამლეტ კერესელიძე,
დუშეთის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი.

ფილმის „ცოდვის შვილები“ გადამღები ჯგუფი 1989 წ.

გოდერძის შემოქმედებაზე თაობები გაიზრდებიან

1981-82 წლები იყო, ჩემთან მობრძანდა ქალბატონი ლანა ღოღობერიძე და თავისი სტუდენტისთვის დახმარება მთხოვა. კარგად მახსოვს მისი დამოკიდებულება ამ სტუდენტის მიმართ. „ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, მაგრამ გოდერძი ჩოხელი მათ შორის გამორჩეულია, დრო აჩვენებს, რომ იგი მოვლენაა ქართულ ცნობიერებაში", – ბრძანა ქალბატონმა ლანამ. 30 წელიც არ გასულა ამ საუბრიდან და უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ასევე შეაფასა ეს საოცარი ადამიანი: „გოდერძი ჩოხელი – ჩვენი საუკუნის მოვლენაა!"

გოდერძი მაშინ 24-25 წლის იქნებოდა, თბილისში ჩაწერილი არ იყო, არც ბინა ჰქონდა. დუშეთის რაიკომის პირველი მდივნის ჰამლეტ კერესელიძის დახმარებით შევხვდი გოდერძის და მისი ბინით უზრუნველყოფის საკითხი მალევე დადებითად გადაწყდა.

ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ შინაგანად სუფთა, საინტერესო, ცოტა ჯიუტმა კაცმა, რომელსაც ვერაფრით ვერ დავაცდენინე, რომ ბინა სჭირდებოდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მის შემოქმედებით საქმიანობას თვალს ვადევნებდი, მას ძალიან დიდი წარმატებები ჰქონდა, იმის მიუხედავად, რომ გოდერძი საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებდა, აშკარად გამოთქვამდა პროტესტს არსებული რეჟიმის მიმართ, პირდაპირ და უშიშრად აკრიტიკებდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს, ხელისუფლებას მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა.

გახსოვთ, ალბათ ფილმი „აღდგომა" კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ღმერთზე და საიქიოზე ხმამაღლა ლაპარაკს ერიდებოდნენ, მაგრამ ჩოხელი იმდენად მართალი, სუფთა და ალალი იყო, რომ მისი სჯეროდათ, იგი მართლაც, მოვლენად მიაჩნდათ.

მახსოვს, ფილმის ჩვენების დროს სოლიკო ხაბეიშვილმა თქვა: თქვენი არ ვიცი, და მე კი დამაჯერა ჩოხელმა, რომ საიქიო არსებობსო.

ედუარდ შევარდნაძემაც ვერ დამალა აღფრთოვანება ამ ფილმის გამო, ბევრი ისაუბრა მის შესახებ და ბოლოს ხუმრობით დასძინა: „ჩვენ თუ გვამოგზაურა გოდერძი ჩოხელმა საიქიოში, დანარჩენებმა რა დააშავესო". ეს ნიშნავდა, რომ ფილმს მთელი საქართველო ნახავდა. მახსოვს, ხალხი „აღდგომას" კი არა, „არაგველებს" უწოდებდა ამ ბრწყინვალე ნამუშევარს.

ძალიან უცნაურად წარიმართა მისი ცხოვრება, უცნაური იყო მისი დაბადებაც. გოდერძის მთელ შემოქმედებას სამი სიტყვით შევაფასებდი: სადა, უბრალო, გენიალური.

საოცრებაა მისი მოთხრობა „წერილი ნაძვებს", ეს უზარმაზარი ფილოსოფიაა. კაცმა, რომელსაც ნაძვი ამოუვიდა მხარზე, თავი განირა ბუნებისთვის. გოდერძიმ გვითხრა, რომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ბუნება კი უნდა არსებობდეს – დღეს ბევრს მსჯელობენ ეკოლოგები ბუნების დაცვაზე, მოფრთხილებაზე. გოდერძიმ დიდი ხნით ადრე დაგვარწმუნა, რომ ბუნება უნდა გიყვარდეს და როგორც საყვარელ არსებას უვლიან და უფრთხილდებიან, ისევე უნდა ვიზრუნოთ მასზე.

გოდერძი პირდაპირი კაცი იყო, ვაჟას სისპეტაკე მოსდევდა. 1990 წლიდან წეროვანში ვარ, ვმუშაობ, დროის უმეტეს ნაწილს იქ ვატარებ. ერთხელ გოდერძი ჩოხელი, კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი მესტუმრნენ წეროვანში. გოდერძიმ თავისი წიგნი მისახსოვრა წარწერით, რომელიც ძალიან მიყვარს. იმ პერიოდში გოდერძი „სამოთხის გვრიტებს" იღებდა. საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. მახსოვს, ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ აღმოუჩინა დახმარება, დააფინანსა ფილმი.

გოდერძი ხალასი ადამიანი იყო, დარწმუნებული ვარ, იგი სამოთხეშია. ტკივილს ვატარებ გულში, ქართველებმა რაღაც დავაკელით ღვთიური მადლით ცხებულ კაცს.

გოდერძის შემოქმედებაზე თაობები გაიზრდებიან.

ეს მტკიცედ მჯერა!

ჯუმბერ პატიაშვილი – საქართველოს კომპარტიის ცეკას
ყოფილი მდივანი

მადლობა, უფალს!

გოდერძი ჩოხელი გორდერძი მარსაგიშვილისგან გავიცანი. მათი მეგობრობა ფიც-ვერცხლით იყო განმტკიცებული. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

ქვეყნის მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ჩაკლა ქართული კინოს განვითარება. ვოცნებობდი გოდერძის საკუთარი კინოსტუდია ჰქონოდა, ბევრი წიგნი გამოეცა. ჯემალ გლენჩაძის და ანზორ თალაკვაძის ხელშწეწყობით, გამოვეცით გოდერძის „თევზის წერილები". ამ წიგნს ნაცრისფერი გარეკანი აქვს. გოდერძის წიგნებზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო, თუმცა მწერლისთვის დიდი შემოსავალი არასოდეს მოუტანია. ამ ნაცრისფერი „თევზის წერილების" 500 ეგზემპლარი ვიღაცამ აჭარაში წაიღო გასაყიდად და გოდერძის ფული არ ჩამოუტანა.

მახსოვს გოდერძის სიხარულიანი გამოხედვა, როცა შვილებს ვესაუბრებოდი და ვეფერებოდი. ისე იღიმებოდა, მაგრძნობინებდა, რომ სიამოვნებდა ჩემი დამოკიდებულება შვილების მიმართ.

გოდერძი ჩოხელი საკუთარ შემოქმედებასავით დიდებული, სუფთა, ნათელი ადამიანი იყო.

მადლობა უფალს, რომ მასთან ურთიერთობის ბედნიერება მარგუნა წილად.

გივი ბადაშვილი – გოდერძის მეგობარი

ორი გოდერძი და ვაჟა-ფშაველა

გოდერძი ჩოხელი და ჩემი მეუღლე გოდერძი მარსაგიშვილი ძმადნაფიცები იყვნენ. აღარ მახსოვს, როდის დაიწყო მათი ურთიერთობა, სულ ერთად იყვნენ თბილისშიც, ყაზბეგშიც.

ყაზბეგში ყოფნისას მთაში ხშირად დადიოდნენ, დასხდებოდნენ, ცოტას დალევდნენ და მერე იწყებდნენ ვაჟას ლექსების კითხვას, თითქოს ერთმანეთს ვაჟას სიყვარულში ეჯიბრებოდნენ. მარსაგიშვილს უყვარდა ასეთი სადღეგრძელოების წარმოთქმა:

– ჩემ დიდ პაპას – სულხან საბას გაუმარჯოს!

– ჩემ დიდ პაპას – ალექსანდრე ყაზბეგს ვადღეგრძელებ!

– ჩემ დიდ პაპას – ვაჟას, ფშაველას გაუმარჯოს!

ჩოხელი მის ასეთ დამოკიდებულებაზე წინაპრების მიმართ აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მათი ერთად ყოფნა და ურთიერთობა თბილი, სიყვარულით სავსე და საინტერესო იყო, თუმცა კურიოზებიც არ აკლდა. ჩოხელი სასმელს ვერ იტანდა, ზედმეტს თუ დალევდა, ჩემი მეუღლე ჩაისვამდა მანქანაში და აქეთ-იქით დაატარებდა, ან ჩვენთან სახლში მოიყვანდა.

ერთხელ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი გოდერძი ტახტზე იწვა ჩვენთან. სახლში პატარა ძაღლი გვყავდა, სახელად ჯუზი. გოდერძის ვუთხარი, უკეთ ხარ, წამოდექი, გაიარ-გამოიარე-მეთქი. დამიჯერა. ამ დროს მეზობელი შემოვიდა და ზუსტად ჩვენი ჯუზისნაირი ძაღლი – ჩიჩოლინა შემოიყვანა. ჩოხელი გადაირია:

„მარინა, ჩქარა დამაწვინე, ჯუზი ორად მეჩვენებაო".

გამოკეთდა და გულიანად იცინა ამ ამბავზე. მოგვიანებით, მორიგი ქეიფის შემდეგ ნასვამი ჩოხელი ჩვენთან დარჩა. სახლში მე და ბავშვები ვიყავით. უცებ მიწა იძრა, ყველა ეზოში გაიქცა. სანამ წინდა, ტანსაცმელი და პალტო ჩავაცვი, კაშნე გავუკეთე ჩოხელს, საკმაო დრო გავიდა. ხელმკლა-

ვით ეზოში რომ ჩავედით, მიწისძვრა უკვე გადავლილი იყო. ძალიან მოწესრიგებული, კოპწია, სისუფთავის მოყვარული გოდერძი ჩემს ოჯახში ყოველთვის სასურველი და სანატრელი სტუმარი იყო. თუმცა, მასზე სტუმარი არც ითქმოდა.

ძალიან უყვარდა ჩემი გოგონა – მაიკო, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა. გოდერძი ძალიან თბილი ადამიანი იყო, მაიკოს სუსტი ჯანმრთელობა გულს სტკენდა, სულ გვერდში გვედგა. ერთხელ საწოლი და ლოგინი მან მოგვიტანა საავადმყოფოში. ღამეებს უთენებდა მრავალ ოპერაციაგამოვლილ ბავშვს, ართობდა, ეფერებოდა. მაიკო რომ გათხოვდა და შვილები შეეძინა, ჩოხელს ბაბუასავით უხაროდა. ყაზბეგში ყოფნისას ჩემს შვილიშვილებთან, ლუკასთან და ნიკასთან ერთად ბევრ დროს ატარებდა, უხაროდა მათი ცელქობა, ტიტინი და მტკიცედ ამბობდა:

– მე არ უნდა მოვკვდე, ასეთი შვილიშვილები მეც მეყოლება, ლუკამ სიცოცხლის სურვილი დამიბრუნაო.

თავისი მძიმე ავადმყოფობის გამო გოდერძი უამრავ წამალს იღებდა. ბოლო ზაფხულს, ყაზბეგში უარი თქვა წამლებზე.

– მაინც არაფერს მშველის, ლუკა მომიყვანეთ, ეგ არის ჩემი ანტიდეპრესანტი. ლუკაც თავისი პატარა ხელებით ეფერებოდა ხოლმე გოდერძის.

ბოლო წლებში გოდერძის ჯანმრთელობა ძალიან შეირყა. უმძიმესი ავადმყოფი იყო. ჩვენი ახლობელი, ქეთინო წიკლაური გერმანიაში ცხოვრობს. ქეთინო გვეხვეწებოდა: აქამდე ჩამომიყვანეთ გოდერძი, რომ ვუმკურნალოო. ახალგაზრდა კაცმა დათო გაჩეჩილაძემ წერილობითი თხოვნით მიმართა ბიზნესმენ მაია რჩეულიშვილს, რათა გოდერძისთვის ევროპაში გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება აღმოეჩინა. მაიას უთქვამს, ჩვენ შუამავალი არ გვჭირდება, ან თვითონ გოდერძი დამელაპარაკოს, ან მეუღლეო.

დახმარების იმედი გაგვიჩნდა, გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრება უკვე შესაძლებელი ჩანდა. თავად

დავურეკე ქალბატონ მაია რჩეულიშვილს; როდესაც გაიგო ვინ ვიყავი, ყურმილი მეუღლეს გადასცა. იმის მიუხედავად, რომ მოსმენილით გაოგნებული ვიყავი, დღემდე ზუსტად მახსოვს სიტყვები, რომლითაც ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი „გამიმასპინძლდა“:

„მე აქ ბანკი მაქვს, თუ რა?! რატომ მირეკავთ?! ვალი მაქვს თქვენი? ეგ ის გოდერძი ჩოხელი არ არის, ჩვენება რომ მომიწყო ფილარმონიაში?“

(აქ ლაპარაკია „სამოთხის გვრიტების“ ჩვენებაზე, რომლის დროსაც ფილარმონიის საკმაოდ დიდი სივრცის მიუხედავად, ხალხი დარბაზში ვერ დაეტია, ქუჩები გადაიკეტა და გარეთ დარჩენილი მსურველები ითხოვდნენ განმეორებით ჩვენებას. ამ დროს ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს სოციალისტური პარტიის მიტინგი ჰქონდა დაგეგმილი და მგონი, ჩაეშალა).

„ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ვახტანგი ხართ“, – ჩავილაპარაკე გაოგნებულმა და ტელეფონი გავთიშე.

ასე უშედეგოდ ჩაიარა გოდერძისთვის უცხოეთში სამკურნალოდ გამგზავრების სხვა მცდელობებმაც.

ბოლო ზაფხულს, ყაზბეგში ყოფნის დროს ძალიან ავად იყო, ჩუმად იჯდა და მთებს გასცქეროდა. რამდენჯერმე ვთხოვე, ჩემი შვილიშვილებისთვის ზღაპრები ან „ცასწავალა“ მოეყოლა.

– აღარ მახსოვს, – სევდიანად ჩაილაპარაკა გოდერძიმ.

ყაზბეგში გერგეთის სამება უყვარდა ძალიან. იქ უნდოდა დასაფლავება, მაგრამ რომ გაიგო, არავინ იყო დაკრძალული, გადაიფიქრა.

„აბა, პირველი მე ხომ არ ვიქნებიო“.

გოდერძი მართლა საოცარი ადამიანი იყო. ხანდახან ეჭვი მეპარება, ის მართლა არსებობდა ჩვენს გვერდით თუ არა.

მარინა შადური – გოდერძის მეგობარი

მზის ნათითურებიანი კაცი

არ ვიცი, რატომ მახსენდება სულ ასეთი გოდერძი ჩოხელი: დილმის მასივში, მაშინდელი მეგობრობის გამზირზე, (ახლა რობაქიძის გამზირია), ნელა მიდის აღმაშენებლის ხეივნის მიმართულებით. თვალებში სულ სხვა სივრცეები უკრთის, ხელები ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი. მთების დასანახად მიდის. მასივის განაპირას ცოტა ხანს დგება და იქით იყურება – კავკასიონისაკენ. დგას და დგას... მერე თითქოს უცებ ფხიზლდება და ჩუმად ბრუნდება უკან.

ზოგჯერ ცხელოდა და დასიცხულ შუბლს მთებიდან მონაბერი სიო ესალბუნებოდა, ზოგჯერ ციოდა, სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა და ქარი თმას უწეწავდა. ის კი მიდიოდა ამინდის მიუხედავად, მნიშვნელობა არ ჰქონდა არც იმას, პირველად მიდიოდა თუ მეორედ დღის განმავლობაში ამ გზაზე. იყო შემთხვევა იქით მიმავალი და მერე უკან დაბრუნებული სამჯერაც დამინახავს ერთ დღეში.

თუ შევხვდებოდი, მომესალმებოდა და:

– ისევ მთების სანახავად მივდივარო...

თუ უკან მობრუნებულს წავაწყდებოდი:

– ვიყავი, ვნახეო, – მოკლედ მოჭრიდა.

– როგორ დაგხვდნენ? – ვეკითხებოდი ღიმილით და სული ნელ-ნელა მევსებოდა მისეული მთებით, აი, ასეთებით: „მთები,/ საწუთროს დევები, / მხარგაშლილები, მაღლები, / არაგვზე წყლის დასალევად / ჩამოსულები, / დამსხდრები“...

– დგანან, – მეტყოდა.

ერთ დღეს, მეორედ რომ ვნახე მიმავალი მთების სანახავად, მოკლედ ვკითხე: ისევ-მეთქი...

– მოვბრუნდი და მივხვდი, ისევ მომენატრნენ. არ მოვუსმინე, არ მომასვენეს... ალბათ, გაზაფხული რომ მოდის, იმიტომ მეძახიან – თქვა და ქარისაგან აწეწილ თმაზე ხელი გადაისვა. თვალებთან რამდენიმე ღარი გაუჩნდა მზის სხივებივით. ეს ღარები – მიმიკური ნაოჭები რომ ქვია ბარის

ენაზე, (ბარელები ყოველთვის ბარელები ვიყავით გოდერ-ძისათვის), მთის სათიბებში გაუჩნდებოდა. ეს მაშინ, როცა ბილიკ-ბილიკ მიჰყვებოდა ჩოხის ზურგ-ამობურცულ „დე-ვებს", არაგვზე წყლის დასალევად ჩამოსულებს. მზის სხი-ვებივით იყო და მზისა იყო, განა წლებისა...

ჰოდა, მზის ნათითურებიანი კაცი – გოდერძი ჩოხელი ქა-ლაქში, თავის პატარა ბინაში კედლიდან კედლამდე მიმოდიო-და, მოასფალტებულ ქუჩებს კვეთდა, მთების დასანახად და-დიოდა და სიმშვიდეს ეძებდა.

ერთ დღეს სიტყვამ მოიტანა წიგნებზე საუბარი და მითხრა:

– ამას წინათ ერთმა კაცმა მკითხა, რას კითხულობო. სახარებას-მეთქი... არა, კიდევ რას კითხულობო... გამაგი-ჟებს ეს ხალხი, სახარებას თუ ვკითხულობ, „კიდევ" რას უნდა ვკითხულობდე?

სახარება წიგნთა წიგნი იყო გოდერძისათვის, ვერ წარ-მოედგინა, მის გვერდით კიდევ თუ შეიძლებოდა სხვა წიგნის დასახელება.

როცა დარდობდა, თვალებთან ის „მზის ნათითურე-ბი" უმუქდებოდა, ზემოთ რომ მოგახსენეთ. ქუთუთოები რაღაცნაირად უმძიმდებოდა და თვალები სულ სხვა სუსხით ევსებოდა.

მოულოდნელი არ ყოფილა, ავადმყოფობის დროს რომ ამბობდა – სულ მცივაო...

– ეე... ნეტა იმ დროს, ლელაო, – ამოიოხრებდა, – რო-გორ ველოდებოდი გაზაფხულს, დამბალ-ხაჭოს ჭამისაგან გაბეზრებული ვიყავი და ამწვანდებოდა თუ არა ფერდობი, გავიქცეოდი და ვეფერებოდი... მერე მზეს ძალა ემატებოდა და ვისხედით, ვეფიცხებოდით, ვთბებოდითო...

– შიმშილი გამოგიცდია-მეთქი, – ერთხელ ვკითხე.

– გამომიცდია, საჭმელი საერთოდ ჭირდა, განსა-კუთრებით გაზაფხულის პირზე, მაგრამ ნეტა ის შიმშილი ყოფილიყო და ეს – არა, – მიპასუხა სევდიანად.

„ეს შიმშილი“ ყოველდღიურად გადმოდიოდა ტელეეკრანიდან და ფანჯრიდანაც მოჩანდა, ყველგან იყო: ქუჩაში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებშიც კი. „ეს შიმშილი“ დაჰქონდათ ადამიანებს თავისი გაყინული ხელებით და გულებით... და ძალიან ციოდა.

გოდერძი დარდობდა: არ ვიცი ამას როგორ უნდა ვებრძოლოო, აღარაფერი მახარებსო. უცებ გამახსენდა მთების სანახავად რომ დადიოდა, როცა ჯერ კიდევ უკეთ იყო:

– არ გინდა მთებისკენ გაისეირნე, გახედე, ნახე...

– ეეჰ, ლელა, ის მთებიც აღარ არი...

– იქნებ გაგახალისოს ჩოხში წასვლამ...

– და ცარიელი სახლების ნახვამ? გაძარცულმა ზარის ხემ? – მზის ნათითურები ჩაულრმავდა თვალის კუთხეებში.

ბოლო დროს აღარ გამოუვლია გამზირზე მთებისკენ მიმავალს, აღარ დაუმშვიდებია გული – დგანანო, აღარ შეუშვერია იქიდან მონაბერი სიოსთვის დასიცხული შუბლი და არ გაუთბია ყინვაში დაზაფრული ხელის თითები დათოვლილი კავკასიონის ყურებისას...

და რა საოცარია, რომ მაინც, როგორც კი გოდერძის ვახსენებ, მახსენდება მთების სანახავად მიმავალი, ხან ქარისგან აწეწილი, ხან გაყინული, ხან წვიმით სველი, თუ თაკარა სიცხით გათანგული... მერე იქიდან გულდამშვიდებით მობრუნებული, თვალებში ანთებული მზეებით და თვალებთან მზის სხივებად დატყობილი პატარა ღარებით:

– დგანან!

ლელა ჯიყაშვილი – ჟურნალისტი

„მისგან ვისწავლე სიმშვიდე და მოყვასის სიყვარული“...

გოდერძი ჩოხელი – საქართველო, სამშობლო, ერი, სიყვარული ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. გოდერძი არ მიეკუთვნება ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანების რიცხვს, ის არაჩვეულებრივი და სრულიად განსხვავებული იყო, შემოსილი იმ სათნოებით, რაც უფალმა გვიქადაგა. გოდერძის ცხოვრებაც ხომ გზა იყო გოლგოთამდე, მანაც მძიმე ჯვარი ატარა და მტრის ტყვიამ, რომელმაც ჩვენი – ქართველი ბიჭები ჩაცხრილა, გოდერძის გულიც გაიარა, და ჯვარს ასე ეცვა ჩვენი გოდერძი. გოდერძიც ხომ ბაგაში დაიბადა, და უფლის ნებით მამა გაბრიელის გვერდით დაიდო სავანე. მან განა შემთხვევით დაინახა დაკიდებულ ცვარში სამყარო? ეს ნამი გოდერძის გული იყო, რომელშიც მთელი სამყარო ეტეოდა.

გოდერძის ნებისმიერ სიტყვას, თუკი ოდნავ სულიერი ხედვა ჰქონდა ვინმეს, დაინახავდა როგორ შეეძლო ადამიანის გარდაქმნა. ეს თავად გამოვცადე. ერთ-ერთ მონაკვეთს მოგიყვებით მასთან გატარებული უამრავი ბედნიერი წუთიდან, რითაც ნაბიჯ-ნაბიჯ სულიერად ვიზრდებოდი. ერთხელ ვუთხარი: იცი რა გოდერძი? მინდა დიდი მადლობა შევწირო უფალს, რომ ღირსი გამხადა შენი ასეთი ახლობლობისა და მეგობრობისა-მეთქი. მან ჩაიღიმა, დინჯად შემომხედა და მითხრა სიტყვები, რომელმაც უმალ სხვა პიროვნებად მაქცია და დამანახვა, რა იყო ჩვენი ცხოვრების „არსი“. „ნარგიზ! არ დაიჯერო, რომ ვინმე განსაკუთრებული ვარ, ხალხმა აიტაცა გოდერძი, გოდერძიო, სინამდვილეში არავინ არა ვარ, – ერთი ჩოხში დაბადებული კაცი ვარ, რომელიც არაფერს წარმოვადგენო.“ იმ წუთას ვიფიქრე, თუ გოდერძი არავინაა, მაშინ მე არარაობა ვყოფილვარ-მეთქი.

გულწრფელი თავმდაბლობა, სიმშვიდე და მოყვასის სიყვარული მისგან ვისწავლე, რადგან მის ყოველ სიტყვას ძალა და მადლი ჰქონდა, ის ჩემთვის ანთებული სანთელი

იყო, რომელმაც ტაძრამდე გზა გამინათა და ეს ცხოვრება სულ სხვანაირი დამანახა.

გოდერძიზე უსასრულოდ შემიძლია ვწერო, ნანახი და სულით განცდილი, რადგან გოდერძი თავად უსასრულობაა. ის ზეციურ სასუფეველში აიყვანა უფალმა და იქიდან ლოცავს საქართველოსა და ქართველებს.

ნარგიზა თაფლაძე

სხვებზე წუხდა

გოდერძი ჩოხელი უბრწყინვალესი, თავმდაბალი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე ადამიანი გახლდათ. თავის უმძიმეს დაავადებას ყოველგვარი წუწუნისა და საყვედურის გარეშე იტანდა. ის გონიერი ადამიანი იყო და ესმოდა მთელი სიმძიმე თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა. მისი სიცოცხლის ბოლო დღეს, გამთენიისას მომიყვანეს. ეტყობოდა, რომ რამდენიმე საათში გარდაიცვლებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფი მეკითხებოდა, როგორ ხარ, შვილიშვილი როგორ გყავს, სად სწავლობსო. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც სხვებზე წუხდა და ზრუნავდა.

პირველად რომ დაწვა ჩვენს კლინიკაში, თავისი წიგნი მაჩუქა, რომელსაც აწერია, თქვენ უფრო ადრე რომ გამეცანით, ალბათ, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წავიდოდაო. უკანასკნელ საათებში აღარ ლაპარაკობდა, წყნარად დალია სული.

გულიკო ჩაფიძე –
კარდიოლოგი

გოდერძი ჩოხელი

ჯ. კასრაძის ფოტო

გოდერძი ჩოხელის ბოლო დღეები

გოდერძის პირველად პირისპირ 2003 წელს, ნაძალადევის პარკში შევხვდი. კარგად გამოიყურებოდა. ჩემს ქალიშვილს დავანახე – ახლა რომ ჩაგვიარა, საქართველოს დიდი შვილია-მეთქი. მიკვირდა, ასეთ ალალ კაცს პოლიტიკაში რა უნდოდა – ვიცოდი, რომ საპარლამენტო არჩევნებში აპირებდა კენჭისყრას.

ჩვენი გაცნობა, სამწუხაროდ, საავადმყოფოში მოხდა. მეუფე დანიელი და დედა ელენე იყვნენ მოსულები გოდერძის სანახავად. მეუფე დანიელი და გოდერძი, თურმე, სტუდენტობისდროინდელი მეგობრები ყოფილან. გოდერძი გარეგნულად მხნედ გამოიყურებოდა, თუმცა, მის ავადმყოფობის ისტორიას რომ გავეცანი, მივხვდი, საქმე სერიოზულად იყო. გულის უკმარისობის შეტევები სტანჯავდა და ღამის დადგომისა ეშინოდა.

მეორე თუ მესამე დღეს, შემთხვევით, მის მეუღლეს, ქალბატონ ნინოს შევხვდი. განმაცვიფრა მისმა სათნოებამ და უბრალოებამ – თხუთმეტი წუთი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩვენ მეგობრებივით დავცილებოდით ერთმანეთს.

რა მომწონს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში... ალბათ, ჯადოსნური რეალიზმი და „არაადამიანური" ადამიანობა.

2007 წლის 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების ბრწყინვალე დღესასწაული მეუფე დანიელთან და საჩხერე-ჭიათურის საეკლესიო პირებთან ერთად აღვნიშნეთ სხვიტორში, აკაკი წერეთლის მამისეული სახლის ეზოში. ტრაპეზის ბოლოს, მეუფე დანიელმა მიმიხმო და მთხოვა – ყველაფერი გამეკეთებინა გოდერძი ჩოხელის გადასარჩენად. მისი დიაგნოზი ვიცოდი და ვხვდებოდი, რა რთული პრობლემის წინაშე დამაყენა მეუფემ, მაგრამ ეს მეუფის სურვილი იყო და თანაც, თხოვნას თან სდევდა სულიერი გამხნევება, რომლის ძალაც მე უკვე გამოცდილი მქონდა.

გოდერძის სახლში დავურეკე, წინასწარ ვემზადებოდი, ვაპირებდი ყველაფერი მეღონა მის დასარწმუნებლად – ჩაეტარებინა კორონაროგრაფია. წინა საუბრიდან მახსოვდა, რომ ძალიან ეშინოდა ინვაზიური პროცედურის. მიკვირდა, კაცმა რომელმაც დანა დაირტყა მკერდში, ფეხზე უბრალო ჩხვლეტის ატანა არ შეეძლო. კორონაროგრაფია ახლად გახსნილ რესპუბლიკური საავადმყოფოს კათლაბში ჩავუტარე და კვლევამ იმაზე უარესი შედეგი გამოავლინა, ვიდრე ველოდით: მისი გული და მთელი მისი სიცოცხლე ერთ უბრალო, მეორეხარისხოვნ სეპტალურ სისხლძარღვზე ეკიდა. ექოკარდიოგრაფიამაც აჩვენა, რომ გულის მდგომარეობა, კიდევ უფრო გაუარესებოდა. საჭირო იყო კომბინირებული ოპერაციის ჩატარება: ორი მნიშვნელოვანი სარქვლის გამოცვლა და ხუთ კორონარულ სისხლძარღვზე შუნტის დადება. გულის გადანერგვაზე, რა თქმა უნდა, როგორც მეუფე, ასევე გოდერძიც, უარზე იყვნენ. მდგომარეობა სახარბიელო არ იყო, მაგრამ მცირე იმედი მაინც რჩებოდა და ამ იმედს უნდა ჩავჭიდებოდით.

მეგონა გოდერძისთან დაკავშირებით, ჩემი ამოცანა აქ დასრულდებოდა და მას დამხმარე მედიკები გამოუჩნდებოდნენ, რომლებსაც მეტი გავლენა ჰქონდათ, ჩემზე მეტად შეეძლოთ გადაეჭრათ პრობლემა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. საქართველოში ამ ოპერაციის ჩატარება გამორიცხული იყო. ბატონი ირაკლი ტრიპოლსკი, გოდერძის ახლო მეგობარი, დაუკავშირდა ევროპის ქვეყნების რჩეულ საავადმყოფოებს, სადაც სავარაუდოდ, ამ ოპერაციის ჩატარებას შეძლებდნენ, მაგრამ ვერცერთი კლინიკიდან დადებითი პასუხი ვერ მიიღო. იმედად მხოლოდ აშშ რჩებოდა. გადავწყვიტე ინტერნეტის საშუალებით შემესწავლა და ამომერჩია საავადმყოფო, სადაც გოდერძის ოპერაცია გაუკეთდებოდა. საოცარი ხალხია ამერიკელები, ყველაფერი უბრალოდ და გასაგებად აქვთ აწყობილი. მოვიძიე ამერიკის ათი საუკეთესო კლინიკა და განვიხილე ყველა საავადმყო-

ფოს პლიუსები და მინუსები. ბოლოს, არჩევანი ჰიუსტონის წმინდა ლუკას სახელობის ჰოსპიტალზე გავაკეთე. ჯერ ერთი, რამდენიმე თვით ადრე, ამ საავადმყოფოში წარმატებით გაუკეთეს რთული ოპერაცია საქართველოს პრემიერ მინისტრს და მეორეც – ეს საავადმყოფო საეკლესიო და თან გოდერძის ბიჭის სახელობის იყო. ამოვირჩიე საუკეთესო ქირურგი და მივწერე მას, ავუხსენი სიტუაცია, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. მივწერე მეორედ, მესამედ... პასუხი მაინც არ ჩანდა. და, როდესაც უკვე ხელი თითქმის ჩაქნეული მქონდა, საღამოხანს, გაისმა გოდერძის მობილურის ზარი... მოკითხვის შემდეგ მითხრა, დათო, მხოლოდ შენი იმედიღა დამრჩაო. მისმა სიტყვებმა შემძრა, კაცს, რომელმაც ოთხი წლის წინ სიცოცხლე უარყო, ახლა ძალიან უნდოდა ეცოცხლა და მისი წყურვილით იყო სავსე. გოდერძის სიტყვებმა ისე მაგიურად იმოქმედა ჩემზე, რომ ათი წუთის განმავლობაში გარინდებული ვიყავი და ადგილიდან არ ვიძროდი. გადავწყვიტე დავკავშირებოდი ამერიკის პირველ კარდიოქირურგს, კაც-ლეგენდას, ამერიკაში პირველი გულის გადანერგვის ჩამტარებელს, 82 წლის ბ-ნ დენტონ ქულს. რომელმაც მართლაც გულთან მიიტანა ეს ამბავი და ამ საკითხზე ზრუნვა მოცემულ პრობლემაში ყველაზე გაცნობიერებულ პროფესორ ტიმოტი ო'ნილს დაავალა. ტიმოტმა მაცნობა, თუ რა მონაცემები უნდა გადამეგზავნა მისთვის, რომ გაეკეთებინათ დასკვნა – შესაძლებელი იყო თუ არა ოპერაციის ჩატარება. ამ მონაცემების გაგზავნის შემდეგ, სამიოდ დღეში მივიღე პასუხი: მიუხედავად სიტუაციის სირთულისა, ქირურგები მიზანშეწონილად თვლიდნენ ოპერაციის ჩატარებას. გოდერძის მგზავრობისას აუცილებლად თან უნდა ხლებოდა ექიმი-კარდიოლოგი. მთლიანი თანხა კი, რაც მგზავრობასა და ოპერაციას სჭირდებოდა, ასოცდახუთიათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

როცა ეს ყველაფერი მეუფე დანიელს მოვახსენე, ძალიან გაუხარდა, ფულზე წარბიც არ შეუხრია, მერე,

ჩაფიქრდა და თანმხლები ექიმი ვინ იქნებაო, – ისე მკითხა, აშკარად მე მგულისხმობდა. წამითაც არ დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი გოდერძისთან ერთად წასვლას შორეულ გზაზე.

როგორც მივხვდი, მეუფე საჭირო თანხის შეგროვებას ნაცნობ ბიზნესმენებში აპირებდა, თითოეული ათასი დოლარის შოვნისას, მაშინვე მირეკავდა და ბავშვივით უხაროდა. მე, ჩემი მხრივ, გავიარე მომზადება ავიაციური მედიცინის დარგში, რადგან თვითმფრინავით ხანგრძლივი მგზავრობა დამატებითი რისკი იყო მძიმე პაციენტისთვის.

შემდეგ კი, დუმბაძის „კუკარაჩასი" არ იყოს... ომი რომ დაიწყო და კუკარაჩას ამბავი აღარავის ახსოვდა, ისე მოხდა ამ შემთხვევაშიც. – საქართველოში ავადსახსენებელი 7 ნოემბრის მოვლენების ტალღა აგორდა და გოდერძი ყველას გადაავიწყდა... 16 ნოემბერს ჩემმა დისშვილმა დამირეკა და მითხრა: – გოდერძი გარდაიცვალაო. საოცარი ტკივილი და იმედგაცრუება ვიგრძენი. მაგრამ ის მოზღვავებული ენერგია, რომელიც მე მქონდა საქმის გასაკეთებლად, უცებ არ გამქრალა და, გოდერძის მადლით, სხვა პაციენტების მკურნალობაზე დაიხარჯა. გოდერძი სამთავროში დაკრძალეს, ლამაზ ადგილას, ბერი გაბრიელის საფლავთან ახლოს.

დავით მალიძე
კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი

„ჩემს საფლავზე იები მოიტანე“...

გოდერძი ჩოხელის რომ ვეუბნებოდი გენიოსი ხარ-მეთქი, გაიღიმებდა და მტკიცედ იტყოდა ხოლმე: „– ეგ ეგრე არაა“ უბრალოება მხოლოდ გენიოსთა ხვედრია. ჩვენი ნათესაობის, და-ძმობის, მეგობრობის ყოველი დეტალი, ურთიერთობის ყოველი დღე და წუთი მნიშვნელოვანია და სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

გენიალური შემოქმედი ურთიერთობაშიც შეუცვლელი იყო. მენატრება მასთან საუბარი. ლაპარაკის დროს გაირინდებოდა და სევდიანი თვალებით შორს, სივრცეში იყურებოდა. ზოგჯერ მეგონა, რომ არ მისმენდა, თუმცა საუბარს დაიწყებდა და ვგრძნობდი, რომ მცირედი დეტალიც კი არ ჰქონდა უყურადღებოდ დატოვებული. თუ რამე მაწუხებდა, გოდერძი ძალიან განიცდიდა.

„– ცხოვრების წინააღმდეგობას ამაყად შეხედე და თვალი გაუსწორე, შეეჭიდე და აუცილებლად გაიმარჯვებ. შენ ხომ მაგარი ხარ, მზიო!" – ღიმილით მარიგებდა ჩემი თბილი და უღალატო მეგობარი.

უფალმა მადლი მოიღო ჩემზე, უბრალო მოკვდავს უფლება მქონდა მისთვის მიმემართა: – „გოდე“. ტელეფონზე თუ დავრეკავდი, მაშინვე ხვდებოდა, ვინ ვიყავი. ერთხელ გაკვირვებულმა ვუთხარი:

– რა კარგი სმენა გაქვს, გოდე. მუსიკაში რომ გეცადა ბედი, იქაც გენიალურ ნაწარმოებებს შექმნიდი.

– არა, ასე მხოლოდ შენ და მარსაგიშვილი მომმართავთ.

– გაიცინა გოდერძიმ.

მახსოვს ჩემს ოჯახში მისი პირველი სტუმრობა. აღფრთოვანებული მეუბნებოდა: „მზიო, იცი, რა ლამაზია ჩემი ცოლი?!“ მე ვაღმერთებდი გოდერძის და ვერ წარმომედგინა, როგორი ქალი შეეფერებოდა მას. თუმცა, ნინო რომ გავიცანი, გახარებულმა ვუთხარი:

– გოდე, ნინო მართლა ძალიან ლამაზია-მეთქი.

ბავშვივით გულწრფელი სიყვარული და სიხარული შეეძლო გოდერძის.

ერთხელ, დედის დღეს, 3 მარტს იები მომიტანა გოდემ. გამიხარდა და თან გამიკვირდა, საიდან იცოდა, რომ იები მიყვარდა.

– არა, არ ვიცოდი, ეს მე მიყვარს იები. მზიო, როცა აღარ ვიქნები, ჩემს საფლაბზე იები მოიტანე-ხოლმე. – მეუბნებოდა გოდერძი და იების დაჭმუჭნილ ფურცლებს სათითაოდ ასწორებდა.

მესამე წელია მივდივარ სამთავროში და მის საფლავთან იების კონა მიმაქვს. ჩამოვჯდები და ვესაუბრები ჩემს ძმას და სულის მეგობარს.

ძალიან უყვარდა ჩემი ოჯახი. ჩემი შვილის – გიგას დაბადების დღეზე უფროსები პირველ სართულზე ვქეიფობდით, ბავშვები – მეორეზე. მათ ცოტა ხნით ზემოთ ასვლა სთხოვეს გოდერძის. ავიდა და აღარ ჩამოვიდა, მათთან უხაროდა ყოფნა. მოგვიანებით, როცა გიგა უცხოეთში წავიდა, გოდერძიმ დაუბარა:

„შენ შემოგევლოს გოდერძი ჩოხელი, მაგარი კაცი გამოდიო".

რამდენიმე დღეში გოდერძი გარდაიცვალა. ჩემმა შვილმა დამირეკა და მითხრა:

– დედა, ბევრი ვიტირე, ღმერთმა სიკვდილისთვის როგორ გაიმეტა გოდერძი ჩოხელი.

– რა ვიცი, შვილო, ღმერთმა გაიმეტა, თუ ჩვენ – ადამიანებმა. მან ჩოხელი თავისთან წაიყვანა, გამეტებით კი ჩვენ გაგვიმეტა, რადგან დღეიდან მის გარეშე უნდა ვიარსებოთ – ვუთხარი გიგას.

თავის დაჭრის შემდეგ საავადმყოფოში იწვა დაუძლურებული გოდერძი. მარსაგიშვილი ჩამოვიდა ხევიდან, მე პალატაში ვიყავი. მარსაგამ დამიძახა და მითხრა:

– მზია, არ შემიძლია ჩოხელი ლოგინად ჩავარდნილი ვნახო, იები ჩამოვუტანე ყაზბეგიდან და შენ შეუტანე.

ჩოხელს თვალები გაუბრწყინდა, თითებით ეფერებოდა ყვავილებს, ცრემლები მოადგა და თქვა:

„– ეხლა კი გადავრჩები, რადგან იები მესტუმრნენ"

მაშინ, მართლაც გადარჩა.

ხშირად ვსაუბრობდით მთასთან ჩვენს დამოკიდებულებაზე, რომ მთიელს მთის გარეშე არსებობა არ შეუძლია. გოდერძი ამბობდა: – მთას გულიცა აქვს, სულიც და მახსოვრობაც-ო.

ცდილობდა ღმერთისკენ სავალი გზა ესწავლებინა და ბავშვივით უხაროდა, თუ ჩვენში რაიმეს დადებითს აღმოაჩენდა. სამაგიეროდ, კი, არაფერს ითხოვდა.

იცხოვრა უბრალოდ და ლამაზად.

მზია წიკლაური
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი. პროფესორი

გოდერძი და ნინო

„გოდერძი საქართველოსთვის დანთებული სანთელია“...

გოდერძი ჩოხელთან სტუდენტობის ულამაზესი წლები მაკავშირებს. ჩვენ სტუდ-ქალაქის VIII კორპუსში ვცხოვრობდით. გოდერძი და შოთა გეგიაძე ერთ ოთახში შეასახლეს. VIII კორპუსში სამხატვრო აკადემიის, თეატრალური ინსტიტუტის და კონსერვატორიის სტუდენტები ვიყავით თავმოყრილი. ეროვნული ძარღვით ერთად შეკრული, სიყვარულით სავსე ხელოვანი თაობა იყო. თემურ ბაბლუანი, ალეკო ხომერიკი, გოდერძი ჩოხელი, ამირან ამირანაშვილი (ამჟამად მამა ამირანი, მსახურობს სიონის ტაძარში), ვახტანგ ჯიშკარიანი (მამა სერაპიონი, მსახურობს ქოზიფას მამათა მონასტერში), ამ ადამიანებმა მთელი ცხოვრება თავის ქვეყანას, ქართველ ხალხს და უფლის სამსახურს მიუძღვნეს.

ჩვენი სტუდენტობის პერიოდში ეროვნული მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა, თითოეული ჩვენგანი სულითა და გულით იყო ჩართული ამ მოძრაობაში. 1978 წლის 14 აპრილის წინა დღეებში სამხატვრო აკადემიის კომკავშირის კომიტეტში დამიბარეს და დამავალეს, წავსულიყავი ქაშუეთის ეკლესიაში და აღმერიცხა ის სტუდენტები, ვინც ტაძარში მივიდოდნენ და სანთელს დაანთებდნენ. ამ დავალებაზე სასტიკი უარი განვაცხადე, რის გამოც საყვედური მივიღე, მაგრამ აღშფოთებულმა ისე მივუჯახუნე კარი, ფანჯრები აწკრიალდნენ.

მე არქიტექტორ-რესტავრატორი ვარ, იმ პერიოდში ადიგენის რაიონში მდებარე ჭულევის მონასტრის აღდგენაზე ვმუშაობდი. ჭულევი XIII საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარია უნიკალური ფრესკებით. მძიმე პერიოდი იყო, ხალხი ვერ იგებდა, პატარა გოგო რატომ გავდიოდი ფეხით 7 კილომეტრ გზას, რატომ დავფორთხავდი ხარაჩოებზე. გოდერძის ძალიან მოსწონდა ჩემი საქმიანობა, გამძლეობას და გაბედულებას მიქებდა, ძალას მმატებდა.

14 აპრილის დემონსტრაციაში ყველა ვმონაწილეობდით. გოდერძი ემოციებს ვერ ფარავდა. დაგვიჭირეს, მაგრამ მალევე გამოგვიშვეს.

გოდერძისთან მთიდან მისი და ელისო ჩამოდიოდა ხოლმე. ვხედავდი, როგორი ნაზი, გამოუთქმელი სიყვარულით უყვარდა გოდერძის დედმამიშვილი. გოდერძი ხელმოკლედ ცხოვრობდა, პალტო არ ჰქონდა, ალბათ, ამის გამო ერთ ზამთარს ისე გაცივდა, რომ ფილტვების ანთება დაემართა. სიცხიანი იწვა თავის პატარა ოთახში და ისე ახველებდა, იფიქრეს ჭლექი აქვსო. ყველა ერიდებოდა. მეც მეშინოდა, მაგრამ ჩემს თავს ვაჯობე, შევდიოდი, საჭმელი და ცხელი ჩაი შემქონდა. გამომჯობინებული გოდერძი მადლიერი ღიმილით მეუბნებოდა: – შენ გადამარჩინეო.

გოდერძის თხელი ტყავის ქურთუკი ჰქონდა, აბა, ის რას გაათბობდა, ისედაც პატარა, გამხდარი იყო. მე კერვა მეხერხებოდა და ვუთხარი, ტყავები ჩამოეტანა სოფლიდან. ძალიან გაუხარდა, მართლაც, წავიდა და კარგად დამუშავებული 6 თუ 7 ცხვრის ტყავი ჩამოიტანა. შევუკერე თბილი მოსაცმელი, იმ ტყავის ქურთუკს შიგნიდან გამოვაკერე, გარედანაც ლამაზად გავუწყვე და გაიხარა. ის ზამთარი თბილად გაატარა, მერე ვიღაცამ მოჰპარა.

ჩვენს კორპუსს ფანჯრებზე რკინის გისოსები ჰქონდა მიკრული, ოთახებშიც რკინის საწოლები გვედგა. ციხეში მეგონა თავი, საწოლს რკინის თავი მოვაშორე და ტახტის ფორმა მივეცი. გოდერძიმ ნახა, მოეწონა, სხვებსაც ანახა და ყველამ თავის საწოლს მოაჭრა თავი. ერთგვარი პროტესტი გამოგვივიდა. ეს მოჭრილი რკინები კიბის უჯრედში დავალაგეთ. ატყდა ერთი ამბავი, მოვიდა კომისია, რომელშიც გოგი ქავთარაძეც შედიოდა. გოგი გამოგვესარჩლა: – არ უნდათ ეს რკინის თავები და რა ქნანო.

გოდერძის ფილმმა გრან-პრი რომ აიღო, ძალიან პოპულარული გახდა, მაგრამ თვითონ ჩვეულებრივად მიიღო ეს ამბავი. სხვა, მის ადგილას გაყოყოჩდებოდა. გოდერძი კი



სტუდენტი გოდერძი. 1976 წ.

დადიოდა ჩამოვარცხნილი თმით, თბილი ღიმილით და უცნაური ხასიათით, თითქოს, არაფერი მომხდარიყო.

არ მახსოვს, რომელ ნაწარმოებზე, პირველი რეცენზია მწერალმა ნოდარ წულეისკირმა დაუწერა.

IV-V კურსზე ყოფნისას გოდერძიმ ცოლის მოყვანის სურვილი გამოთქვა, გამიკვირდა:

– რა გეჩქარება, ჯერ პატარა ხარ-მეთქი.

ლამაზი გოგონები მოსწონდა, მაგრამ უზნეოდ და უღირსად არავის მოჰქცევია. ეს მის ბუნებაში არ იყო. გოგონებიც არ იყვნენ მის მიმართ გულგრილნი.

სტუდენტობის მერე იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, შორიდან ვადევნებდი თვალს მის წარმატებებს.

„ამ ქურთუკში ზამთარი თბილად გაატარა, მერე ვილაცამ მოჰპარა“.

2003 წელს პატრიარქის კურთხევით მამა სერაპიონი (ერისკაცობაში – ვახტანგ ჯიშკარიანი – ჩვენი სტუდენტობის მეგობარი) ბოლნისიდან ქოზიფას მონასტერში გადაიყვანეს. მრევლმა გააცილა მამა სერაპიონი. მე მეუფე იობის მანქანაში მოვხვდი. გზაზე მეუფე ბუნებას აკვირდებოდა, არ გამორჩენია არც ერთი ყვავილი, ხე, გორაკი. მის საუბარს ვუსმენდი და გოდერძიზე ჩამოვუგდე ლაპარაკი. ისიც ხომ ბალახზე, ყვავილებზე, მთაზე შეყვარებული ადამიანი იყო. მეუფე იობს ძალიან გაუხარდა გოდერძის ხსენება. მოგვიანებით მეუფემ დამირეკა, – და რადგან უკვე იცოდა გოდერძისთან ჩემი ნაცნობობის შესახებ, – მისი დეპრესიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მთხოვა ცოტა ხნით წამეყვანა მასთან ქოზიფაში.

თავდაპირველად გოდერძიმ მეუფე იობის თხოვნას უარით უპასუხა. მერე მის მეუღლეს – ნინოს ველაპარაკე და რადგან მამა სერაპიონიც იქ ეგულებოდა, გოდერძიმ ქოზიფაში წამოსვლა გადაწყვიტა.

ქოზიფას მამათა მონასტერი. გოდერძი ჩოხელი, ქეთევან ჩიხაძე. 2003 წ.

მაისის დამდეგს ქოზიფაში გავემგზავრეთ. გზაზე თბილისში მომავალი მამა სერაპიონი შეგვხვდა. გოდერძის გამოელაპარაკა, დაგვარიგა, დაგვაკვალიანა, მალე დაბრუნებას შეჰპირდა. მე კი ჩუმად მითხრა: – ქეთევან, ძალიან მძიმედ არის, საშინელი დეპრესია აქვს...

მამა სერაპიონის თბილისში წასვლამ გოდერძის გული დასწყვიტა და მთხოვა: – მე დავრჩები, და ორ დღეში ამოდი, ამომაკითხე...

სამი დღის შემდეგ მამა სერაპიონს ტელეფონით დაველაპარაკე. შევიტყვე, რომ გოდერძი კარგად იყო და დარჩენას აპირებდა.

ქოზიფაში მისვლიდან მეექვსე დღეს მოხდა ის საშინელება, რამაც მთელი საქართველო შეძრა.

11 მაისს ზიარებისა და ტრაპეზის შემდეგ გოდერძი თავის კელიაში შესულა. მამა სერაპიონს მორჩილებისთვის დაუვალებია, რომ მისთვის ყურადღება მიექციათ. გოდერძი საწოლითა და სალოცავი კუთხით მოწყობილ ლამაზ კელიაში ცხოვრობდა. კელიას ხის პატარა აივანიც ჰქონდა.

მამა სერაპიონმა მალევე მოიკითხა გოდერძი და კელიაში შესულს, იგი საშინელ მდგომარეობაში დახვდა. ხელში აყვანილი წამოიყვანა მამა სერაპიონმა.

მე იმ დღეს ადიგენიდან ვბრუნდებოდი, გზაში დამირეკა ჩემმა მეგობარმა თამარ ფარჩუკიძემ, მითხრა, გოდერძიმ თავი დაიჭრაო. პირდაპირ ქარელში ჩავედით, იქ მამა ტარიელი და უამრავი სასულიერო პირი დაგვხვდა. მამა სერაპიონი მუხლმოყრილი ევედრებოდა უფალს გოდერძის გადარჩენას.

სასულიერო პირთა, მთელი საქართველოს მხურვალე ლოცვამ და ქარელის საავადმყოფოს ექიმთა თავგანწირვამ გოდერძი სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა.

ამ ამბავს ყველაზე მეტად განვიცდიდი, რადგან მე წავიყვანე ქოზიფაში, თუმცა ყველაფერი ღვთის ნებით და დაშვებით ხდება, ეს გოდერძის დიდი სულიერი გამოცდა იყო.

გული მტკივა, რომ ძალიან ახალგაზრდა წავიდა სამზეოდან, წავიდა ტკივილებით სავსე, უსაზღვროდ თბილი, მოსიყვარულე, ფაქიზი სულისა და დიდი ნიჭიერების პატრონი.

მჯერა, რომ სანამ ამ უკიდეგანო სამყაროში საქართველო იარსებებს (სხვანაირად ვერც წარმომიდგენია), გოდერძი ჩოხელის სული სანთლად ენთება თავისი სამშობლოსთვის!

ქეთევან ჩიხაძე,
არქიტექტორ-რესტავრატორი

გ. ჩოხელი წმინდა ნინოს გზაზე, მომლოცველებთან ერთად

„შენ ბედისწერას ეთამაშები“ – უთხრა აკაკი ბაქრაძემ

მე და გოდერძი სტუდქალაქში საცხოვრებლად ერთ პერიოდში მივედით. მალე დავმეგობრდით მე, შოთა გეგიაძე და გოდერძი ჩოხელი, ყველგან ერთად დავდიოდით. ჩვენს კორპუსში თეატრალური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიისა და კონსერვატორიის სტუდენტები ვცხოვრობდით. გოდერძი ლექსებს, მოთხრობებს, სცენარებს წერდა. „ბაკურხეველი ხევსურის“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ გოდერძი ბევრმა ადამიანმა გაიცნო და შეიყვარა. ერთხელ აკაკი ბაქრაძის საღამოზე ვიყავით, არ ვიცი რატომ, ბატონმა აკაკიმ ფილმი „ბაკურხეველი ხევსური“ გააკრიტიკა, გოდერძის უთხრა: – საიდან იგონებ ასეთ რამეებს, შენ ბედისწერას ეთამაშებიო. ჩვენ ძალიან მოგვწონდა ფილმი და მისი კრიტიკა არ მივიღეთ, მთელი აუდიტორა წამოიშალა. კარგად მახსოვს, გოდერძი დიდი ყურადღებით და მშვიდად უსმენდა. ფილმების გადაღების შემდეგ მან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

ბავშვივით სუფთა ბუნების გოდერძი უზნეობას ვერ იტანდა, მისი თანდასწრებით ცუდის თქმა არ შეიძლებოდა, დენთივით იყო, თუ აფეთქდებოდა, კაცი ვეღარ გააჩერებდა. ჩვენს კორპუსში ერთი აფხაზი, გვარად ჭკადუა ცხოვრობდა. ამ აფხაზმა შეყვარებულს ბავშვი გააყიდვინა. ეს ამბავი გოდერძიმ რომ გაიგო, ყურებს არ უჯერებდა, შეუვარდა იმ ჭკადუას და ისე სცემა, ერთი კვირა ფეხზე ვეღარ დადგა. იმან უჩივლა და გოდერძი დაიჭირეს, ღმერთმა გაანათლოს იაკობ ტრიპოლსკი, მან გამოაშვებინა.

წინააღმდეგობრივი ადამიანი იყო, ძალიან დიდი სიყვარული შეეძლო, მაგრამ თუ ულირს და უზნეო საქციელს ხედავდა, ვერ ითმენდა და ჩხუბობდა. ნაღდი აფხაზები ღირსეულად იქცეოდნენ, ჩვენთან კონფლიქტში არ შემოდიოდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სულ დაძაბულობას ქმნიდნენ, რაც საშინელ ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე.



გოდერძის სტუდენტობის დროს. 1979 წ.

ეროვნული მოძრაობის გამოლვიძება ახარებდა გოდერძის 1989 წ.

სულ მიკვირდა, გოდერძი ტანით დიდი არ იყო და როგორი მაგარი მუშტი ჰქონდა. ერთხელ ჩხუბს თავი დავანებე და ვუყურე, ამ მუშტის დახმარებით როგორ მოიგერია 3 კაცი. – იჩხუბებდა, დაიჭერდნენ, წავიდოდი ბატონ იაკობ ტრიპოლსკისთან, გამოაშვებინებდა. გოდერძი უზნეობას ვერ იტანდა, ამიტომაც ხშირი იყო ასეთი შემთხვევები.

ვცხოვრობდით სტუდენტურად, ვსწავლობდით, ვმეგობრობდით, ვკამათობდით პოეზიაზე. გოდერძი გვიკითხავდა ხან ვაჟა-ფშაველას, ხან – თავის ლექსებს. ვკამათობდით, ვის უფრო მეტად გვიყვარდა ვაჟა. გოდერძის სილამაზე უყვარდა, მეგობრის წყენინება არ შეეძლო. ერთი აფხაზი გოგო მოსწონდა. იმ გოგონას როზა ერქვა, გოდერძი ყვავილებს უკრეფდა და ოთახის კარებთან უტოვებდა. როზა ერთ ხევსურ ბიჭს – ალექსისაც მოსწონდა. როზამ გოდერძის უთხრა: „ალექსი ნეგადიაიაო". ამან რუსული ვერ გაიგო, ჩათვალა, რომ როზასაც უყვარდა ის ხევსური და შეეშვა.

ერთ დილას გამაღვიძა: ადექი, მესხო, არაყი მაქვსო. არაყი კი გვქონდა, მაგრამ ნივრისა და გვერდგამოგლეჯილი პურის მეტი არაფერი გაგვაჩნდა. მივადექით ქეთინო ჩიხაძეს. ქეთინო იყო ჩვენი დედა მარჩენალი, ჩვენთვის სულ ჰქონდა საჭმელი, გოდერძის თბილი ტყავით გაწყობილი პალტო შეუკერა. მერე ვიღაცას შესცივდა და მოჰპარა. საჭმელი ხშირად გვაკლდა, მაგრამ გამოსავალს ვპოულობდით. გოდერძი II სართულზე ცხოვრობდა, მის ქვემოთ კონსერვატორიის სტუდენტების ოთახი იყო. საშა გუჯაბიძე, რამაზ კუბლაშვილი და აჯიაშვილი იყვნენ იმ ოთახში. ამათ სოფლიდან ხშირად უგზავნიდნენ სანოვაგეს, რომელსაც აივანზე ინახავდნენ. ჩვენ ზედა სართულიდან ჩავწვდებოდით, იმ კალათას ამოვწევდით, რაც გვინდოდა, ამოვალაგებდით და სანაცვლოდ მადლობის ბარათს ვდებდით.

ერთხელ, ვაკის პარკში ვიყავით შოთა გეგიაძე, მე და გოდერძი. უცებ შოთა აუზში გადახტა, გოდერძიც მიჰყვა, მარტო ხომ არ დავრჩებოდი, მეც წყალში ჩავხტი. იქიდან გაწუწულები წამოვედით, ისე გვშიოდა, აღარ ვიცოდით, რა გვექნა. მოსაშვილის ქუჩაზე სახლის აივანზე დამარილებული ღორის ბარკალი ეკიდა. მისმა დანახვამ კინაღამ ჭკუიდან შეგვშალა. უცებ სახლის პატრონი გამოვიდა, ჩვენი გადმოკარკლული თვალების დანახვაზე გაეცინა, დაგვიძახა, მოზრდილი ნაჭერი ჩამოგვიჭრა, ღვინოც ჩამოგვისხა და გამოგვატანა. კარგად მოვულხინეთ. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ იმ ლორისა და ღვინის გემო დღემდე მახსოვს.

გოდერძისთან მისი და ელისო ჩამოდიოდა სტუდ-ქალაქში. 40 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ დღემდე არ მავიწყდება ელისოს დანახვის გამო მისი სიხარულით სავსე სახე. ძალიან უყვარდა და, ისინი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს.

1978 წლის აპრილში, დედაენის ყოფნა-არყოფნის დღეებში მთელი სტუდენტობა ერთ მუშტად შეიკრა. მე მერაბ კოსტავასთან ახლოს ვიყავი, მისგან დავალებული მქონდა, რომ ოპერასთან უნდა მიმეყვანა ხალხი. 14 აპრილს დილით უნი-

ვერსიტეტში მივედით მე, გოდერძი და შოთა გეგიაძე. მთელი უნივერსიტეტი კრაზანების ბუდეს ჰგავდა, ჰაერში დაძაბულობა იგრძნობოდა. იქიდან აკადემიაში წავედი, შოთა და გოდერძი კი თეატრალურში მივიდნენ, რომ სტუდენტები წამოეყვანათ. დირექციამ ინსტიტუტის კარები ჩაკეტა და გარეთ არ გვიშვებდნენ. ფანჯრებიდან გადმოვხტით და შევუერთდით დემონსტრაციას. მაშინ გაგვიკვირდა, მაგრამ მილიცია გვერდში დაგვიდგა. მახსოვს, ერთი ოსი პოლიციელი, რომელიც მხრებს იჩეჩავდა და იძახდა: „ქართულის გარეშე, რანაირადო". მე, გოდერძი და შოთა წინა რიგებში ვიყავით, ჩაჩოქილები, ერთი ბერი მოვიდა და ჩვენს გვერდით დაიჩოქა. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ბერი გაბრიელი იყო. მთელი სტუდენტობა, ინტელიგენცია მთავრობის სახლის წინ იყო შეკრებილი. ალყაში ვიყავით მოქცეული, სკკპ ცეკ-ს მდივანი ი. ანდროპოვი კატეგორიულად ითხოვდა ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მოხსნას, ჩვენი წინააღმდეგობის შემთხვევაში მისგან დარბევის ბრძანებაც გაცემული იყო.

მთავრობის სახლიდან გამოვიდნენ მთავრობის წევრები: სოლიკო ხაბეიშვილი, პავლე გილაშვილი, ოთარ ჩერქეზია, ვიქტორია სირაძე და აკადემიკოსი ავლიპე ზურაბაშვილი. ბატონი ავლიპი მოგვეფერა, გვითხრა:

„თქვენ გენაცვალეთ, გაციებული რომ არ ვიყო, თქვენთან ვიჯდებოდი".

აღელვებული ველოდით, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მთავრობა. ღვთის მადლით, ენა შევინარჩუნეთ. დაშლის შემდეგ გახარებულები ჭავჭავაძის და ათარბეგოვის ქუჩებს ავუყევით, იქაურობა ჯარით იყო სავსე.

ეკლესიაში ხშირად დავდიოდით, ვერ ვიტყვი, რომ მაშინ დიდი რწმენა გვქონდა. გოდერძიმ ჩოხში წამიყვანა, მისმა მეზობელმა ცხვარი დაკლა, გოდერძი დაკვლას არ დასწრებია, გაერიდა. ხატში მე მარტო ავედი, იქ დეკანოზი და დასტურები დამხვდნენ. გოდერძი მოგვიანებით ამოვიდა,

ისეთი მოწიწება და მოკრძალება იყო სალოცავის მიმართ მის დამოკიდებულებაში, მეც გადმომედო. ჩოხში გოდერძის მამა არ მინახავს, საერთოდ, მამას იშვიათად ახსენებდა. სამაგიეროდ დედამისი მახსოვს კარგად. ლელა პატარა, კაფანდარა, ფუსფუსა ქალი იყო. დედა-შვილს მისტიკური სიყვარული ჰქონდათ, თვალებით, გონებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. გოდერძი მთისა და დედის სიყვარულით იყო დამუხტული, ვინც მას იცნობდა, აუცილებლად შეიგრძნობდა ამ სიყვარულს. იშვიათად მღეროდა, რაღაცნაირად დასძახებდა ხოლმე, მთის სიმღერებს მღეროდა. გოგოებთან დამოკიდებულებაში მოკრძალებული იყო, ლამაზი ქალი უყვარდა, მაგრამ სიძვას ეკრძალებოდა.

სტუდქალაქში გოდერძი 34-ე ოთახში ცხოვრობდა, ახლა გავიგე, რომ მისი დიღმის ბინაც 34-ე ნომერია. საოცარი დამთხვევაა; ჩემი სტუდქალაქის ოთახის და ახლანდელი საცხოვრებელი სახლის ნომერიც – 88-ს ემთხვევა.

ბოლოს რომ ვნახე ავად იყო, საშინლად გამოიყურებოდა. მას აღარაფერი ჰქონდა საერთო იმ სიცოცხლით სავსე გოდერძი ჩოხელთან, ვისთან ერთადაც მე ჩემი ულამაზესი სტუდენტური წლები გავატარე. გოდერძისნაირი კაცები საუკუნეში ერთხელ იბადებიან, მათი მოვლენა ერისთვის და ქვეყნისთვის უფლის წყალობაა.

ლევან აბულაძე –
მხატვარი

გოდერძი ჩოხელი

ნაწილიანი ქართველი

რაჭაში, ონში, ერთი საოცარი კაცი ცხოვრობს, მას ვასო მაისურაძე ჰქვია. ბატონი ვასო წლების მანძილზე ონის რაიონის სატყეო მეურნეობას ხელმძღვანელობდა, მთელი ცხოვრება ბუნებასთან მჭიდრო კავშირში გაატარა, თავის მიწა-ბალახზე, ზეცა-ფრინველზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცისთვის განსაკუთრებით ახლობელი და სათაყვანებელი გახდა მასზე ბევრად ახალგაზრდა მწერალი კაცი – გოდერძი ჩოხელი.

3-4 წლის წინათ, რაჭაში ჩვენი ყოფნის დროს, გვესტუმრა ბატონი ვასო. მე ძალიან მიყვარს ეს ადამიანი. მიყვარს მისი სიყვარულით სავსე, დინჯი, ტკბილ-ქართული საუბარი, მისი ზუსტი, ბრძნული შეხედულებები სამყაროზე, ადამიანთა ურთიერთობებზე, ლიტერატურაზე, ხალხურ სიმღერაზე. სიკეთით სავსე ადამიანია, და თითქოს მამასთან მივდიოდე, ისე მიმიხარია ხოლმე მასთან.

ბატონი ვასოს სტუმრობის დროს გოდერძიმ დამირეკა ფასანაურიდან, ცოტა ხანს ვისაუბრეთ. ლაპარაკის დროს თვალი მოვკარი ბატონი ვასოს გაოცებულ სახეს. ვის ელაპარაკებაო? – ჰკითხა ჩემს მეუღლეს. პასუხის შემდეგ ისევ იკითხა: – ნინო ახლა ნამდვილ გოდერძი ჩოხელს ელაპარაკება?

მერე მითხრა, რომ ორივე ვაჟი – ლუხუმი და ხალიბა „ადამიანთა სევდაზე“ გაზარდა, რომ გოდერძი ჩოხელი მისი სათაყვანებელი მწერალი და რეჟისორია, რომ ერთხელ რაჭაში გოდერძის ყოფნისას, მან ნახა გოდერძი, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ ეს პატარა ბიჭი შეიძლებოდა ის ბუმბერაზი მწერალი ყოფილიყო, ვის სტრიქონებსაც ბატონი ვასო ზეპირად სწავლობდა და ესათუთებოდა. დიდხანს ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, გოდერძის შესახებ და ბოლოს, მითხრა: – ხომ ასე მიყვარხარ, ჩემო ნინო, იცოდე, ახლა უფრო ძალიან მიყვარხარ, რადგან ჩემი გოდერძის გვერდით ტრიალებ და შენც ასე უსაზღვროდ გიყვარს ჩვენი დროის უდიდესი ქართველი!

მერე მოკრძალებით მთხოვა, რომ თავის დიდ სიყვარულსა და მოწიწებას წერილის საშუალებით გამოხატავდა, და მე ეს წერილი მიმერთმია გოდერძისთვის. გოდერძის მისი წერილი რომ წავუკითხე, აღფრთოვანებით თქვა: – იშვიათად მინახავს ასეთი ტკბილი, ლამაზი ქართულით მოლაპარაკე ადამიანი. დიდი მადლობა გადაეცი ბატონ ვასილ მაისურაძეს. ეს წერილი კი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს, არა როგორც ჩემს სახოტბოდ დაწერილი, არამედ როგორც ქართული მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუში!

ვასრულებ გოდერძის ამ სურვილს და გთავაზობთ ბატონ ვასილ მაისურაძის მიერ გოდერძი ჩოხელისადმი მიწერილ წერილს, რომელიც 2007 წლის 27 ოქტომბერს დაიწერა.

ნინო ზედელაშვილი

ჩემო ბატონო გოდერძი!

მრავალტანჯული დედასამშობლოს დიდებულო შვილო და უღალატოზე უღალატო ჭირისუფალო!

მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით და პატივისცემით.

ღმერთმა ინება და ჩემი უმცროსი დაიკოს, ნინო ზედელაშვილის წყალობით გესაუბრებით პიროვნებას, რომლის სახელიც განგებამ თბილად ჩასახა ქართველი ხალხის გულში, სხვა საოცარ, სახელოვან მამულიშვილებთან ერთად მარადიულ მგზავრად რომ მიუყვება ტაძრისაკენ მიმავალ გზას მშობლიურ მზისქვეშეთში.

ბატონო გოდერძი! თქვენზე ფიქრისას, რასაც, მერწმუნეთ, ძალიან დიდი დრო და ადგილი უჭირავს ჩემს გულში, ათასგზის მომინდება ხოლმე მადლობა შევწირო განგებას, თქვენი ამ ქვეყნად მოვლინებისათვის. თქვენი სახით, ჩვენი სამშობლოს მადლიან მთასა და ბარში იარება განსწავლული, განბრძნობილი ხოგაის მინდია; უსმენს ბალახთა, ლიქენთა, მღიერთა, ლელიანთა, ბუჩქნართა, ნაძვნარ-სოჭნართა, ბერ-

მუხათა, ნიფლნართა თუ თელიანთა საოცარ მონათხრობებს. უსმენს: ცხოველთა, ფრინველთა, ნადირთა საუბრებს. მგლების ყმუილსა თუ არწივების ყაშყაშს, ვეჭვობ, თქვენებრ ღრმად ვინმე ოდესმე ჩასწვდომოდა ადამიანთა სევდას და თავისი მადლიანი სიტყვით თუ ფილმით მოეთხრო კაცობრიობისათვის დიდებული წინაპრებისა და თანამედროვეების, პირიქითა და პირაქეთა კავკასიელი ცოდვის შვილების ბედსა და უბედობაზე.

ბატონო გოდერძი! თქვენზე ფიქრისას, არ შეიძლება გონების ეკრანზე მთელი თავისი სიდიადით არ ნამოიმართოს ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველა და არ გაიჟღეროს მის მიერვე ამაყად თქმულმა:

„– უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა,
და როგორც მეფე გავათამამე,
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა,
მადლი მფენია მარჯვენაზედა,
იმ დალოცვილის მაღალის ღმრთისა“.

მაღალი ღმერთის მიერ მარჯვენაზე მადლდაფენილი ხართ თქვენც დიდ ვაჟასთან ერთად და მართალი სიტყვით და საქმით ემსახურებით კიდევაც მშობელ ხალხსა და ქვეყანას.

ბატონო გოდერძი! თქვენ რომ თქვენს არაგვს გული, გრძნობა და სიცოცხლე მიუძღვენით ორიოდე სტრიქონით: „ჭრელ ღილად დაგეკერები, მაგ მოლივლივე სულშია“. ღმრთისაგან მარჯვენაზე, გულსა და გონებაზე მადლცხებულ, თქვენი დიდი პაპის – ვაჟა ფშაველას სულიერ სამყაროში აღზრდილს სრული მორალური უფლება გაქვთ მაგ გრძნობით მიმართოთ არა მარტო არაგვს, არამედ ღმრთისა და დიდებული წინაპრების მადლით შექმნილ ქართული ეროვნული მწერლობის ოკეანის წმინდად მოლივლივე სულიერ სამყაროს – „ჭრელ ღილად დაგეკერები მაგ მოლივლივე სულშია“ – და ამ მიმართვაში ზედმეტი ნამდვილად არა იქნება რა.

ბატონო გოდერძი! საოცარი ამბავი, რომელსაც გოდერძი ჩოხელის ცხოვრება და მოღვაწეობა ჰქვია, ჩემს წარმოდგენაში ასე იწყება:

...ჟამი რომ ჩამოდგა განათვლისა, თვითონ მაღალ ღმერთს სათუთად მიუკრავს გოდერძი ჩოხელი მკერდზე, წმინდად მოკამკამ-მოლივლივე ოკეანედ დამდგარ ემბაზთან მიუყვანია, შიგ სამჯერ ზედიზედ ჩაუყურყუმელავ-ამოუყურყუმელავებია და სატირლად გამზადებული გოდერძისათვის თბილი, ძალიან თბილი ტემბრით ჩაუმღერებია: „იყუჩე ბალღოოუ! რაც აქა ხდება, ყველაფერი ჩემი ნებითა ხდება; ასე, ამ წესით ქართულ-ეროვნულ და მართლმადიდებლური სულიერი სამყაროის ამ წმინდად მოლივლივე ემბაზში ამოვნათლეო: – იოანე ზოსიმე, იოანე შავთელი, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, გიორგი მერჩულე, იაკობ ხუცესი, ლეონტი მროველი, დიდი რუსთველი, დიდი სულხან-საბა, დიდი დავითი, დიდი ილია, დიდი აკაკი, დიადი ვაჟა, დიდი ალექსანდრე, დიდი იაკობი, დიდი ივანე, დიდი გალაკტიონი, დიდი კონსტანტინე, დიდი ლევანი... იყუჩე ბალღოოუ! ეს ემბაზი მათი ცრემლებისაგან არის წარმოქმნილ-დაგუბებული და ამიტომაც არის ასე წმინდად მოლივლივე, ვინძლო, სიკვდილამდე წმინდად და უღალატოდ ემსახურებოდე; ძვირად გიღირდეს ამ ემბაზის თითოეული წვეთი, განსაკუთრებით კი შენი უშუალო წინაპრის, გოლიათი ვაჟას ცალი თვალიდან მოწურული თითოეული კურცხალი..."

მერე მაღალ ღმერთს პატარა გოდერძი მუხლზე დაუსვამს და მის ქათქათა სულსა და მკერდზე ტკივილით სავსე, სიცოცხლეზე მეტად საყვარელი სიტყვების დატანა დაუწყია, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით: „ლელა, ლუკა, ლაზარე, ქრისტე, ღმრთისმშობელი, ნინო, თამარი, ქეთევანი, ქართველი, მამული, სამშობლო, მშობელი, დედა, დედოალაგი, ადგილის დედა, დიდგორი, შამქორი, ბასიანი, მარაბდა, კრწანისი, არაგვი, არაგველები, ხევსური, ჩოხი, ჩოხელები, გუდამაყარი, გუდანი, ლომისა, ლუხუმი, ზეზვა, კვირია,

ანდარუხა, ლეგა, გარსია, თევდორე, წინაპარი, ჯვარი, ვაზი, პაატა, ცოტნე, ფარნავაზი, ვახტანგი, დავითი, დედა, ენა, ერეკლე... შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ხალიბა, ფოლადი, ხატი, ბეთლემი, სვეტიცხოველი... და ასე დაუსრულებლივ...

ბატონო გოდერძი! არა მგონია, მაღალ ღმერთს რომელიმე თავისი რჩეულის წინაშე ასეთი გულუხვობა გამოეჩინოს და ასე ხვავრიელად დაებერტყოს კიდეე ვინმეზე მადლიანი კალთა თვისი. ძვირად, მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნეში თქვენზე მდიდარსა და ნაწილიანს, სამივე ყარის – სულეთის, მზისქვეშეთისა და მიწისქვეშეთის მესაიდუმლეს, მცნობსა და მოზიარეს, მოზიარესა და საჭირო ქართველს გადმოებიჯებინოს და კვლავ იმედად დასდგომოდეს თავის მშობელ ხალხს!!? როგორ შეუმჩნევლად დასამდით და შეეზიარეთ ერთმანეთს დიდებაში, უკვდავებაში სამი გრძნეული, სამი ხატება, სამი გაბრძნობილი, სამი ნაწილიანი – ხოგაის მინდია, ვაჟა-ფშაველა, გოდერძი ჩოხელი!!!

ბატონო გოდერძი! ალბათ, ჩემი დაიკო, ნინო ზედელაშვილი, გიამბობდათ ჩემი ტრაგედიის შესახებ. ამა წლის ივნისის თვეში ესპანეთის დედაქალაქში დაიღუპა ჩემი სიცოცხლე და სიამაყე, ჩემი უფროსი ვაჟი – ლუხუმი. ბავშვობიდანვე, მამა-შვილი ერთად ვკითხულობდით: „ბახტრიონს“, „მგზავრის წერილებს“, „ქვათა ღაღადს“, „გმირთა ვარამს“, „ხოგაის მინდიას“, „დიდოსტატის მარჯვენას“, „ადამიანთა სევდას“, ეამაყებოდა, კატაპულტიდან გატყორცნილივით რომ გადაევლო ბახტრიონგალავანს მისი დიდებული წინაპარი ბერი-ლუხუმი თავის თოფ-აბჯარ-ხმალ-ხანჯლიანად; ვოცნებობდით, როდის წამოიმართებოდა მთელი თავისი სიდიადით ლაშარის გორზე ბერი ლუხუმი, და როდის დაგლეჯდა რკინის სალტეებს კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი და... ვიმედოვნებდი, თუ მე ვეღარ, ჩემი ლუხუმი და ხალიბა მაინც მოესწრებიან-მეთქი თავისუფალ საქართველოში ცხოვრებას... ოცნება საზარელმა ტრაგედიამ შეცვალა:

„საზარელია არყოფნა,
სხეულთან გაყრა სულისა,
ცივ სამარეში წაღება,
გრძნობებით სავსე გულისა...“

ბატონო გოდერძი! მერწმუნეთ, ლამაზად დაიტირეს ჩემი ლუხუმი, ყველას შეებრალა ლუკმა-პურის საძებნელად, სამშობლოდან უცხო ხალხსა და ქვეყანაში გადახვენილი რაინდი ჭაბუკი. ღვთით! მისმა ძმადნაფიცმა, ესპანეთში ვისთან ერთადაც წავიდა ჩემი ლუხუმი, შეუძლებელი შეძლო და ლუხუმის სხეული მშობლებს, ძმასა და ბიძა-ბიცოლას, ბიძაშვილებს თავისიანებსა და თავის სამშობლოს დაუბრუნა. ჩემი ლუხუმი დედა-ბუნებამაც გულით დაიტირა, გასვენების დღეს ისეთი დელგმა მოვიდა, წარღვნის დასაწყისი ეგონებოდა კაცს, ამის მიუხედავად, თავის შეფარებასა და უკან დაბრუნებაზე არავის უფიქრია. 3-4 კილომეტრი იმ წარღვნაში უმეტესობამ ფეხით იარა... ახლაც მგონია, თვით სიკვდილიც კი, ლუხუმის სამარესთან ჩვენს შორის იდგა დარცხვენილი და ცრემლიან თვალებს მუჭით იზელდა...

ბატონო გოდერძი! გასვენების მეორე დღეს, როცა ყველაზე მძაფრად შევიგრძენი ულუხუმობა და უიმედობა, როგორც განსხეულებული რამ საოცრება, წამოიმართა თქვენ მიერ ბოძებული წიგნიდან – „ბედი მდევარი“, – ლუხუმის სახის მეტყველება, ლუხუმის ღიმილი, ლუხუმის თვალები და ლუხუმის ხმის ტემბრი, დღემდე, მკერდისმიერი ღულუნა ხმით, სასურველი იმედით მავსებს: –

„მე დავბრუნდები სიკვდილის მერე,
ყვავილს მოგიტანთ საიქიოდან,
მოვიტან ღმერთის ლამაზ სიმღერებს,
და თვითონ ღმერთის იმედს მოვიტან...

„მე დავბრუნდები თავისუფალი სიკვდილისა და სიმარტოვისგან...“ „...მე აღარ ნავალ, მე აღარ ნავალ, მე აღარ ნავალ საიქიოში!„

ბატონო გოდერძი! ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოთ! ღმერთის რჩეული, ნაწილიანი ქართველი ბრძანდებით და ძალიან, ძალიან სჭირდებით თქვენს ხალხსა და სამშობლოს!

სამწუხაროდ, დასკვნა ერთია: – ქვეყანაში, სადაც ხევ-ხუვებსა და ტყე-ღრეში კი აღარ ემალებიან დღის სინათლეს დორაისხეველები, არამედ პარლამენტში სხედან და იქიდან შეჰყმუიან უაზროდ მთვარეს, ხალხსა და ქვეყანას, აქ ჩემი ლუხუმისა და ხალიბასთანებისათვის, ზეზვასა და კვირიას-თანებისათვის, ლელასა და ნინოსთანებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობები არასოდეს შეიქმნება. „შენ ჩემზე ბედ-ნიერი მამა ხარო", – მომაძახა სამძიმარზე მისულმა ბიძა-შვილმა ჩემმა, რომელსაც ლუხუმის ტრაგედიამდე ერთი კვი-რით ადრე ერთადერთი ვაჟის სხეულისგან ფერფლი ჩამოუ-ტანეს გერმანიიდან. გვიჭირს, ჩემო ბატონო გოდერძი, და ვინ, თუ არა გოდერძი ჩოხელმა და მისმა მსგავსმა მამულიშვი-ლებმა, არ ამოიღეს ხმა და არ გამოიღეს ხელი დორაისხეველთა გასაფანტავად?!

ბატონო გოდერძი! დაგღალეთ ამდენი საუბრით. მე თქვენი აზრის, სულის, სიტყვისა და საქმის მეხოტბე ვარ, ყოველთვის ვისურვებ თქვენს კარგად, ჯანმრთელად ყოფ-ნას; გოდერძი ჩოხელი ჰყავდეს ერს და არ ამაყობდეს ამით, არ ნატრობდეს მის ახალ ლექსს, ახალ წიგნს, ახალ ფილმს, წარმოუდგენელია. ათასგზის მადლობა განგებას, რომ თქვენ არსებობთ ამ ქვეყანაზე! ათასი მადლობა თქვენ ყველაფრი-სათვის, დამილოცნიხართ, ჩემო ბატონო გოდერძი:

– ძირს დედის მადლი გფარავდეს!
– მაღლა ღმერთს ებარებოდე!
ჯალაბას არჩივიმც ვიყვე,
ხშირად არ მენატრებოდე!

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით –

ვასო მაისურაძე,
2007 წელი

„მამას ყველაფერი ესმის და მეხმარება“...

მამას პატარაობიდანვე დავყვებოდი გადაღებებზე. 13 წლის ვიყავი, როდესაც ყაზბეგში, სოფელ ცდოში „სამოთხის გვრიტებს“ იღებდა. ინტერესით ვაკვირდებოდი კამერასთან მომუშავე მსახიობებს, ტექნიკურ პერსონალს, შიგადაშიგ ვეხმარებოდი კიდეც აპარატურის გადატანაში, შტატივის დაყენებაში და ასე შემდეგ. მალე იწყებდნენ „ლუკას სახარების“ გადაღებას, სადაც მთავარი როლი უნდა შემესრულებინა და ვიცოდი, მსახიობებზე დაკვირვება ძალიან წამადგებოდა.

ლუკა ჩოხელი, კადრი ფილმიდან „ლუკას სახარება“ 1997 წ.

ლუკას როლი ძალიან რთული იყო, თუმცა მაშინ სიღრმისეულად არ ჩავძიებივარ. მაინც ბავშვი ვიყავი და, ალბათ, ბავშვურად ვფიქრობდი – ჯერ ერთი, გმირი ჩემი სეხნია იყო; კიდევ ის, რომ მოქმედება მთაში ხდებოდა, მე კი მთა გამორჩეულად მიყვარს. ძალიან მომწონდა ჯვრიანი სამოსი, რომელიც საგანგებოდ ლუკასთვის მოქსოვეს; მიტაცებდა

„ძინგო-ძინგო მამიკო “, ნლინახევრის ლუკა მამასთან ერთად.

ფილმის ქრისტიანული თემატიკა, და ბოლოს, ძალიან მინდოდა კინოში გადაღება. ვფიქრობ, მაქსიმალური გავაკეთე ჩემი გმირისთვის, და ეს ბევრმა აღნიშნა. მახსოვს, ცნობილ მსახიობებსა დ არა მარტო ქართველებს, უძნელდებოდათ დაჯერება, რომ ეს როლი ჩემი დებიუტი იყო. მე კი ვიცოდი, რომ ამაში სხვა ფილმების გადაღებასა და მსახიობებზე დაკვირვება, მამისთვის დასმულ უამრავ კითხვაზე მიღებული პასუხები და მისი რჩევები დამეხმარა.

მამამ, „ლუკას სახარებას“ გადაღება რომ გადაწყვიტა, 13-14 წლის ბავშვი ვიყავი, ცოტა ჩაკეტილიც და არ ვლაპარაკობდი. მარტო ფილმის გადაღების დროს გაიგონებდით ხმას. ეს ალბათ გარდატეხის ასაკის ბრალი იყო, ან ღმერთმა ასე დაუშვა, რომ ამ ფილმში უნდა მეთამაშა.

მახსოვს, ტირილის ეპიზოდს ვიღებდით და ბუნებრივად რომ მეტირა, შესაბამისი განწყობა უნდა შემექმნა. მოულოდნელად ხარმა რქა მომარტყა ცხვირში და სიმწრისგან

ავტირდი. გოდერძის და ოპერატორს არ გამოპარვიათ ეს მომენტი და სასწრაფოდ ფირზე აღბეჭდეს. ასე რომ ფილმში გლიცერინი და სხვა საშუალებები აღარ დამჭირდა.

ბევრს ვმუშაობდი ტექსტზე, გადაღების წინ რეპეტიციასაც გავდიოდი და მერე დიდად აღარ მიძნელდებოდა თამაში. ვცდილობდი, 1-2 დუბლით გადამეღო, მაგრამ ხანდახან ვაფუჭებდი კადრებს და მამაც ბრაზობდა.

ყველაზე რთული ჯვარცმის გადაღება აღმოჩნდა – ჯვარაკიდებული დავდივარ, ბავშვები კი დამდევენ და ყვირიან: ქრისტე აღდგაო! დედა ამ ფილმში ერთ-ერთი მასწავლებლის როლს ასრულებს. დედა ამბობდა, რომ ჩემგან ჯვრის ტარების ეპიზოდი უმძიმესი საცქერი იყო – ყველა ტიროდა: მასწავლებლების როლის შემსრულებლები, ტექნიკური პერსონალი, უბრალო დამსწრეებიც. ფილმის დასრულების შემდეგ ხშირად მეკითხებოდნენ, თამაშის დროს რას გრძნობდიო. მე არ ვთამაშობდი, მე მაშინ იმ ლუკას ცხოვრებით ვცხოვრობდი. ახლა ვფიქრობ, იმ პერიოდში, როცა არ ვლაპარაკობდი, ეტყობა, შეუცნობლად ამ როლისთვის ვემზადებოდი. ფილმის დამთავრების შემდეგ ერთბაშად ავლაპარაკდი.

გოდერძიმ „ლუკას სახარება“ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით გადაიღო. ამ ფილმს თავისებური ისტორია აქვს. 1996-97 წლები იყო, მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო კინოსამყაროში თითქმის არაფერი ხდებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული და ერთი კარგი ქართველის, მაშინდელი ფინანსთა მინისტრის, ბატონი დავით იაკობიძის დახმარებით გოდერძის „სამოთხის გვრიტების“ გადასაღებად თანხა გამოუყვეს.

ფილმი მამამ რეკორდულ დროში, ორ კვირაში დაასრულა. ბრწყინვალე სურათი გამოვიდა. იმის გარდა, რომ „სამოთხის გვრიტებმა“ 1997 წელს კინო შოკზე გრან-პრი დაიმსახურა, ის ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფილმია და ძალიან მიხარია.

„სამოთხის გვრიტებისთვის“ გამოყოფილი თანხიდან მამას გარკვეული რაოდენობა დარჩა, ამ ფულით მას მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება შეეძლო, ზოგიერთები უკიჟინებდნენ კიდეც, მაგრამ გოდერძი რის გოდერძი იქნებოდა, ფული ჰქონოდა და ფილმი არ გადაეღო. ის თითქოს ხედავდა, როგორი იქნებოდა „ლუკას სახარება“.

ამ ფილმმა ძალიან ბევრი ჯილდო მიიღო, სმოლენსკის ფესტივალზე რუსეთის პატრიარქის განსაკუთრებული პრიზით დაჯილდოვდა, სასულიერო პირები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხს უჩვენებდნენ მას, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ გოდერძის ფილმებით ძალიან ადვილია ადამიანის რწმენაში შეყვანა და ამ რწმენის განმტკიცება.

2009 წლის 18 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა მართლმადიდებლური ფილმების IV საერთაშორისო ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“. ეს ფესტივალი დაფუძნებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით. ამ ფესტივალზე ჯილდოვდებიან ის ხელოვანები, ვინც თანამედროვე კინოხელოვნების საშუალებით ღვთის ჭეშმარიტი სიტყვა ხალხთან მიიტანა, კინოს ენით ადიდა უფალი, ქრისტიანულ სამყაროს დაანახა და გააცნო საქართველოს ისტორიული წარსული, ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა და დღევანდელობა.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა მთავარი პრიზი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ მამას მიანიჭა. პრიზის მისაღებად, როგორც ლუკას როლის შემსრულებელი და მისი ვაჟი, ბათუმში მიმიწვიეს. არ შემიძლია უდიდესი მადლიერება არ გამოვხატო პოეტ მარიამ წიკლაურის მიმართ, რომელმაც მოამზადა დაჯილდოების წინ წარსადგენი ტექსტი:

„სიტყვით ცოცხალი რწმენის მქადაგებელი, წუთისოფელში მარადიულობის აღმსარებელი, ორთავე სოფლის სევდისა და სიხარულის მოზიარე, ღვთისა და მოყვასის მსახური და ერთმანეთით მანუგეშებელი, ტანჯვიდან შვებამდე სასოებით მავალი, ხილულ-უხილავ სამყარო-

თა უპოვარი მგზავრი, საქართველოს უკვდავებითვის მავედრებელი, ღვთივსათნო გოდერძი ჩოხელი ჯილდოვდება „წმინდა ანდრიას ჯვრით“

ამ ტექსტის წაკითხვის დროს სცენაზე მდგომს საოცარი გრძნობა დამეუფლა: ვიყავი ძალიან ამაყი და ბედნიერი, ვგრძნობდი, რომ მამაც იქ იყო, ჩვენს გვერდით და უხაროდა, ვთქვი კიდეც სცენიდან, რომ გოდერძი ახლა ჩვენთან არის-მეთქი.

მამა თავის ნაწარმოებებსა და ფილმებს შვილებად აღიქვამდა. მწარედ მახსოვს, „ლუკას სახარებას“ გადაღების დროს, ჩემი ძმის – ნიკას და ჩემი გაროზგვისას, გოდერძი ბორია წიფურიას ეუბნებოდა, მაგრად დაარტყიო. სხვათა შორის, ნიკაც მართლა ტირის კადრში. იმ საღამოს კაცები სვამდნენ და მითხრეს, რომ სადღეგრძელო გვითხარიო, ჭიქა ავწიე და... ბორია წიფურიას დედის ასე და ისე მეთქი, – გამწარებულმა შევიკურთხე და ისევ დავდუმდი. ალბათ, გოდერძი იმ კადრის გადაღებისას შვილებად ვერც აღგვიქვამდა, ისე იყო ჩართული გადაღებაში – ეს საერთოდაც ახასიათებდა. შინ კი... თუ რაღაც არ მოეწონებოდა, გაფიცხდებოდა, მერე კი ჯავრობდა, ასე რატომ გაგიბრაზდითო და გვეფერებოდა.

კერძს თუ მოგვიმზადებდა, დაგვირეკავდა, მოდით, ყველაფერი მზად მაქვსო.

მე და ჩემს მეგობრებს მისი შემწვარი კარტოფილი, უგემრიელესი ხორციანი წვნიანი განსაკუთრებით გვიყვარდა. როგორც ყველა მშობელი, ბრაზობდა, თუ არ ვმეცადინეობდით, მაგრამ არ მახსოვს, მშობელთა კრებაზე მისულიყოს.

სამაგიეროდ, მახსოვს, ახლა რომ დავით აღმაშენებელის ძეგლი დგას, პირდაპირ დიდი მოედანი იყო და მამას იქ დავყავდი – ჭიანჭველებსა და ჭიამაიებს ქვებითა და ჯოხებით სახლს ვუშენებდით... ერთხელ ოთახში კალია შემოხტა და ჭაღზე დაჯდა. მოსაკლავად მივვარდი. არ მოკლაო, – გოდერძიმ მთხოვა. ფეხებში მოვკიდე ხელი და გარეთ გავსვი. სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო. ბუზის მოკვლასაც არ მანებებდა.



ლუკა ჩოხელი, ქისტეთში გადაღების დროს

ერთხელ, მამაჩემთან და ბატონ კარლო მჭედლიძესთან ერთად სანადიროდ წავედი. ფეხბურთელი ლევან მჭედლიძეც გვახლდა. პატარა ჩიტი მოვკალით, კარლომ კი წერო მოკლა. გოდერძი სადღაც დაიკარგა, წავედით მოსაძებნად და რას ვხედავთ, – ეს წერო დაუსაფლავებია და სანთელი აუნთია ზედ. კარლო გადაირია, სანადიროდ აღარ ნავალო. ის ჩიტი შევჭამეთ. გოდერძის წეროს სიკვდილი ეწყინა და არ შემოგვიერთდა.

მე და ნიკას სულ აქეთ-იქით დაგვატარებდა. ცურვიდან რომ გამომიყვანდა, ქადას მიყიდიდა, სულის მოსათქმელად და კინოსტუდიაში წამიყვანდა – მანქანის ტარებას მასწავლიდა. ერთხელ კამოს ქუჩაზე, ქორწინების სახლის გვერდით ველოსიპედების მაღაზიაში შემიყვანა და მითხრა: თუ ახლა ამ ველოსიპედს გაატარებ, გიყიდიო. გამოვიყვანეთ გარეთ და გავატარე. გაოცდა: სად ისწავლე ტარებაო და, რა თქმა უნდა, მიყიდა. სიტყვის კაცი იყო.

მე არაპუნქტუალური ვიყავი, ყველგან მაგვიანდებოდა და ამაზე ყოველთვის ბრაზობდა – თვითონ ძალიან მოწესრი-

ფილმის „ლუკას სახარება“ გადაღებაზე. 1997 წ.

გებული იყო. „ლუკას სახარებას" გამოსვლის შემდეგ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ გოდერძიმ გადამაფიქრებინა. ისეთი დრო იყო, ქართული კინო თითქმის აღარც არსებობდა. საბოლოოდ, ჯერ დიპლომატიის ფაკულტეტი დავამთავრე, მერე – საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

ჩემმა ძმამ – ნიკამ თეატრალური ინსტიტუტის ტურიზმის მენეჯმენტის ფაკულტეტი დაამთავრა. რეჟისურა ორივეს გვაინტერესებს. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ხომ არ დავწერო რაღაც, მაგრამ ვფრთხილობ – მამასავით ვერ გამომივა და... ისე კი, ერთ-ერთი მაინც უნდა გავყვეთ მამის კვალს. გოდერძის სცენარი დარჩა – „ვარდისფერი კაცი", რომლის გადაღების დეტალები ბატონებმა: გივი ბერიკაშვილმა, კახი კავსაძემ და ირაკლი ტრიპოლსკიმ კარგად იციან.

გოდერძის არ დასცალდა ამ სცენარის განხორციელება და ძალიან მინდა გადავიღოთ...

ძალიან მოგვაკლდა გოდერძი, თუმცა მის სულიერ თანადგომას ყოველთვის ვგრძნობთ. უცნაურია – თითქოს თავისი ავადმყოფობით ნელ-ნელა შეგვაგუა უიმისობას. სიცოცხლეში ცდილობდა, რომ არ გვეგრძნო მისი გასაჭირი, თუმცა ფაქტი იყო, რომ ავადმყოფობა ერეოდა, გვეუბნებოდა, თქვენც გაგანვალეთო. ამ გასაჭირს ვუგებდით და მხარში ვედექით. თავის მოკვლის სურვილი რომ ჰქონდა, ძალიან განვიცდიდით. ვცდილობდით, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაგვეტანა. იყო მომენტები, როცა ეს ავადმყოფი კაცი თვითონ გვაძლევდა ცხოვრების სტიმულს. გვეტყოდა, მე ცუდად ვარ, მაგრამ თქვენ – არა, თქვენ ახალგაზრდები ხართო. ბოლოს გვკითხა, მე რა გაგიკეთეთ და რას გიტოვებთო. ვუთხარი, შენ ყველაზე დიდს გვიტოვებ, სახელსმეთქი. ძალიან გაუხარდა და გაიღიმა.

ხშირად მომანვება ხოლმე მონატრების სევდა, მაგრამ უცებვე რაღაც ამოუცნობი გრძნობა ენაცვლება – სიხარულს ჰგავს. ეს მიქარწყლებს ტკივილს და დარდს. რაღაც ძალა მეხმარება და ვხვდები, რომ მამას ყველაფერი ესმის და მეხმარება... თითქოს კარგ ადგილას არის...

იმანაც შვება მოგვცა, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში რომ დაიკრძალა... ხშირად მესიზმრება, მაგრამ ვგრძნობ, ეს მთლად სიზმარი არ არის, უფრო ცხადს ჰგავს. მახსოვს, მამას საფლავის ქვას ვაკეთებდი, რამდენიმე ვარიანტს ვარჩევდი. ისეთი მინდოდა, რაც დედათა მონასტრის ეზოს შეეხამებოდა.

ხევსური ბიჭის პაატა გიგაურის რჩევით, ქართული ქვის გაკეთება გადავწყვიტე. მაშინვე გოდერძი დამესიზმრა თუ გამომეცხადა. თითქოს ქვაზე ლაპარაკს გაურბოდა, ბოლოს მითხრა, არაფერი მინდა, მონასტრის შესასვლელთან რომ ხეა, იმაზე წააწერეთ ჩემი სახელი და გვარი, ხალხმა რომ იცოდესო. მერე ავუხსენი, პაატა აკეთებს ქვას-მეთქი და გაიხარა – მოეწონა იდეა.

მერე ვკითხე: მამა, საზვერეები როგორ გაიარე-მეთქი? კარგად გავიარე, წინაპრები მეგებებოდნენ: მართალი გოდერძი მოდისო. მამა გაბრიელი დაგეხმარა? – ჩავეკითხე.

– მამა გაბრიელიც და წინაპრებიცო, – სიხარულით მითხრა. მე კი ვხვდებოდი, ეს ხილვა მალე დასრულდებოდა... და ასეც მოხდა. ერთხელ კიდევ, ასეთი „შეხვედრისას" ვკითხე: არ შეიძლება, სულ ასე გაგრძელდეს-მეთქი?

– არაო, – ღიმილით მიპასუხა, – მაგრამ შენ ამას ვერ ჩასწვდებიო...

გოდერძის ძალიან უნდოდა, დედამისის საფლავის ქვაზე თავისი საყვარელი ფრაზა ყოფილიყო, მაგრამ არ დასცალდა... ის სიტყვები მერე მისი საფლავის ქვას წავაწერე:

„რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა"...

ლუკა ჩოხელი,
გოდერძი ჩოხელის უფროსი ვაჟი

გოდერძის ღმერთი აძლევდა სასიცოცხლო ძალებს

მე და ლუკა პატარები რომ ვიყავით, მამას ხშირად დავყავდით ტყესა და მინდორში ჭიამაიების სანახავად. დაღლილიც რომ ყოფილიყო, მაინც არ ეზარებოდა, უხაროდა ჩვენთან ერთად სიარული. ჭიამაიები ძალიან უყვარდა, დედამისთან ამბებს აბარებდა-ხოლმე.

საბავშვო ბაღში სიარული არ მომწონდა, გოდერძის მაინც დავყავდი. ერთხელ ბაღში რემონტი იყო, გამიხარდა და ვუთხარი: მამიკო, რემონტი რომ დამთავრდება, მე ჩონჩხი ვიქნები-მეთქი. იმდენი იცინა, სულს ვეღარ ითქვამდა.

ერთხელ მამა ლუკას დილომში, ხეივანში ასეირნებდა. დაინახეს: ზურა ქაფიანიძე მოაბიჯებს თეთრი ნვერით და სვანური ქუდით. ლუკას გაუხარდა: „მამიკო, მამიკო, ნახე თოვლის ბაბუა მოდისო". გოდერძის უყვარდა ჩვენი ბავშვობის ამბების მოყოლა.

ახლა, როცა მამა აღარ არის, ხშირად ვფიქრობ მის საოცარ დამოკიდებულებაზე ჩვენს მიმართ. ის ერთდროულად თითქოს მამაც იყო, ბაბუაც, თანატოლიც, უყვარდა ჩვენი მეგობრები, მათთან საუბარი. დედა ზოგჯერ რაღაცას გვიკრძალავდა, მამა პატივს გვცემდა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას გვაძლევდა.

სანამ ავად გახდებოდა, გოდერძი სიცოცხლით სავსე, აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, სულ საქმიანობდა, გაჩერებულს ვერ ნახავდი. მე და ლუკას უსაქმოდ რომ დაგვინახავდა, ძალიან ბრაზდებოდა: წიგნები წაიკითხეთო, მისი რჩევით ბევრი კარგი წიგნი წავიკითხე.

გადაღებების დროს მე და ლუკა ხშირად დავყავდით გადამღებ ჯგუფთან ერთად. მამა შატილში „მიჯაჭვულ რაინდებს" იღებდა. ამ ფილმში მეც ვთამაშობ ბესო ხიდაშელთან ერთად. 12-13 წლის ბიჭი ვიყავი, სულ დავრბოდი, გრძელი ანაფორა ფეხებში მებლანდებოდა და სალტოებს ვაკეთებდი. გოდერძი დამდევდა და მეჩხუბებოდა: რატომ დაისვარეო.

„ლუკას სახარებაში“ ლუკა მთავარ როლს ასრულებს. მე კი, პატარა ბიჭს ვთამაშობ, რომელსაც ჩანთაში აღმოჩენილი ყველის და პურის გამო დირექტორის ბრძანებით გაროზგავენ. გაროზგვის ამბავი ძალიან არ მომეწონა და გაბრაზებულმა ვუთხარი მამას: „შემომხედე, მეყველპურე ბიჭს ვგავარ?! თუ გინდა ვინმე მსუქანი იპოვე-მეთქი“. მაინც გადამიღეს. გოდერძის აფციაურისთვის ჩუმად უთქვამს: მაგრად დაარტყიო. იმანაც დამარტყა, მეტკინა, მაგრამ ტკენაზე მეტად მეწყინა, რომ გამლახეს და ავტირდი. კადრში ჩანს, გაბრაზებული თვალებით რომ ვუყურებ ჩემს „დამსჯელებს“. მამას კი ვუთხარი: „ერთი კადრიც რომ გადაგელოთ, ყველას გაგინებდით და გავიქცეოდი-მეთქი“ გოდერძიმ ამაზე ბევრი იცინა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან ბუნებრივი და კარგი კადრი გამოვიდა.

ფილმის გადაღების დროს ყოველთვის ნერვიულობდა, მაგრამ კინოგადაღების პროცესი იმდენად საინტერესო იყო, რომ უიმისოდ მამას არსებობა არ შეეძლო. მუშაობის პროცესში ზოგჯერ განმარტოვდებოდა, რაღაცას ფიქრობდა თავისთვის, ვინმე თუ მივიდოდა და დაელაპარაკებოდა, ბრაზდებოდა, თავიდან იშორებდა. არ უყვარდა, როცა ფიქრში ხელს უშლიდნენ. მსახიობებს სიამოვნებდათ მასთან მუშაობა, ხშირად გამიგონია მათგან: „ასეთ რეჟისორთან არ გვიმუშავიაო“. გოდერძი ზედმეტად არავის აწუხებდა, ყოფილა შემთხვევა, რომ რამე არ მოსწონებია, მაგრამ ცუდს არავის აკადრებდა. ალბათ, ამიტომაც მსახიობებს ძალიან უადვილდებოდათ და უხაროდათ მასთან მუშაობა.

ბოლო ფილმი, რომელიც მამამ გადაიღო, იყო „სიყვარულის ცეცხლი“. იმ პერიოდში ახალი გამოსული იყო საავადმყოფოდან, თავს ცუდად გრძნობდა. შეიძლება ნანობდა კიდეც, ასეთი საშინელი დარტყმა რომ მიაყენა საკუთარ თავს.

გადაღებები ყაზბეგში მიმდინარეობდა. ერთ ოთახში ვიყავით მე, მამა, გივი ბერიკაშვილი და მისი ვაჟი –

ზურა. ყველა ეფერებოდა გოდერძის. მახსოვს, მამა მთელი პასუხისმგებლობით მუშაობდა ფილმზე, მაგრამ თან თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა. ფილმი დაახლოებით 10 დღეში გადაიღო, გადაღების ბოლოს თითქოს გამოცოცხლდა, ძალა მიეცა, გივი ბერიკაშვილს და თამარ სხირტლაძეს უთხრა: „ახლა, დაფინანსება რომ მქონდეს, ერთ დიდ ფილმს გადავიღებდიო“.

ეს ნატვრა ნატვრად დარჩა. მამამ ფილმი ვეღარ გადაიღო.

„ლუკას სახარებას“ გადაღების დროს მამამ მე, ჯიმი ქრისტესაშვილი (ოპერატორი) და ჯგუფის ორი წევრი: ვახო და ტარიელი ბუსარჭირში ნაგვიყვანა. ბუსარჭირი ულამაზესი ადგილია, გზადაგზა გოდერძი დედისეული ბანიანი სახლის შესახებ გვიყვებოდა. ქედზე აგვიყვანა, საიდანაც გუდამაყრის ზღაპრული ბუნება თითქოს ხელისგულზე დაგვიდო. იქ პატარა სუფრა გავშალეთ. ცოტა ხანში ვახომ თქვა: „რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამ და ნახეთ, რას ვიზამ“ მართლაც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და არყის ბოთლი ამოთხარა. ავღელდი, ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩემზე, მოგვიანებით მოთხრობა დავწერე: „ვახოს ბოთლი და გოდეს სამყარო“.

გოდერძის ძალიან მოსწონდა ეს მოთხრობა და დააბეჭდვინა კიდეც ერთ-ერთ გაზეთში.

გუდამაყარი, მართლაც, გოდეს სამყარო იყო, მთაზე გიჟდებოდა, მთაში რომ იყო, სიცოცხლე ემატებოდა თითქოს.

ჩოხი უზომოდ უყვარდა, იქ ყოფნისას, ვისაც ნახავდა, ახალგაზრდას თუ მოხუცებულს, ყველას ელაპარაკებოდა და ესიყვარულებოდა.

2006 წლის აგვისტოში, მარიამობაზე მამის მეგობარმა ზაქრო ნიკლაურმა პირიმზე ფუძის ანგელოზს მამას სახელზე ბატკანი შესწირა. მამასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ვერ შეძლო. ზაქროს მოსვლა ძალიან უხაროდა გოდერძის, ორივეს საოცარი იუმორი ჰქონდა და ისე ხუმრობდნენ და ხარხარებდნენ, ყველას იყოლიებდნენ.

გოდერძი ჩოხელი და ზაქრო წიკლაური

მამა ძალიან თბილი და ყურადღებიანი იყო, თუ გაგვიბრაზდებოდა, მერე ცდილობდა, ისე გავეხარებინეთ, რომ ის გაბრაზება აღარც გვახსოვდა. უყვარდა საჩუქრების მოტანა.

შინაგანად უმდიდრესი ბუნების, საოცრად სუფთა ადამიანი იყო. ყოველდღიურობაში თითქოს არ ჩანდა მისი მაღალი სულიერება. მამას ხშირად ჰქონდა ხილვები, ხედავდა ჩოხელებს, დიდ წინაპრებს, საქართველოს, ხილვები გარდაცვალებამდეც ჰქონდა.

ერთხელ ძალიან ცუდად გახდა. სისხლძარღვების შევიწროების გამო ხელ-ფეხი ეყინებოდა, მასაჟი გავუკეთე და ძალიან ესიამოვნა. ვფიქრობ, გოდერძის ღმერთი აძლევდა სასიცოცხლო ძალებს. ექიმებს უკვირდათ, ბევრჯერ იყო სიკვდილის მდგომარეობაში და თითქოს რაღაც ძალა აგდებდა სიკვდილს.

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, როცა მე და ლუკას რამე გვიჭირდა, მამა ისეთ რაღაცას იტყოდა, აუცილებლად სწორ გზაზე დაგვაყენებდა. გოდერძი თავისი ბუნებით ჭეშმარიტი ქრისტიანი, საოცრად მოსიყვარულე და მიმტევებელი იყო.

ნიკა ჩოხელი,
გოდერძი ჩოხელის უმცროსი ვაჟი

ნიკა და ნინო, ფასანაური

შატილი. ფილმის „მიჯაჭვული რაინდები“ გადაღებაზე, ნიკა და გოდერძი ჩოხელები, ჯიმი ქრისტესაშვილი, თამაზ გოგინაშვილი 1998 წ.

„ასეთია ღვთის ნება, უნდა შევეწირო გოდერძის“...

გოდერძისა და ნინოს ურთიერთობა თავიდანვე თითქოს რაღაც არამიწიერი, ამაღლებული და საოცარი სილამაზით იყო სავსე. გოდერძიზე რომ იწყებდა ნინო ლაპარაკს, ვხვდებოდი, ეს განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი ურთიერთობა იყო, და ამ ყველაფრის მონაწილე მეც ვიყავი.

წარმოშობით პოლონელი ვარ, ქართული ნინომ შემაყვარა, ხშირად მიკითხავდა გოდერძის წიგნს, მის ახალ მოთხრობებს. ნინო კარგად კითხულობდა, თითქოს სულის მხრიდან მაჩვენებდა ყველაფერს. იმ პერიოდში გოდერძის ფილმმა „ადგილის დედა“ ობერჰაუზენის ფესტივალზე გრან-პრი მიიღო, გამოვიდა მისი წიგნი „ბინდისფერი ხეობა“, მასზე, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედზე ბევრი იწერებოდა და უკვე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა გოდერძის შესახებ.

ნინო მელაშვილი და მისი რძალი ტატა ადამეცკაია-მელაშვილი. 1980 წ.

რუსთაველზე, თეატრის გვერდით პატარა კაფე იყო, გოდერძი იქ გავიცანი. მე და ნინო შესახვედრად რომ მივდიოდით, ისეთი აფორიაქებული ვიყავი, მეგონა მივფრინავდი. გოდერძი კაფეში დაგვხვდა. „Он был необыкновенно простой, над ним был какой-то свет"

ნინო აღფრთოვანებული იყო გოდერძი ჩოხელით და მეც ასევე აღვიქვამდი მას. ის, მართლაც, განსხვავდებოდა ყველასგან. იმ პერიოდში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა ხელოვანი გამოჩნდა, მაგრამ გოდერძი მათ შორის გამოირჩეოდა – სიკეთის განსახიერება იყო, თუმცა ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, რომ გაორებული იყო. გოდერძი სიკეთეს აფრქვევდა, მაგრამ თუ ხედავდა ზნეობრივი ნორმებიდან გადახრას, ან უღირს საქციელს, შეიძლება მკაცრი და დაუნდობელიც ყოფილიყო.

მე, დათო (ნინოს ძმა) და ნინო ხშირად დავდიოდით კინოსტუდიის საერთო საცხოვრებელში მეგობრებთან, მსახიობებთან – დარეჯან ხარშილაძესთან, მზია არაბულთან, ლაურა რეხვიაშვილთან და, გოდერძისთან ერთად, ბევრი ლამაზი საღამო გავატარეთ. ჩემი დედამთილი – ნათელა ნერვიულობდა, გოდერძის იცნობდა, მისი ნაწარმოებებიც მოსწონდა, მაგრამ გოდერძის სასიძოდ ვერ აღიქვამდა. ვიღაცას უთქვამს, მთიულები მოჩხუბარები არიანო, თან გოდერძი გამხდარი იყო, არაფერი არ ებადა სახელის გარდა.

1982 წელი იყო. ერთ საღამოს, საერთო საცხოვრებელში ყოფნის დროს, გოდერძი და ნინო განცალკევებით საუბრობდნენ, წამოსვლა რომ დავაპირეთ, ნინომ კატეგორიული უარი განაცხადა შინ დაბრუნებაზე. ნინო არ ღელავდა, მე ვეხვეწებოდი, დავუჩოქე კიდეც, მაგრამ მან მშვიდად მითხრა: „მე ვრჩები, ალბათ ასეთია ღვთის ნება, უნდა შევეწირო გოდერძის". ამ საუბრის დროს გოდერძი გავიდა.

შინ უნინოოდ დაბრუნების მეშინოდა და დათოს მამიდაშვილთან – მანანასთან წავედი. მერე ქორწილიც გადავიხადეთ. გოდერძის მთელი არსებით უყვარდა ნინო, სულ

ქართალი. გოდერძი დის – ელისოს ეზოში. ნიკა ჩოხელი, იოსებ მელაშვილი, გოდერძი, კახა ჩიტაური (დისშვილი), ბექა შარმაიძე (დის შვილიშვილი)

მასზე ლაპარაკობდა. მახსოვს, ბირთვისში ვიყავით მე, დათო და გოდე, იქ სტალაქტიდებივით სიპი კლდეებია, გოდერძი კატასავით დაძვრებოდა კლდეებზე. აძვრა ერთ მაღალ კლდეზე და იქიდან გვიყვიროდა: ნინოს სადღეგრძელო დალიეთ, თორემ აქედან არ ჩამოვალო.

მთა გოდერძისთვის სამოთხე იყო, ქალაქში ადგილს ვერ პოულობდა, ადამიანებთან ურთიერთობა უჭირდა. მტკვრის პირას განმარტოებული ნამდვილი გოდერძი იყო. თითქოს მთლიანად ერწყმოდა ბუნებას, ბუნების სიყვარული ასაზრდოებდა. ბალახზე, ყვავილზე ფეხის დაბიჯება უჭირდა. მეჩვენებოდა, რომ ბალახი იყო გოდე, ყვავილშიც გოდერძი იყო და თითქოს მას აბიჯებდნენ ცხოვრებაში.

საოცარი აზრია მის ლექსში:

„ნამში სამყარო ჩანს“.

ასე მგონია, გოდერძი იყო ის ნამი და მასში ჩანდა სამყარო.

გოდერძისთან ურთიერთობა ყოველთვის გუდამაყართან

ასოცირდება, ჩოხში ასვლა ნამდვილი ზეიმი იყო. ფასანაურ-შიც ყველაფერი მას უკავშირდება. ბოლო დროს ჩოხში ვე-ღარ მიდიოდა და ერთ თვეს მაინც ფასანაურში ატარებდა. დილით ეზოში გამოვიდოდა, ჩიტების ჭიკჭიკი ახარებდა, ხან ფისოს გამოელაპარაკებოდა. თუ კარგად გრძნობდა თავს, ტყეში ან არაგვზე მიდიოდა, მთის წვერზე უყვარდა ასვლა და განმარტოება.

გოდერძი ვერ იტანდა დალევას, როცა სვამდა, თითქოს რაღაცას გაურბოდა, ებრძოდა, საშინლად იტანჯებოდა. ეს პრობლემა იყო.

გოდერძის შვილები უზომოდ უყვარდა, ოღონდ ლუკას და ნიკას მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ხალხ-ში არ ავლენდა. სულ ვფიქრობდი, რომ მას გამძაფრებუ-ლი ჰქონდა მამობის ინსტინქტი. თვითონ მთელი ცხოვრება აკლდა მამის სიყვარული, სითბო, თანადგომა და, ალბათ, ცდილობდა კიდეც, რომ მის შვილებს არასოდეს განეცადათ ამგვარი ტკივილი.

ბოლო დროს გალიაში გამომწყვდეულ ჩიტს ჰგავდა, უფრო ზუსტად კი – თავის ცასწავალას, რომელსაც თითქოს ფრთები დააგლიჯეს, არ მისცეს ფრენის საშუალება.

ის კი... მაინც გაფრინდა.

ტატა ადამეცკაია-მელაშვილი

„სავსე იყო ნინოს სიყვარულით“...

გოდერძი პირველად ქუჩაში ვნახე, მე და ნინო რუსთაველზე მივდიოდით. მისი ნაწარმოებები უკვე იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში“. დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი და ძალიან მომწონდა. მასთან შეხვედრამ უზომოდ გამახარა. სხვანაირს ველოდი, ის კი ისეთი გამხდარი იყო, შემეცოდა. სასიძოდ, გოდერძის ვერ წარმოვიდგენდი, მთის კაცი იყო და მთის ხალხზე ერთი ჩემი ნათესავი ამბობდა, მოჩხუბრები არიანო.

1983 წელს ნინო და გოდერძი დაქორწინდნენ. ქორწილი სახლში გადავიხადეთ და მერე ბიჭვინთაში საქორწინო მოგზაურობაში წავიდნენ. ნინო უკვე ფეხმძიმედ იყო და ხშირად შეუძლოდ გრძნობდა თავს, ამიტომ, სასწრაფოდ, მეც ბიჭვინთაში გამომიძახეს. ნინო და გოდერძი საუკეთესო სასტუმროში ცხოვრობდნენ, ორი ოთახი ჰქონდათ. ერთ ოთახში მე დამაბინავეს.

ერთხელაც, ღამე სიცილმა გამომაღვიძა, დილამდე ორივენი თავშეუკავებლად ხარხარებდნენ, მერე მითხრეს, თურმე, გოდერძი ნინოს „სამოთხის გვრიტებს" უყვებოდა, რომელიც 13 წლის შემდეგ არაჩვეულებრივ ფილმად აქცია.

ჯერ კიდევ 1983 წელს, მან უკვე იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ფილმი. ბიჭვინთიდან ერთად ჩამოვედით, გოდერძი ხუმრობდა: ბედი არ გინდა, საქორწინო მოგზაურობას სიდედრთან ერთად რომ გაატარებო?!

თუმცა, როგორც სიძეს და სიდედრს, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ახალი დაქორწინებული იყვნენ ნინო და გოდერძი, ჩემმა ნათესავებმა საგარეჯოში, რთველში რომ დაპატიჟეს. საღამოს კარგად უქეიფიათ, აივნის წინ თუთის ხე მდგარა, გოდერძი ამძვრალა იმ თუთის ხეზე და გაიძახოდა: ჩემი სიდედრი მიყვარს, ნათელა მიყვარსო. მოგვიანებით ჩემი ნათესავები იცინოდნენ, გოდერძიმ იმდენი იძახა, სიდედრი, სიდედრი, ის თუთის ხე გახმაო.

გოდერძი საოცარი ადამიანი იყო. იშვიათად მინახავს ასეთი განათლებული და ღრმა აზროვნების ახალგაზრდა. სულ შრომობდა, როდის ასწრებდა ცოდნის დაუფლებას – ვერ ვხვდებოდი, მას ბევრი რამ უფლისგან ჰქონდა ნაბოძები. ის ძალიან მზრუნველი, ყურადღებიანი მეუღლე და მამა იყო. გადაღებიდან დაბრუნებულ გოდერძის არასოდეს ეზარებოდა ბავშვების გასეირნება, მათთან თამაში, მოვლა. სავსე იყო ნინოს სიყვარულით. ჩემს მიმართაც ძალიან დიდ ყურადღებას იჩენდა, წიგნის ან ფილმის ჰონორარს თუ აიღებდა, აუცილებლად ფულს მეც მაჩუქებდა. საერთოდ, ადამიანების გახარება, მათზე ზრუნვა გოდერძის დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მას არაჩვეულებრივი დედა ჰყავდა. გოდერძიმ ძალიან განიცადა ლელას გარდაცვალება და ნინოს ხშირად ეუბნებოდა: დედა ხშირ-ხშირად ინახულე, გაახარე, თორემ მერე საშინელი მონატრება დგება და გული დაგწყდებაო.

ძალიან ახალგაზრდა, სიყვარულით სავსე, დაუხარჯავი წავიდა გოდერძი, უამრავი რომანის თუ მოთხრობის ველარ-დამწერი, ბევრი ლამაზი ფილმის ველარ-გადამღები.

ნათელა მჭედლიძე – ნინო მელაშვილის დედა

ნინო და გოდერძი

ჯ. კასრაძის ფოტო

კაცთმოყვარე

ჩემი და გოდერძის ნათესაობა ადამიანებს ხშირად გაჰკვირვებიათ. მამაჩემის დედა – ირინე წიკლაური და გოდერძის დედის – ლელას მამა ივანე წიკლაური და-ძმანი იყვნენ. ასე რომ, გოდერძის დედა და მამაჩემი იაკობ ტრიპოლსკი ალალი ბიძაშვილ-მამიდაშვილები გახლდნენ. ირინე ბებო სიცოცხლის ბოლომდე ფასანაურში ცხოვრობდა, ბავშვობაში ზაფხულობით ბებოსთან ჩავდიოდი და ყოველ წელს ლელასთანაც მივდიოდით ჩოხში ან ბურსაჭირში, სადაც ბებიაჩემისა და გოდერძის პაპისეული სახლი იდგა. სახლიც არ ჰქვია, პატარა მინური ოთახია, საზაფხულო საცხოვრებელი. იმ სახლში ლელა, მამაჩემი და ოლიკო მამიდა ერთად ცხოვრობდნენ. ერთი ღამე მეც გავატარე.

ბურსაჭირისკენ მიმავალი გზა ულამაზესია, ფერდობები ნაირფერი ყვავილებით და იმხელა ბალახით არის შემოსილი, ცხენიანი კაცი დაიმალება. მე და მამას ძალიან გვიყვარდა ჩოხში ასვლა. შავ არაგვში კალმახიც მოშავო, წითელწინწკლებიანია. მამაჩემს თევზაობა უყვარდა და ანკესით მოდიოდა ხოლმე. მისი თევზაობა გოდერძიმ მოგვიანებით ერთ-ერთ მოთხრობაში აღწერა კიდეც.

მე გოდერძიზე 3 წლით უფროსი ვიყავი და ჩოხში ყოფნისას ვდიდობდი, მას, როგორც პატარა ბიჭს ისე ვუყურებდი.

1969 წელს ჯერ თბილისში, მერე კი დუშეთში აღინიშნა მამაჩემის 50 წლის იუბილე. მე მაშინ I კურსზე ვიყავი, გოდერძი VII-VIII კლასში იქნებოდა, – 15 წლის. დუშეთში მამას საიუბილეო საღამოზე გოდერძი სცენაზე ავიდა და საკუთარი ლექსი წაიკითხა. დარბაზი კინაღამ დაინგრა ტაშით. მეც გაოცებული დავრჩი. გოდერძის მანამდე ერთ ჩვეულებრივ ბიჭად მივიჩნევდი, რომელიც გუდამაყრის ფერდობებზე, მთებზე დარბოდა და ასეთი სიძლიერის ლექსს არ მოველოდი.

მამას ძალიან მოსწონდა გოდერძის პოეზია. მსახიობებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრების

დროს კითხულობდა და ამაყობდა, რომ გოდერძი ასეთი ნიჭიერი იყო.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ის ჩვენთან ჩამოვიდა და გამოაცხადა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში უნდოდა ჩაბარება. ძალიან გაგვიკვირდა. მამა გაჰყვა, შეაგროვეს საჭირო საბუთები და ინსტიტუტში შეიტანეს. იმ წელს კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე მიღება არ იყო, გოდერძის კინომცოდნეობაზე უნდა ჩაებარებინა. მამამ იცოდა გოდერძის ნიჭიერება, მაგრამ გამოცდის წინ მაინც ღელავდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გოდერძის მიერ დაწერილმა „განხილვამ" (ლექსი დაწერა) ააფორიაქა, გააოგნა და გაახარა საგამოცდო კომისია.

გოდერძის ჩარიცხვამ მამა გაახარა. მე არ ჩამაბარებინა თეატრალურზე, 21 წლის რეჟისორი ვის გაუგია, ჯერ ჰუმანიტარული ფაკულტეტი დაამთავრეო.

გოდერძი ჩვენთან ცხოვრობდა, ერთ ოთახში გვეძინა. საერთო საცხოვრებელშიც ჰქონდა ოთახი და ზოგჯერ იქ რჩებოდა. მე რომ დამეგვიანა, ოჯახში პანიკა იწყებოდა. გოდერძი თუ არ მოვიდოდა, ჩვენებმა იცოდნენ, რომ საერთო საცხოვრებელში იყო. მამაჩემი ზოგჯერ მიდიოდა და ამოწმებდა.

IV კურსის სტუდენტი ვიყავი, მთვრალი მივედი სახლში, გოდერძი არ დამხვდა, დედაჩემი ნერვიულობისგან აქეთიქით დადიოდა, მამაჩემი იჯდა და თარგმნიდა. გოდერძი მოვიკითხე, იაშამ ჩამოწია სათვალე და მითხრა:

– დალია, იჩხუბა და დაიჭირეს. 3 სახალხო არტისტი მივედით სათხოვნელად, რომ გამოეშვათ, მაგრამ არ ქნეს – ხვალ გამოუშვებენ.

ღამის 12 საათზე დავურეკე ჩემს მეგობარს ნატა თათარაშვილს, რომელიც მაშინ ისნის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი იყო. ნატა იცნობდა გოდერძის და ეუთხარი, გამოსაფხიზლებელშია, არ უშვებენ-მეთქი. ნატამ მითხრა, მანქანა თუ გყავს, წადი და წამოიყვანეო.

წავედით მე და მამაჩემი, იაშა გზადაგზა მიმეორებდა:
„– 3 სახალხო არტისტი ვიყავით და არ გამოუშვეს...“

სამორიგეოს ფოიეში ვილაც კაცი დაგვხვდა, დადიოდა და კედლებზე წარწერებს კითხულობდა. მორიგემ იცნო მამაჩემი და უთხრა: ბატონო იაშა, ხვალ დილით გამოუშვებენო.

ამ დროს ის კაცი მოგვიახლოვდა და უბრძანა მორიგეს ჩოხელის მოყვანა. ის კაცი, მგონი, სამმართველოს უფროსი იყო. დაფაცურდნენ და გოდერძი გამოიყვანეს. მამაჩემი რომ დაინახა, გამოიქცა, შემოეხვია და უთხრა: აღარ ვიზამო.

მთის ხალხი სასმელს ვერ იტანს, გოდერძი რომ დალევდა, აქეთ-იქით დადიოდა ხოლმე. მეც ასე ვიცი. მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ, მე და გოდერძის ერთად არ დაგვილევია.

1983 წელს, უნგრეთში ყოფნის დროს, ჩემთვის ახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შევიძინე. თბილისში დაბრუნებული ახალ სამოსში გამოვენყვე და გოდერძისთან ერთად კინოს სახლში წავედი რაღაც უცხოური ფილმის ჩვენებაზე. ფილმის დასრულების შემდეგ, შინ ტროლეიბუსით წამოვედით, ფეხზე ვიდექით და ვხედავდით, რომ ვილაც მთვრალი ბიჭი გოგონას აწვალებდა, ეღლაბუცებოდა და არ უშვებდა. გოგო დასაკლავ ბოჩოლასავით იყურებოდა აქეთ-იქით. სასტუმრო „საქართველოსთან“ ვეღარ მოვითმინე, მივედი და ვუთხარი, რომ ჩასულიყო. უცებ, უკან ერთი ამბავი ატყდა. ეს ბიჭი მარტო არ ყოფილა, მასთან მყოფმა ორმა ბიჭმა ჩემსკენ გამოიწია თურმე, გოდერძი გამწარდა და ჯარასავით დატრიალდა (მაგარი ჩხუბი იცოდა, პატარა იყო, მაგრამ ლონიერი, მკლავს ვერ მოულუნავდი). საშინელი ჩხუბი ატყდა, ამასობაში ტროლეიბუსი უნივერსიტეტის I კორპუსთან გაჩერდა და მოჩხუბარები ქვემოთ ჩავცვივდით, იქ გავაგრძელეთ. ისინი სამნი იყვნენ, ჩვენ – ორნი, მაგრამ ვაჯობეთ.

ამ ჩხუბის დროს თავში რაღაც მომხვდა და დავეცი, ჩემი ახლობელი, აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი რომან

დოლიძე გაჩერებაზე მდგარა და რომ დაუნახავს, ჩვენ იმათ ვცემდით, სიბნელეში სახეზე ვერ მიცნო და ჩამწერი აპარატურის საკმაოდ მოზრდილი ყუთი თავში ჩამცხო. მერე გაირკვა, ვინ, ვინ იყო და ვიცინეთ, თუმცა ჩემი ახალი ტანსაცმელი აღარ ვარგოდა, ტალახში ვიყავით ორივე ამოსვრილები.

ჩემს მეგობარ კოტე გაბრიჩიძესთან ავედით, მოვწესრიგდით, თორემ ასე მოთხუპნილები რომ მივსულიყავით სახლში, ჩვენები გადაირეოდნენ.

მამაც და დედაც ოლიკო მამიდაც და ირინა ბებოც გოდერძის დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ფასანაურში სწავლის დროს გოდერძი ირინა ბებოსთან ცხოვრობდა, ის უკერავდა შარვლებს, პერანგებს, ეფერებოდა და სიცოცხლის ბოლომდე პატივს სცემდა.

გოდერძის ნიჭიერებას ყველა გრძნობდა და მისი მოთხრობებისა და ფილმების გამოჩენისთანავე გოდერძი ჩოხელის სახელი აიტაცა ქართულმა საზოგადოებამ. ყველა ეხმარებოდა, მართებული არ იქნება იმის თქმა, რომ გოდერძი დაჩაგრული იყო; შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში (სანამ ავად გახდებოდა), მან მრავალი წიგნი გამოსცა, 16 ფილმი გადაიღო. ბატონი რეზო ჩხეიძე გოდერძის ძალიან აფასებდა, მან ახალგაზრდებს მრავალი სიკეთე გაუკეთა. გოდერძის გვერდით იდგნენ მისი პედაგოგები: ომარ გვასალია, ვასო კიკნაძე, ლანა ღოღობერიძე, ლალა თაბუკაშვილი. მათ თავიდანვე აღიარეს გოდერძის გამორჩეული აზროვნება და დიდ პატივს სცემდნენ.

საერთოდ ასეა, ნიჭიერ კაცს არასოდეს უჭირს ნიჭიერების დაფასება, თუნდაც ძალიან ახალგაზრდის. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, სხვაგვარად რომ რეაგირებდნენ გოდერძის წარმატებებზე, იყო ქილიკიც, უსაფუძვლო კრიტიკაც, ირონიული გამოთქმები: „ხევისბერმა თქვა", „წყაროსთან გაგონილი ამბები", „მთას ვერ გასცდა"...

არ ვიცი, რამდენად გულსატკენია (შეიძლება არც არის ასე), თბილისმა გოდერძი ვერ მიიღო, მას თავადაც უჭირდა

ქალაქთან ადაპტაცია. ის ბოლომდე დარჩა ისეთი, როგორიც ჩამოვიდა. მთა, ჩოხი ხშირად ენატრებოდა და სოფელში გარბოდა. იქაც ვერ ძლებდა, საქმე ისევ ქალაქისკენ ეწეოდა. მოგვიანებით, როცა უკვე ცნობილი რეჟისორი გახდა, მას ხშირად უცხო ქვეყნებიდან იწვევდნენ, მაგრამ არსად წასვლა არ შეეძლო. მოუსვენარი იყო, უამრავ საქმეს აკეთებდა, ბევრს წერდა.

მამაჩემი – საქართველოს სახალხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი, მსახიობებთან ერთად მთარგმნელობითი საქმიანობით იყო დაკავებული, მუშაობდა დრამატურგიაში. მამამ თარგმნა ბერნარდ შოუს „პიგმალიონი", „კეისარი და კლეოპატრა". მის მიერ ნათარგმნი პიესები მრავალი თეატრის სცენაზე დაიდგა.

გოდერძის მამაჩემი უსაზღვროდ უყვარდა და მის აზრს და რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებდა. სწორედ მამამ შეადგინა ტექსტი ფილმისთვის: „ბაკურხეველი ხევსური" ძალიან მიყვარს „ბაკურხეველი ხევსური" და ვფიქრობ, გოდერძის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. ჩემთვის გამორჩეული ფილმებია, აგრეთვე, „აღდგომა" და „ცოდვის შვილები" დღეს, როცა მთელ სამყაროში სისასტიკემ, ძალადობამ და უზნეობამ მოიცვა ადამიანთა სულები, გოდერძი ჩოხელის ფილმები განსაკუთრებით აქტუალურია.

მამა და გოდერძი ერთად მუშაობდნენ პიესაზე თეატრალური სპექტაკლისათვის. პიესა მთლიანად პოეზიის ნიმუშებზე იქმნებოდა, სიუჟეტის მიხედვით შეიტანეს ხალხური და ცნობილ პოეტთა ლექსები. მხოლოდ პიესის ნახევარი დაწერეს, სამწუხაროდ, ეს ნამუშევარი დაიკარგა.

გოდერძის სცენარებს ზოგჯერ ვერ ვიგებდი, მაგრამ როგორც კი ფილმი გამოვიდოდა, ძალიან მომწონდა. ვგიჟდებოდი მის პოეზიაზე, მისი ლექსები პირველად მე დავბეჭდე. მაშინ კინოსტუდიაში რეზო თაბუკაშვილის სახელობის სტუდიას ვხელმძღვანელობდი, იქ ერთი ხევსური ბიჭი – გელა ტუქსიშვილი მუშაობდა. მას მოველაპარაკე გოდერძის



საქართველოს საახლხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი და
ნინო მელაშვილი. 1982 წ.

ლექსების კრებულის გამოცემაზე. მართლაც, პატარა კრებული გამოვეცით. გელამ სტამბიდან რომ მოიტანა, ბავშვივით მიხაროდა. ხალხს ვურიგებდი, მინდოდა, გოდერძის ლექსები ყველას წაეკითხა.

მოგვიანებით, ცალკე დავბეჭდეთ მისი ბრწყინვალე მოთხრობა „ცასწავალა" და წავიღეთ სოფლებში: ნიქოზში, კუმისში და მასწავლებლებს გადავეცით, რომ ბავშვებისთვის დაერიგებინათ. გოდერძის ძალიან უხაროდა.

ძნელია თანამედროვეზე, მით უმეტეს შენიანზე ლაპარაკი, მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ, მისი ყველაფერი ვიცი – რა უნდოდა, რა უხაროდა, რა სწყინდა, რაზე ოცნებობდა და ამიტომ გოდერძიზე საუბარი ორმაგად უფრო მიმძიმს.

მისი მოთხრობები, ფილმები, რომანები ქართველმა ხალხმა შეიყვარა. გოდერძის საკმაოდ რთული ფილოსოფია ჰქონდა, თუმცა სათქმელს მარტივი, ხალხური ენით ამბობდა, მწყობრად აყალიბებდა იმ აზრს, რისი გადმოცემაც სურდა. ძალიან დაკვირვებული, გონიერი იყო, სწორ დასკვნებს აკეთებდა.



კინოს სახლი. გოდერძი ჩოხელთან შეხვედრა. 1981 წ.

გოდერძი მალევე გახდა პოპულარული, ხშირად იწვევდნენ სატელევიზიო თუ რადიოგადაცემებში, ეკითხებოდნენ ათას რამეს, მაგალითად, ქართული კინოს მომავალზე. ვეჩხუბებოდი, ჯერ რა იცი, ძალიან ახალგაზრდა ხარ-მეთქი, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას გაუაზრებელი, უმართებულო პასუხი გაეცა შეკითხვებზე.

გოდერძი მომავალი ფილმების კადრებს ხედავდა, ზუსტად იცოდა, სად, როგორ და ვისი მონაწილეობით უნდა გადაეღო. ამიტომ ვფიქრობ, ძნელია მისი ოცნების განხორციელება – „ვარდისფერი კაცის" გადაღება. ის მხოლოდ გოდერძის უნდა გადაეღო.

მასთან ბოლო ფილმზე „სიყვარულის ცეცხლი" ვიმუშავე. გადაღების დროს გოდერძი უხსნიდა მსახიობებს, რაც უნდოდა, თან თავისუფლებას ანიჭებდა, საკუთარი იმპროვიზაციის უნარის გამოყენების საშუალებას აძლევდა. საერთოდ პრინციპული იყო, რაც არ მოსწონდა, იმას არ გააკეთებდა. სამართლიან კრიტიკას მიიღებდა, უსაფუძვლო განცხადებები სწყინდა, მაგრამ შეეძლო ნებისმიერ შემთხვევაში შეურაცხმყოფელისთვის პასუხი გაეცა სიტყვითაც, და თუ საჭირო იყო, ხელის გაქნევაზეც უკან არ დაიხევდა.

მისი შემოქმედება არანაირ ჩარჩოში არ ჯდება, ზოგი რეჟისორი ამრეზით უყურებდა, სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ მის დაკნინებას.

მახსოვს, ტელევიზიაში „მეცხრე არხი" მუშაობის დროს გოდერძი მოვიდა და არაჩვეულებრივი პროექტი მოიტანა. მან ჩაიფიქრა ფილმი, რომელშიც აისახებოდა საქართველოს მდინარეთა ხეობების სოფლები, ციხე-კოშკები, ისტორიული ადგილები, ფოლკლორი. ვისხედით ჩემს კაბინეტში და გოდერძი მიყვებოდა ამ ფილმის შესახებ, რომლისთვისაც „დაბადება" უნდოდა დაერქმია. შემოვიდა ერთი რეჟისორი, უსმინა გოდერძის და ბოლოს აგდებულად გამოაცხადა: ეგ პროექტი 10 წლის წინათ მე მოვიტანეო. გოდერძი გაშრა, ძალიან გაბრაზდა, სიტყვა არ უთქვამს. ადგა და წავიდა. ჩემს კაბინეტში ჩხუბს მოერიდა, თორემ იმ კაცს პასუხს „არ დაამადლიდა"

სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ფილმი ვერ გადავიღეთ. გოდერძის ამოუწურავი ფანტაზია ჰქონდა, უამრავი სცენარი დარჩა გადასაღები.

ჩემი იმედი ჰქონდა, ეგონა, თუ მის გვერდით ვიქნებოდი, არაფერი მოუვიდოდა. მისი გარდაცვალების დროს თბილისში არ ვიყავი, უკითხავს: ირაკლი სად არისო. მერე ჯანო მოუკითხავს. ალბათ, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ დასცალდა.

ერთი სიტყვით, კაცის დახასიათება რომ შეიძლებოდეს, გოდერძიზე ვიტყოდი: ის კაცთმოყვარე იყო.

მას უზომოდ უყვარდა ადამიანები, სწორედ ამიტომ, თუ რამე არ მოსწონდა, პირდაპირ ამბობდა სათქმელს. პირში მთქმელი, უშიშარი იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის წინაშე უწევდა ლაპარაკი. ერისთვის აუცილებელია, რომ მას სიმართლე პირში უთხრას ადამიანმა, სწორედ ამაშია კაცთმოყვარეობა.

მამაჩემის მუზეუმისთვის ხის მასალა დუშეთის სატყეო სამსახურს უნდა მოეტანა. ეტყობა, მოჭრა ვერ მოასწრეს და მე და გოდერძის უხარისხო მასალა დაგვახვედრეს. გოდერძი გაბრაზდა და ერთი ამბავი ატეხა: შეშად კი არ უნდა, ჩემი უსაყვარლესი კაცის მუზეუმისთვის გვჭირდებაო.

ძნელია გოდერძიზე ლაპარაკი, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მისი მთავარი ღირსება ვაჟკაცობა იყო, მოყვასისთვის უანგაროდ შეეძლო თავდადება და თავგანწირვა. ერთი სიტყვით, არც გმირობის ჩასადენად დაიხევდა უკან, ის სწორედ საგმირო საქმეებისთვის იყო დაბადებული, მაგრამ ახლა მისი შემოქმედებაა, მისი სულის ანარეკლი მომავალ თაობებს სწორედ ამ თვისებებით უჯანსაღებს და ულამაზებს სულს.

ირაკლი ტრიპოლსკი – კინორეჟისორი

P.S. აქვე გთავაზობთ გოდერძი ჩოხელის 2002 წელს გამოქვეყნებულ წერილს, სადაც იგი დიდ სიყვარულს ამჟღავნებს ბიძის – იაკობ ტრიპოლსკის მიმართ.

ირაკლი ტრიპოლსკი და გოდერძი ჩოხელი

ყაზბეგი. სოფ. ცდო. ფილმის „სიყვარულის ცეცხლი" გადაღებაზე.
გოდერძი ჩოხელი, ირაკლი ტრიპოლსკი და გივი ბერიკაშვილი. 2003 წ.

ძია იაშა, ჩემი საყრდენი იყო

დედაჩემი – ლელა წიკლაური და ძია იაშა და-ძმის შვილები იყვნენ. წიკლაურებად იწერებოდნენ, თორემ ისე ბუბუნაურები ყოფილან. სისხლი ჰმართებდათ თურმე ვიღაცის და მოულოდნელი სიკვდილი რომ აეცილებინათ თავიდან, წიკლაურებს შეჰფარებიან, მათი გვარი მიუღიათ. ხშირად იყვნენ ერთად ძია იაშა და დედაჩემი ბუბუნაურთა დიდ სახლში, რომელიც ბურსაჭირის ფერდობზე დგას. ახლა ამ სახლის ერთი პატარა კუთხელა დარჩა და ალბათ მთელი სახლის ანგელოზები იქ იყრიან თავს.

მჯერა, რომ ვისაც ბურსაჭირის ფერდობზე ფეხშიშველს გაუვლია, უკვალოდ არ ჩაივლის. ეს თითქოს, ღმერთის ფერდობია. ძია იაშა ობოლი იყო, მაინცდამაინც არც ფეხსაცმელი ექნებოდა, მოუწევდა ფეხშიშველი სიარული. ეგეც არ იყოს, ეს ფერდობი ისეთი მოქარგულია, ფეხსაცმელი რომც გქონდეს, მაინც ფეხშიშველი ირბენ...

ამ ფერდობზე ვიწრო, ვიწრო შესასვლელია გუდამაყრის მხრიდან, მერე იშლება ფერდობი, იქიდან გადადის ხევში, ხევსურეთში და ჭიუხებით მთავრდება. ვიწრო შემოსასვლელიდან, ჩოხის მხრიდან, გველივით შემოიკლაკნება ხოლმე ნისლი. ნელ-ნელა, გველეშაპივით მოდის მიხვეულ-მოხვეულში, დედაჩემი მიყვებოდა: იაშას მაგრად ეშინოდა მაგ ნისლისო. არ ვიცი, რა ეგონა. დაიძახებდა თურმე, – მოდის, მოდისო და დიდ, თხილით მოწნულ სახორბლე გოდორში იმალებოდა.

ეტყობა, ბუბუნაურებს ჰქონდათ განსაკუთრებული ნიჭი – ხელოვნებისადმი მიდრეკილება. მე ბიძები მყოლია, დედაჩემის ძმები. ერთი ძია იაშას ტოლი იყო. ყველაზე ნიჭიერი ჩვენში ის იყოო, იხსენებდა ძია იაშა. ირაკლი რქმევია. 14 წლისა დაიღუპა. იაშა ძიას დედა – ბებო ირინე მიყვებოდა: კომუნისტებმა სადღაც გაგზავნეს. გაცივდა, ტვინის ანთება დაემართაო. ძია იაშას იმის დახატული ცხენი ჰქონდა შენახული. პატარები რომ

ვიყავით, მაშინ დამიხატაო. მაჩვენებდა და მეუბნებოდა. დავხედავ ხოლმე და სხვა სამყარო მეშლებაო...

დედაჩემი და ბებო ირინე ბევრი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს. თითქოს ბუნებას ელაპარაკებოდნენ და ბუნებაც პასუხობდა. ბებო ირინეს ძმა ჰყოლია – გაგილა. მეჯვარედ იყო და შემთხვევით გასროლილ ტყვიას მოუკლავს. ერთხელ მომიყვა ბებო ირინე: უკვე ქვრივი ვიყავი, ქმრის ნაჩუქარი ბეჭედი დავკარგე. შევთხოვე გაგილას სულს, – რა იქნება, ის ბეჭედი მაპოვნინოო. უცებ გავიგონე წკრიალი. გავიხედე გარეთ, ვხედავ, ქათამი ააგდებს რაღაცას ნისკარტით, ჩამოვარდება და გაიწკრიალებს. ვნახე და ჩემი ბეჭედი იყო... გაგილას სულმა მაპოვნინაო.

ერთხელ, ძია იაშა ბურსაჭირში სათევზაოდ ამოვიდა. მე პატარა ვიყავი. იმ დღეს საშინელი დელგმა დაინყო. თითქოს ის ნისლიც ძია იაშას შესაშინებლად დაიძრა. ჩამოიქცა ქვეყანა. რა თევზაობა, რის თევზაობა. ბანიანი სახლი გვქონდა და სახლშიც კი წვიმდა. ისე ადიდდა შავი არაგვი, სულ დაანგრია ყველაფერი. ძია იაშას მანქანა ჩოხში ჰყავდა დატოვებული. იმის იქით სამანქანო გზა აღარ მოდიოდა. ბურსაჭირამდე 7 კილომეტრი ფეხით ევლო.

მეორე დღეს ჩამოვაცილეთ ჩოხამდე მე და დედაჩემმა. იქ მეორე მდინარე უერთდება შავ არაგვს. ისიც ადიდებულიყო, კალაპოტი შეეცვალა და გადავარდნილიყო სხვა მხარეს. იმდენი თევზი დარჩენილიყო... პირველად ვნახე მაშინ იმხელა ოქროს წინწკლებიანი კალმახები.

ხალხმა ხომ იცოდა, რომ ძია იაშა იყო ამოსული სათევზაოდ. გამოსულიყვნენ, კრეფდნენ თევზს და ძია იაშას მანქანასთან იდგა კალათების, გოდრების ჯარი, სულ ამ კალმახებით სავსე. ძია იაშა უყურებდა გაბადრული სახით ხალხს... ამხელა სიყვარულს ხედავდა.

არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო. ფასანაურში რომ ჩავიდოდა, ყველა მის ეზოში გამორბოდა. მისი მოყოლილი ამბავი

სანახაობა იყო. თეატრშიც ასე ელოდებოდნენ თურმე, იაშა მოვა, ახალ ამბავს მოიტანსო.

ძია იაშა მოარული სიკეთე იყო. ერთ ამბავს გიამბობთ: თურმე ფასანაურიდან თბილისისკენ იაშას მამა ველოსიპედით მოდიოდა. გაღმა, ტყეში, ვიღაც თოფიანი კაცი ყოფილა. სულ არაფრის გულისთვის გამოუშვერია თოფი – მოვარტყამ თუ არ მოვარტყამო, და ასე უბრალოდ მოუკლავს... 19 წლისა დაქვრივდა ბებო ირინე... ძია იაშა იმდენად კეთილი იყო, რომ მამამისის მკვლელის შვილს, რომელიც ციხეში მოხვდა და ჭკუაზეც თითქოს ვერ იყო, პატრონობდა. ციხიდან გამოიყვანა. მიჰყავდა ხოლმე შინ, აჭმევდა, ასმევდა, წამლებს ყიდულობდა. აი, ასე უზომოდ კეთილი იყო. ეს თვისება მის შვილებსაც გამოჰყვათ... ირაკლი სულ დადის, თავისთვის არაფერს გამოიყენებს, ოღონდ სხვას დაეხმაროს. მიხარია, რომ ასე გაგრძელდა ძია იაშას სიკეთე – ირაკლიში და სოსოში გადავიდა და ისევ დადის ფეხადგმული სიკეთე ამ ქვეყანაზე...

წერა რომ დავიწყე, ძალიან უხაროდა. ეს თითქოს მეც გადმომედო და სულ ვფიქრობდი: ამას ძია იაშა რომ წაიკითხავს, როგორ გაეხარდება-მეთქი. წერის დროს აღტკინებული ვიყავი. თვითონ ჩემს მოთხრობებს მხატვრულად კითხულობდა რადიოში. მერე მოინდომა ჩემი მოთხრობების მიხედვით პიესის გაკეთება... ვერ დაასრულა.

არაჩვეულებრივად შეეძლო ფილმის გახმოვანებაზე მუშაობა. თითქმის ყველა გახმოვანებაზე იწვევდნენ კინოსტუდიაში. ჩვენ გვაქვს ასეთი სამუშაო შესასრულებელი: ტექსტის ჩაწყობა, ეკრანზე მსახიობი რომ ლაპარაკობს, სულ სხვა სიტყვებს ამბობს, გახმოვანებისას ისეთი სიტყვა უნდა მოძებნო, რომ მსახიობის ტუჩების მოძრაობას დაემთხვეს. ამას ძია იაშა უნაკლოდ აკეთებდა. ასე რამდენი ფილმი გაახმოვანა... ირაკლი კვირიკაძის „ქვევრის" სიტყვები სულ მისია, ოთარ იოსელიანის „პასტორალისაც", „გიორგობისთვისაც"... სცენარის თანაავტორადაც კი დაწერა ოთარ იოსელიანმა... მე „ბაკურხეველი

ხევსური" რომ გადავიღე, მინდოდა, უხმო ფილმი ყოფილიყო. ძია იაშას დაჟინებულ თხოვნას – აუცილებლად ტექსტი უნდა დაურთოო, დავთანხმდი. დაჯდა და მთელი ტექსტი დამიწერა „შაო ნინათი" დაწყებული...

ახლა ვფიქრობ, უტექსტოდ რა უნდა ყოფილიყო „ბაკურ-ხეველი ხევსური"...

აქვე იმასაც დავძენ, რომ მე და ირაკლი ტრიპოლსკიმაც რამდენიმე სცენარი ერთად დავწერეთ... ისეა შედგენილი ის ტექსტები, დღესაც ვერაფერს შევცვლი. „სამოთხის გვრი-ტებიც" ირაკლისთან ერთად გავაკეთე. სცენარის ავტორე-ბად გოდერძი ჩოხელი და ირაკლი ტრიპოლსკი დავანერე. ირაკლიმ არ მოისურვა და თავისი სახელი ამომაღებინა.

ძია იაშა ჩემი საყრდენი იყო... ძალიან მაკლია და მენა-ტრება...

ძია იაშას სიკვდილის შემდეგ თბილისში ობლად დავრჩი. ძალიან მომენატრა და ეგეთი სიზმარი ვნახე: ტელეფონზე ველაპარაკებოდი ძია იაშას, თანაც ვხედავდი... ბედნიერმა გავიღვიძე. სამყაროს მეორე მხრიდანაც კი მამშვიდებს და ბედნიერებას მჩუქნის...

გოდერძი ჩოხელი,
გაზ. „კვირის პალიტრა"
25 თებერვალი, 2002 წელი.

მაგდანა ჩოხელი, პატარა ელისო – გოდერძის და, ლელა ნიკლაური (ბუბუნაური) – გოდერძის დედა, მარიამ ჩოხელი, ნინო ჩოხელი. 1952 წ.

გოდერძიზე 4 წლით უფროსი ვარ. მისი დაბადება კარგად მახსოვს. იმ ღამეს სახლში მხოლოდ მე და დედა ვიყავით, შუაღამისას დედას მუცელი ასტკივდა. ზემო ჩოხში, ჩვენს სახლთან წმინდა გიორგის სალოცავია, იქ მშობიარობა არ შეიძლებოდა. დედა მამის სახლში უნდა წასულიყო. მე მარტოს ვერ დამტოვებდა, დაუძახა ბიძაშვილს მაგდანა ჩოხელს და ჩემთან დარჩენა სთხოვა.

მე და მაგდანამ დავიძინეთ, დედა კი შუაღამეზე ბურსაჭირის გზას დაადგა, მშობლების სახლში უნდა ემშობიარა. ბურსაჭირში ხატი არ არის. ზემო ჩოხიდან მამის სახლამდე დედას 7 კილომეტრი უნდა გაევლო, მაგრამ იქამდე ვერ მიუღწევია. გზაზე ერთი მაღალი, გადმოყუდებული კლდეა, ხოსროკლდეს ეძახიან. ამ კლდის ქვეშ მოუწია მშობიარობამ,

ძალიან ეშინოდა, მაგრამ რას იზამდა. ხოსროკლდის გაღმა სოფელში – ქაქეენში გასულა დედა ახალდაბადებული ბავშვით. ერთ ქალს დედაჩემი და გოდერძი გომურში შეუყვანია. ოქტომბრის ცივ ღამეში ბავშვი რომ არ გაყინულიყო, დედას ბაგაში ჩაუწვენია. იქ ერთი კვირა დაჰყვეს, ის ქალი აწვდიდა თურმე საჭმელს. მერე მშობლებთან წავიდა დედა და 40 დღის შემდეგ დაბრუნდა სახლში. მის მოსვლამდე მე მაგდანა მივლიდა.

მე და გოდერძი უმამოდ გავიზარდეთ. მთაში ძნელია ცხოვრება, ოჯახის გაძღოლა. დედას დიდი ჯაფა უწევდა, მთელი დღე შრომობდა, თიბავდა, ხვეტავდა, საქონელს უვლიდა. სულ საქმეს აკეთებდა, არ ეცალა და გოდერძი მე გავზარდე. მეც პატარა ვიყავი, თამაში მინდოდა, მაგრამ გოდერძის ვერ ვტოვებდი. მახსოვს, ერთხელ ხატის ეზოში ჩემი ტოლები თამაშობდნენ, ძალიან მინდოდა მათთან ყოფნა, მივანებე თავი გოდერძის და ბავშვებს შევუერთდი. დედა მეძახდა, მაგრამ თამაშს თავი ვერ დავანებე. დედა დამემუქრა: – მანდ არ ამომიყვანოო. ვიცოდი, რომ ქალს ხატის ეზოში ასვლის უფლება არ ჰქონდა, ამიტომ არხეინად ჩამოვძახე: თუ ქალი ხარ, ამოდი-მეთქი.

ცოტა ხანში დედამ მითხრა, რომ ჩემთვის ბალი ჰქონდა ნაყიდი. გახარებული მაშინვე შინ გავიქეცი და კარგადაც მომხვდა. იმის მერე ხატში ფეხი აღარ ამიდგამს.

გოდერძი სკოლაში 6 წლისა წავიდა, ტანითაც პატარა იყო და ძალიან უჭირდა სიარული. სწავლით ძალიან კარგად სწავლობდა. მეზობლის ქალები დედას დასცინოდნენ: – სკოლაში ნუ დაგყავს, მაგას ყვავები აგაცლიანო.

ბავშვობაშიც თავისებური იყო. დაჯდებოდა თავისთვის მარტო და აყვავებულ ხეებს უყურებდა. თუ ეცალა, წიგნს ვერ მოაშორებდი, ძალიან უყვარდა კითხვა. დედა სულ შრომობდა, საღამოს ვახშმის შემდეგ მე და გოდერძი ვკითხულობდით, დაღლილი დედა ჩუმად იჯდა და გვიყურებდა. ხანდახან საყვედური იცოდა, მთელი დღე ჩუმად, მარტო

ვარ, თქვენ მაინც დამელაპარაკეთო. გოდერძი მაინც წიგნში იყურებოდა.

დედა ორივეს ძალიან გვიყვარდა, მე საოჯახო საქმეებში ვეხმარებოდი. გოდერძი სათიბში დაჰყვებოდა, V კლასიდან „თიბდა", ისეთი პატარა იყო, ბალახში არ ჩანდა – წყნარი, დაფიქრებული, უწყინარი... დედა იშვიათად უწყრებოდა. ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა ვანომ და გოდერძიმ ხიშტი გააკეთეს, მისი გამოცდა მოინდომეს და გამომეკიდნენ. გავიქეცი, მაგრამ ვანომ მოახერხა და მუცელში გამირჭო. მაშინ გალახა დედამ გოდერძი.

მახსოვს მეზობლის ლამაზი დანა იყო ჩვენთან, დედამ გოდერძის გაატანა პატრონთან, მაგრამ ჩემმა ძმამ დანა გზაში დაკარგა. მე მგონი, ძალიან მოეწონა და სადღაც დამალა, თორემ მეზობლის სახლამდე 5-6 მეტრი იყო, სად უნდა დაეკარგა?

დედა ძალიან გაბრაზდა, გოდერძის სახლში აღარ უშვებდა. გოდერძიმ იფიქრა, იფიქრა და დედას დაუძახა: – ჯერ სახლში შემომიშვი და მაჭამე, თორემ მშიერზე ვერ ვიხსენებ, სად დამეკარგაო.

ბავშვობაში ძალიან უყვარდა შაქარმოყრილი კარაქიანი, ან ერბოიანი პური. კარაქი ლამაზად უნდა წამესვა პურზე, თორემ არ შეჭამდა.

დედა ცდილობდა, არაფერი მოეკლო ჩვენთვის. ზაფხულობით ბურსაჭირში იყო, საქონელი აჰყავდა, თიბავდა, ხვეტავდა, თან სულ ბუნებას ელაპარაკებოდა. ყვავილებს, ბალახებს, ჩიტებს ცოცხალ ადამიანებად აღიქვამდა. ბუნების სიყვარული გოდერძის დედაჩემისგან გადმოეცა. ეცოდებოდა ხეები, ფრინველ-ცხოველი. სიცოცხლეში ქათამი არ დაუკლავს, შეხედვაც არ შეეძლო. ხშირად უთქვამს გოდერძის: – რატომ ვართ ადამიანები ასე მოწყენილი, რატომ ვწირავთ ცოცხალ არსებებსო.

ადრე გაზაფხული იყო, დედამ ჩემს ძმას ტყეში წასვლა და შეშის მომზადება სთხოვა. დილით წასული გოდერძი საღამოს დაბრუნდა.



ფასანაურის საშ. სკოლის მოსწავლე გოდერძი ჩოხელი. 1970 წ.

– რა ჰქენი, მოამზადე? – ჰკითხა დედამ.

– კი, ნარიყი მოვამზადე, – უპასუხა გოდერძიმ.

– მაგას მეც ვიზამდი, შეშა გთხოვე – ეწყინა დედას. გოდერძის გაეღიმა: – დედი, ტყეში რომ შევედი, ხეებმა ლაპარაკი დამიწყეს, ზოგმა გამიცინა, ზოგმა მოწყენით შემომხედა, ზოგიც გვერდზე გადაიხარა და ნაჯახი როგორ დამერტყა.

დედასაც გაეღიმა და ხმა აღარ ამოუღია.

გოდერძის ძალიან უყვარდა დედაჩემის დედა – სალომე ბებო. სალომე ბებოს ორი და ჰყავდა. რამდენიმე წლის წინათ სოფელ მაქართაში ყოფნის დროს მე და გოდერძიმ ვნახეთ ბებოს და. გოდერძიმ სულ ხელები უკოცნა, სალომე ბებოს ჰგავხარ, მისი სუნი გაქვსო. მრავალი ლექსი და მოთხრობა მიუძღვნა გოდერძიმ ბებოს. პატარაობაში თვალების ფერის გამო გოდერძის ჭრელას ეძახდნენ.

დედაჩემს და ჩემს ძმას უცნაური სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი, უსიტყვოდ, შორ მანძილზეც ესმოდათ ერთმანეთის ფიქრი და გულისცემა.

როგორც კი საშუალება მიეცემოდა, გოდერძი დედის დასახმარებლად ჩოხში მიდიოდა. დედას უჭირდა ძროხებს მოვლა, მაგრამ ვერ ელეოდა. გოდერძი წუხდა, არც ძროხები უნდოდა, არც ყველი და არაფერი, ოღონდ დედა კარგად ყოფილიყო. ერთ დღეს ჭართალში ამომაკითხა. ჩემს ძმას ძროხების გაყიდვა და დედაჩემის თბილისში წაყვანა უნდოდა, მარტო ამის თქმას ვერ გაუბედავდა ლელას, ამიტომ ბურსაჭირში ერთად წავედით. ჩვენს დანახვაზე ლელას ფერი ეცვალა. გვითხრა: – ვიცი, რატომაც მოხვედით, ყველა ძროხა წაიყვანეთ. ოღონდ იცოდეთ, მაგათი მოვლით სიცოცხლეს ვიხანგრძლივებ, თუ წაიყვანთ, დიდხანს ველარ ვიცოცხლებო.

დაღონდა გოდერძი და გადაიფიქრა გაყიდვა. გარდაცვალებამდე დედა ფასანაურის საავადმყოფოში იწვა, გრძნობადაკარგული მხოლოდ გოდერძის უცქერდა. ყველა იქ ვიყავით, ის კი მხოლოდ ვაჟიშვილს უყურებდა, თითქოს უნდოდა მისი სახე სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში.

ერთხელ დედაჩემზე მკითხეს, როგორ აღიქვამდა გოდერძის პოპულარობას. დედასთვის გოდერძი შვილი იყო, მისი მწერლობა და კინორეჟისორობა ლელასთვის მეორეხარისხოვანი იყო. თუმცა, შრომისგან დაღლილი მაინც პოულობდა დროს და გოდერძის წიგნებს კითხულობდა.

გოდერძი ნაწილიანი რომ იყო, მოგვიანებით გავიგე. დედა არ ამხელდა ამ ამბავს. ხანდახან ვფიქრობ, დედაჩემის და გოდერძის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩემი ძმის ნაწილიანობას უკავშირდება. დედაჩემს ძალიან ნიჭიერი ძმები ჰყავდა, მათე და ირაკლი წიკლაურები. ირაკლი უნივერსიტეტში სწავლობდა, ბრწყინვალედ ხატავდა თურმე, სამწუხაროდ, მისი ნამუშევრები არ არის შემორჩენილი. მათე ლექსებს წერდა. უნიჭიერესი პოეტი გროზნოს მისადგომებთან დაიღუპა სამამულო ომის დროს. ერთ-ერთ წიგნში ნახა ოჯახმა ინფორმაცია ასმეთაურ მათე წიკლაურის გმირულად დაღუპვის შესახებ. გოდერძის დედის გენი გამოჰყვა.

თავის დაჭრის შესახებ არ ვეკითხებოდი. ვიცოდი, ეს ძალიან მტკივნეული იყო მისთვის. თუმცა ერთხელ თვითონ თქვა: – არც დალევა, არც თავის დაჭრა ჩემი ნება არ იყო, არ ვიცი, რა მოხდა, ჩემს თავს ვერ დავადანაშაულებო.

ბოლოს რომ ვნახე, მითხრა: „ელისო, სიკვდილის არ მეშინია, შვილების დარდი მიმყვება“-ო.

ელისო ჩოხელი,

გოდერძის და.

„ბოდერძი თავად იყო ღმერთის საჩუქარი“...



ნიკო ჩოხელი

მამაჩემს 5 შვილი ვყავდით, ჩემი და-ძმები ყვავილით დაიხოცნენ. მარტო მე შევრჩი ოჯახს და ალბათ, ამიტომაც მამაჩემი და ნათესავები მოსვენებას არ მაძლევდნენ, უნდოდათ, ცოლი მომეყვანა. 16-17 წლის ვიყავი, რა დროს ჩემი ცოლი იყო? კარგი ცხენი მყავდა, იმგვარი ცხენის არსებობა ახლა „ჯიპის" ყოლას უდრის. თავი მომწონდა, დავაჭენებდი ზევით-ქვევით. ერთხელაც არ მომეშვნენ, ქალის დასანიშნად უნდა წავეყვანე. ლელა შორიდან მყავდა დანახული, კარგი ოჯახის შვილი, მშრომელი ქალი იყო. შრომა რომ უყვარდა, ეს ბევრს ნიშნავდა. მეც მინდოდა მისვლა, ნახვა მაინტერესებდა, მაგრამ ვერ გავბედე. მამაჩემს და ნათესავებს ვუთხარი: თქვენ წადით, მე გზაში დაგეწევით-მეთქი. ცხენი სახლთან დავაბი და არ წავედი.

ერთხელაც სალაღოში ცხვარს ვწველავდით, გავიხედე, დათვი მოდის, თოფი თან მქონდა, ვესროლე და დავჭერი. დაჭრილი დათვი წყალგაღმა გავიდა, უკანა თათებზე შედგა კაცივით და ღრიალებდა, მერე არაგვს დაუყვა, მეც გავყევი, ლელას სახლს რომ მიუახლოვდა, კიდევ ვესროლე და მოვკალი.

გამოვიდა ჩემი სასიმამრო, აღარ მომეშვა, შემიყვანა სახლში. სუფრა გაიშალა, ლელაც ვნახე, მინდოდა იქ ყოფნა, მაგრამ მრცხვენოდა. საქორწინო ნიშანი – ბელგა რომ მივუტანეთ, სახლში ბევრი ხალხი იყო მოწვეული. გაჩაღდა ცეკვა-თამაში, ქალები წრეზე ისხდნენ, გადამეკიდენ – იცეკ-

ვეო, გავშალე ხელები, ნავედი უკან-უკან და თავმომწონე ნეფე-კაცი გადავვარდი ამდენ ქალში! ატყდა ერთი ამბავი. წამოსვლა მინდოდა, მაგრამ არ გამომიშვეს, დამტოვეს. რამდენიმე თვის შემდეგ ქორწილი გადავიხადეთ.

ერთი წელი გავიდა... ჯერ ელისო დაიბადა, მერე – გოდერძი. ელისოს ქერა თმები ჰქონდა, თვითონაც პატარა იყო, მაგრამ გოდერძის კარგად უვლიდა. მთაში ბევრი საქმეა, ქალი სულ ჯაფაშია და ელისოს, როგორც შეეძლო, დედას ეხმარებოდა.

გოდერძი და ელისო ერთად მოვნათლეთ, გოდერძი ორი წლის იყო, ელისო ხუთის. თიანეთიდან მღვდელი ამოვიყვანეთ. კომუნისტების დროს მრავალი მღვდელი გაკრიჭეს, ეს თიანელიც გაკრეჭილი იყო, სახელად კოლა. ზემო ჩოხში ერთი გაუთხოვარი ქალი ელისო ჩოხელი ცხოვრობდა, ლელასთან მეგობრობდა. ბიჭი რომ გვეყოლა, ამ ელისომ თავად გამოთქვა მისი მონათვლის სურვილი, სახელიც მანვე შეურჩია. ელისოსაც კარგი ნათლია ჰყავდა, ალექსი ერქვა.

ლელა კარგი ქალი იყო, მაგრამ ვერ შევეწყვეთ. ალბათ, ჩემი ახალგაზრდობის ბრალიც იყო. სხვა ოჯახი შევქმენი, თუმცა შვილები აღარ მყოლია. გოდერძიმ მაპატია, რომ მამობა ვერ გავუწიე. როცა ჩემს შვილებს ვჭირდებოდი, მათ გვერდით არ ვიყავი. ახლა გოდერძი აღარ არის, 80 წლის ასაკში მყოფს გული მტკივა იმ წლების გამო.

გოდერძი ჩოხში ჩემთან ზაფხულობით ამოდიოდა. თიბვა უყვარდა, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი არ იყო, ხანდახან ცხვირიდან სისხლი სდიოდა და ბევრი მუშაობა არ შეეძლო.

გოდერძი გუდამაყრელებზე წერდა. ზოგს მოსწონდა, ზოგს – არა. ერთხელ ერთმა აფციაურმა გამაჩერა და მითხრა:
– შენს ბიჭს უთხარი, ჩემზედ ნუ სწერს.

– მე იმის საქმეში ვერ ჩავერევი, თვითონაც კარგად იცის, რა დაწეროს – გავეცი პასუხი.

გოდერძის მოთხრობებს სკოლებში ბავშვებს ასწავლიან, ცუდი რომ იყოს, ხომ არ ასწავლიდნენ. გოდერძის ჩოხი

მამა-შვილი ნიკო და გოდერძი ჩოხელები.

და ჩოხელები ძალიან უყვარდა, მათ გვერდით გაიზარდა. უყვარდა მათთან ლაპარაკი, მოსმენა, ხშირად იწერდა რაღაცებს და მერე მოთხრობებს იგონებდა.

ვაჟი გოგის მოსმენა უყვარდა. ის ამბის მოყოლას რომ დაიწყებდა, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევდა. უმეტესად ტყუილებს ჰყვებოდა. ერთხელ დაისვა გოდერძი და ელაპარაკება:

– უცხო ქვეყანაში ვიყავ, ბევრი ცხვარი ჰყავდათ, იმ ცხვრებს იმხელა დუმები ჰქონდათ, ძირს დასთრევდათ. პატრონები „ნასელკებით" დაჰყვებოდნენ ცხვრებსა, რომ დუმები ძირს არ ეთრიათ... ვაჟი გოგის დედამისი გაუბრაზდა „ცოცხალი" ტყუილის გამო და წყევლა დაუწყო.

– მატყუებს, – გაუკვირდა გოდერძის...

– ყოჩაღ, ბიძაჩემო, ეგეთ დამაჯერებელ ტყუილსაც ხომ მოგონება და ნიჭი უნდა, – იცინოდა გოდერძი.

ბერი და ჯღლუნა ჩოხელები იყვნენ, თამაშობა უყვარდა ორივეს. კარგი ცეკვა კი არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ცეკ-

ვავდნენ. იმათსავით მეც ვცეკვავდი, მაგრამ მერიდებოდა ხოლმე. ჯღუნა ცოტა მოჩხუბარი იყო, ბერი – უფრო წყნარი. მაგრამ, რაც მთავარია, ორივენი ჯიუტი ჩოხელები იყვნენ.

ბერის ქორწილში ნათლიმამა მე ვიყავი. ნათლიმამას ევალებოდა, ნეფე-პატარძალი ქორწილის დროს ერთად დაეწვინა. პატარძალი კობაიძე იყო, გვარად - კობათქალი. კობათქალი დაწვა, ბერი კი არ წვება. ვეხვეწები, ვეჩხუბები: „დაწექ, ბერო!" ის კიდევ შედგა ცივ ქვაზე და აღარ ჩამოდის, გაჯიუტდა, არ წვება. ვერაფერი შევასმინე და ძალიან პატივცემულ ქალს – ნინა ექიმს დავუძახე. ეხვეწა ნინა ექიმი, მაგრამ ბერი ვერ მოდრიკა. გაბრაზდა ნინა ექიმი: – ვირი მინახავს და შენნაირი არაო.

გრუზინზე რომ დაწერა ისიც ჩოხში ცხოვრობდა. „გრუზინი თავად ირქვივნებოდა, მწყვეტაი (არაყი) უყვარდა".

გამიხარდაი კარგი კაცი იყო, ჩემი და ლელას ქორწილში ნათლიმამად გამიხარდაი დადგა.

კოტორიანთ ქალი – სოფიო ჩოხელი.

კოტორიანთ ქალი – სოფიო კინოშიც გადაიღო ჩემმა შვილმა და წიგნშიც დაწერა. კოტორიანთ ქალს დიდი ამაგი აქვს ჩვენს ოჯახზე, ძალიან კეთილი იყო. გოდერძი გამორჩეულად უყვარდა, მისთვის არაფერი არ ენანებოდა.

ზაფხულობით ჩოხში ავდივართ მე და ჩემი ცოლი ნუნუ პატაშური, ზამთარში ფასანაურში ვართ. ჩოხში ყოველ წელს ამოდიან სტუდენტები, გოდერძიზე მელაპარაკებიან. ყველას უყვარს ჩემი შვილი. გოდერძისაც ამოჰყავდა სტუმრები. გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძეც ნამყოფი არიან ზემო ჩოხში. იქ პატარა საზაფხულო სახლი გვაქვს, საქონელს ვუვლით. შემოდგომობით ფასანაურში ჩამოვდივართ. ნუნუს და გოდერძის ერთმანეთი უზომოდ უყვარდათ. ჩემი ცოლი გოდერძის ავადმყოფობას ძალიან განიცდიდა, ცდილობდა რაიმეთი ეშველა, მისი სიკვდილი იდარდა, დღესაც სულ ტირის. გოდერძიმ ერთხელ უთხრა: „ნუნუ, საჩუქარი უნდა მომეტანა შენთვის, მაგრამ ცუდად ვარ და ვერ მოვახერხე".

ნუნუმ ტირილი დაიწყო: „რა უნდა მიყიდო, შენ თავად ხარ ღმერთის საჩუქარი"

გოდერძის დასაფლავებაზე უამრავი ადამიანი მოვიდა. თან მიკვირდა, თან მეამაყებოდა – ის ძალიან კეთილი იყო და ყველას უყვარდა.

ნიკო ჩოხელი,
გოდერძი ჩოხელის მამა, ჩოხის წმინდა გიორგის
სალოცავის დასტური, 80 წლის.

ნიკო ჩოხელი და მისი მეუღლე ნუნუ პატაშური. 2009 წ.

ღვთის მადლის გამამრავლებელი

სტუდენტობის პერიოდში გოდერძის რამდენიმე მოთხრობა წავიკითხე, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი.

ბიჭვინთა. ახალგაზრდა ჟურნალისტთა შეკრებაზე. 1979 წ.

1979 წლის სექტემბერში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები ბიჭვინთაში ახალგაზრდა ჟურნალისტთა შეკრებაზე წაგვიყვანეს, სადაც ცნობილ ჟურნალისტებთან და მწერლებთან ერთად არაჩვეულებრივ შეხვედრა-სემინარებს ვესწრებოდით. ერთ მშვენიერ დღეს ბიჭვინთაში გოდერძი ჩოხელი ჩამოვიდა და ჩამოიტანა ახალი ფილმი „ბაკურ-ხეველი ხევსური", რომლის ნახვის შემდეგ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს ვეღარ ვიტევდით. თითქმის მთელი ღამე პედაგოგებთან – ნიკო ლეონიძესთან და ნოდარ ტაბიძესთან ერთად, ფილმზე საუბარში გავატარეთ. აღფრთოვანებას ისინიც ვერ მალავდნენ. ბატონმა ნიკომ ბრძანა: – ეს ბიჭი

გენიოსია, – ეს იყო ახალგაზრდა რეჟისორისთვის ძალიან მაღალი შეფასება.

მეორე დღეს მე და ჩემმა მეგობრებმა გავიცანით გოდერძი, არ მახსოვს მაშინ რაზე ვილაპარაკეთ. ალბათ, მოვეწონე, რადგან წამოსვლისას, უკვე ავტობუსში მყოფს, ულამაზესი თეთრი ყვავილი მომართვა. თითქოს მორიდებული გოდერძი თავისუფალი აზროვნებითა და ქცევით გამორჩეული, უცნაური ბიჭი იყო. დამშვიდობებისას ქურთუკის ღილზე მომკიდა ხელი, მოატრიალა და მოწყვიტა (დაქორწინების მერე სახლში ვნახე ის ღილი, შეუნახავს).

მატარებლით ერთად ვიმგზავრეთ, გოდერძი კუპეებში ყველასთან შედიოდა, ხალისიანი იყო, გვიანობამდე ვლაპარაკობდით, მერე დაგვეძინა. დილით ძილში მყოფმა ვიგრძენი, სახეზე რაღაც მეყრებოდა, თვალი გავახილე და რას ვხედავ, გოდერძი დამდგომია თავს და კანფეტებს მაყრის სახეზე. ჩემი მეგობრები იცინოდნენ: – მთელი ღამე გდარაჯობდაო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ უკვე თვალს ვადევნებდი გოდერძის ახალ მოთხრობებს, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემაში.

1981 წელს უნივერსიტეტი დავამთავრე და ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა, რაშიც ჩემი პედაგოგი, იმ პერიოდში ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ფოფხაძე დამეხმარა. მან სამუშაოდ რამდენიმე ახალგაზრდა მიგვიღო და უზარმაზარ დახმარებას გვიწევდა.

მე კულტურის საკითხებს ვაშუქებდი. იმ დროს ტელევიზიაში ხშირად იმართებოდა საინტერესო და ძალიან ლამაზი საღამოები. ერთ-ერთი შეხვედრა კი ახალგაზრდა შემოქმედს – გოდერძის მოვუწყვეთ.

ტელევიზიის III კორპუსში დიდი დარბაზი იყო, სადაც გოდერძისთან შეხვედრა გაიმართა. საღამოზე მოწვეული სტუმრების გარდა უამრავი ადამიანი მოვიდა. შეხვედრას ვახუშტი კოტეტიშვილი უძღვებოდა. გოდერძი მაშინ 25-26 წლის იყო, რამდენიმე ლექსი მორიდებულად წაიკითხა,

ბუნებით თავმდაბალს თითქოს ეკრძალებოდა ასეთი საზოგადოებისა. ლანა ღოღობერიძემ ძალიან თბილად ილაპარაკა გოდერძის შესახებ და სთხოვა „ძახველი" წაეკითხა. ფეხზე იდგა მთელი დარბაზი, ეს პატარა, გამხდარი ბიჭი უზარმაზარ ინტერესს იწვევდა მსმენელში.

ბატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა (ღმერთმა აცხონოს) ხელი მოხვია გოდერძის, წინ წამოსწია სცენაზე და დარბაზს მიმართა: „ქართველებს გვახასიათებს დიდი ნიჭიერების ვერდაფასება, გაუფრთხილდით გოდერძის. ის თვითონ არის ცასწავალა. გაუფრთხილდით, რომ მისი ბედი არ გაიზიაროს".

მის უზარმაზარ მხარქვეშ გოდერძი უფრო პატარა და გამხდარი ჩანდა.

გოდერძისთან შეხვედრას ბევრი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა. დამამახსოვრდა ბატონი ნიკო კეცხოველის აღფრთოვანების გამომხატველი სიტყვები:

„შვილო გოდერძი, შენს მოთხრობას – „ცასწავალას" დიდი ვაჟა ფშაველა მოაწერდა ხელს".

ახალგაზრდა მწერლისთვის ნიკო კეცხოველისგან ამგვარი სიტყვების მოსმენა ძალიან დიდი შეფასება იყო.

ბატონი ნუგზარ ფოფხაძე ცხადია ამ საღამოს ესწრებოდა და კმაყოფილებას ვერ მალავდა, რომ გოდერძის წარდგენამ საზოგადოების წინაშე უზარმაზარი მოწონება და ინტერესი გამოიწვია.

მალე „მოამბეში" რედაქტორად დავიწყე მუშაობა. გოდერძი იმხანად ტელეფილმების სტუდიაში დამდგმელი რეჟისორი იყო და ხშირად მოდიოდა ტელევიზიაში.

მე, ჩემი ძმა და რძალი – ტატა გოდერძისგან დავუახლოვდით მსახიობებს: დარეჯან ხაჩიძეს, მზია არაბულს, ლაურა რეხვიაშვილს. ისინი ერთად ცხოვრობდნენ კინოსტუდიის საერთო საცხოვრებელში. დარეჯანთან და მზიასთან სტუმრობის დროს გოდერძისაც ვხვდებოდი, თუმცა თავიდან სერიოზულად არ აღვიქვამდი ამ ურთიერთობას.

გოდერძი ძალიან პოპულარული იყო, საზოგადოებამ შეიყვარა მისი მოთხრობები და ფილმები. ერთი-მეორეზე



ნინო და დათო მელაშვილები

ლამაზი გოგოები ეპრანჭებოდნენ. დედამისი და ახლობლები ოჯახის შექმნაზე ელაპარაკებოდნენ. გოდერძის ჩემდამი დამოკიდებულებით ვხვდებოდი, რომ ძალიან ვუყვარდი, მაგრამ დარდობდა. საერთო საცხოვრებელში ერთი ოთახისა და საკუთარი ნიჭიერების გარდა, არაფერი გააჩნდა (თუმცა თავის მიღწევებსა და შესაძლებლობებზე ხმას არ იღებდა). ოჯახის შექმნაზე ვლაპარაკობდით, გოდერძი უბინაობას დარდობდა. მე ვეუბნებოდი, ჩოხში ვიცხოვროთ-მეთქი. მთა ძალიან მიყვარდა და ჩოხში ცხოვრება ჩემთვის რომანტიკა იყო. გოდერძი ხშირად ძია იაშასთან (ტრიპოლსკი) ცხოვრობდა, ხან თავის პედაგოგთან – ომარ გვასალიასთან, მაგრამ მაინც მარტო იყო, თითქოს. ოფიციალურად ხელის თხოვნას ვერ ბედავდა. მას ეგონა, მე – თბილისელი გოგო მძიმე პირობებს ვერ გავუძლებდი.

1982 წელი იყო, გოდერძი ტელევიზიაში ჩემთან მოვიდა, ცალკე გამიყვანა და მითხრა:

„ან დღეს გამომყვები ცოლად, ან არასოდეს!"

მიტრიალდა და წავიდა, გულში რაღაც ჩამწყდა, მეგონა ყველაფერი დამთავრდა, დამთავრდა რაღაც ძალიან სუფთა, ლამაზი...

და მივხვდი, მივხვდი, რომ მეც არ შემეძლო უიმისოდ არსებობა...

იმ საღამოს ზურა ქაფიანიძემ გადაგვიხადა პირველი ქორწილი. ლაურა რეხვიაშვილი, დარეჯან ხაჩიძე, ტატა – ჩემი რძალი და აფხაზი ბიჭი სლავიკა იყვნენ ჩვენი სტუმრები (აფხაზეთთან ომის პერიოდში გოდერძიმ ტელევიზორში ეს აფხაზი სლავიკა დაინახა ავტომატით ხელში, ამ კადრმა საშინლად იმოქმედა მასზე).

ზურამ მოიტანა ღვინო, გაიშალა პურმარილი და ისეთი ქორწილი გვქონდა თავისი ცეკვა-სიმღერით, ლექსებით, დღესაც მახსენდება ხოლმე. ძალიან ბედნიერები ვიყავით.

ზურა ქაფიანიძე გვლოცავდა და თან გაიძახოდა: „მღვდელიც მე ვარ, მეჯვარეც და თამადაც-ო!"

მეორე დღეს ჩემებიც მოვიდნენ, ტრიპოლსკებიც. მე და გოდერძი საერთო საცხოვრებლის პატარა ოთახში, საწოლზე მორიდებულად ვისხედით მუხლებზე ხელებდაწყობილები. ძია იაშა მომეფერა და თავისთან ოჯახში წაგვიყვანა. მერე ჩოხში წავედით, გოდერძის დედა აივანზე დაგვხვდა, მე ავედი და გადავკოცნე. ლელა გახარებული მიყურებდა და იმეორებდა: – რა ლამაზია, რა ლამაზი გოგოა. გოდერძისა და ლელას გამორჩეული დედაშვილობა ჰქონდათ, რაღაც მისტიური კავშირი იგრძნობოდა მათ შორის. გოგო თუ გვეყოლებოდა, აუცილებლად ლელა უნდა დაგვერქმია. ჩემი მშობლები გაბრაზებული იყვნენ, მაგრამ რამდენიმე დღეში გული მოულბათ. სანამ გოდერძის გავყვებოდი, მამა სულ მეუბნებოდა, მთა ისე გიყვარს, მეცხვარეს უნდა გაგაყოლოო. მეგობრებთან ერთად ფეხით მქონდა შემოვლილი სვანეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი. გავთხოვდი და მამამ გამოაცხადა:

„იმდენი იარა მთაში, მაინც მეცხვარეს გაჰყვაო"

იმ დროს თურმე გოდერძის ბინას ჰპირდებოდნენ და მანაც გადაწყვიტა დაქორწინება.

სანამ გავყვებოდი, შევარდნაძეს დაუბარებია და დიდხანს უსაუბრიათ, ბატონი ედუარდი იცნობდა გოდერძის ფილმებსა და მოთხრობებს. მას უთქვამს, რომ ბინის მიცემას აპირებდნენ: „შეყვარებული ხომ არა გყავს? ცოლის თხოვას თუ აპირებ, უფრო დიდ ბინას მოგცემთ“.

გოდერძის ალალად უპასუხია:

„– ერთი გოგო მიყვარს, მაგრამ მამამისი არ მატანს...

– რატომ არ გატანს, ხომ არ ჰგონია, რომ პატრონი არა გყავს, მე ვიქნები შენი პატრონი“.

მდივანს გამოუძახა თურმე შევარდნაძემ, სოსო მელაშვილის ვინაობა გაარკვიეთ და შემახვედრეთო. მამა მხატვარი იყო და ლექციებს კითხულობდა სამხატვრო აკადემიაში. ბატონი ედუარდის და მამაჩემის შეხვედრა საჭირო აღარ გახდა, ჩვენ დავქორწინდით.

„ქალბატონი ლანა ღოლობერიძე, როგორც ყოველთვის, გოდერძის გვერდით იყო“. სამთავრო. 1982 წ.

სამთავროს დედათა მონასტერი. გოდერძი ჩოხელი, მამა ანტონი (დღეს მთავარეპისკოპოსი ზოსიმე წილკნელი) და ნინო მელაშვილი.

გოდერძის და ნინოს ქორწილი. 1982 წლის ოქტომბერი

ნუგზარ ფოფხაძისგან შეიტყო შევარდნაძემ, რომ გოდერძიმ ცოლი მოიყვანა. გახარებულს უთქვამს: მინდა საჩუქარი გავუკეთო და ჩოხში გადავუხადო დიდი, ლამაზი ქორწილიო. ჩემი ფეხმძიმობის გამო ჩოხში ქორწილის გადახდა ჩაიშალა. ჩემი მშობლების სახლში (ლენინგრადის ქუჩაზე) 2 ოქტომბერს, გოდერძის დაბადების დღეს გაიშალა ქორწილის სუფრა. ხელისმოწერის ცერემონიალზე „კონკასთან" ქორწინების სახლში მოვიდნენ სტუმრები, ნათესავები, ჩვენი საყვარელი ძია იაშა. ნუგზარ ფოფხაძემ ჩვენი მეჯვარეობის სურვილი გამოთქვა და ძალიან გაგვახარა, მაგრამ უფრო დიდი სიხარული გველოდა თურმე წინ: ხელის მოწერის შემდეგ მან ბინის ორდერი გადმოგვცა. ქოლბატონი ლანა ღოღობერიძე, როგორც ყოველთვის, გოდერძის გვერდით იყო.

ჯვარი მცხეთაში, სამთავროში დავიწერეთ. მაშინ სამთავროში რამდენიმე მოხუცი მონაზონი იყო, სასულიერო სემინარია მოქმედებდა. ჩემი მოძღვარი მამა ანტონი ხელმძღვანელობდა ამ სემინარიას. გოდერძის გავაცანი მამა ანტონი (დღეს ზოსიმე წილკნელი მთავარეპისკოპოსი). სწორედ მან დაგვწერა ჯვარი. ჩვენი ქორწილის სტუმრები გაოცდნენ, ისეთი ლამაზი ჯვრისწერა იყო, ჩვენი მეჯვარე გოდერძის პედაგოგი ომარ გვასალია აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მონასტრის რამდენიმე მონაზონი და სტუდენტები გალობდნენ.

მე და გოდერძის სამთავროს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა, ლუკაც იქ მოვნათლეთ. ძალიან ხშირად დავდიოდით და საბოლოოდაც იქ დამკვიდრდა გოდერძი.

გოდერძისთვის კინო ყველაფერი იყო. საქართველოში ძალიან ბევრს მოგზაურობდა, ყველა კუთხეს ბრწყინვალედ იცნობდა, მხოლოდ სვანეთში არ იყო ნამყოფი. გადამღები ჯგუფის წევრებს უკვირდათ, საიდან იცოდა მან ასე კარგად საქართველო. კინოს გადაღების დროს ის ნამდვილი გოდერძი იყო. სიცოცხლით, სიყვარულით, ხალისით

გოდერძი და ლუკა 1983 წ.

ივსებოდა, ადრე დგებოდა და უამრავ საქმეს აკეთებდა. ჩემთვის სცენარის ან მოთხრობის წინასწარ ჩვენება არ უყვარდა. 90-იან წლებში ახალ ლექსებსა და მოთხრობებს „კვირის პალიტრაში" აქვეყნებდა, გაზეთის რედაქტორთან ლალი გუნთაიშვილთან მეგობრობდა. მერე ეშმაკურად მეკითხებოდა: „ნინო, „კვირის პალიტრა" იყიდე?"

ზოგიერთ სიუჟეტს ამბის სახით მიყვებოდა, ჩემი რეაქცია აინტერესებდა, მერე დაჯდებოდა და წერდა. სანამ არ დაწერდა, არ წამაკითხებდა. „სამოთხის გვრიტების" სცენარი საქორწინო მოგზაურობის დროს, ბიჭვინთაში მიამბო. გადაღება საკმაოდ გვიან მოახერხა, თუმცა შიდა სამზარეულოში მაინც არ ჩამახედა. აინტერესებდა, როგორ შთაბეჭდილებას

მოახდენდა ფილმი. გოდერძის უყვარდა გადაღებებზე ოჯახის წაყვანა. უნდოდა, რომ მასთან ერთად ვყოფილიყავით. კავთისხევში „აღდგომის ბატკანს" იღებდა, ჩვენც იქ ვიყავით, ლუკა 5 წლის იქნებოდა, ნიკა – უფრო პატარა. რაღაც კადრებში ორივე გადაიღო. „სამოთხის გვრიტების" გადაღებებზე ლუკა წაიყვანა, რომ ბავშვი თამარ სხირტლაძეს შეჩვეოდა. გოდერძის უკვე გეგმაში ჰქონდა „ლუკას სახარების" გადაღება, სადაც მთავარი როლები სწორედ ლუკას და ქალბატონ თამარს უნდა შეესრულებინათ.

ნინო, ლუკა და ნიკოლოზი.

„ლუკას სახარება" ცდოში და ჩოხშია გადაღებული. ჩოხში მეც ვიყავი. გოდერძის დედა უკვე აღარ ჰყავდა, რაც მისთვის დიდი ტკივილი იყო, მაგრამ უხაროდა ჩოხში მთელი ოჯახის ერთად ყოფნა. იქ ვცხოვრობდით, იღებდა ფილმს, რომელზეც შემდეგ თქვა: „ლუკას სახარება" ჩემი სულის ამოძახილია". ამ გადაღებების დროს ის სრულად იყო თავის სამყაროში.

ჩოხში ძალიან დიდი ჯგუფი წამოიყვანა და ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა დაამყარა. ჩვენს მიმართაც ძალიან თბილი, მშვიდი, მოსიყვარულე იყო. გადაღების დროს რეჟისორები ზოგჯერ განერვიულებული არიან და ყვირიან, მაგრამ გოდერძის რამე თუ არ მოეწონებოდა, წყნარად იტყოდა, არავის აწყენინებდა.

„კინო და ქალი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუ არ უერთგულე, არაფერი გამოგივაო", – ღიმილით ამბობდა გოდერძი.

მას უამრავი სცენარი ჰქონდა გადასაღებად მომზადებული, წლების მანძილზე გონებაში ინახავდა სიუჟეტებს.

2010 წლის 26 აპრილს გოდერძის ხსოვნის საღამოზე ქალბატონმა ლანა ღოღობერიძემ თქვა:

„გოდერძიმ წერა რომ დაიწყო, მაშინაც და მერეც, წლების მანძილზე მიკვირდა, რა გონება იტევდა ამდენ სახეებს, გმირებს, ამბებს, საიდან მოდიოდა ეს ულევი ფანტაზია?!"

ყველა ფილმის, წიგნის გამოსვლა ბავშვივით უხაროდა. ერთი ლექსის ან მოთხრობის დაბეჭდვა, ფილმის ეკრანზე გამოსვლა მას ისევე აღაფრთოვანებდ, როგორიც შეიძლება შვილის დაბადებით განიცადოს ადამიანმა. გოდერძის რომ ვუყურებდი, მივხვდი, მოთხრობა თუ მკითხველთან არ მივიდა, ფილმი – მაყურებელთან, შემოქმედი ვერ ახდენს საკუთარი შესაძლებლობის ბოლომდე რეალიზებას და ეს დამთრგუნველია.

თუმცა, გოდერძიმ საკმაოდ ბევრი მოასწრო, ბევრი შემოქმედებითი სიხარული განიცადა. იგი ძალიან ახალგაზრდა იყო, როდესაც მისი მოთხრობები ითარგმნა, 27 წლის ასაკში მწერლობაში დებიუტისთვის საკავშირო პრემია მიიღო. უზარმაზარ სსრკ-ში ერთი საკავშირო პრემია გაიცა და ისიც გოდერძის ერგო.

80-იან წლებში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა. კინო და ლიტერატურა ყვაოდა. ძალიან რთული იყო, რამე ისეთი შეგექმნა, რომ აღიარება მოჰყოლოდა. იმ პერიოდში, ამდენ ნიჭიერ ხალხში, გოდერძი ჩოხელის გამოჩენა ქარიშხალს ჰგავდა, მან თავისი სიტყვა თქვა.

შეხვედრა გ. ჩოხელთან
მარცხნივ – რეზო თაბუკაშვილი, მარჯვნივ – მედეა ჯაფარიძე. 1980 წ.

გოდერძის რომანი „ადამიანთა სევდა" მწერალთა კავშირში გააკრიტიკეს, მერე ამ რომანის მიხედვით ფილმი გადაიღო და ისიც სრულიად უსაფუძვლოდ გააკრიტიკეს. დღეს ეს რომანიც და ფილმიც ქართველი ხალხისთვის საყვარელი ნამუშევრებია.

იტალიაში, ქალაქ პეზაროში გაიმართა საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელზეც კინომცოდნეებს მსოფლიოს კინორეჟისორთა ფილმებს უჩვენებდნენ. სსრკ-დან ამ ფესტივალზე, სხვა ფილმებთან ერთად გაიგზავნა გიორგი შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" და გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა". ფილმმა აქ კრიტიკა „დაიმსახურა" და გოდერძი ღელავდა, როგორ მიიღებდნენ მას მსოფლიო კინოს სპეციალისტები. ჩვენების დროს ფინალამდე 15 წუთით ადრე მისულა გოდერძი. ფილმს იტალიელი ქართველოლოგი ლუიჯი მაგაროტი თარგმნიდა იტალიურად. გოდერძის დანახვაზე ლუიჯის ქართულად უყვირია:

„მოდი გოდერძი, ნახე, რა ამბავია!"

ხალხი – ფეხზე ამდგარა ტაშს უკრავდა. განსაკუთრებით იმ სცენის დროს გაიმართა საოცარი ოვაცია, სადაც გურამ ფირცხალავა ტორეადორივით იბრძვის. ფესტივალის ორგანიზატორთა თხოვნით გოდერძისთან პრესკონფერენცია ჩატარდა.

მონტე-კარლოში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმმა „ცოდვის შვილები" მთავარი პრიზი „ვერცხლის ნიმფა" მიიღო. ამ პრიზს თავად მონტე კარლოს პრინცი გადასცემს გამარჯვებულს. იგი მიღებული აქვთ მსოფლიოში ცნობილ რეჟისორებს და მუსიკოსებს. თავად გოდერძი, რატომღაც, ამ ფესტივალზე არ გაუშვეს. კომუნისტების პერიოდში რაღაც უცნაური ამბები ხდებოდა. ერთ-ერთ ქვეყანაში ქართული კულტურის დღეებსაც გამოაკლდა. უცხო ადამიანები მირეკავდნენ, აინტერესებდათ, ჯარში რატომ არ იყო ნამყოფი გოდერძი.

1991 წელს ხიროსიმაში გამართულ კინოფესტივალზე მოსკოვის კინემატოგრაფისტთა კავშირმა გაგზავნა „ცოდვის შვილები". ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად, უემოციო იაპონელები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

გოდერძისაც ძალიან მოეწონა იაპონია. იქიდან დაბრუნებული, სიცილით მიყვებოდა ისტორიას, რომელიც იქ ყოფნის დროს შეემთხვა:

სასტუმროს ნომრიდან გამოსულ გოდერძის გეიშა შემოხვდა, რომელმაც მოწიწებით დაუკრა თავი. ამას უფიქრია, მესალმებაო, თვითონაც თავი დაუკრა და გზა გააგრძელა. მერე მეორე შემოხვდა, მესამე, გოდერძი ზრდილობიანად ესალმებოდა ყველას და გრძელი დერეფნის ბოლოდან რომ მოიხედა, თურმე გეიშების მთელი არმია მოსდევდა უკან. გეიშა თავის დაკვრით საკუთარ სამსახურს სთავაზობს მამაკაცს, და თუ მანაც თავი დახარა, ეს ნიშნავს, რომ თანახმაა მისი მომსახურება მიიღოს.

1997 წელს ანაპაში, საერთაშორისო კინოფესტივალზე „კინოშოკი" გოდერძის ფილმმა „სამოთხის გვრიტები" გრან-პრი დაიმსახურა. ეს ძალიან დიდი წარმატება იყო.

ამის შემდეგ ბევრი მიწვევა მიიღო, მაგრამ ველარ წავიდა, ვერც ფილმი გაუშვა. ფილმის თარგმნასა და ტიტრებს თანხა სჭირდებოდა, რომელიც მას არ ჰქონდა და ამიტომაც ლოკარნოს, სან-სებასტიანის საერთაშორისო ფესტივალებზე ფილმი ვერ მოხვდა.

ამავე მიზეზის გამო „ბერლინალეზე" ვერ გაიგზავნა „ლუკას სახარება" ამ ფესტივალზე ფულადი პრემიები იყო დაწესებული. „ბერლინალეს" ჟურნალისტი ნანა თუთბერიძე ესწრებოდა და გულდაწყვეტილმა აღნიშნა, რომ გოდერძის ფილმს უთუოდ დიდი წარმატება ექნებოდა.

1998 წელს ანაპაში, „კინოშოკზე" მე, გოდერძი და ლუკა ერთად ვიყავით. „ლუკას სახარებამ" მაყურებელი და ჟიური ერთნაირად აღაფრთოვანა. ბატონი რამაზ ჩხიკვაძე, რომელიც ამ ფესტივალის ჟიურის წევრი იყო, გვეუბნებოდა, რომ ჟიურის აზრი ორად გაიყო, ისევ გოდერძისთვის უნდოდათ გრან-პრის გადაცემა. წინა წელს „სამოთხის გვრიტები" აღიარეს საუკეთესო ფილმად. იმ დროს, დაშლილ სსრკ-ში ძალიან ძნელი, წარმოუდგენელი იყო რუსების კეთილგანწყობის მოპოვება. ისინი კი საოცარ სითბოსა და სიყვარულს იჩენდნენ გოდერძის მიმართ. ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, მოდიოდნენ მასთან, ესაუბრებოდნენ, ეფერებოდნენ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლუკას მიერ შესრულებულმა როლმა. რუსი მსახიობი ნ. ოლიალინი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

„როგორც ჟიურის წევრს, დალაპარაკების უფლება არა მაქვს, მაგრამ არ შემიძლია არ აღვფრთოვანდე, ლუკა, გაჰყევი მსახიობობას".

ლუკამ შექება დაიმსახურა ალ. მიხაილოვისგან, მ. პუგოვკინისგან. უამრავი ადამიანი გვილოცავდა. მსახიობი შაკუროვი მოვიდა ჩემთან და ასეთი რამ მკითხა:

– იციან ქართველებმა, გენიოსი რომ ჰყავთ გოდერძის სახით?

– კი-მეთქი.



ანაპა. კინოფესტივალი „კინოშოკი“ გოდერძი ჩოხელი და სერგეი შაკუროვი. 1998 წ.

– აბა, რატომ არ აფასებენ? – გაუკვირდა ს. შაკუროვს. მე აღვშფოთდი, როგორ თუ არ აფასებენ, გოდერძი მთელ საქართველოს უყვარს – ვეუბნებოდი გაცხარებული.

სმოლენსკში მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალზე „ლუკას სახარებამ“ რუსეთის პატრიარქის ალექსეი II-ის სპეციალური პრიზი მიიღო, მთავარი პრიზი კი ბერძენ რეჟისორს გადაეცა. მაყურებელს ძალიან მოეწონა გოდერძის ფილმი და ღიად გამოხატა აღშფოთება, რომ გრან-პრი სხვა ფილმს მიენიჭა. თავად გოდერძი ამ პრიზმა ძალიან გაახარა.

„ლუკას სახარებას“ შემდეგ, გოდერძის მოსკოვში სამუშაოდ ეპატიჟებოდნენ მთელი ოჯახით და ფილმების დაფინანსებასაც შეპირდნენ. მათ სურდათ გოდერძის კავკასიაზე გადაეღო ფილმები, სთხოვდნენ მოთხრობების რუსული სოფლის ცხოვრებაზე გადაკეთებას და საკმაოდ კარგ პირობებსაც სთავაზობდნენ. რუსები ეუბნებოდნენ: „გოდერძი, გადავარუსულოთ შენი მოთხრობები, შენ ჩვენი შუკშინი იქნებიო“, მაგრამ

გოდერძიმ კატეგორიული უარი განაცხადა, მას საქართველოს გარდა ცხოვრება არსად შეეძლო.

რუსმა დრამატურგმა ვლ. დოსტალმა, თავისი სცენარის მიხედვით, გოდერძის ფილმის გადაღება სთხოვა. გოდერძის მისი სცენარი არ მოეწონა, სამაგიეროდ დოსტალს მოეწონა გოდერძის სცენარი „მიჯაჭვული რაინდები" და „მოსტფილმმა" დააფინანსა მისი გადაღება. გოდერძი სიცოცხლის ბოლომდე დარდობდა, რომ ფილმი რუსულად გახმოვანდა და იუმორის მთელი ხიბლი დაიკარგა.

გოდერძისთვის კინო ყველაფერი იყო.

„აღდგომის ბატკანი"-ს გადაღების შემდეგ გოდერძიმ გადაიღო „თეთრი ალამი", რომელიც, რატომღაც, არ მოსწონდა და არც უჩვენებდა, ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ მას ამ ფილმისგან უკმარისობის გრძნობა დარჩა. უცნაური ადამიანი იყო. წარმატებები უხაროდა, სამართლიანი კრიტიკა მისაღები იყო მისთვის, მაგრამ უსაფუძვლო, ბოღმიანი კრიტიკა ძალიან სტკენდა გულს.

ზოგისთვის გამაღიზიანებელი იყო სოფლელი ბიჭის წარმატებები და აბსურდული, უაზრო სტატიებით, სათავისოდვე საზიანო ბოღმას ანთხევდნენ. საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია ნინია კაკაბაძის მიერ ფილმ „ლუკას სახარებას" კრიტიკამ. ნინია კაკაბაძემ ეკრანზე გამოუსვლელი ფილმი „დაჩეხა", თავად „იტვირთა რეჟისორობა" და მაყურებელს ფილმის საკუთარი ვერსია შესთავაზა. საკუთარი „კინოკრიტიკოსობა" კი ასეთი ფრაზით დააგვირგვინა:

„სრულიად გაუგებარია გოდერძი ჩოხელის ფილმის სიუჟეტი, შინაარსი, საერთოდ რისთვის გადაიღო რეჟისორმა იგი, მაგრამ ფილმი, ვფიქრობთ, პატრიოტული გამოვიდა"

გოდერძი ჩოხელი

გოდერძი გაკვირვებული და გულნატკენი იყო, „ლუკას სახარება“ მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ეს ფილმი დღეს მთელმა საქართველომ იცის, მან მრავალი ჯილდო მიიღო. გარდაცვალების შემდეგ სწორედ ამ ფილმისთვის მიენიჭა გოდერძის ბათუმის მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის პრიზი – წმინდა ანდრია პირველწოდებულის ჯვარი მართლმადიდებლობაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის.

გოდერძის ძალიან უყვარდა რეზო ინანიშვილი, ბატონი რეზო და მისი მეუღლე – ქალბატონი როზა საკუთარ შვილად მიიჩნევდნენ. მისმა გარდაცვალებამ უზომოდ დასწყვიტა გული. 1991 წელს, იმ ომში და განუკითხაობაში ახალი წლის დამდეგს მიებარა მიწას რეზო ინანიშვილი და ვერც კი გაიგო საქართველომ, რომ ამხელა ადამიანი დაკარგა... რამდენიმე ათეული კაცი ესწრებოდა მის დაკრძალვას.

გოდერძიმ ბატონ რეზოს მოთხრობაც მიუძღვნა „საფლავისაკენ მიმავალ გზაზე“

მისი დაკრძალვიდან წამოსულს ქუჩაში ვიღაც სამხედროები დახვდნენ, ავტომატები დაუმიზნეს და ქურთუკის გახდა მოსთხოვეს. გოდერძიმ წინააღმდეგობა გაუწია, მათ კი თურმე კონდახი ჩაარტყეს თავში. გონზე მოსულს, უთქვამს: გოდერძი ჩოხელი ვარო.

ისინი კიდევ უფრო გაცოფებულან: კიდევ ცოცხალია? მოკალი მაგისი... ხომ იცი ოპოზიციონერიაო...

ამ სიტყვების გაგონებაზე გოდერძი წამომხტარა და გაქცეულა. აღარც გატეხილი შუბლი ახსოვდა, აღარც ის, რომ სისხლიანი ცალი თვალიდან ვეღარ ხედავდა....

საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ქართველი ბიჭები მას პირუტყვივით მისდევდნენ მოსაკლავად... გოდერძი ჩოხელს ტყვიას ესროდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ კინოსტუდიის წარმომადგენელი იყო.

კაცმა არ იცის, გვარდიელები იყვნენ თუ უბრალოდ მაროდიორები.

გოდერძიმ მძიმე ცხოვრება გაიარა... საქართველოსთან ერთად. მე არ ვლაპარაკობ მატერიალურ სიდუხჭირესა და ყოფით პრობლემებზე. აფხაზეთთან ომმა მასზე საშინლად იმოქმედა. სულ ვეუბნებოდი: გოდერძი, ასეთი დარდი არ შეიძლება; ღმერთმა დაგიფაროს და ასე მხოლოდ მაშინ დარდობენ, როცა შვილები უკვდებათ-მეთქი. არადა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ მართლა შვილმკვდარი მამასავით განიცდიდა თითოეული ადამიანის დაღუპვას. ეგ კი არა, გეგონებოდა, თითქოს, თვითონ გოდერძის კლავდნენ...

გოდერძისთან ხშირად მოდიოდნენ სასულიერო პირები. რადიოში კვირაში ერთხელ გოდერძის გადაცემას უშვებდნენ, რომელსაც „ხილული სამზეო" ერქვა.

ნინო ჟღენტის გადაცემაში გოდერძი სიკვდილ-სიცოცხლეზე საუბრობდა. ეს გადაცემა ტაბაკინის მონასტრის წინამძღვარს მამა იაკობს მოუსმენია, შემდეგში მე მეუბნებოდა:

„საერო კაცის ლაპარაკმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, გოდერძის ხმა რომ მესმოდა, მეგონა, უფალი მელაპარაკებოდა" მამა იაკობი, ჩამოვიდა გოდერძის გასაცნობად. ისე შეხვდნენ ერთმანეთს, თითქოს წლების განმავლობაში იცნობდნენ. გოდერძი უკვე ცუდად იყო, მამა იაკობის მოსვლა უხაროდა, ის კი ცდილობდა, არ დაემძიმებინა გოდერძი, ეფერებოდა. გარდაცვალების შემდეგაც მოვიდა, ბიჭებს ესაუბრა, ანუგეშა: ხომ არ გგონიათ, მამათქვენი შორს არის, აგერ, ამ სამყაროს ზედა სართულზეა, სასუფეველშიო.

გოდერძი ეკლესიაში ხშირად კობა გელაშვილს მიჰყავდა. 2002 წლის გაზაფხული იყო, დიდი მარხვა იწყებოდა. გოდერძის მანამდე თავის მოკვლა არ უხსენებია.

და აი, კვირას, საღამოხანს ამის შესახებ ალაპარაკდა, ძალიან შემეშინდა, ლუკასთან ერთად სიონის ტაძარში წავედი. დეკანოზი მამა ლავრენტი ბუზიაშვილი დაგვხვდა. ვუთხარი, რომ გოდერძი ძალიან აფორიაქებული იყო. მაშინვე

წამოგვყვა, გოდერძი მეორე ოთახში ხატებთან შეიყვანა, იქ დიდხანს ისაუბრეს, აღსარება ჩააბარა მამა ლავრენტის და მან აზიარა გოდერძი.

გოდერძი ცოტა მომაგრდა. იმ საღამოს მამა ლავრენტიმ უთხრა:

– გოდერძი, წარმოიდგინე, რომ ომში ხარ, ოღონდ უხილავ ომში და ხმალი უნდა იქნიო, უნდა დაამარცხო ბოროტი ძალა.

გოდერძი, მართლაც, ომში იყო, დიდხანს იბრძოლა, უმძიმესი დღეები გამოიარა და ბოროტს მაინც არ დაემორჩილა.

მძიმე დეპრესიულ პერიოდში მეუფე დანიელი გოდერძის არ მოშორებია. მამა აკაკი (მელიქიძე) და მეუფე იობი (აქიაშვილი) კვეთებულის ლოცვებს უკითხავდნენ.

ერთხელ გოდერძი ძალიან ცუდად იყო, მეუფე დანიელი მობრძანდა ფერისცვალების მონასტრის დედებთან ერთად, სახლი აკურთხა, გოდერძი აზიარა, დედები გალობდნენ.

მეუფე დანიელმა უზარმაზარი ღვაწლი გასწია გოდერძის წინაშე. მას ისედაც ბევრი საქმე ჰქონდა, მაინც პოულობდა დროს, რომ მოსულიყო. იყო კვირები, როდესაც მეუფე დედა ელენესთან ერთად ყოველდღე მოდიოდა გოდერძისთან, აზიარებდა, პარაკლისებს უხდიდა. თვითონ თუ ვერ ახერხებდა, სხვა მღვდლები მოდიოდნენ, აღსარებებს იბარებდნენ გოდერძისგან და მისთვის ლოცულობდნენ.

გოდერძის ძალიან უყვარდა მეუფე დანიელი, ისინი სტუდენტობიდან მეგობრობდნენ და გოდერძი ახლობლად მიიჩნევდა მას, ყოველთვის უხაროდა მისი მობრძანება და გულღიად ესაუბრებოდა. მეუფე ამხნევებდა, ეუბნებოდა: რაც აქამდე შეგიქმნია, ეს საძირკველია, შენ კიდევ უნდა შექმნა და ამ საძირკველს ძეგლი დაადგაო.

მახსოვს მათი საუბარი, მეუფე დანიელი იობის შესახებ უყვებოდა.

– მეუფეო, ვერ ავიტან ამ ბრძოლას, ამას ფიზიკური ტკივილი სჯობს, ვერ ვუძლებ, მე იობი არა ვარ, – საწყლად შესჩიოდა გოდერძი.

ჩემო ნინო!

იცი ხოლმე მეუბნებიან
ცვლილია

ჩემი ლიტერატურული ლაბირინთი
ჩემი სიყვარული ლაბირინთი.
ლაბირინთში კარი იუნგი კერ-
კეგორეზე, ბორხესის, ლაბირინთი
ხარ ვერ მიგიხვდი ყველა კარებიან.

მეუფე კი წყნარი ხმით უხსნიდა:

– შენ რა გგონია, გოდერძი, იობიც ჩვეულებრივი კაცი იყო, ჩვენნაირი.

გოდერძის გარდაცვალების დღესვე მობრძანდა მეუფე, პარაკლისი გადაუხადა და ქადაგებისას ბრძანა:

– შეიძლება ითქვას, რომ მან მოწამეობრივი ცხოვრებით იცხოვრაო.

ქალბატონ გულიკოსთან გოდერძი თავის დაჭრის შემდეგ მოხვდა. მომდევნო წლებში ამ კლინიკის ექიმებმა რამდენჯერმე უკურნალეს. ქალბატონი გულიკო გოდერძის შვილივით ექცეოდა, დიდ ყურადღებას აქცევდა. 2007 წლის გაზაფხულზე ისევ საავადმყოფოში მოხვდა, ძლივს სუნთქავდა. გულიკო ჩაფიძემ მითხრა, რომ ეს უკვე აღსასრულის მოახლოებას მოასწავებდა.

2007 წლის აპრილში კლინიკიდან უმძიმესი მდგომარეობით გამოვიყვანეთ, უამრავ წამალს იღებდა. ყოველ წუთას შეიძლებოდა დასრულებულიყო მისი სიცოცხლე. ამერიკის შეერთებული შტატებიდან, წმინდა ლუკას სახელობის საავადმყოფოდან თანხმობა მოვიდა, რომ გოდერძის გულზე ოპერაციას გაუკეთებდნენ. ამერიკაში გამგზავრებისა და ოპერაციის ხარჯები 126 ათას დოლარს შეადგენდა, რის შოვნაც ვერ შევძელით. ჩვენმა მეგობრებმა მრავალ მსხვილ კომპანიას და ბიზნესმენს მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

გოდერძის კი, როგორც არასდროს, ისე უნდოდა სიცოცხლე. წარმოუდგენელი რამ გააკეთა, ტელეფონით ესაუბრა ერთ-ერთ მაღალჩინოსანს და მკვახე პასუხებით გულდაწყვეტილმა ჩაილაპარაკა:

– ღმერთო, მაპატიე, მაგრამ ერთ შადრევანს კაცის სიცოცხლე ხომ სჯობსო?!

ბოლო ზაფხულს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. ქალბატონი გულიკო ჩაფიძე, ექიმი მაია მესხია გოდერძის მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ.

უკვირდათ მისი გამძლეობა, რადგან მისი სასიცოცხლო ძალები თითქმის ამოწურული იყო. გოდერძი კი იბრძოდა, იბრძოდა თითოეული დღისთვის.

მადლიერება მინდა გამოვხატო კომპანია „კოკა-კოლას“ პრეზიდენტის ბატონ თემურ ჭყონიას მიმართ, რომელმაც ქალიშვილის, სოფო ჭყონიას ხელით საჩუქარი გამოუგზავნა და ქობულეთში მიგვიწვია დასასვენებლად. ულამაზეს სასტუმროში დავბინავდით, აივანი ზღვას გადაჰყურებდა და გოდერძი, რომელსაც სიარული აღარ შეეძლო, აივნიდან საათობით გასცქეროდა ზღვას. იქაც ექიმების ყურადღების ქვეშ იყო.

ერთ საღამოს ქუჩაში გავისეირნეთ, მისი სიგამხდრის მიუხედავად (ერთ წელიწადში 83-დან 53 კილომდე დაიკლო) ხალხმა იცნო და შემოეხვია, სრულიად უცნობი ადამიანები ესალმებოდნენ, ეფერებოდნენ და გულით გამოხატავდნენ მისი ნახვით გამოწვეულ სიხარულს. სასტუმროშიც მრავალი ადამიანი მოდიოდა, ბათუმის რადიოდან გვესტუმრნენ, მეუფე დანიელმა და თემურ ჭყონიამაც მოგვინახულეს.

გოდერძი მეუბნებოდა: ნახე, ნინო, თემურ ჭყონიამ ცხოვრების ბოლოს როგორი საჩუქარი მოგვიწყო, სიცოცხლის ბოლო დღეები გამილამაზაო.

იმის მიუხედავად, რომ არაჩვეულებრივ პირობებში ვიყავით და ყველა თავს დასტრიალებდა, გოდერძის გაუჭირდა ზღვაზე ყოფნა და რეანიმობილით დავბრუნდით.

გოდერძისთვის მთა ყველაზე კარგი სასიცოცხლო გარემო იყო. ზაფხულობით გოდერძი მარსაგიშვილთან მიდიოდა ხოლმე ყაზბეგში. ბოლო ზაფხულსაც ზღვიდან ჩამოსვლის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა 17 დღე იქ გაატარა. ძალიან უყვარდა იქაურობა, უყვარდა გოდერძის დედა, მეუღლე – მარინა შადური. მარინა ღვიძლ დად მიაჩნდა. ყაზბეგის შემდეგ ფასანაურში ჩავიდა. თითქოს, ყველას და ყველაფერს, რაც ძალიან უყვარდა, გამოეთხოვა. ექიმებმა მისი ყაზბეგში გამგზავრება რომ შეიტყვეს, გაოცდნენ, არ ეგონათ, თუ ამას შეძლებდა. გოდერძი მთის კაცი იყო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, ოქტომბერში ქალაქში მდგომარეობა აირია, გოდერძი ქართველთა ნებისმიერ დაპირისპირებას მწვავედ განიცდიდა და 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებმა მასზე საშინლად იმოქმედა. ღამეები არ ეძინა, საოცარი ხილვები ჰქონდა. 15 ნოემბერს, საღამოს ძალიან გაუჭირდა სუნთქვა, გამთენიისას ჩაფიძის კლინიკაში წავიყვანეთ. დღისით უკეთ იყო, რეანიმაციის განყოფილებაში მასთან არავის უშვებდნენ. 16 ნოემბერს, გვიან ღამით კარებიდან ვუყურებდი გოდერძის. სხვანაირი დამშვიდებული სახე ჰქონდა და უცნაური შუქით იყო განათებული. იმ ღამეს გარდაიცვალა.

გოდერძის გარდაცვალების დღეს, კულტურის სამინისტროდან ორი ადამიანი მოვიდა, ბოდიშებს იხდიდნენ, რომ არც დიდუბის, არც საბურთალოს პანთეონებში არც ერთი კვადრატული მიწა არ იყო გოდერძის საფლავისთვის. მე და ლუკა გაოცებული ვუსმენდით: ჩვენ ხომ მათთვის დახმარება არ გვითხოვია.

ველარ მოვითმინე და ვუთხარი:

– გოდერძი ჩოხელს იმისთვის არ უცხოვრია ამ ქვეყანაზე, რომ პანთეონში მოეპოვებინა ადგილი. ჩვეულებრივ სასაფლაოზე დავკრძალავთ, მას არასოდეს მოაკლდება მნახველი და მისთვის მლოცველი ადამიანი.

ორივე ხმაამოუღებლად გავიდა ჩვენი სახლიდან.

აღელვებული ვიყავი, ამ დროს მამა დანიელი (გიორგობიანი) მოვიდა, პატარა ოთახში შევედით ხატებთან, ჩვენი ახლობელი დათო გაჩეჩილაძეც შემოვიდა და ვლაპარაკობდით, სად დაგვეკრძალა მიცვალებული. სამივე ხატების წინ ვიდექით და უცებ დათო გაჩეჩილაძემ თქვა:

– საოცარია, მაგრამ ახლა, თითქოს, ივერიის ღვთისმშობლის ხატიდან მომესმა: სამთავრო, სამთავრო. მამა დანიელიც დაემოწმა. მეუფე დანიელს ვთხოვეთ, უწმინდესთან ეშუამდგომლა. უწმინდესმა კი სიტყვაც არ დაამთავრებინა მეუფეს და კურთხევა მისცა, რომ გოდერძი სამთავროს

დედათა მონასტრის ეზოში დაგვეკრძალა, ქვაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიიდან გაასვენეთო. ეს იყო ძალიან დიდი პატივი და უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-სგან გოდერძის მიმართ გამჟღავნებული დიდი სიყვარული.

გოდერძის უამრავი ოცნება დარჩა აუსრულებელი. ყველაზე დიდი, ალბათ, მისი ქვეყნის გამთლიანება და გაძლიერება იყო. ვერ გადაიღო ბრწყინვალე სცენარები, „ვარდისფერი კაცი", რომლის გადაღებაც ყველაზე მეტად უნდოდა. ვფიქრობ ეს მისი შემოქმედების გვირგვინი იქნებოდა.

გოდერძი ამბობდა: „მინდოდა ეგეთი ლუკა ვყოფილიყავი, როგორიც „მგელშია", ეგრე მევლო ქვეყანაზე, ყვავილით ხელში და მისი სურნელი, რაც უფლის მადლს ნიშნავს, მეფრქვია ქვეყანაზე"

მჯერა, რომ ასე ივლის გოდერძი ჩვენს შორის იმ სურნელოვანი ყვავილით ხელში ღვთის მადლის გამამრავლებელი და სიკეთის მქადაგებელი.

ნინო მელაშვილი – გოდერძი ჩოხელის მეუღლე

2007 წლის 20 ნოემბერს სამთავროში დაიკრძალა გოდერძი ჩოხელი. თ. კერესელიძის ფოტო.

სარჩევი

მე დავიბადე 3

წინასიტყვაობა 13

ნინო 15

წუთის სოფელი 23

ჩემი გოდერძი ჩოხელი 28

„ყველა დედა ამქვეყნიური ანგელოზია“ 53

„ეტყობა, სევდის სიყვარულში გადავაჭარბე“ 60

რითი ცხოვროგდა გოდერძი?! 66

გოდერძის დარდების გუდა 71

თავი რომ დაიჭრა 81

მწერლობის შესახებ 90

გოდერძი და კინო 96

„ადგილის დედა“ 116

„გოდერძი არის დიდი ცრემლი ქართველი ერისა“ 118

„მხნედ იყავით, ქართველნო!“ 125

გოდერძი ჩოხელი 133

ის ჩვენში კვლავ გააგრძელებს სიცოცხლეს! 134

მართალი მხატვარი 135

გენიალური ადამიანი იყო 136

„ყოჩაღ, ბალღო!“ 136

მწუხარებამ მათქმევინა 137
მის თავმდაბლობაში სიდიადეა 140
„ადამიანთა სევდა" წინასწარმეტყველური ფილმია 146
ღვთის კაცი იყო 151
სიამოვნებით ვიმუშავებდი ისევ გოდერძისთან 157
დარდების შემგროვებელი 161
„თეთრი მტრედები მოფრინდნენ გელათში" 166
„კლდეს ვაჟა-ფშაველას ფორმა ჰქონდა" 171
„ილოცეთ მისთვის" 173
„ძალიან დამაკლდა" 174
„გოდერძის წამით არ მიუტოვებია დედა" 180
სახსოვარი 182
„თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობდა" 186
ცივ ქვაზე შემდგარი ჩოხელი 188
„იგი ჩვენი სულების გასალამაზებლად აჩუქა შემოქმედმა საქართველოს" 195
იისფერი ნათება 198
ნუ გაახმობთ მხარზე ამოსულ ნაძვს! 202
„გააკეთე, როგორც შენ გესმის" 210
ჯვარიმც გწერია, გოდერძი! 219
ეს სიკვდილი სიცოცხლეზე ლამაზია! 223
ჩემი მარად სევდიანი ძმისა! 227

განაპირა სახლის ბინადარი.....230
„ნამში სამყარო ჩანს“.....235
„სული მტკივა, ძმიო...“.....241
პატრიარქი შვილივით მოეფერა.....244
„ჩოხელის პირით წმინდა გიორგი მლოცავდა“.....245
უცხოეთიდან შემოთავაზება არ მიიღო.....247
„იქნებ რისი თქმა უნდოდა“.....252
„ლილი, მიწის სუნი გცემს“?.....255
გოდერძი დიდი იყო, ძალიან დიდი!.....259
სევდიანი, გულწრფელი და მართალი.....261
გოდერძი ძმა იყო ჩემი.....263
გოდე!.....269
„შედგა ჩოხელი ცივ ქვაზე“.....271
გოდერძის შემოქმედებაზე თაობები გაიზრდებიან.....280
მადლობა, უფალს!.....282
ორი გოდერძი და ვაჟა-ფშაველა.....283
მზის ნათითურებიანი კაცი.....286
„მისგან ვისწავლე სიმშვიდე და მოყვასის სიყვარული“..289
სხვებზე წუხდა.....290
გოდერძი ჩოხელის ბოლო დღეები.....292
„ჩემს საფლავზე იები მოიტანე“.....296
„გოდერძი საქართველოსთვის დანთებული სანთელია“.....299

„შენ გელისწერას ეთამაშები“ - უთხრა აკაკი გაქრაქემ.....308
ნაწილიანი ქართველი.....313
„მამას ყველაფერი ესმის და მეხმარება“.....320
გოდერძის ღმერთი აძლევდა სასიცოცხლო ძალებს.....329
„ასეთია ღვთის ნება, უნდა შევეწირო გოდერძის“.....335
„სავსე იყო ნინოს სიყვარულით“.....339
კაცთმოყვარე.....342
ძია იაშა, ჩემი საყრდენი იყო.....352
„ელისო, სიკვდილის არ მეშინია“.....356
„გოდერძი თავად იყო ღმერთის საჩუქარი“.....362
ღვთის მადლის გამამრავლებელი.....368

წიგნზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი: თამარ შაიშმელაშვილს, ნინო სალუქვაძეს, ნატალია ქადაგიძეს, ანა გოგუაძეს და გიორგი ქავთარაძეს.